თომას მანი

ტანსაცმლის კარადა

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა

ცივიოდა, ბინდი და ბურუსი იდგა, როცა ჩქარი მატარებელი „ბერლინი—რომი“ ერთ არცთუ დიდი სადგურის გადახურულ ბაქანთან გაჩერდა. პირველი კლასის კუპეში მაქმანებიანი გადასაფარებლით შემკული ხავერდის განიერი სავარძლიდან მარტოხელა მგზავრი წამოდგა, — ალბრეჰტ ვან დერ კვალენი. ის იყო გამოელვიძა. პირში მწარე გემო ჰქონდა და სხეული იმ უსიამო შეგრძნებით გასთანგოდა, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ გაჩერება რომ აღძრავს, როდესაც ბორბლების მწყობრი დაგადუგი წყდება, სიჩუმე ჩამოვარდება და გარედან ყოველი ჩქამი, შეძახილი და საყვირის ხმა საოცრად მკაფიოდ მოისმის. ეს მდგომარეობა ზარხოშიდან თუ ბურანიდან გამოფხიზლებას ჰგავს. ჩვენს ნერვებს ანაზდად საყრდენი ეცლება, — ეცლება რიტმი, რასაც მანამდე შეჰგუებოდით, და ახლა დაბნეულობასა და სიცარიელეს გრძნობთ. და ეს კიდევ უფრო საცნაურია, როცა გზაში ამასთანავე ღრმა ძილიდან გამოვერკვევით.

ალბრეჰტ ვან დერ კვალენი ოდნავ გაიზმორა, ფანჯარასთან მივიდა, მინა ჩამოუშვა და გარეთ გაიხედა. მატარებლის თავში, საფოსტო ვაგონთან რამდენიმე კაცი ტრიალებდა, პაკეტების დატვირთვა-გადმოტვირთვით იყვნენ გართულნი. ორთქლმავალი ნაირ-ნაირ ხმებს გამოსცემდა, ფუხფუხებდა, შიშინებდა. ბოლოს თითქოს ცხვირი დააცემინა და გაირინდა, როგორც ცხენი, რომელიც ერთ ადგილზე დგას, ტანი უცახცახებს, ფლოქვებს ინაცვლებს, ყურებს ათამაშებს და სულსწრაფად ელის ნიშანს, რომ ადგილიდან მოსწყდეს. ტანმაღალი, მსუქანი ქალი დაწრიალებდა ბაქანზე, გრძელი საწვიმარი ლაბადა ეცვა და საოცრად შეჩქვიფებული სახე ჰქონდა, ვაგონიდან ვაგონამდე დაათრევდა მძიმე საკვოიაჟს, თან ქანცგაწყვეტილი მუხლს აშველებდა, ხმას არ იღებდა, შიში ჩასდგომოდა თვალებში. განსაკუთრებით მისი ზედა ტუჩი აგიჩუყებდა საოცრად გულს, წინ რომ წამობურცოდა და ოფლის წვრილი წინწკლებით დანამოდა. „ვაიმე, შე საბრალო! — გაიფიქრა ვან დერ კვალენმა.— ნეტავი შემეძლოს რითიმე დაგეხმარო, დაგაბინავო, დაგამშვიდო, თუნდაც მხოლოდ შენი ზედა ტუჩის ეშხით! მაგრამ ჯერ თავო და თავოო, ასეა დაწესებული და მე ახლა შიშის ნატამალსაც არა ვგრძნობ, ვდგავარ აქ და ისე გადევნებ თვალს, თითქო ზურგზე მოფართხალე ხოჭო იყო“.

სადგურის ბაქანი ბინდბუნდში იყო გახვეული. საღამო იყო ნეტავ თუ დილა? მან არ იცოდა, რადგან ეძინა და აბა როგორ გაეგო, ორი, ხუთი თუ თორ-

მეტი საათი ეძინა? განა ისე არ ეჩვენებოდა, რომ მთელი დღე და ღამე ეძინა და შეიძლება უფრო დიდხანსაც კი — გაბმით, ღრმად, უჩვეულოდ ღრმა ძილით? ხავერდისსაყელოიანი მუქი ყავისფერი მოკლე ზამთრის პალტო ეცვა. სახის ნაკვთებზე ასაკს ძნელად თუ შეატყობდით: შეიძლება ოცდახუთისაც ყოფილიყო და შეიძლება ორმოცს მიტანებულიც, პირის კანი მოყვითალო ჰქონდა, თვალები კი ნახშირივით შავი, მოელვარე და უპეებჩალურჯებული. ეს თვალები **კარგს არას მოასწავებდნენ. ექიმები** სერიოზულ, გულახდილ, ვაჟკაცურ საუბარში არაერთხელ გამოსტყდომიან, რომ მხოლოდ რამდენიმე თვე სიცოცხლეღა ეწერა... დაბოლოს, მუქი თმა გვერდზე ჰქონდა გაყოფილ-გადატკეცილი.

ბერლინში — თუმცა მგზავრობა იქიდან არ დაუწყია — თავის წითელ ტყავის ჩანთიანად სახელდახელოდ ჩაჯდა ჩქარ მატარებელში, რომელიც ის-ის იყო უნდა დაძრულიყო. ეძინა და ახლა, გამოღვიძებული, იმდენად დროის გარეშე გრძნობდა თავს, რომ შვებით ევსებოდა სული. საათი არ ჰქონდა. უხაროდა, რომ ყელზე ჩამოკიდებულ ოქროს ძეწკვზე მხოლოდ პატარა მედალიონი ება, ჟილეტის ჯიბეში ჩამალული. არ დაგიდევდათ არც საათის და არც იმის ცოდნას, კვირის რა დღე იყო, და ამიტომ კალენდარსაც არ იძენდა. დიდი ხანია გადაეჩვია და არ ძიობდა, რომელი დღე, რომელი თვე ან თუნდაც წელიწადი იდგა. **„ყველაფერი ჰაერში უნდა ეკიდოს“**, — გაივლებდა ხოლმე გულში და საკმაოდ ბევრ რამეს აქსოვდა ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვან გამოთქმაში. ვერაფერი, თითქმის ვერაფერი ვერ ურღვევდა დროის ამგვარ არაფრად ჩაგდებას, რადგან მაშინვე თავს არიდებდა ყველაფერს, რასაც შეიძლებოდა ხსენებული მდგომარეობიდან გამოეყვანა. განა არ კმაროდა დაახლოებით სცოდნოდა ხოლმე, წელიწადის რა დრო იდგა? „ახლა, ვგონებ შემოდგომა უნდა იყოს, — გაიფიქრა მან, თან თალხსა და ნაწვიმარ ბაქანს გახედა,—მეტი არაფერი ვიცი! ისიც კი არა, სად ვიმყოფები“.

და ამის შეგნებამ კმაყოფილების გრძნობა, რომლითაც მანამდე იყო გამსჭვალული, ერთბაშად ყოველივესაგან განდგომის სიხარულით შეუცვალა. არა, მართლაც არ იცოდა, სად იმყოფებოდა! ისევ გერმანიაში იყო? უეჭველია, მაგრამ ჩრდილო გერმანიაში კი? ამას უკვე ველარ გეტყოდათ. ძილიდან რიგიანად არც იყო გამორკვეული, რომ კუპეს ფანჯრიდან თვალი მოჰკრა განათებულ წარწერას, რომელიც ალბათ სადგურის სახელწოდებას აღნიშნავდა, მაგრამ ვერც ერთი ასო ვერ აღიქვა მისმა გონებამ. ჯერაც ძილნასვამმა გაიგონა, როგორ დაიძახა ვაგონის გამცილებელმა ორჯერ თუ სამჯერ სადგურის სახელი, მაგრამ ერთი ბგერაც კი ვერ გაარჩია. იქ კი, იქ, ბინდბუნდში, რომელიც დილის რიჟრაჟს მოასწავებდა თუ საღამოს მწუხრს, მან არ უწყოდა,— უცხო დასახლებული პუნქტი, უცნობი ქალაქი გადაშლილიყო. ალბრეჰტ ვანდერ კვალენმა ბადიდან ფეტრის შლაპა ჩამოიღო, ხელი დაავლო წითელი ტყავის სამგზავრო ჩანთას, — ზედ თასმებით წითელ და თეთრ უჯრედებიანი შალის პლედი იყო მიმაგრებული, ხოლო პლედში კიდევ ვერცხლისტარიანი ქოლგა გაჩრილი, — და თუმცა ბილეთი ფლორენციამდე ჰქონდა, კუპედან გამოვიდა და პატარა ბაქანს დაუყვა; ბარგი შესაბამის საკანში მიაბარა, სიგარა გააბოლა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო, რადგან არც ჯოხი, არც ქოლგა თან არ წამოულია, და სადგურიდან გამოვიდა. გარეთ, ნისლიან, ნაწვიმარ და

თითქმის უკაცრიელ მოედანზე ხუთი თუ ექვსი ეტლი იდგა, მეეტლეები მათრახებს ატკაცუნებდნენ და ვიღაც მოსირმულქუდიანი კაცი, გრძელ პალტოში რომ იფუთნებოდა, ჩაეკითხა:

— სასტუმროში ხომ არ ინებებთ, პატივცემულო?

ვან დერ კვალენმა მადლობა მოახსენა თავაზიანად და გზა განაგრძო, პირდაპირ გასწია. შემხვდურთ პალტოს საყელო ყველას აწეული ჰქონდა და ამიტომ თვითონაც ასე მოიქცა, ნიკაპი ხავერდის საყელოში ჩარგო, აბოლებდა და მიჰყვებოდა გზას, არც უჩქარებდა ნაბიჯს და არც უნელებდა.

ქვის გალავანს ჩაუარა, ძველებურ ჭიშკარს, რომელსაც ორი გოდოლი ამშვენებდა, და ხიდზე შედგა. მოაჯირზე ქანდაკებები იდგა, დაბლა კი მდინარე ზანტად მიაგორებდა ტალღებს. გრძელმა, დაფუტუროებულმა ნავმა ჩაიარა, კიჩოზე ვიღაც კაცი იჯდა და გრძელი ჭოკით მართავდა. ვან დერ კვალენი ცოტა ხნით გაჩერდა და მოაჯირზე გადაეყუდა. „ერთი უყურეთ, — გაიფიქრა მან, — რაღაც მდინარეა. რა კარგია, რომ მისი ბანალური სახელი არ ვიცი“,— და გზა განაგრძო.

ერთხანს ასე იარა, სულ პირდაპირ, მისთვის უცნობი ქუჩის არცთუ ერთობ განიერ და არცთუ ერთობ ვიწრო ფილაქანზე, მერმე ხელმარცხნივ შეუხვია სადღაც. საღამო იყო. რკალნათურები ინთებოდნენ. რამდენჯერმე გაიელვებდნენ, ვარვარდებოდნენ, შიშინებდნენ და შემდეგ ანათებდნენ ნისლში. სავაჭროებს კეტავდნენ. „მაშ ასე, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ შემოდგომაა“, — ფიქრობდა ვან დერ კვალენი და სისველისაგან შავ ფილაქანზე მიაბიჯებდა. უკალოშებოდ იყო, მაგრამ არაჩვეულებრივად ბრტყელი, მაგარი, გამძლე და ამასთანავე მოხდენილი ფეხსაცმელი ეცვა.

ერთთავად მარცხნივ მიდიოდა. შემხვდურთაგან ზოგი დინჯად ჩაუვლიდა, ზოგიც იჩქაროდა, ვინ საქმეს ეშურებოდა, ვის უკვე მოეთავებინა საქმე. „მეც ვითომ მათ მარაქაში ვარ გარეული, — გაივლო გუნებაში. — მათ შორის მივაბიჯებ, მაგრამ ისე მარტოდმარტო და მიუსაფარი ვარ, როგორიც, მე მგონი, ჯერ არავინ ყოფილა. არც საქმე მაქვს და არც მიზანი. ჯოხიც კი არ გამაჩნია, რომ ზედ დავეყრდნო, ჩემზე უფრო უბალავრო, უფრო თავისუფალი და განდგომილი არავინ შეიძლება იყოს. არც მე მიმადლის ვინმე რაიმეს და არც მე ვუმადლი. ღმერთს ჩემთვის არასოდეს არ გამოუწვდია ხელი. ჩირადაც არ მაგდებს. კარგია გაუთავებელი ძნელბედობა, რომელსაც მოწყალებაც არ ედება სალბუნად: შეგიძლია თავი ინუგეშო, რომ ღმერთისაგან არაფრით არ ხარ დავალებული“.

ქალაქი გაილია. ეტყობა, დაახლოებით ქალაქის შუაგული იყო, როცა გადაუხვია. გარეუბნის განიერ ქუჩაზე ამოყო თავი, ქუჩას ორივე მხარეს ხეები გასდევდა, მათ უკან კი აგარაკები ჩანდა. მარჯვნივ გაუხვია, განვლო მხოლოდ გაზის ფარნებით განათებული სამი თუ ოთხი სოფლური შუკა და ბოლოს ერთ, შედარებით უფრო განიერ შუკაში ხის ჭიშკართან გაჩერდა, ყვითლად შეღებილი სახლის მარჯვნივ რომ ჩანდა. ჩვეულებრივი სახლი იყო და მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ ფანჯრებში გაუმჭვირვალე, ძალზე გამოზნექილი სარკის მინები ჩასვათ. ჭიშკარზე დამაგრებულ დაფაზე ეწერა: „ამ სახლის მეოთხე სართულზე ოთახები ქირავდება“. „ოჰო!“ — წარმოთქვა მან. სიგარის ნამწვი გადააგდო, ჭიშკარში შევიდა, ჩაუარა მესერს, ამ

მიწის ნაკვეთს მეზობელი ეზოსაგან რომ ჰყოფდა, მხარმარცხნივ შეაღო სახლის კარი, ორიოდე ნაბიჯით გადაჭრა დერეფანი, სადაც ფეხის ტილოდ ღარიბული რუხი საფენი ეგო და ხის უბრალო კიბეს აჰყვა.

სართულებზეც ყველა კარი ძალზე სადა იყო, მქრქალი მინები ჰქონდა ჩადგმული და ბადეები ეკრა. პატარა დაფებზე კი გვარები ეწერა. კიბის ბაქნებზე ნავთის ლამპები ენთო, მეოთხე სართულზე კი — იგი უკანასკნელი გახლდათ და ზევით სხვენი მოსდევდა — კიბიდან მარჯვნივაც და მარცხნივაც კიდევ თითო კარი იყო, უბრალო მოყავისფრო კარი; სახლის პატრონის გვარი, ვერსად შეამჩნია. ვან დერ კვალენმა თითბრის ზარის სახელურს დასწია შუა კართან. ზარმა დაიწკრიალა, მაგრამ შიგნით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაშინ მარცხნივ დააკაკუნა, აქაც პასუხი ვერ მიიღო და ახლა მარჯვნივ დააკაკუნა. დინჯი, მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა და კარი გაიღო.

მოხუცებული ქალი გამოჩნდა, მაღალი და გამხდარი, თავზე ღია ლილისფერბაფთებიანი ჩაჩი ეხურა და ძველებური, გაცრეცილი შავი კაბა ეცვა. ჩიტის დაჩმაჩნული სახე მიაპყრო მოსულს და შუბლზე ხავსივით წამონაზარდი ერთი ბღუჯა თმა გამოუჩნდა. საკმაოდ ამაზრზენი სანახაობა გახლდათ.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა ვან დერ კვალენმა, — ოთახები...

მოხუცმა მანდილოსანმა თავი დაუქნია, დარბაისლურად დაუქნია და მუნჯურად გაუღიმა, თან ლამაზი, თეთრი და გრძელი ხელით მოთენთილად, ნარნარად და მედიდურად მიუთითა მოპირდაპირე, მარცხენა კარზე, მერმე უკანვე შეტრიალდა და გასაღები გამოიტანა. „ერთი ამას უყურეთ, — ფიქრობდა ვან დერ კვალენი, ვიდრე მოხუცი ბანოვანის ზურგს უკან იდგა და ის კი კარს აღებდა, — თქვენ, მოწყალეო ქალბატონო, გრძნეულსა ჰგავხართ, ჰოფმანის რომელიმე პერსონაჟს“. ქალმა კაუჭიდან ნავთის ლამპა ჩამოიღო და სტუმარი შიგნით შეიყვანა.

პატარა, ჭერდაბალი ოთახი იყო, იატაკი ყავისფერი ჰქონდა, კედელზე ჭერამდე ჩალისფერი ჭილობები გაეკრათ, უკანა კედელზე ფანჯარას გრძელი და ვიწრონაკეცებიანი თეთრი მუსლინის ფარდა მალავდა. თეთრივე კარი გადიოდა მარჯვნივ, გვერდით ოთახში.

მოხუცმა ბანოვანმა ისიც გააღო და ლამპა მაღლა ასწია. ეს ოთახი გულის მომწყვლელად შიშველი აღმოჩნდა. თეთრი კედლების ფონზე ღია წითლად გალაქული სამი დაწნული სკამი ისე ისახებოდა, როგორც მარწყვი ათქვეფილ ნაღებში. იდგა კიდევ ტანსაცმლის კარადა, სარკიანი პირსაბანი... ოთახის შუაგულში კი — წითელი ხის ვეება საწოლი.

— აბა, გაქვთ რამე ამის საწინააღმდეგო? — ჩაეკითხა მოხუცი ბანოვანი და თან ლამაზი, გრძელი, თეთრი ხელი ოდნავ წაივლო შუბლს ზემოთ ხავსისებურ წამონაზარდზე. ისე ჩანდა, რომ მხოლოდ უნებლიეთ წამოსცდა ნათქვამი, რადგან ამგვარი შემთხვევისათვის შესაფერისი სიტყვები ხელდახელ ვერ მოაგონდა. ამიტომ მაშინვე დაუმატა: — ასე ვთქვათ...

— არა, არაფერი, — უთხრა ვან დერ კვალენმა.—ოთახები საკმაოდ გონებამახვილურად მოგიწყვიათ. ვქირაობ... გთხოვთ, ვინმეს ჩემი ბარგი მოატანინოთ სადგურიდან. აი, ქვითარი. მადლობელი ვიქნები, თუ ლოგინს გააშლევინებთ და საწოლის მაგიდასაც დადგამთ... სადარბაზოსა და სართულის გასაღებებიც

ბარემ ახლავე გადმომეცით... ორიოდე პირსახოციც დამჭირდება. მინდა ცოტა მოვწესრიგდე, მერე ქალაქში ვივახშმო და ისე დავბრუნდე.

ჯიბიდან მონიკელებული სასაპნე ამოიღო, იქიდან კი საპონი და პირსაბანთან ხელ-პირის ბანას შეუდგა, ისან დროდადრო დაბლა იხედებოდა. ძალზე გაზნექილი ფანჯრის მინებიდან გაზის შუქში ჩაძირულ გარეუბნის ტალახიან ქუჩებს გადასცქეროდა, რკალნათურებსა და სახლებს. ხელების შემშრალებისას ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. ეს გახლდათ გამოყვანილი მუხის ტლანქი დგამი, სადად მოჩუქურთმებული და ოდნავ დაკორიკავებული. იდგა მარჯვენა კედელთან, მეორე თეთრი კარის წალოში. ეტყობოდა, ეს კარი იმ ოთახებში გადიოდა, რომელთა შესავალსაც კიბის ბაქნიდან შუათანა, მთავარი კარი წარმოადგენდა. „ზოგი რამ კარგად არის ამქვეყნად მოწყობილი, — გაივლო გულში ვან დერ კვალენმა. — ეს ტანსაცმლის კარადა ისე ერგება ამ კარის წალოს, თითქოს მისთვის საგანგებოდ იყოს გაკეთებული“. კარადა გააღო, პირწმინდად ცარიელი დახვდა, ჭერზე რამდენიმე რიგად კაუჭები იყო ჩამწკრივებული; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთ სოლიდურ ნაკეთობას უკანა კედელი არ გააჩნდა, მის ნაცვლად რუხი ქსოვილი იყო გაკრული, უბრალო, ხამი ტილოს ნაჭერი, რომელიც ლურსმნებითა თუ ჭიკარტებით დაემაგრებინათ ოთხივე კუთხეში.

ვან დერ კვალენმა კარადა დახურა, შლაპა აიღო, პალტოს საყელო ისევ აიწია, სანთელი ჩააქრო და წამოვიდა. ვიდრე წინა ოთახს გადასერავდა, მისი ნაბიჯებით გამოწვეულ შარიშურთან ერთად მეზობელი ოთახებიდან თითქო რაღაც წკრიალი შემოესმა, ლითონის ოდნავი წკრიალი, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, შეიძლება სულაც მოეჩვენა; „გეგონებათ, ოქროს ბეჭედი ჩავარდაო ვერცხლის ფიალაში“, — გაიფიქრა მან, როცა ბინას კეტავდა, მერმე კიბეზე დაეშვა, სახლიდან გამოვიდა და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალი გზა გაიგნო.

ხალხით მოზიმზიმე რომელიღაც ქუჩაზე გაკაშკაშებულ რესტორანში შევიდა და ერთ-ერთ წინა მაგიდას მიუჯდა, იქ მყოფ საზოგადოებასთან ზურგშექცევით. ჯერ ბოსტნეულის წვნიანს შეექცა და გახუხული პური შეატანა, მერმე კვერცხიანი ბიფშტექსი და კომპოტი მიირთვა, დალია ღვინო, ზედ ერთი ნაჭერი მწვანე ყველი „გორგონცოლა“ და ნახევარი მსხალი დააყოლა. ვიდრე ფულს გადაიხდიდა და პალტოს ჩაიცვამდა, რუსული პაპიროსი გააბოლა და რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, შემდეგ კი სიგარას მოუკიდა და წამოვიდა. ცოტაოდენი იხეტიალა ქუჩებში, გარეუბნის გზას გუმანით მიაგნო და აუჩქარებლად განვლო იგი.

სარკისმინებიანი სახლი წყვდიადითა და მდუმარებით იყო მოცული, როცა ვან დერ კვალენმა სადარბაზო გააღო და უკუნეთში ჩაძირულ კიბეს აჰყვა. მეოთხე სართულზე ასანთს გაჰკრა და მხარმარცხნივ ყავისფერი კარი გააღო. ოთახში შესვლისთანავე პალტო და შლაპა დივანზე დაალაგა, დიდ საწერ მაგიდაზე ლამპა აანთო და იქვე თავისი სამგზავრო ჩანთა და დაგრაგნილი პლედი შენიშნა. ქოლგა ისევ შიგ იყო გაჩრილი. პლედი გაშალა და კონიაკის ბოთლი ამოიღო, ტყავის ჩანთიდან პატარა ჭიქაც მოაყოლა და სავარძელში მოიკალათა. თან სიგარას აბოლებდა და ჟამიდან ჟამზე თითო ყლუპს სვამდა. „რა საამურია, — ფიქრობდა თავისთვის, — რომ ქვეყნად კონიაკი მაინც მოიძე-

ვება“. შემდეგ საძილე ოთახში შევიდა და საწოლის მაგიდაზე სანთელი აანთო, წინა ოთახში ლამპას ბოლომდე ჩაუწია და გახდას შეუდგა. ჯერ კარგა ხნის ნახმარი, სადა ნაცრისფერი კოსტიუმის პიჯაკი გაიხადა, მერმე ჟილეტი და საწოლთან წითელ სკამზე დაალაგა, მაგრამ როცა აჭიმიც შეიხსნა, პალტო და შლაპა გაახსენდა, დივანზე რომ დატოვა; გამოიტანა ისინი, ტანსაცმლის კარადა გააღო... და ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, თან ზურგს უკან ხელი ერთ-ერთ მოზრდილ მუქწითელ ბურთულას ჩასჭიდა, რომლებიც საწოლის ოთხივე კუთხეს ამშვენებდნენ.

ოთახს, რომლის შიშველი, თეთრი კედლების ფონზე წითლად გალაქული სკამები ისე ჩანდა, როგორც მარწყვი ათქვეფილ ნაღებში, სანთლის მოკიაფე შუქი ანათებდა. ტანსაცმლის კარადა კი, ახლა უკვე ყურთამდე გაღებული კარით, ცარიელი არ იყო, შიგ ვიღაც იდგა ხატებასავით, ვიღაც ქმნილება, ისეთი მწყაზარი, რომ ალბრეჰტ ვან დერ კვალენს წამით გული გაუჩერდა და მერმე მდოვრედ და სათუთად დაუწყო ძგერა. ქალი მთლად დედიშობილა იყო. ცალი თხელი, ნაზი მკლავი მაღლა ეჭირა, სალოკი თითით კარადის ჭერზე ერთ-ერთ კაუჭს ჩასჭიდებოდა. გრძელი წაბლისფერი თმა ტალღებად ეფინა ბავშვურ მხრებზე. ეს მხრები ისეთ ხიბლს აფრქვევდნენ, რომ ადამიანს აღტაცებისაგან ტირილი მოუნდებოდა. მის ბუდეშურივით მოგრძო შავ თვალებში სინათლის შუქი ირეკლებოდა, პირი ოდნავ დიდი ჰქონდა, მაგრამ გამომეტყველება ისეთი მშვიდი და ტკბილი, როგორც ძილს სჩვევია ხოლმე, ოდეს იგი დუხჭირ დღეთა შემდგომ შუბლზე გვეამბორება, ქუსლი ქუსლზე მიეჯრა და ჩამოქნილი ფეხები ერთად შეეწებებინა.

ალბრეჰტ ვან დერ კვალენმა თვალებზე ხელი მოისვა და ისევ შეხედა... ახლა ისიც შენიშნა, რომ დაბლა, მარჯვენა კუთხეში, რუხი ტილო კარადიდან აგლეჯილი იყო.

— ხომ არ ინებებთ და შემოხვალთ? ან, უკეთ, გამობრძანდებით? ერთ ჭიქა კონიაკს ხომ არ მიირთმევთ, ნახევარ ჭიქას მაინც?..

მაგრამ პასუხს კი არ მოელოდა და არც მიუღია. ქალს ვიწროდ გაჭრილი, მოელვარე თვალები იმდენად შავი ჰქონდა, თითქოს არაფერს არ გამოხატავდნენ, ამოუცნობნი და არაფრის მთქმელნი ჩანდნენ. თუმცა ვან დერ კვალენს მისჩერებოდნენ, მაგრამ დაჟინებით ან რაიმე მიზნით კი არა, არამედ ბუნდოვნად, გეგონებოდა, ვერაფერს ხედავენო.

— გიამბო? — ანაზდეულად შეეკითხა ქალი ხმადაბლა, ყრუდ.

— მიამბე, — მიუგო ვან დერ კვალენმა, რომელიც ამასობაში საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო, პალტო მუხლებზე დაეფინა და ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები ზევიდან დაეწყო, ბაგე კი ოდნავ გაეპო და თვალები ნახევრად მიელულა. მაგრამ სისხლი საამოდ უჩქეფდა, თბილად უვლიდა ძარღვებში, ბუბუნი გაუდიოდა ყურებს.

ქალმა კარადის ძირზე დაივანა; ცალი ფეხი მუხლში მოხარა და ზედ ნაზი ხელები შემოიჭდო, მეორე კი გარეთ ჩამოკიდა. კოკობი მკერდი მკლავებშუა ამოსთქვიროდა და მუხლზე დაჭიმული კანი უპრიალებდა. ქალი მოუთხრობდა, ჩუმად უყვებოდა... სანთლის ალი კი უხმოდ როკავდა...

ორნი მიდიოდნენ მანანების ტრამალზე. ქალის თავი ვაჟის მხარზე ესვე-

ნა. მინდვრის ყვავილები გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდნენ, მაგრამ მიწიდან უკვე მაღლა მიიწევდა მწუხრის ჯანღი. ასე დაიწყო და ხშირად ლექსივით ჟღერდა, ისე უჩვეულოდ იოლად და კეთილხმოვნად გალექსილი სტროფებივით, როგორიც ხანდახან ჩვენც გამოგვდის ხოლმე ციებცხელებიანი ღამეების ძილ-ღვიძილში. მაგრამ ბოლო კეთილი არ ჰქონია. სავალალოდ დასრულდა ყოველივე: ორნი ჩახუტებულნი დგანან, ერთმანეთს შეწებებულნი და ვიდრე ბაგეთი ურთიერთს ეკონებიან, ერთი მეორეს ბრტყელ დანას ჩასცემს მკერდში, თუმცა არცთუ უკეთური საბაბით. ასე დამთავრდა. და მაშინ ქალი უსაზღვრო რუდუნებითა და კრძალვით წამოდგა, მარჯვენა ქვედა კუთხეში რუხი ტილო გადასწია, კარადას კედლის მაგიერობას რომ უწევდა, და გაუჩინარდა.

ამიერიდან ყოველ საღამოს ხედავდა ქალს ტანსაცმლის კარადაში და უსმენდა. რამდენი საღამო გავიდა? რამდენი დღე, კვირა ან თვე დაყო ამ ბინასა და ქალაქში? — აბა ვის რას ეტყოდა ან ვის გაახარებდა რაღაც უბადრუკი ციფრი? განა ისედაც არ ვიცით, რომ ალბრეჰტ ვან დერ კვალენს ბევრი ექიმი რამდენიმე თვე სიცოცხლესღა უწინასწარმეტყველებდა?

ქალი მოუთხრობდა სევდიან ამბებს, უნუგეშო ამბებს, მაგრამ ისინი ტკბილი სიმძიმილით უვსებდნენ გულს და გულიც უფრო ნელა და სანეტაროდ უძგერდა. ხშირად თავთავიწყებამდე მისულს სისხლი აემღვრეოდა, ქალისკენ ხელებს იწვდიდა და ქალიც არ უძალიანდებოდა. მაგრამ შემდეგ რამდენიმე საღამოს ველარ ნახულობდა კარადაში, ხოლო როცა დაბრუნდებოდა, მაინც კიდევ რამდენიმე საღამოს ალარაფერს უამბობდა და მხოლოდ შემდეგ ნელინელ ისევ განაგრძობდა ძველებურს, ვიდრე ვან დერ კვალენი კვლავ არ დაჰკარგავდა თავგზას.

რამდენ ხანს გრძელდებოდა ასე? ვინ იცის. ან თუნდაც ის ვინ უწყის, მართლა გაელვიძა იმ საღამოს ვან დერ კვალენს და უცნობ ქალაქში ჩავიდა, თუ იქნებ პირველი კლასის კუპეში ეძინა ისევ და ჩქარი მატარებელი „ბერლინი—რომი“ საშინელი სისწრაფით მიაქანებდა ცხრა მთას იქით? აბა რომელ ჩვენგანს შეუძლია გაბედოს და გარკვეული პასუხი გასცეს ამ კითხვას? საკითხი ბუნდოვანია, — „ყოველივე ჰაერში უნდა ეკიდოს...“

□

ხულიო ტრავიესო

სანამ მგელს მოჰკლავდნენ

მოთხრობა

ესპანურიდან თარგმნეს ზურაბ აბაშიძემ და გარსევან ბიჭიაშვილმა

ეს ის ხალხი იყო, ვის წიაღშიც იშვა რევოლუცია. თავიდან სულ მარტონი იყვნენ — უსამართლობის წინააღმდეგ ცალ-ცალკე ამბოხებულნი.

ერნესტო ჩეგევარა

I

რჩეულნი

დილის 2 საათსა და 30 წუთზე ჯარს სათავეში გენერალი ბატისტა ჩაუდგა. მან განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებდა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად.

„ელ კრისოლი, 1952 წლის 10 მარტი.

გუსტავო

ბუსტავო ხელმარცხნივ ზის აუდიტორიაში. მასწავლებლის თვალს მოფარებული ამთქნარებს და თან სარკმელში იყურება: ქუჩის მეორე მხარეს მრავალსართულიანი სახლი დგას. გუსტავო რიგრიგობით აკვირდება აივნებსა და ღია სარკმელებს. გუშინ იპოლიტომ უთხრა მას: მესამე ლექციის დროს მეოთხე სართულზე, სარკმელში ქალს მოვკარი თვალი, ქალი ტანზე იხდიდაო. მანოლიტომ კი უამბო — ლექციის დროს მძინარე ქალი დავინახეო; „ეგებ მეც რაიმეს მოვკრა თვალი“, — ფიქრობს გუსტავო და ცდილობს არ გამორჩეს არაფერი. დაკვირვებით ათვალიერებს პირველ აივანს: მოაჯირზე ჩასუქებული ქალი გადახრილა და რაღაცას ყვირის. მისი ხმა მანქანების ხმაურში ინთქმება. „არა, ეს ის ქალი არ იქნება, იპოლიტომ რომ დაინახა, — ფიქრობს გუსტავო, — ძალიან სქელია“. მომდევნო აივანზე არავინაა, კარიც დაკეტილია. გვერდით კი, მესამე აივანზე, ფეხშიშველა ბავშვი მიმდგარა კუთხეში, პირში საწოვარა გაუჩრია და შარდავს.

ბოლოს, სულ განაპირა, ყვავილებიან აივანს აკვირდება და ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში ძლივს არჩევს ქალის სილუეტს. იგი წამდაუწუმ მეზობელ

ოთახში გადის. „იქ ალბათ სააბაზანოა,“ — ფიქრობს გუსტავო. ქალი აივანზე გამოდის. თოკიდან პირსახოცს ხსნის და ისევ ოთახში უჩინარდება.

— თქვენ, ახალგაზრდავ, სარკმელში რომ იყურებით!—მკაფიოდ ისმის ხმა. გუსტავო გრძნობს, რომ მას მიმართავენ. თავს მაღლა სწევს და მასწავლებლის მქირდავ მზერას აწყდება.

— ეგებ მითხრათ, ველასკესმა რომელი ორი ახალშენი დააარსა კუბაში სულ ბოლოს? — ეკითხება მასწავლებელი.

გარშემო ამხანაგების სიცილი ისმის.

ბრალდებულო, ადექით!

მე ესექიელ ვერგარა მქვია, მაგრამ ჩინოს [1] სახელით უფრო მიცნობენ.

მე მხოლოდ მანქანის მძღოლი ვიყავი და მისთვის არ დამირტყამს. საერთოდ არავინ არ მიცემია. იმ დღეს სერჟანტმა გვითხრა, ერთი პატიმარი უნდა გავასეირნოთო ჰაერზე. პატიმარს მეტსახელად ფლაკოს [2] ეძახდნენ... არა, მისი ნამდვილი სახელი არ ვიცი. რაო? დიახ, ფლაკო ერთი კვირის დაჭერილი იყო... არა, მეტს ველარ გაუძლო... ჯერ დოლორესის და კალსადოს ქუჩებამდე მივედით. სერჟანტი, ბოქსეადორი [3] და გუაჰირო [4] მანქანიდან ჩამოვიდნენ. მე მანქანაში დავრჩი. დაჭერებში არ ვმონაწილეობდი. მე მხოლოდ მანქანა დამყავდა. კაცის ცემა არ მიყვარდა, სილაც კი არავისთვის არ გამიწნავს. ამიტომ პოლკოვნიკს მშიშარა ვეგონე. მე მხოლოდ მათ ბრძანებებს ვასრულებდი. უარი რომ მეთქვა, ვიცოდი, სამსახურიდან გამაგდებდნენ. არადა, ოჯახის გამო საზღვარგარეთაც ვერ მივდიოდი. დიახ, დიახ, ახლავე მოვრჩები... საქმე ის არის, რომ სამივენი მალე მობრუნდნენ ვიღაც ბიჭთან ერთად. მანქანაში ჩასხდნენ და სერჟანტმა პოლიციის სამმართველოში წასვლა მიბრძანა.

30 ოქტომბერი

ზუსტად არც კი მახსოვს, როდის დავიწყე დღიურის წერა, მარკოსთან შეკრების შემდეგ, თუ მას მერე, რაც მენოკალს შევხვდი. შეიძლება სულაც მენოკალის სიკვდილის დღიდან, 12 მარტიდან ვწერ, როცა მისი ნაწამები და თოჯინასავით ხელებმომტვრეული სხეული ხეზე იპოვნეს ჩამოკიდებული. მთლად ზუსტად ვერ ვიხსენებ და არც მინდა. ალბათ უკვე მეექვსე თვე იქნება. ასეა თუ ისე, მთავარი ის იყო, რომ გადავწყვიტე, დაწვრილებით ჩამეწერა ყველაფერი, რაც იატაკქვეშა მოღვაწეობის დაწყებიდან დღემდე გადამხდა. შეიძლება ეს სისულელეა და სხვებმა დამცინონ კიდეც (მარკოსს რომ გაეგო, ისიც დამცინებდა), მაგრამ ასე მგონია, მარტო ჩემი ცხოვრების ამბავს კი არა ვწერ, ბევრად უფრო მნიშვნელოვან ამბებსაც ვიხსენებ. ალბათ ერთ მშვენიერ დღეს

---

[1] ჩინო — ესპანურად ჩინელს ნიშნავს. მეტსახელია. [2] ფლაკო — სუსტი, გამხდარი. [3] ბოქსეადორი — მოკრივე. მეტსახელია. [4] გუაჰირო — გლეხუჯა. მეტსახელია.

ჩემი დღიური ისტორიის ნაწილი გახდება. შიგ ყველანი ვიქნებით მოხსენიებული: მენოკალი, მარკოსი, მეც, რა თქმა უნდა, თუკი ბოლომდე გავძელით.

გამარჯვების შემდეგ ეს ჩანაწერები დაგვეხმარება ბევრი ისეთი რამ აღვადგინოთ, რაც იმ დროისთვის დავიწყებული იქნება. ხანდახან იმასაც ვფიქრობ: კარგი დღე არ დამადგება, ეს ჩანაწერები პოლიციამ რომ ჩაიგდოს ^ ელში. თუმცა დღემდე ისეთ საიმედო ადგილას ვინახავ, რომ, მე თუ არ ვიტყვი, ისე ვერავინ მიაგნებს.

წინა კვირას მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მარკოსი რაღაც დიდი საქმისთვის ემზადება.

* * *

— მაშ ასე, მეგობრებო! — იგი მაგიდისკენ დაიხარა, ფანქარი აიღო და უბის წიგნაკში რაღაც ჩაიხაზა. მაგიდის გარშემო მსხდომი ექვსივე კაცი ყურადღებით უსმენდა მას. ერთ-ერთი სკამის ზურგზე მიყუდებული შაშხანის ლულა ჭერს უყურებდა. სარკმელთან ქალი იდგა და ქუჩაში იცქირებოდა. ვაჟი ჯარისკაცივით მოკლედ და გასაგებად ლაპარაკობდა:

— ჯგუფები სათანადო ადგილებში განლაგდებიან. დათქმულ დროს ქუჩაში გამოვლენ, — მან შეისვენა და მსმენელები დაკვირვებით შეათვალიერა, — ამ დროს რადიო საბრძოლო მოწოდების გადმოცემას დაიწყებს. მთელ ქალაქში ტაძრების ზარებს დაარისხებენ. თქვენ ქუჩები უნდა ჩახერგოთ, პოლიციელები კი განაიარაღოთ. იმ მაღაზიებს, სადაც ვაჭრობას არ შეწყვეტენ, თვითნაკეთი ყუმბარები უნდა ესროლოთ. ამ დროს სხვა ჯგუფების წევრები დიდ დაწესებულებებს ააფეთქებენ. ამის შემდეგ, მეგობრებო, შეეცადეთ დაიქსაქსოთ და ცალცალკე მიხვიდეთ სტრატეგიულ ადგილებამდე. სახლების სახურავებზე გამაგრდებით და იქიდან შეუტევთ ჯარს. უნდა ვეცადოთ—აჯანყება როგორმე დავაჩქაროთ. თუ საქმე კარგად წავა, სათადარიგო ჯარის ნაწილები შეიძლება ჩვენ მხარეზეც გადმოვიდნენ. — ცოტა ხნით შეისვენა. თმაზე ხელი გადაისვა. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, გერმანულ ყაიდაზე, — მგონი ყველაფერი ვთქვი. თუ რაიმე გამომრჩა, შემახსენეთ! — იგი რიგრიგობით მიაჩერდა მსმენელებს.

— იარაღი, გარსია, იარაღი? — იკითხა მირანდამ.

— იარაღს რამდენიმე დღით ადრე მიიღებთ. თუმცა, შესაძლოა, ისეთი არ იყოს, როგორსაც თქვენ ელით. ბრავომ [1] თქვენთან დამაბარა: ყველაფერს ვიღონებ, რაც შეიძლება მეტი იარაღი რომ ვიშოვნოო. მაგრამ თუ სამყოფი არ იქნება, შეიძლება პოლიციელების განიარაღებაც მოგიხდეთ. — გარსიამ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და ბოლი ცხვირიდან გამოუშვა. ყველანი უხმოდ უსმენდნენ. გარსიამ განაგრძო:

— ცნობას, როდის უნდა დაიწყოს აჯანყება, სამი დღით ადრე მოგაწვდით, ოცდაოთხი საათით ადრე პოზიციებს დაიკავებთ, მზადება კი ორი დღე-ღამით ადრე უნდა დაიწყოთ. დღეიდან ტელეფონით დამიკავშირდებით ტერეზიტას მეშვეობით.

ქუჩიდან მანქანის დამუხრუჭების ხმა მოისმა. გარსიამ ლაპარაკი შეწყვიტა.

---

[1] ბრავო — გაბედული, ვაჟკაცი. მეტსახელია.

— პოლიცია, — ჩუმად თქვა ქალმა.

ვაჟები ფეხზე წამოიჭრნენ და რევოლვერები მოიმარჯვეს. გარსია წყნარად წამოდგა. სიგარეტი ჩააქრო და შაშხანა აიღო. სანამ ჩახმახს შემართავდა, ქუჩაში ყვირილი ატყდა და მანქანის კარიც გაჯახუნდა.

— სახურავზე რომ სარკმელი გადის, იქიდან გაიპარეთ. მე აქ დავრჩები და მათ შევაჩერებ, — თქვა გარსიამ და ლულა სარკმლის დარაბაში გაჰყო.

გუსტავო

ისტორიის ლექციის შემდეგ გუსტავო მესამე სართულის კიბეებზე სწრაფად ჩამავალ სტუდენტთა ჯგუფს უერთდება. იგი ქათინაურებს ეუბნება ახლად დაუთოვებულ ბლუზებში გამოწყობილ გოგონებს. გოგონები არ პასუხობენ, ემანჭებიან, თან სიცილსაც აყრიან. გუსტავოც რაღაცას უყვირის, მაგრამ გოგონებს აღარ ესმით. ისინი უკვე პირველ სართულზე არიან და წითელი ქვედაკაბების ზღვაში იკარგებიან.

გუსტავო ქუჩაში გამოდის. ქუჩის მეორე მხარეს აპირებს გადასვლას და იცდის, სანამ მანქანები გაივლიან. როგორც კი წითლად აინთება კუთხეში მდგარი შუქნიშნის თვალი, ქუჩაზე გადადის და ვიწრო შესახვევში შედის. ამ ქუჩას პასაჟი ჰქვია. მთელ მის სიგრძეზე პატარა სავაჭროები, სიგარეტის ჯიხურები, კაფეები და საბილიარდოები არის ჩარიგებული. გუსტავო მაღლა იხედება. გასაქირავებელი სახლის მეორე სართულის აივანზე თოკზე გაკიდულ თეთრ პერანგს ხედავს. პერანგი ნიავზე აფრასავით იბერება. ცოტაც და გუსტავო ელპრადოს ქუჩაზე ამოჰყოფს თავს. ეს ქუჩა დღისით, ამ საათებში, მანქანებით არის სავსე, ჰაერი კი მანქანებიდან გამონაბოლქვი კვამლით. გუსტავო კაფეტერია „ლა კამარაში“ შედის.

კაფეტერიაში, სტუდენტთა თავშეყრის ადგილად რომ ითვლება, ყვირილი, გინება და გაურკვეველი ლაპარაკი ისმის. შიგადაშიგ ჩინელი ბარმენი ახალგაზრდებს სთხოვს, წყნარად იყავითო, ისინი კი უარესი ღრიანცელითა და სიცილით პასუხობენ. გუსტავო მაგიდასთან მჯდომ როხელიოს უახლოვდება.

— რა ამბებია? — კითხულობს როხელიო. გუსტავო მძიმედ ეშვება სკამზე და ნაცნობებს თავის დაკვრით ესალმება. როხელიო სენდვიჩს ჭამს.

— ცუდი ამბებია, ძმაო, ცუდი!

როხელიო უხმოდ განაგრძობს ჭამას. მერე შორიახლოს მდგარ ოფიციანტს თხოვს, გლასე მოუტანოს.

— რა მოხდა?

— მათემატიკაში ჩამაფლავეს, — ამბობს გუსტავო და იჭყანება. როხელიო გულგრილად იჩეჩავს მხრებს.

— საღამოს რას აკეთებ? — კითხულობს გუსტავო და კაფეში შემოსულ ნაცნობს ხელის აწევით ესალმება, — მე და ედუარდო „შანხაიში“ მივდივართ, მერე ცხადია, „კოლუმბშიც“ შევივლით. წამოხვალ ჩვენთან ერთად?

— დღეს ვიღაც-ვიღაცეები მყავს სანახავი, — ამბობს როხელიო და ჭამას ამთავრებს.

მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი ფეხზე დგებიან და რაღაცაზე ხმამაღლა

დაობენ. ვიღაც ანგლობს და ყველანი იცინიან. გუსტავოსაც ეღიმება. ნელა უკიდებს სიგარეტს.

— შესაძლოა მეც მოვიდე, — ეუბნება როხელიო, — მარგოტთან იქნებით, არა?

— დიახ, ჩემო გენერალო! — პასუხობს გუსტავო და დგება.

— მოვალ, კოლეგა!

გუსტავო ელ-პრადოს ქუჩაზე გამოდის.

ნოემბერ-დეკემბერი

დღისით მარკოსის სახლში ვიკრიბებოდით ხოლმე, ცისფერკედლებიან ოთახში. კედლებიდან პატარა, ნაცრისფერ ჩარჩოებში ჩასმული ხოსე მარტის, მასეოს და გომესის[1] სურათები გვიყურებდნენ. მათ გვერდით, კედელზე, ლეიკოპლასტირით, გაზეთიდან ამოჭრილი ფიდელ კასტროს სურათი იყო მიკრული. ფიდელ კასტრო ციხიდან გამოსვლის დროს იყო გადაღებული. უკან მისი ერთ-ერთი მეგობარი მოჩანდა. იგი ვეება ჩემოდანს ისე მიათრევდა, თითქოს გაჯიუტებულ ძაღლს ექაჩებაო. ფიდელს მისალმების ნიშნად ხელი ჰქონდა აწეული. ჩვენი ღრმა რწმენით, ფიდელი ის ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც საგ^ირო და სამაგალითო საქმე შეეძლო ეკისრა. საგმირო საქმე კი ჰაერივით სჭირდებოდა ხალხს. ბევრს ვლაპარაკობდით ფიდელზე. პოლიტიკაზედაც ვდაობდით. იარაღის შოვნა გვინდოდა და ამ მიზნით, სხვა ჩვენნაირ ჯგუფებთან შეერთების გზებს ვეძებდით.

სამწუხაროდ, იმხანად, ვერც ერთ რევოლუციურ ჯგუფთან დაახლოება ვერ შევძელით. ასე გავიდა თითქმის მთელი ნოემბერი. ნაადრევად აცივდა. ყოველ წუთს ველოდით რევოლუციის დაწყებას. გვეგონა, ბოლოს და ბოლოს იფეთქებდა და მთელ ქვეყანას მოედებოდა, მაგრამ რევოლუცია იგვიანებდა. და როცა ნოემბრის ბოლოს ისევ შევიკრიბენით, მივხვდით, რომ ჩვენ საქმიანობას თითქმის არავითარი აზრი არ ჰქონდა; ამ თემაზე ლაპარაკის ხალისიც კი დავკარგეთ.

მარკოსი ამჯერადაც აღელვებული წამოხტა, ხელები გაშალა და დაიწყო:

— ჩვენ თვითონვე უნდა ვიშოვნოთ იარაღი და საერთოდ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, — სათითაოდ გადმოგვხედა ყველას. ვიგრძენი, რომ მისი აღელვება მეც გადმომედო. — ეს არც ისე ძნელია. ერთი-ორი პოლიციელის განიარაღებაა საჭირო, მერე კი პატრულს უნდა დავესხათ თავს...

— გაგიჟდი! — შეიცხადა ხავიერმა.

— უნდა მოვიცადოთ. ეგებ ისეთ ჯგუფს დავუკავშირდეთ, ვისაც იარაღი აქვს, — თქვა რამონმა და შემოსასვლელის ახლოს, კედელთან მიდგა.

— კი, მაგრამ, უიარაღოდ პოლიციას როგორ დავესხათ თავს? — იკითხა ანტონიომ.

— დანებით და ხელკეტებით... მთავარია ვიმოქმედოთ, ასე გულხელდაკრეფილი არ ვისხდეთ, — თქვა მარკოსმა. მარჯვენა ხელი ისევ მაღლა ჰქონდა აღმართული.

---

[1] ხოსე მარტი, მასეო, გომესი — კუბელი ხალხის ეროვნული გმირები.

* * *

— მანქანა კუთხესთან გააჩერე და შიგ დამელოდე, — თქვა მირანდამ. ოსკარმა სვლას უკლო. ნელა ჩაიარეს სან ლასაროს ქუჩის ორსავ მხარეს ჩამწკრივებულ მანქანებს შორის. ჩაუარეს შენობას, რომელზეც № 800 ეწერა. მირანდამ ყურადღებით შეათვალიერა შესასვლელი, ირგვლივაც მოავლო მზერა. რადიოში დიქტორი რაღაც სარეკლამო საგნის ქებას მორჩა და დრო გამოაცხადა. მერე მოჰყვა, როგორ დაიჭირა პოლიციამ შეთქმულთა ჯგუფი; მათ უამრავი იარაღი ჰქონიათ დამალული. ოსკარმა, საჭეზე გულმოსულად აათამაშა თითები. მირანდამ რაღაც მელოდიის სტვენა წამოიწყო.

— უკვე სასამართლოს გადასცეს, — თქვა მირანდამ.

— ო, მაგათი დედა!.. მარტინზე კი არ ამბობენ არაფერს, თექვსმეტი ნატყვიარი რომ ჰქონდა. დეიდაჩემმა იცნო მორგში.

მირანდამ პასუხი არ გასცა, სტვენა განაგრძო. მათ მანქანა მოადგა უკან, მძღოლმა სიგნალი მისცა, გზა მომეცითო. ოსკარმა ფანჯარაში გაჰყო თავი და მანქანა შეათვალიერა. საჭეს ქალი უჯდა. ოსკარმა მზერა საავდროდ მოღრუბლულ ცაზე გადაიტანა. მერე საჭე დაატრიალა და ტროტუართან მდგარ ორ მანქანას შუა ჩადგა.

მირანდამ მიმოიხედა. მანქანის წინა პანელში ჩატანებულ ყუთს სახურავი ახადა. ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან პოლიციის მანქანა გამოჩნდა. მირანდამ სახურავი დახურა და ძირს დაიხარა, დამალულ შაშხანას მისწვდა, თან ნელი სვლით მიმავალ მანქანას გააყოლა თვალი. მანქანა თვალს მიეფარა. მირანდამ შაშხანას ხელი შეუშვა, მანქანიდან გადავიდა და № 800 სახლის სადარბაზოში შევიდა. ვიწრო საფეხურებიან კიბეზე სიგარეტების ნამწვი ეყარა. ჭუჭყი სქელ ფენად დასდებოდა საფეხურებს. ხის გაზინთული სახელური ვეება მკლავივით ატოტილიყო მაღლა. მირანდამ ორ-ორი საფეხური აირბინა. მეორე სართულზე მარჯვენა კართან შეჩერდა და დააკაკუნა.

— ოლა[1], ლამაზო, ნიკოლასი შინ არის? — იკითხა მირანდამ. კარი შავგვრემანმა ქალმა გაუღო. თმა ბავშვივით ჰქონდა შეკრეჭილი, ტუჩები — შეუღებავი. ნაცრისფერი კაბა ალაგ-ალაგ გახუნებოდა. მან თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. მირანდა სასტუმრო ოთახში შევიდა. გვერდითა ოთახიდან კაცი გამოვიდა. იგი ცნობისმოყვარედ მიაჩერდა მოსულს.

— რა მოხდა?

— დრო დადგა, ნიკოლა! — სწრაფად თქვა მირანდამ.

— როდის? — იკითხა შავგვრემანმა ქალმა. მან ის-ის იყო კარი მიხურა და მათკენ წამოვიდა.

მირანდამ საკინძე ჩაიხსნა. უბიდან რევოლვერი ამოიღო და ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდაზე დასდო. მერე ნელა, თითქოს მსმენელთა მეხსიერებაში თვითეული სიტყვის ჩაბეჭდვა სურსო, დამარცვლით თქვა:

— ორ კვირაში ვიწყებთ, — მცირე ხანს იყუჩა და განაგრძო, — ბრავოსთან ვიყავი შეკრებაზე და იქიდან მოვდივარ. ჩვენ დავალება უკვე მივიღეთ.

---

[1] ოლა — მისალმების ფორმაა.

— იარაღი? — ისეთი მჭახე ხმით იკითხა ქალმა, თითქოს ვინმეს ალიყური აჭამაო.

მირანდამ სიგარეტს მოუკიდა. საფერფლის ძებნაში მთელი ოთახი მოიარა. ქალმა საფერფლე მიაწოდა.

— იარაღი ცოტა გვაქვს, — უპასუხა მირანდამ.

— უიარაღოდ რას გავხდებით, — თქვა ნიკოლასმა.

— მე ბრძანება გადმოგეცით, — თქვა მირანდამ, — ჯარი ჯერ არ დაბანაკებულა. ქალაქში ისეთი დაძაბულობაა, რომ, მე მგონი, მოქმედებას დავიწყებთ თუ არა, ხალხი მაშინვე აგვყვება.

ქალი ოთახის შუაგულში დადგა. თვალები ისე ჰქონდა მილულული, გეგონებოდა, ზეზეურად სძინავსო. — მტერს უნდა დაასწრო, პირველმა დაჰკრა, თორემ იცოდე, არ დაგინდობს. მარტინის ამბავი გაიგეთ? — მოგუდული ხმით იკითხა მან.

— მორალესის ხალხზე რას გვეტყვი?

— გალიანოს ზონაში იქნებიან, — უპასუხა მირანდამ.

— სხვა ორგანიზაციები გაფრთხილებულები არიან?

— არ ვიცი. მგონი მარტო ჩვენ გაგვაფრთხილეს. მარიანო რომ გვენახა, ურიგო არ იქნებოდა

— პოლკოვნიკის საქმე ჩაიშლება? — მოთენთილი ხმით იკითხა ქალმა.

მირანდამ ყურადღებით შეათვალიერა ქალი. დააკვირდა მის გამხდარ ხელებს. მოკლედ შეკრეჭილ, დაუვარცხნელ თმას, ძველ ფეხსაცმელებს და ახლა მიხვდა, როგორ შეიცვალა ეს ქალი ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

— ბრავოსაგან განსაკუთრებული ბრძანებაც გვაქვს — პოლკოვნიკის საქმე უნდა მოვათავოთ. ხვალ ორ ავტომატს ვიშოვნით და თქვენ წაიღებთ, ორშაბათს კი იმ ხალხს უნდა შევხვდე, ავტომატებს მოგყიდითო, რომ დამპირდნენ, — თქვა მირანდამ.

— ერთი რამ მაფიქრებს, — თქვა ნიკოლასმა და მცირე ყოყმანის შემდეგ განაგრძო, — პოლკოვნიკზე თავდასხმის შემდეგ ბატისტა უეჭველად გააძლიერებს რეპრესიებს ჰავანაში, ამან კი შეიძლება დათქმულ დროს დასახული გეგმის შესრულებას შეუშალოს ხელი.

ქალმა გულზე დაიკრიფა ხელები, მერე ისევ ჩამოუშვა და ხელისგულები შეატყუპა.

— იცით, რა... — აღელვებისაგან სიტყვა გაუწყდა, მერე კი უფრო ხმამაღლა განაგრძო, — მთავარია პოლკოვნიკის მოკვლა. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

მირანდამ თვალებში შეხედა.

— ეგრეც ნუ იტყვი. სიკვდილი სიკვდილის წილ — სისულელეა. პოლკოვნიკს თუ მოვკლვათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰავანაში რეპრესიებმა იკლოს და ცოტა უფრო თავისუფლად ვიმოქმედოთ.

ქალმა არ უპასუხა. ოთახის სიღრმეში მდგარ პატარა სავარძელში ჩაჯდა. ნიკოლასმა საკინძე შეიხსნა, მკერდზე ორდენების ბაფთასავით გადადებული სახვევი გამოუჩნდა.

— როგორ გაქვს? — ჰკითხა მირანდამ და ჭრილობაზე მიუთითა. ნიკოლასმა მხრები აიჩეჩა.

— უკვე აღარ მტკივა. ექიმმა თქვა, ორ-სამ დღეში აღარც კი გაგახსენდებაო.

ქალი წამოდგა, სარკმელთან მივიდა და ფარდა ოდნავ გადასწია. ოთახში ქუჩის ხმაური შემოიჭრა. ხმაურთან ერთად ბუზი შემოფრინდა და მაგიდაზე დადებულ რევოლვერზე დაჯდა.

— ბედი გქონია, რომ ორმოცდახუთკალიბრიანი არ იყო და თან არც ტყვია ჩაგრჩა ჭრილობაში, — უთხრა ქალმა ნიკოლასს და ბუზს ხელი აუქნია.

— პოლკოვნიკის საქმე ვის დაავალეს? — იკითხა ნიკოლასმა.

— შენი ჭრილობის პატრონი ტყუილად ნუ ფიქრობ მაგაზე, — უთხრა მირანდამ.

— რატომ არ უნდა ვიფიქრო. ერთი-ორ დღეში სულ კარგად ვიქნები, თანაც თქვენში ყველაზე კარგი მსროლელი მე ვარ.

ქალმა ფარდა ჩამოუშვა. მზის შუქი ვიწრო ზოლად მაინც აღწევდა ოთახში. მაგიდაზე დადებული რევოლვერი, ზედ რომ სინათლე ეცემოდა, მუშტს ჰგავდა, ოღონდ საჩვენებელი თითი წინ ჰქონდა გაშვერილი.

— კარგი, ვნახოთ, — აჩქარდა მირანდა, — შეეტყო, რომ სწრაფად უნდოდა საუბრის დამთავრება; ოთახში აუტანელი სიცხე იდგა. — ახლა კი სხვა ბინა უნდა მოვძებნოთ; აქ დარჩენა უკვე საშიშია. „კათოლიკური მოძრაობის“ მონაწილეებს მოველაპარაკები. დღესვე დაურეკეთ ოსკარს და ავტომატების თაობაზე შეუთანხმდით. ტელეფონის ნომერი: F-56-98. თუ მანამდე სხვა ბინას ვერ იშოვნით, აქ მოგიტანენ. ზეგ ისევ გნახავთ.

მირანდა წამოდგა, ნიკოლასს მხარზე მოუთათუნა ხელი და კარისკენ წავიდა.

— ერთი წუთი მოიცადე! — შეაჩერა ქალმა. მირანდა მოტრიალდა, — რევოლვერი გრჩება.

მირანდამ ისევ ორ-ორი საფეხურით ჩაირბინა კიბე. „ბოლოს და ბოლოს, მექანიზმი მგონი ამოქმედდა,“ — გაიფიქრა მან. თავდასხმის დღემდე დიდი სიფრთხილე მართებდა. პოლკოვნიკს არ უნდა ჩავარდნოდა ხელში. ახლა კი დროს არ ჰკარგავდა, რადგან საფრთხე ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ოღონდ ახლა გადარჩეს, თორემ მერე ამ მგელს ანდერძს აუგებენ, და საფიქრალიც აღარაფერი ექნება. ოთახში რომ დატოვა, იმ ქალისაგან განსხვავებით, პოლკოვნიკის სიკვდილი მისთვის სიძულვილზე ცოტა უფრო მეტს ნიშნავს. საქმე საქმეზე თუ მიდგება, მირანდაზე მეტად სხვას ვის უნდა სძულდეს ეს კაცი. ვერ იქნა და ვერ დაივიწყა, როგორ აწამეს მთელი ორმოცი დღე. ახლაც ესმოდა პატიმრების განწირული ყვირილი, უმოწყალოდ რომ სცემდნენ.

დათქმულ დროს აჯანყების დაწყებას ხელი რომ არ შეშლოდა, პოლკოვნიკის მკვლელობა ჯერჯერობით უნდა გადაედოთ. მაგრამ მირანდამ ისიც კარგად იცოდა, რომ ის ქალი ამას სულაც არ დაგიდევდათ, მისთვის მთავარი ამ „მგლის“ მოკვლა იყო, საამისოდ კი თავსაც გასწირავდა. მირანდა ქუჩაში გამოვიდა. ქუჩა შესვენებაზე გამოსული ხალხით იყო სავსე. მირანდამ ქურდულად ახედა ნიკოლასის დაგმანულ სარკმელს. სარკმელში პატარა პირსახოცი ეკიდა — უსაფრთხოების ნიშანი იყო. სახლის სახურავს ზემოთ, ცაში, დიდი, შავი ღრუბელი მზის დაფარვას ლამობდა. მირანდამ ცხვირსახოცი ამოიღო და პირისახეზე ოფლი შეიმშრალა. მერე შავი სათვალე გაიკეთა.

— ადვოკატის სახლისაკენ წავიდეთ, — უთხრა ოსკარს, როცა მანქანის კარი გამოაღო. ცოტაც და მათი მანქანა სან ლასაროს ქუჩაზე მიმავალ მანქანათა ნაკადში შთაინთქა.

ედუარდო

ტუჩებს ილოკავს. თვალებს წამით ჭერს აპყრობს, მერე ძირს იხედება და მის წინ, მერხზე დადებულ ქაღალდის ფურცელს დასცქერის. გვერდით გუსტავო უზის: იგი გატაცებით წერს. ზურგს უკან როხელიოს ჩურჩული ესმის — ეგრე იყავი, არ გაინძრეო. ედუარდო ხვდება, რომ როხელიო შპარგალკიდან იწერს. არც მას აწყენდა შპარგალკა. ხელს ჯიბეში იყოფს. შპარგალკის ამოღება ვერ მოუხერხებია. პირველი ოთხი რიგი ცარიელია. მასწავლებელი მერხების წინ დგას და ეშმაკურ მზერას არ აცილებს ედუარდოს. ამ დროს სულ ბოლო რიგში მჯდომი ირენე დგება და საგამოცდო ფურცლით ხელში მასწავლებლისკენ მიდის. ედუარდოს რომ ჩაუვლის, მკლავზე ეხახუნება მას და ვაჟი ირენეს თეძოს სასიამოვნო სირბილეს გრძნობს. ედუარდოს ჟრუანტელი უვლის. ადგილზე ცმუკავს. უკან როხელიოს შეშფოთებული ჩურჩული ისმის: ნუ წრიალებ, უქნარავ. ედუარდო სარგადაყლაპულივით შეშდება. ნერწყვს ყლაპავს და ხელს ისევ ჯიბისკენ აპარებს. სიგარეტივით დახვეულ ქაღალდს თითებით ნელნელა ზემოთ სწევს. მასწავლებელს მცირე ხნით აუდიტორიისკენ ზურგით მდგარი ირენე ეფარება. გოგონა დავალებას უჩვენებს მასწავლებელს. ედუარდო აქეთ-იქით იხედება. ყველას ქაღალდებში ჩაურგავს თავი. მისი თითები ისე ნელა მოაცოცებენ შპარგალკას მერხისაკენ, თითქოს ჭიანჭველა მძიმე ტვირთს მოათრევსო. მარცხენა ხელით ფრთხილად ხსნის გორგალს და საგამოცდო ფურცელქვეშ მალავს. მერე კი ხელს უსიცოცხლოდ ჰკიდებს მერხზე. ირენე გვერდზე იწევა და მასწავლებელი ისევ დაკვირვებით ათვალიერებს აუდიტორიას.

— თხუთმეტი წუთიღა დაგრჩათ დრო, — ამბობს იგი და რამდენიმე ნაბიჯს დგამს წინ.

ირენე თავის საგამოცდო ფურცელს მასწავლებლის მაგიდაზე დებს, სადაც საგამოცდო ფურცლები დასტა-დასტად აწყვია, და აუდიტორიიდან გადის. უკანა რიგში ვიღაც ხმადაბლა უსტვენს. მერე თავშეკავებული სიცილი ისმის. ედუარდო თავს ხრის და ქაღალდის მცირე ნაგლეჯს აკვირდება. ნაგლეჯი განტოლებებით არის სავსე. კალმის სწრაფი მოძრაობა და განტოლებები შპარგალკიდან ედუარდოს სუფთა საგამოცდო ფურცელზე ინაცვლებს. მცირე ხნის შემდეგ ედუარდო თავს სწევს, იღიმება და შპარგალკას შეუმჩნევლად ახვევს.

— უკვე დროა, ჩამაბარეთ! — მასწავლებელი რიგრიგად მიდის მერხებთან და ნამუშევრებს აგროვებს. ედუარდო დგება, თავის ნამუშევარს მასწავლებლის მაგიდაზე დებს.

დერეფანში, მოაჯირთან სტუდენტთა ხუთ-ექვსკაციანი ჯგუფი შეკრებილა. ირენეს მიცემულ „ჩესტერფილდს“ აბოლებენ და გამოცდის ამბებს ჰყვებიან. ედუარდო მათ უახლოვდება. შეკრებილები კითხვებს აყრიან.

— მგონი გამოვიყვანე, მაგრამ ასეთ გამოყვანას რა მადლი აქვს. — ირენე მასაც აწვდის სიგარეტს.

— ჩემო ძმაო, სხვა დროს ამ წრიალს თუ არ მოიშლი, ნაღდად გული გამისკდება და ეგაა, — ხუმრობს როხელიო და იცინის. კმაყოფილია, რომ მასწავლებელმა ეშმაკობა ვერ გაუგო.

— კარგი ვიღაცაა ეს პინილიოსი, გადმოეგდო შენთვის შპარგალკა და მორჩებოდა ყველაფერი.

— ისე, ძალიან ძნელი გამოცდა კი იყო, — ამბობს როხელიო.

— არ მეცადინეობთ და იმიტომ, — ამბობს გუსტავო.

— შენი მეცადინეობაც გვეყოფა. — სიცილით ეუბნება იოლანდა.

გუსტავო გამკილავ მზერას აპყრობს მას.

გუსტავო

უყურადღებოდ უსმენს მასწავლებლის ლაპარაკს და ირენეს ცარიელი მერხისკენ იყურება. ირენე დღეს არ მოსულა გაკვეთილებზე. მერე დერეფნისაკენ იხედება; დერეფანში არავინ არის. ბოლოს საათს დახედავს. პირველ სართულზე ზარი რეკავს. მეცადინეობა მთავრდება. გუსტავი წიგნებს იღებს. მასწავლებელი როგორც კი ამთავრებს გაკვეთილს, გუსტავო მაშინვე დერეფანში გადის. ვაჟების ერთი ჯგუფი კიბისკენ გარბის. სხვები, პატარა-პატარა ჯგუფებად კედლებთან მიყუჟულან. ხმამაღლა ლაპარაკობენ და იცინიან. საერთო გუგუნი დგას.

გუსტავო მოაჯირთან მიდის და პირველ სართულზე იხედება. ქვემოთ სტუდენტები სავარძლებში მოკალათებულან, კოკაკოლას სვამენ და საუბრობენ. გუსტავო რაღაცას ყვირის, მაგრამ მათ არ ესმით. მერე სწრაფად ეშვება კიბეზე, სავარძლებისაკენ მიემართება. ერთ-ერთ ჯგუფში ვიღაცას ჭორავენ: „მესამე კურსზე რომ ლუიზაა, ნაღდი კაბაში გამოწყობილი ურჩხულია“. გუსტავო სულ ბოლოში მდგარ სავარძლებთან მიდის.

— გრაუს თავი მოეჭრება, თუკი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, — ამბობს ლუისი.

— ბატისტა გაქნილი ყომარბაზივით არის. ცალ კამათელს შორს ისვრის და სანამ მოთამაშე იმის სანახავად მიდის, რაზე დაჯდა, ამასობაში მეორე კამათელს თავის გემოზე სვამს, — ამბობს არტურიო.

— ეგ კამათელი ტრუხილიო არის. უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე რომ არ ვიფიქროთ, ბატისტა ტრუხილიოთი გვართობს, — ამბობს როხელიო.

— ცოტა ხმას დაუწიეთ, თორემ ერთ წელს დაგვაკარგვინებენ, — ამბობს მანოლიტო და თან ცხვირს იჩიჩქნის.

— გული ნუ გაგვიწვრილე მაგ შენი ერთი წლით! — ეუბნება როხელიო და თმას ისწორებს.

— კარგი, გეყოფათ, ჩვენმა კახპა დირექტორმა არ გაგვიგოს, — ამბობს ვიღაცა.

გუსტავო ჯგუფს უახლოვდება, ესალმება და უხმოდ ჯდება მათთან; მას არ უყვარს კამათი, განსაკუთრებით, როცა მოკამათეები ყვირიან. იგი ფიქრობს, რომ ასე ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. სდუმს და დავას ყურს უგდებს.

— დირექტორი ბატისტას საყვარელია, — ამბობს როხელიო.

ყველანი სდუმან.

— ადამიანზე განუსჯელად აუგის თქმა ნუ იცით ხოლმე, — ამბობს გუსტავო და ტუჩებს იკვნეტს. სახეზე უკმაყოფილება ეხატება.

ისევ სდუმან.

— წესით სტუდენტთა კავშირის დაარსების ნება კი უნდა მოეცა ჩვენს დირექტორს.

— მართალი ხარ, — ეუბნება როხელიო, — უნდა ვაიძულოთ, ნება დაგვრთოს.

— ნებას როგორ დაგვრთავს, როცა ორმოცდაცამეტ წელში თვითონვე გააუქმა კავშირი. მაშინ ბევრი სტუდენტი გარიცხეს.

— უნივერსიტეტის ჟურნალში რომ დავბეჭდოთ ჩვენი მოთხოვნა? — ღიმილით ამბობს გუსტავო. სხვები ყურადღებით უსმენენ. დერეფანში ედუარდი მორბის. იგი მათ უახლოვდება. ძლივს სუნთქავს.

— გოიკურიას დაესხნენ თავს, ეს-ეს არის რადიომ გადმოსცა.

* * *

მანქანა ნაცრისფერ შენობასთან შეჩერდა.

— პოლკოვნიკი არ მოსულა?

— საცაა მოვა.

— სანამ მოვიდოდეს, ეგ პატიმარი შემოიყვანეთ, ვნახოთ ერთი რა კერკეტი კაკალიც ბრძანდება.

დაპატიმრებულს ირგვლივ პირგამეხებული პოლიციელები შემოეხვივნენ. შავი მუშტი ჯერ მუცელში მოხვდა და დაიკვნესა, მერე კი მარცხენა ფერდში.

— არაფერი არ ვიცი!

— მაშ, არაფერი არ იცი, არა? ახლავე ვნახავთ!

ლონიერმა, ჩასკვნილმა კაცმა წიხლი ჩასცხო მუცელში. იგი დაბარბაცდა. მერე ბეჭზე რეზინის ხელკეტი მოხვდა.

— თქვი, შე ნაძირალავ, სხვები სად არიან? სად გაქვთ იარაღი? რამდენნი ხართ?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი!

მეორედ რეზინის ხელკეტი კუდუსუნთან დაარტყეს. შავი მუშტიც ხშირ-ხშირად ხვდებოდა. კედელს აჯახებდნენ. წიხლებით თელავდნენ. სუნთქვა სულ უფრო უჭირდა. თავბრუ ეხვეოდა. — თქვი, შე ცვედანო შენა! ესეც შენ ჩემგან სამახსოვროდ!

— ურტყი, გუაჰირო, მაგ კახპას, სანამ სული არ ამოხდება!

— ურტყი მაგრად, ოღონდ პირისახეში არა. დალეწილი სიფათით რომ ნახონ ჟურნალისტებმა, არ ივარგებს.

— სად არის იარაღი, სად არის შენი უფროსი? სად არის ბრავო?

მუშტი და რეზინის ხელკეტი რიგრიგობით ხვდებოდა. შავი მუშტის პატრონი, წელზემოთ შიშველი რომ იყო, თავზე დასდგომოდა პატიმარს. პატიმარი მის პირისახეს ხედავდა მხოლოდ, გორილას რომ მიუგავდა.

— აბა, მოგვიახლოვდი, შე საცოდავო!

— გლიჯე ერთი და აქეთ გადმოაგდე! ვაჩვენოთ, როგორ უნდა ყუმბარების სროლა!

მოქნეული წიხლი შიგ ლაჯებში მოხვდა. ძირს დავარდა. მეორე წიხლი — ყურში მოხვდა. ყურიდან სისხლი წასკდა. საწერი მაგიდის ქვეშ შეძრომა სცადა. უკანვე დაითრიეს, მერე ასწიეს და გააქან-გამოაქანეს.

— აბა, დაიჭირეთ, ბურთი მოდის!

იგი ზურგით დაენარცხა იატაკს. ერთხანს უძრავად ეგდო, თვალები ჭერისთვის მიეპყრო, პირიც ღია დარჩენოდა. მერე დაინახა, ერთ-ერთი მათგანი, ბეჰუკოს [1] რომ ეძახდნენ, როგორ შეხტა. ერთბაშად საშინელი დარტყმა იგრძნო მკერდში — თითქოს საძეკვავი დაჰკრესო. არ დაუყვირია. თვალთ დაუბნელდა.

2 ივნისი

დღის 2 საათზე ალმენდარესის და ლუასეს პარკი ცარიელი იყო. არც რკინის სკამებზე ჩანდა ვინმე. ცოტა ზემოთ, სარკეების ქარხანასთან, მუშები საბარგო მანქანის ძარაში მინებს აწყობდნენ. საოცრად ცისფერი, ულრუბლო ცის ქვეშ ხეები თითქოს ზეზეურად შრებოდა. ქვიშის ბილიკებს გვერდი ავუარეთ და შუაგულ პარკში გავედით. ქვიშა მზის შუქზე ბრწყინავდა. მეცადინეობის შემდეგ, ცოტა აგრილდებოდა თუ არა, აქ ბავშვები იყრიდნენ ხოლმე თავს სათამაშოდ. ლუგარენიოს ქუჩაზე ჩვენკენ ერთი ზანგი წამოვიდა. მას მუქი ლურჯი შარვალი და ნაცრისფერი პერანგი ეცვა. მარკოსმა და გაბრიელმა ნაბიჯს აუჩქარეს. მე ისევ ნელა ვანვაგრძე სიარული. როცა მათთან მივედი, მარკოსი უკვე ზანგს ელაპარაკებოდა. ზანგი ჩემკენ შემობრუნდა და სქელი ტუჩებით გამიღიმა. კუს ბაკნის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა.

— დღეიდან ამ მეგობართან ვიმუშავებთ, — თქვა მარკოსმა.

— მოხარული ვარ. ხუან მენოკალი მქვია, — რადიოს დიქტორივით ხავერდოვანი ხმით თქვა ზანგმა და ხელი გამოგვიწოდა. გრძელი, ლამაზი თითები ჰქონდა.

გაბრიელმა და მე რიგრიგობით ჩამოვართვით ხელი. იგი საშუალოზე დაბალი ტანისა იყო. შავი სახე და დიდი, ბრტყელი თავი ჰქონდა. თმა გვერდზე გაეყო, გაყოფის ზოლი ხნულივით აჩნდა თავზე. მენოკალმა ისევ გაგვიღიმა.

— აქ დავსხდეთ, — შემოგვთავაზა მან და სკამზე მიგვითითა. სკამთან მივედით. მენოკალი და მარკოსი დასხდნენ, მე და გაბრიელი კი ფეხზე დავრჩით. მზის ნათელი თავზე პატარა სომბრეროსავით დამადგა.

— რამდენი კაცი მუშაობს თქვენთან ერთად? — იკითხა მენოკალმა.

— რვა კაცი იქნება.

— ხავიერმა გვითხრა, მეც თქვენთან მიგულეთო. მისი ჩათვლით ცხრანი ვიქნებით, — ვუთხარი მე.

— ოთხი რევოლვერი გვაქვს, ერთი თან წამოვიღე, — თქვა მარკოსმა და თეძოზე მოისვა ხელი.

---

[1] ბეჰუკო — ლიანა. მეტსახელია.

მენოკალი აღარ იღიმებოდა. სათვალე მოიხსნა და დიდი, მრგვალი, ზანტად მოხამხამე თვალებით შეგვათვალიერა.

— რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა ჩავაბათ ბრძოლაში. თქვენ ამ ზონას უნდა მიხედოთ. მოიფიქრეთ, ეგებ სჯობდეს, ორ ჯგუფად გაიყოთ: ოთხ-ოთხი კაცი თითო ჯგუფში. მარკოსი თქვენი უფროსი იქნება და კავშირს იქონიებს ჩემთან.

— ჩვენ რაღა უნდა ვქნათ? — ველარ მოითმინა გაბრიელმა.

— ჯერჯერობით მხოლოდ მზად უნდა ვიყოთ. მალე შეიძლება დიდი ამბებიც დატრიალდეს, — თქვა მენოკალმა და ისევ გაიკეთა სათვალე. სკამის ზურგზე ჭიანჭველები ირეოდნენ.

— მანამდე კი ისევ იარაღის საქმეს მივხედოთ, არა? — მარკოსს ხმაში იმედგაცრუება შეეტყო. — ჩვენ რამე უფრო მნიშვნელოვანი გვინდა.

მენოკალმა უცბად არ უპასუხა. მოგვიანებით დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. იქვე, ხეზე ბელურებმა ისეთი ჟრიამული ატეხეს, რომ მენოკალი იძულებული შეიქნა ხმამაღლა ეთქვა:

— თქვენს ზონაში ორი ჯაშუშია. არც ერთი არ უნდა გავუშვათ ხელიდან. ამ დღეებში მეცოდინება ვინც არიან და შეგატყობინებთ, — გვითხრა მან და იმ აზრმა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმე გამოგვიჩნდა, კარგ გუნებაზე დაგვაყენა.

— კარგი, — უთხრა მარკოსმა.

მენოკალი წამოდგა და მარკოსს რაღაც ქაღალდი გადასცა.

— აქ ხუთასი პესოს ღირებულების ჩეკია. შეეცადეთ გაყიდოთ, — ღიმილით თქვა მან, — ჯაშუშების ამბავსაც მალე შეგატყობინებთ.

— გასაგებია, — დაეთანხმა მარკოსი.

მენოკალი დაგვემშვიდობა და კარლოს მესამის ქუჩისაკენ წავიდა.

— ჩვენც დროზე წავიდეთ აქედან, პოლიციამ ამ პარკს უკვე დაადგა თვალი. — გვითხრა მარკოსმა.

* * *

— თქვენი დახმარება გვჭირდება, — უთხრა მირანდამ ვექილს და მუქი ფერის სითხით სავსე ჭიქას თითები მოუსვა.

ჭიქა დაორთქლილი იყო და თითები დაუსველდა. ყინული სასმელში ნელნელა დნებოდა. ადვოკატმა თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა. ოფლის წვეთები მელოტი თავიდან პირისახეზე ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცი მეორე ხელში გადაიტანა, გაშალა და პირისახე შეიმშრალა. ხელი რომ ასწია, გუაიაბერას [1] სახელო ჩამოეწია და შავი ბანჯგვლები გამოუჩნდა. მთლად დათვსა ჰგავდა.

ოთახის კუთხეში ოსკარი იდგა ჩუმად და თამბაქოს ეწეოდა.

— გარსიას უკვე ვუთხარი, თქვენთან მიგულეთ-მეთქი. როდის აპირებთ დაწყებას?

— გარსია დაჭერილია. გუშინწინ შეიპყრო პოლკოვნიკმა.

---

[1] გუაიაბერა — კუბური ნაციონალური ტანსაცმელია.

— რას ამბობ, გარსია დაჭერილია?! მან ჩემი ამბავი წვრილად იცის. ერთი სიტყვაც თუ დასცდა, ცუდად წავა ჩემი საქმე. თუმცა ჯერჯერობით საშიში არაფერი მიგრძვნია.

— გარსია მაგარი ვაჟკაცია, — ერთხმად ანუგეშეს მირანდამ და ოსკარმა.

ვექილმა ცხვირსახოცით ისევ შეიმშრალა პირისახე.

— ვიცი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეგეც აალაპარაკონ. თან ახლა ისე საშინლად აწამებენ... — ბოლო სიტყვები უნებურად წამოსცდა, არც კი დაფიქრებულა. — ჩემს ცოლს ნერვები დაწყვეტაზე აქვს. გუშინ მეზობლად ჩხრეკა იყო. მერე ორი ყმაწვილი მიახვრიტეს ქუჩის კუთხეში. — ვექილი გაჩუმდა. ცხვირსახოცი შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. — პირდაპირ საშინელებაა, რა უნდა ქნათ უიმისოდ?

— გარსიამ თქვენი მისამართი არ იცოდა, — უთხრა ოსკარმა.

მირანდამ ვექილს შეხედა. იფიქრა: კარგი იქნებოდა, ამას ერთი ნაგაზი ეყიდაო. თქმაც დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ისევ სასმელი მოსვა.

— გარსიას შემცვლელი უკვე ყოფილა; ერთი ჩვენთაგანის დაკარგვა რევოლუციას ვერ ჩაშლის. მთავარია ბრძოლა განვაგრძოთ და ბატისტა გადმოვაგდოთ.

— ვინ არის გარსიას შემცვლელი?

— არ ვიცი.

ვექილი ტყავგადაკრულ სავარძელში ჩაჯდა. ხელები მოწყვეტით დაუშვა, თითებით თითქმის იატაკს სწვდებოდა. როცა გაიგო, რომ გარსიამ მისი მისამართი არ იცოდა, ცოტათი დამშვიდდა.

— ბატისტას ჩამოგდება აუცილებელია, — კბილებში გამოსცრა მან.

— ვექილო, ორი ბინა გვჭირდება: ერთი — ეჭვმიტანილი ბიჭებისათვის, ხუთნი არიან, მეორე კი — ერთი ახალგაზრდა წყვილისათვის.

— „კათოლიკური მოძრაობის“ წევრებს მოველაპარაკები.

— ოღონდ ფრთხილად იყავით, — ღიმილით უთხრა ოსკარმა, — იმ ბინიდან, ბოლო დროს რომ გვიშოვა „კათოლიკურმა მოძრაობამ“, ხმაურით შეწუხებულმა მეზობლებმა ღამის ორ საათზე კინალამ ქუჩაში გამოგვყარეს.

— ეგ არ ვიცოდი. ისე კი მაინც სანდო ხალხია.

— ეგ საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, — შეაწყვეტინა მირანდამ, — იმ ხუთი ბიჭის ახლანდელი ბინა ძალზედ სახიფათო შეიქნა.

— რას იზამ, ხალხი დაშინებულია. ამის გამო ყველაფერი ძნელდება.

მირანდამ მზერა ჭიქაზე შეაჩერა. ყინული მთლად გამდნარიყო. მას არ სიამოვნებდა, ვექილს რომ სთხოვდნენ ბინის შოვნას. მისი ნაშოვნი ბინები მაინცდამაინც საიმედო არ იყო ხოლმე. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ. თან თვითონ ვექილი პატიოსანი კაცი ჩანდა.

— კიდევ ერთი სათხოვარი გვაქვს, — თქვა მირანდამ და წამოდგა, ვექილს მიუახლოვდა, — ორი ათასი პესო გვჭირდება.

— ორი ათასი?

— ორი ათასი. რაც შეიძლება მალე უნდა ვიყიდოთ იარაღი, ორგანიზაციას კი საკმარისი ფული არა აქვს.

— ეს დიდი თანხაა... ჩემი ცოლი სულ უფრო და უფრო ნერვიულობს. შვი-

ლები მაიამში მყავს გასაგზავნი... კარგი, მოვიფიქრებ, იქნება რამე მოგიხერხოთ, — პირისახეზე ისევ ოფლმა დაასხა.

„ალბათ ეშინია, — გაიფიქრა მირანდამ, — ორმოც წელს რომ გადავცდებით, ყველა ასეთი მშიშრები გავხდებით“. თითებზე შეეძლო ჩამოეთვალა ორგანიზაციის ორმოც წელს გადაცილებული წევრები. მათ შორის იყო ვექილიც. რაღაც ავზნიანი ავადმყოფობა ეწყებოდა ოცდაათ წელს გადაცილებულ ხალხს. ორმოც წელს მიწეულები ან მშიშრები იყვნენ, ანდა ნამდვილი ბანდიტები. მამა გაახსენდა. სჯეროდა, რომ თვითონ ორმოცი წლისა მამასავით მშიშარა არ იქნებოდა.

— კარგით, თქვენი იმედი გვექნება, — თქვა მირანდამ და ჭიქა მაგიდაზე დადო. ოსკარი წიგნის თაროსთან მივიდა. წიგნი აიღო.

— მათხოვეთ ეს წიგნი. ღამღამობით უძილობა დამჩემდა, პოლიციელების თვლა კი მბეზრდება.

— კი, ბატონო! ბინების ამბავს ხვალ შეგატყობინებთ, ფულზე კი ახლავე დავიწყებ ზრუნვას.

— მაშინ, ხვალ დაგირეკავთ, — მირანდა კარისაკენ წავიდა. ოსკარიც მიჰყვა. ვექილმა კარებამდე მიაცილა სტუმრები.

ქუჩაში გამოვიდნენ. მანქანა სიფრთხილისათვის ცოტა მოშორებით დაეყენებინათ. რამდენიმე მეტრი ფეხით გაიარეს. შუა ქუჩაში მიდიოდნენ, რადგან მირანდა შიშობდა, ვინმემ კედელთან არ მიგვაყუჩოსო. ქუჩაში ერთი-ორმა მანქანამ ჩაიქროლა. გზიდან მოერიდნენ. ყოველ შესახვევში, სახლსა და სახლს შუა, ზღვა გამოჩნდებოდა ხოლმე.

პირველი და ოცდამეთოთხმეტე ქუჩების გადაკვეთაზე რომ მივიდნენ, მირანდა მცირე ხნით შეჩერდა. შორს წერტილივით მოჩანდა გემი — გეგონებოდათ, ჰორიზონტზე მუქ ლურჯ ზღვასა და მონაცრისფრო ცას შორის გაჩხერილაო. ცაზე ღრუბლები იკრიბებოდა. ჰაერი ისე დამძიმდა, იფიქრებდი, საცაა ყველაფერს მიწაზე მიაჭყლიტავსო.

— როცა ყველაფერი დამთავრდება, ზღვის ნაპირას ვიცხოვრებ და ხშირად ვიმოგზაურებ... ჰავანადან არასოდეს არ გავსულვარ, — თქვა მირანდამ და პატარა ქვას ფეხი გაჰკრა.

— ვექილი ძალიან გულგატეხილია, — თქვა ოსკარმა.

— შეიძლება, მაგრამ შიშს მალავს.

— არ მიყვარს მშიშარა ხალხი, იოლად ფქვავენ ყველაფერს.

— რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე, რომ შიშის გრძნობა ყველას აქვსო. მე მგონი, გამბედავი ის არის, ვინც ამ გრძნობას ერევა. პირველად პოლიციელი რომ მოჰკალი, არ შეგეშინდა? — მკითხა მირანდამ და ნაბიჯს უკლო.

— ეს სულ სხვა რამეა. ვექილი არავის არა ჰკლავს.

— ერთი და იგივეა... მეც მეშინია.

— ყუმბარებს როცა ისვრი, ალბათ მაშინაც, არა?

— ჰო.

— კაპიტანს რომ ჰკლავდი, მაშინაც გეშინოდა?

— ჰო, მაშინაც.

— სიკვდილისაც გეშინია, არა? მეც მეშინია ხანდახან. სიკვდილის მეშინია. მირანდამ ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და ზღვას გაუშტერა თვალი.

— ეგ სულ სხვაა. ბნელ ოთახში მდგარი პატარა ბავშვის შიშს ჰგავს, როცა არც კი იცის, რისი ეშინია. ეს შიშია, თავზარდამცემი შიში.

— მაშ რატომ თავს არ გაანებებ ყველაფერს?

— მაგ საქმის ღალატი არ შეიძლება. მასთან შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა — ჩემი შიშიც, ჩემი ოჯახიც, — მირანდა დაიხარა, კენჭი აიღო და ზღვისკენ ისროლა. — შიშზე ფიქრის დრო სადაა, ამ ღორებს უნდა მოვუღოთ ბოლო. თანაც ვგრძნობ, შიშზე თუ ვიფიქრე, შეიძლება გავლაჩრდე კიდეც.

ირენე

სტუდენტებთან ერთად ინსტიტუტის მთავარი შესასვლელიდან გამოდის, მანქანებით გაჭედილ ქუჩას გასცქერის. ტანზე სტუდენტური თეთრწითელი ფორმა აცვია. მკლავზე ჩანთა აქვს გადაკიდებული. ფეხზე სავალდებულო შავი ფეხსაცმლის ნაცვლად — მოკასინები. მოკლედ შეკრეჭილი თმა და სათვალე კოლეჯის მოსწავლის იერს აძლევს. ერთი ამხანაგი ესალმება. ირენე პასუხობს. მეორე ხმამაღლა რაღაცას უძახის, მაგრამ იგი უკვე ქუჩაზე გადადის და ძახილი არ ესმის. მიმავალი მანქანიდან მძღოლი ქათინაურს ეუბნება. ქუჩის მეორე მხარეს მას ედუარდო ელოდება. ირენე მისკენ მიდის. კუთხეში ავტობუსი ჩერდება. გაჭედილი ავტობუსიდან ხალხი ჩამოსვლას ცდილობს.

— მე მელოდები, ედი? — ღიმილით ეკითხება ირენე ედუარდოს.

— ჰო!

— დილით ლექციებზე რატომ არ იყავი?

— სხვა საქმე მქონდა, — იტყუება ედუარდო, — შინ მიდიხარ?

— ჰო, გამაცილებ?

— გაგაცილებ.

ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან პასახეს ქუჩას. ინსტიტუტის შენობიდან რამდენიმე პოლიციელი გამოდის. მანქანისკენ მიდიან. ხელში პროკლამაციები უჭირავთ. ეს ფურცლები ამ დილით გადმოუყრიათ ინსტიტუტის ჰოლში. პოლიციელები მანქანაში სხდებიან. კარებს სწრაფად ხურავენ. პოლიციის მანქანა ღრჭიალით წყდება ადგილიდან და სწრაფად ეფარება თვალს. ინსტიტუტის წინ მოდარაჯე პოლიციელი თვალს აყოლებს მათ და შემდეგ იქვე სკამზე ჯდება. მორიგეობა მას საღამოს 11 საათზე უმთავრდება, ბოლო ზარის შემდეგ.

ირინეს და ედუარდოს წინ გაზეთის გამყიდველი ბიჭი მირბის ყვირილით: „აბა, ვის გინდათ შეთქმულების შესახებ უკანასკნელი ცნობები!“

კაფეტერიაში შედიან და მაგიდას უსხდებიან. აქედან კაპიტოლიუმი მოჩანს. დახლში ჩინელი ბარმენი ჭიქებს წმენდს, თან დაბოღმილი უცქერის მათ. ედუარდო ორ შოკოლადიან გლასეს უკვეთავს და თეთრი ცხვირსახოცით სახეზე ოფლს იწმენდს. ირენე ხელის დასაბანად მიდის. ედუარდო მალულად უთვალთვალებს ნიშაში მჯდარ წყვილს. ისინი ჩუმად ჰკოცნიან ერთმანეთს. ედუარდო ისევ ინსტიტუტში გადმოყრილ პროკლამაციებზე ფიქრობს. ამასობაში ირენეც მოდის და მის გვერდით ჯდება. ჩინელ ბარმენს გლასე მოაქვს. პლასტმასის სასრუტებით იწყებენ ბლანტი სითხის წოვას. ედუარდოს სიამოვნებს ბარში ირენესთან ერთად ჯდომა. არ ლაპარაკობენ, მხოლოდ უცქერიან ერთმანეთს. „კარგი იქნე-

ბოდა, დანიშნულები რომ ყოფილიყვნენ. საღამოობით კინოში ივლიდნენ. ბნელ კუთხეებში ჩაეხუტებოდნენ ერთმანეთს. ეგებ დედასთანაც კი მიეყვანა გასაცნობად, — ფიქრობს ედუარდო, — არადა რა მშვენიერი გოგოა". ირენე თითქმის ბოლომდე სვამს გლასეს.

— ძალიან მომწონს ეს გლასე, — ამბობს იგი, — ათ ჭიქას დავლევდი ზედიზედ.

— კიდევ ხომ არ მოვატანინო?

— არა, გმადლობთ!

— დღეს რას აპირებ?

— საქმე მაქვს ერთი.

— რა საქმე?

— იოლანდასთან უნდა მივიდე სამეცადინოდ.

ედუარდო დუმს. ჭიქას სცლის. ერთ ხანს დაჭმუჭნილ სასრუტავს და დაორთქლილ ჭიქას უყურებს.

გარეთ უკვე ბნელდება. ქუჩაში მანქანების შუქი ციმციმებს. სიცხე კლებულობს.

— რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე.

— რა ვიცი, აბა, რა ვთქვა?

— დღეს მასწავლებელმა გუსტავო აუდიტორიიდან გააგდო. რა მომხიბვლელი ბიჭია გუსტავო, არა?

— გეჩვენება.

— შენი მეგობარი არ არის?

ედუარდო არ პასუხობს. იგი ვერ იტანს იმათ, ვისაც ირენე გულთბილად იხსენიებს. ამჟამად გუსტავოც ეჯავრება, იოლანდასაც ვერ იტანს, და საერთოდ სურს, რომ ირენე მხოლოდ მას ეკუთვნოდეს. მის წინ დაიჩოქებდა, ფეხებს დაუკოცნიდა. ირენეს მოსწონს მოკლეყელიანი წინდებისა და თხელძირიანი ფეხსაცმლის ტარება, იცის რომ უხდება. „სხვა რამე რომ სცმოდა, ეგებ არც მომწონებოდა ირენე, — ფიქრობს ედუარდო, — ამ წინდებში ძალიან ლამაზი ფეხები უჩანს". ფეხებსაც დაუკოცნიდა და წვივებსაც, მერე სათვალეს მოხსნიდა, ცხვირს და ტუჩებს დაუკოცნიდა. ახლა კი მხოლოდ უყურებს, თქმით არაფერს ეუბნება და ისევ ფიქრობს: ნამდვილად მხდალია და სულელი. ისევე უნდა ექცეოდეს ირენეს, როგორც სხვები ექცევიან, თუნდაც როგორც გუსტავო.

— ირენე, გინდა კინოში წავიდეთ? — მოულოდნელად ეუბნება იგი.

— როდის?

— დღეს.

— დღეს ხომ გითხარი, რომ არ შემიძლია, იოლანდას დავპირდი, მოვალ და ვიმეცადინოთ-მეთქი. ძალიან ბევრი გვაქვს სამეცადინო.

— სად უნდა იმეცადინოთ?

— იოლანდასთან.

— კარგი, აბა, წავედით! — ამბობს ედუარდო და ბარმენს ანიშნებს, მოდიო.

ბარმენი მოდის. ედუარდო საფულედან ხურდას იღებს და მაგიდაზე დებს. ირენე უკვე კართან არის მისული. ედუარდოც დგება და გოგონასთან ერთად ქუჩაში გადის. გარეთ რამდენიმე წუთს დგანან და ყოყმანობენ. ხალხი კინოთეატრისკენ მიედინება. ათიოდე წლის ბიჭუნა პატარა პაკეტებში დახარისხე-

ბულ თხილს ჰყიდის — თითო პაკეტს ხუთ სენტავოდ[1]. ედუარდო ერთ პაკეტს ყიდულობს, ოღონდ არ ხსნის.

— წავედით, — ამბობს ირენე.

— არა, ირენე, ვერ გაგაცილებ; გამახსენდა, რომ მეც საქმე მაქვს.

— კარგი მაშინ, ნახვამდის, ედი!

— ჩაო! — ამბობს ედუარდო და პრადოს ქუჩით ნეპტუნისკენ მიდის.

20 აგვისტო

გუშინ ისევ ჩავუსაფრდით ტუტოს[2], მაგრამ ამჯერადაც ვერ ჩავიგდეთ ხელში. ხელახლა გაჩეორდა ეს ნერვების მომშლელი თამაში. ყველაფერი წინანდებურად მოხდა. პარკის წინ მდგარი სამტრედის მსგავსი შენობის კიბეზე ქურდულად ავედით (განზრახული გვქონდა ჯაშუშის დასჯა, ბევრი უსამართლობა რომ ჩაედინა). მეორე სართულზე თეთრად შეღებილ კართან შევჩერდით. ზედ № 3 ეწერა. შუაში მრგვალი სათვალთვალო შუშა ჰქონდა. ზარს რომ ვრეკავდით, ეს შუშის თვალი ჯაშუშივით მოგვჩერებოდა. კარგა ხანს ველოდეთ, სანამ კარს გაგვიღებდნენ. ერთი სული გვქონდა, როდის მოვკლავდით დამნაშავეს. გაოფლიანებულ ხელს რევოლვერის ტარს ვუჭერდი, ნახევრად ჩახსნილ პერანგში რომ მქონდა დამალული.

და სწორედ იმ დროს, როცა მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, და ისის იყო კარი უნდა დაგვეცხრილა, ოთახში შევვარდნილიყავით და ტუტო მისსავე ბუნაგში მოგვეკლა, რომ კარი გაიღო. ჩვენს წინ მოხუცი ქალი იდგა (მე მგონი, ეს ისევ ის ქალი იყო, ალბათ ტუტოს დედა). ხელები გაქონილ წინსაფარზე შეიწმინდა (შეიძლება ეს სისულელედაც მოეჩვენოს კაცს, მაგრამ მე რატომღაც სწორედ ამ წვრილმანებს დავაკვირდი). მარკოსმა ტუტო იკითხა: ჩვენ მისი ამხანაგები ვართო. მოხუცმა გვითხრა, ჩემი შვილი შინ არ არის, სოფელშია წასული და არ ვიცი, როდის დაბრუნდებაო, თან საოცრად ცისფერი თვალებით შემომხედა. ერთგული ძაღლის გამოხედვა ჰქონდა. ბინიდან ბავშვის ტირილი მოისმა. ალბათ იმ საზიზღარი, საცოდავი დამბეზღებლის შვილი თუ იყო.

— გმადლობთ, სენიორა! — ჩაიბურტყუნა მარკოსმა. მოხუცმა კარი მოხურა. მე ხელი შევუშვი რევოლვერს, ცხვირსახოცი ამოვიღე და პირისახეზე ოფლი მოვიწმინდე.

სანამ კიბეზე ჩავდიოდით, რაღაც გაურკვეველმა გრძნობებმა შემიპყრო. თან ბრაზი მახრჩობდა, რომ დავალება ვერ შევასრულეთ, თანაც მოხუცი ქალისადმი სიბრალულს ვგრძნობდი, — ჩვენ ხომ მისი შვილი უნდა მოგვეკლა (მაგრამ რას იზამ, ის და ყველა მისი მსგავსი არამზადა უნდა მოგვესპო, არჩევანი არ გვქონდა — ან ჩვენ მოვსპობდით მათ ან ისინი მოგვსპობდნენ ჩვენ)! მიხარიოდა კიდეც, რომ ტუტო ამჯერადაც არ დაგვხვდა შინ. მოხუცის თვალწინ შვილის მოკვლა არც ისე სასიამოვნო იქნებოდა.

---

[1] სენტავო — კუბური ფულის ერთეული.

[2] ტუტო — საიმედო. მეტსახელია.

— ბედი ჰქონია, — ქუჩაში გამოსვლისას თქვა მარკოსმა.

— ჰო, — ვუთხარი და სახლი გარედან შევათვალიერე. ტუტო შინ რომ ყოფილიყო დამალული, ახლა მშვენივრად შეეძლო ჩვენი მიზანში ამოღება. წამით მეორე სართულის სარკმელს დავაშტერდი. ყოველივე ეს ალბათ შიშით მომდიოდა. სარკმელი ოდნავ იყო შეღებული, ისე რომ მზის სხივებს შიგ არ შეელწია, ჰაერს კი თავისუფლად ემოძრავა. მზე ძალიან აცხუნებდა.

მეშინოდა, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს, უხმოდ განვაგრძე გზა. ვიცოდი, რომ მარკოსისთვის ასეთი რამეების თქმას აზრი არ ჰქონდა. უსაფრთხოების წესებს (ინსტრუქციის თანახმად შენობის კუთხესთან სამ კაცზე მეტი არ უნდა დავმდგარიყავით, 8 საათის შემდეგ არ შევკრებილიყავით და ა. შ.) მე ზუსტად ვიცავდი, მას კი სასაცილოდ არ ჰყოფნიდა.

— იცი რა? — მითხრა მან, — გული მიგრძნობს, რომ ტუტო დროზე თუ არ მოვკალით, კიდევ ბერ სიავეს ჩაიდენს.

— შეიძლება, — ვუთხარი და კონსერვის ცარიელ ქილას ფეხი გავკარი.

— სხვაგან უნდა მოვკლათ, — თქვა მარკოსმა. წამით იყუჩა, თითქოს ხმის შესაფერ ელერადობას არჩევსო, — თუნდაც საყვარელთან. ამბობენ, ვიღაცა ჰყავსო.

— მერე მაგას ვინ გაიგებს? — ვიკითხე მე.

— შენ, — მომიგო მარკოსმა.

მეტსახელად ძვლებილეწიას მეძახდნენ. ჩემი სახელია ფრანსისკო დელგადო. მეც იქ ვიყავი, როცა იგი შემოიყვანეს. გუაჰიროს მოჰყავდა. თან წიხლებს ურტყამდა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი. ასე მითხრეს: რევოლუციონერია და თან საკმაოდ გამოჩენილიო. პოლკოვნიკის კაბინეტში შეიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ მეც დამიძახეს. მე სტენოგრაფიც ვიყავი და ამიტომ ვიცი, დაკითხვებზე რაც ხდებოდა. ვჯდებოდი ხოლმე, ვიღებდი ფანქარს და ყველაფერს ვიწერდი: ყვირილს არა, ყვირილს, რა თქმა უნდა, არა, მხოლოდ აღსარებებს. საერთოდ დაკითხვის ყურება ზიზღს მგვრიდა, მაგრამ რამენაირად ხომ უნდა მეცხოვრა, თან შვილებიც მყავდა სარჩენი. გალახვით არავინ არასოდეს არ გამილახავს, შემიძლია ღმერთიც და შვილებიც დავიფიცო; ძვლებილეწია? ამას ბიჭები ხუმრობით მეძახდნენ. ერთს სულაც მხეცი დაარქვეს. ასეა ეს ცხოვრება! მაგრამ მე რომ ვინმესთვის ძვლები დამელეწოს, ასეთი რამ ნამდვილად არ მომხდარა. ეგ ტყუილია!

როცა შევედი, დავინახე, რომ ბიჭი იატაკზე ეგდო. გუაჰირო და ბოქსეადორი კეტებით სცემდნენ, ბიჩო [1] და ბეჰუკო კი წიხლებს ურტყამდნენ, განსაკუთრებით ბიჩო. ოო, მას ყველაზე მეტად ეხერხებოდა პატიმრების გალახვა. ბიჭს ყურიდან სისხლი სდიოდა. მე მგონი, ყურის აპკი ჰქონდა გახეთქილი. თუ არ მეშლება, ოთახში იყვნენ: ბიჩო, გუაჰირო, ბოქსეადორი, ის მეჭეჭებიანი ტიპი, სერჟანტი და ერთი დამხმარე. არა, პოლკოვნიკი არ ყოფილა. იგი ნახევარ საათში მოვიდა.

როცა პოლკოვნიკი იქ იყო ხოლმე, მაშინ ყველას გულდაგულ უნდა ერტყა

---

[1] ბიჩო — მხეცი. მეტსახელია.

პატიმრისათვის. ვისაც ცემა არ შეეძლო, მასთან ვერ იმუშავებდა. ერთხელ ვუყურე, მთელი ნახევარი საათი როგორ ურტყა კეტი პატიმარს. ალბათ, არც გაჩერდებოდა, ის საწყალი რომ არ მომკვდარიყო. ამბობენ, გული გაუსკდაო. ერთი კი იყო, რომ პოლკოვნიკს დავარდნილების ცემა არ უყვარდა, მსხვერპლს მანამ ურტყამდა, სანამ ფეხზე იდგა. დაეცემოდა თუ არა, მაშინვე თავს ანებებდა. ამის შემდეგ ცემას უკვე ბიჭები განაგრძობდნენ. თვითონ საჭმელად მიდიოდა. ეტყობა, ეს საქმიანობა მადას უღვიძებდა.

პოლკოვნიკი თუ არ იყო, სერჟანტი ან სულ არ ურტყამდა პატიმრებს ან თუ ურტყამდა — ძალიან ცოტას. ეს საქმე ღლიდა მას. ეტყობა, ექიმმა ურჩია — ძალიან ნუ გადაიღლებიო. თვითონ ოთახის კუთხეში დგებოდა და ბიჭებს იქიდან აძლევდა მითითებებს. ბიჭები ხშირად სახეში ურტყამდნენ პატიმარს, ის კი ამას უშლიდა, რადგან ჟურნალისტებისათვის სახედასახიჩრებული პატიმრის ჩვენება არ შეიძლებოდა. სერჟანტი ჭკვიანი კაცი იყო. ესმოდა პრესისა და საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა. პოლკოვნიკს ეს არ აწუხებდა. ასე ამბობდა: ყველაფერი ფეხებზე მკიდიაო. ეს მართლაც ასე იყო. ერთხელ ჩვენს მიერ დაპატიმრებული უცხოელი ჟურნალისტის გალახვა ბრძანა. ერთხელ კიდევ ვიღაც მაიორის შვილი გალახა. მართალია, მაშინ არ იცოდა, ვის შვილს სცემდა, მაგრამ, როცა გალახულის მამა თვითონ მოვიდა, არც მაშინ მოუკლავს თავი ბოდიშებით. მაიორი კინაღამ გაგიჟდა. პოლკოვნიკს დედა შეაგინა. გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა შვილს კინაღამ მამაც ზედ მიაყოლა. კიდევ კარგი, რომ მაიორი გენერალ მენდოსასთან ერთად იყო მოსული. გენერალი ჩადგა შუაში. მენდოსამ და სხვა გენერლებმა ეს ამბავი ბატისტას ყურამდე მიიტანეს, მაგრამ ბატისტამ პოლკოვნიკი გაამართლა და თან ისიც განაცხადა, მისი სავსებით მჯერაო.

პოლკოვნიკს თვითონაც ხშირად უთქვამს, მთლად უფროსი მფარველობსო. ეტყობა, სხვისი აზრი ამიტომ აღარ აინტერესებდა. სერჟანტი კი, როგორც უკვე ვთქვი, საზოგადოებრივ აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან იმ უცხოელი ჟურნალისტის გალახვაზე უარის თქმაც კი დააპირა, მაგრამ ხომ გაგიგიათ ანდაზა: ძალა აღმართსა ხნავსო. ჰოდა, რაღას იზამდა — ის მხოლოდ სერჟანტი იყო, პოლკოვნიკის ბრძანება უნდა შეესრულებინა.

კი ბატონო, განვაგრძოთ. მაშ ასე, სერჟანტი სკამზე ჯდებოდა კუთხეში და იქიდან ხელმძღვანელობდა დაკითხვას. ადვილად არ აღელდებოდა. სხვები დაკითხვის დროს გიჟდებოდნენ, და იმის მაგივრად, რომ პატიმრებისთვის რამე ეთქმევინებინათ და საქმე ამით წინ წაეწიათ, ცემით მიასიკვდილებდნენ ხოლმე. ზოგჯერ პატიმარს უკვე უნდოდა რაღაცის თქმა, ესენი კი მაინც ურტყამდნენ. ერთხელ კაცი შემოაკვდათ, მაგრამ გამხეცებულებმა თავი აღარ დაანებეს. სერჟანტს გრძნობების აყოლა არ უყვარდა. წონასწორობასაც არ კარგავდა იოლად. იშვიათად თუ ჩაერეოდა საქმეში, ისიც მხოლოდ მაშინ, შემზარავი ხმით თუ გააბამდა ვინმე კივილს. ამის მოთმენა კი აღარ შეეძლო. მივიდოდა ახლოს და პირში ქაღალდებს ჩასჩრიდა. კივილი, ეტყობა, ნერვებს უშლიდა.

კი, ბატონო, ახლა იმ ბიჭის ამბავს გეტყვით. როცა კარი შევაღე, იგი ძირს ეგდო და ყურებიდან სისხლი სდიოდა. სერჟანტმა მითხრა: — შემოდი, ძვლებილეწიავ, ეს ტიპი ახლავე აჭიკჭიკდებაო.

მაგრამ მთელი იმხნის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, ბიჭს კრინტი არ დაუძრავს. ჩინო და მანოლიტო შემოვიდნენ და მათაც დაუწყეს იმ ბიჭს ცემა. ის კი მაინც არაფერს არ ამბობდა. მეჭეჭებიანი ამან ისე გააცოფა, კინალამ ბეისბოლის ჯოხი დაჰკრა თავში, მაგრამ სერჟანტმა შეაჩერა. მერე ჩინომ თქვა, მოდი, ერთი გავაქანოთო. მან, ბოქსეადორმა და გუაჰირომ სტაცეს ბიჭს ხელი და ჭერში აისროლეს. ბიჭი ისეთი ხმით დაასკდა იატაკს, იფიქრებდი, ჩაანგრიაო. გულაღმა დაეცა. ბეჰუკო ფეხით შესდგა ზედ. ბიჭმა გრძნობა დაკარგა.

მეტი არაფერი არ ვიცი. მალე პოლკოვნიკიც მოვიდა და ახლა მან განაგრძო დაკითხვა, მაგრამ მე უკვე ოთახში აღარ ვიყავი. სხვა დავალება მომცეს და ქუჩაში გამაგზავნეს. გეფიცებით, მე მისთვის არ დამირტყამს, მე მხოლოდ სტენოგრაფი ვიყავი.

ნ ი ვ ნ ი ს ი...

ისინი დღის 3 საათზე მივიდნენ ჩემს სახლში. დედაჩემი სადილის შემდეგ ისვენებდა. კარი კონდახებით შელეწეს. მინები ჩაამსხვრიეს. დედაჩემმა სახელდახელოდ ჩაიცვა და მათთან გამოვიდა. ისინი მას მიუახლოვდნენ. ყველაზე მაღალმა და ღონიერმა მკერდში ავტომატის კონდახი ჩასცხო. დედაჩემი ლოგინზე დავარდა, ჯვარცმულ იესოსავით ხელებგაშლილი. ორნი დედაჩემთან დარჩნენ, სხვებმა ბინის ჩხრეკა დაიწყეს.

— მოხუცო, ახლახან შენი შვილი შემოგვაკვდა ხელში, ჩხუბი წამოგვიწყო, — უთხრა მაღალმა და საკუთარი ტყუილით კმაყოფილმა გაიცინა.

მთელი სახლი გადააქოთეს. ლეიბები ამოატრიალეს. კედლებიც გასინჯეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს. დედაჩემი გულხელდაკრეფილი იდგა ოთახის კუთხეში და ისე უყურებდა მათ. დაიხარნენ და მაგიდის ფეხებიც შეამოწმეს — ღრუ ხომ არა აქვსო, იფიქრეს. გაავებულებმა გასინჯეს ყოველი წვრილმანი. ბოლოს წავიდნენ. წასვლისას უფროსი აკანკალებულ დედას მიუბრუნდა:

— სენიორა, უთხარით თქვენ კაცისმკვლელ შვილს, რომ ჩვენ მას მოვკლავთ. სადაც მოვახელთებთ, იქ მოვკლავთ! — თქვა და ზიზღით იატაკზე დააფურთხა. მაღალმა კი დამცინავად გადახედა დედაჩემს და ცერა თითი ყელზე გაისვა. ამით ანიშნა, შენ შვილს ყელს გამოვჭრითო.

* * *

უზარმაზარი ვარდისფერი მზე უკვე გადაწვერილიყო, როცა მე და მარკოსი ლინეას ქუჩაზე გავედით და ზღვისკენ გავწიეთ (ეს იყო შვიდ ივნისს, მკვლელობის მეორე დღეს, ორი საათის შემდეგ, რაც ჩემი სახლი პოლიციას გაეჩხრიკა). მე მას მოვუყევი, რა გადაიტანა დედაჩემმა. მივდიოდით და ოფლისაგან პერანგები გვისველდებოდა. მარკოსი სდუმდა.

— ალბერტოსი არაფერი არ ვიცით, — თქვა ბოლოს, — ალბათ დაიჭირეს.

— შენთან ერთად არ გაიქცა? — ვუთხარი მე. თუ არ ვცდები, ალბერტოს და მარკოსს ხესუს მარიას ქუჩაზე მოვკარი თვალი. მანქანებსა და ავტობუსებს შორის ხან გამოჩნდებოდნენ, ხან იკარგებოდნენ. ამ დროს მე კომპოსტელას ქუ-

ჩაზე გავრბოდი, საწინააღმდეგო მიმართულებით, ნავსადგურისაკენ. გზაჯვარედინზე კი ტუტოს გვამი ეგდო პირქვე. ცალი ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი, ცალიც — უკან, გეგონებოდა, ცურავსო.

— ჩვენ მაშინვე დავცილდით ერთმანეთს, როგორც კი ეზიდოს ქუჩაზე გავედით. მოგვიანებით დავურეკე, მაგრამ შინ არ მისულა, — თქვა მარკოსმა.

წამით შევჩერდით და ბავშვიან ქალს გზა ვუტიეთ. საშინლად უშნო, დიდთავა ბავშვი იყო. ქალს მხარზე ისე ჰყავდა მიწვენილი, რომ ზურგიდან მისი თავი ვეება კუზივით ჩანდა. ბავშვი გაანჩხლებული ტიროდა. ქალი აინუნშიც არ აგდებდა ამას, დინჯად მიაბიჯებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბავშვის თავის შემყურემ ალბერტო წარმოვიდგინე პოლიციის განყოფილებაში.

— ეგებ დაჭერილია, — ვთქვი და შემდეგ უნებურად დავუმატე, — და უკვე გაგვთქვა კიდეც.

— მაშინ ჩემთანაც მოვიდოდნენ, — თქვა მარკოსმა.

— ალბერტო თუ ჩაუვარდათ ხელში, ტუტოს სიკვდილი ძალზე ძვირად დაგვჯდომია, — ვთქვი მე.

— მთავარია, რომ ბრძანება შევასრულეთ. სხვა დანარჩენი, რაც მოხდა, არავისი ბრალი არ არის.

მარკოსის ნათქვამმა გამაკვირვა: ალბათ ძალიან აღელვებული იყო. მაგრამ ტუტოს მოკვლისა და ჩემს სახლში პოლიციის სტუმრობის შემდეგ მთლად დამშვიდებული არც მე ვიყავი.

— ახლა რა ვქნათ? — ვიკითხე.

— მენოკალთან ერთად უნდა დავიმალოთ.

— მენოკალთან ერთად? — შევძახე გაკვირვებულმა. უეცრად ვიგრძენი, რომ მეც კაცი ვიყავი. ორგანიზაციის ერთ-ერთ გამოჩენილ წევრთან ერთად დამალვა ბევრს ნიშნავდა.

მარკოსი შეჩერდა. მკლავები გორილასავით ჰქონდა ჩამოკიდებული.

— ახლა სხვა დასამალი ადგილი არა გვაქვს. ამას გარდა, მენოკალს სურს წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩამაბას, შენ კი ჩვენი მეკავშირე იქნები.

ედუარდო

ჩერდება. ყოყმანობს, აქეთ-იქით იხედება, სიგარეტს უკიდებს და ნელი ნაბიჯით გადადის ქუჩაზე. ეზოს შესასვლელთან, ნაგვის გროვაში, ბებერი, ბინძური ძაღლი იქექება. ჭუჭყიან ქაღალდებსა და კარტოფილის ნაფცქვენს აქეთ-იქით ფანტავს. ედუარდო მის წინ ჩერდება. ძაღლი ძვალს პოულობს. ედუარდო წამით ისევ ძაღლს უცქერის, მერე სიგარეტს ძირს აგდებს და ეზოში შედის. ეზოში ფეხშიშველა ბავშვები ველოსიპედის გამო დაობენ. ედუარდო ხელმარჯვნივ პატარა კიბეზე ადის. მეორე სართულზე ერთ-ერთ კართან ჩერდება და აკაკუნებს. სანდომიანი სახის ახალგაზრდა ვაჟი კარს უღებს.

— ირენე შინ არის? — კითხულობს ედუარდო.

— შემოდი, შემოდი, ედი! — სადღაც ოთახის სიღრმიდან იძახის ირენე და მის შესახვედრად მოდის. ტანზე თეთრი ქვედაკაბა და ლურჯი ბლუზა აცვია. გაშლილი თმები უწესრიგოდ ეყრება სახეზე.

ედუარდოს მის დანახვაზე ეღიმება... „რა ლამაზია“, — ფიქრობს იგი.

— ოლა, ედი! — ამბობს ირენე და ძმისკენ ბრუნდება, — რიკარდო, შენ ედუარდოს არ იცნობ, არა?

— არა. ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — რიკარდო ხელს უწვდის ედუარდოს.

— ედუარდო სალგადო! — ამბობს ედუარდო, ხელს ართმევს რიკარდოს და თან აკვირდება: „როგორ ჰგავს რიკარდო თავის დას: ცისფერი თვალები, პატარა ცხვირი, ხორციანი ტუჩები“.

— ეს ჩემი ლამაზი ძამიკოა, — ამბობს ირენე და რიკარდოს მკლავზე ეყრდნობა.

რიკარდო იღიმება, ირენეს მხარზე ხელს ჰხვევს და თავისკენ იზიდავს.

— დაჯექი, ედი, — ამბობს ირენე.

ედუარდო პატარა სავარძელში ჯდება. ავეჯით სავსე ოთახს ათვალიერებს. ოთახს ორი კარი აქვს, ორივე მოხურულია. „ნეტავი რა არის ამ კარებს მიღმა“, — ფიქრობს იგი, — „ნეტავ სად სძინავს ირენეს“.

ირენე ხედავს, რა დაჟინებით მისჩერებია ედუარდო მოხურულ კარს და ამბობს:

— იქ დედაჩემი წევს.

ედუარდო წითლდება და თვალებს ხრის.

— კარგი, მე წავედი, — ამბობს რიკარდო, თაროდან რამდენიმე წიგნს იღებს, მერე ედუარდოსკენ იხედება, — ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით.

რიკარდო ოთახიდან გადის თუ არა, ედუარდო დგება, ირენეს მახლობლად ჯდება და თვალებში შესცქერის.

— უკვე ერთი კვირაა, არ დადიხარ მეცადინეობაზე; რა მოგივიდა? — ეკითხება ირენე.

— დედაჩემი იყო ავად; თავზე ვადექი.

— სხვა არავინ გყავთ მიმხედავი?

ედუარდო უარის ნიშნად თავს აქნევს:

— ჰავანაში მარტო ვცხოვრობთ. მამა კარგა ხანია გარდაიცვალა. არც ნათესავები გვყავს. მხოლოდ მამინაცვალია ჩვენთან, მაგრამ ამჯერად არც ის იყო ჰავანაში.

— ძალიან გიყვარს დედა? — ეკითხება ირენე.

ედუარდო თვალებში მისჩერებია და პასუხს აგვიანებს, უნდა რომ უთხრას: „ისევე როგორც შენ“, თქმით კი სხვას ამბობს:

— ყველაზე უფრო ამქვეყნად, — თან იატაკს აშტერდება.

— მამაჩემიც მაშინ მოკვდა, ახლად ჩამოსულები რომ ვიყავით ჰავანაში, — ეუბნება ირენე.

ედუარდოს სურს მოეხვიოს მას, აკოცოს, მაგრამ მხოლოდ იმას ბედავს, რომ ხელს ხელზე ადებს. ირენე ედუარდოს უყურებს, ხელზე მისი ხელის სიმძიმეს გრძნობს, მაგრამ არ ინძრევა, ედუარდო თავისკენ ეზიდება, ირენე არ ეწინააღმდეგება და ვაჟი ქალის სხეულის სითბოს სულ ახლოს გრძნობს. ნელა, თითქოს ეშინია, არაფერი ატკინოსო, ჰკოცნის ტუჩებში. ირენე ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერის. ტუჩები მაგრად მოუკუმავს.

— მიყვარხარ, ირენე! — ეუბნება ედუარდო.

— მეც მიყვარხარ, — პასუხობს ირენე და ედუარდო ტუჩებით გრძნობს ქალიშვილის ბაგეების სიმხურვალეს.

ოქტომბერი

მთელი ეს თვე მარკოსი, მენოკალი და მე ერთად ვცხოვრობდით რეინას ქუჩაზე, ჩემს მიერ ნაქირავებ ოთახში. ბინის პატრონ ქალს ვუთხარით, სოფლიდან ჩამოვედით და სამუშაოს ვეძებთ-თქო. ქალს არ გაკვირვებია. ეტყობა, ძალიან უნდოდა ამ ძველი, ერთი ციცქნა ოთახის გაქირავება: სამი გასაშლელი საწოლი ძლივს იდგმებოდა შიგ. ჩვენმა გაუთავებელმა მისვლა-მოსვლამ ჩვენი ოთახის პატრონ ქალს, ბოლო ხანს ცოტა ეჭვი და უნდობლობა გაუღვიძა. სადმე უფრო საიმედო ადგილზე წასვლაც გადავწყვიტეთ ამ სათაგვიდან, მაგრამ თავს ვიკავებდით იმის გამო, რომ ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე სამი ბინა გამოვიცვალეთ და ყოველი შემდგომი ბინა წინაზე უარესი გამოგვადგა. ამ ხნის განმავლობაში მენოკალს ვუკვირდებოდი. მენოკალი, მე მგონი, მისი ნამდვილი სახელი არ იყო. იგი რევოლუციური მოძრაობის დიდ სექტორს ხელმძღვანელობდა. ჩვენ მისი თანაშემწეები ვიყავით — ეს ჩვენ კარგი მუშაობითაც დავიმსახურეთ და თან გარდა ამისა მოძრაობას დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი სჭირდებოდა. მარკოსი მოძრაობის უფრო მცირე ჯგუფის უფროსი იყო, მე კი რალაც თანაშემწის მსგავსი, თან მეკავშირის მოვალეობასაც ვასრულებდი. მენოკალმა ძალიან მოგვხიბლა. მას საოცრად უყვარდა მის ირგვლივ მყოფი ადამიანები. შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა. ბრძანებებს განსაკუთრებული თავაზიანობით იძლეოდა. ყოველივე ამან დამავიწყა მისი გაცნობისას აღძრული გრძნობები. მაშინ მისი საქციელი ცოტა გაპრანჭული მეჩვენა.

მთელი თვე ხელმოკლედ ვცხოვრობდით. ხშირად დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამდით (მიუხედავად იმისა, რომ მენოკალს ორგანიზაციის დიდი თანხა ებარა), ან სულ არ ვჭამდით. ხანდახან მარკოსს ოჯახიდან თუ გამოუგზავნიდნენ ფულს და ჩვენც სულს მოვითქვამდით. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა — მარკოსის მშობლებს თვითონაც ძალიან უჭირდათ. ხელმოკლეობის გამო მანქანას ვერ ვქირაობდით და ავტობუსით გვიწევდა მგზავრობა. ეს კი სახიფათო იყო, რადგან პოლიცია ისე ნადირობდა ჩვენზე, როგორც მხეცებზე. განსაკუთრებით მენოკალს და მარკოსს ემტერებოდნენ.

მეტად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა ამ თვეს. მარკოსსა და მენოკალს არ მოვცილებივარ გვერდიდან. მენოკალთან ერთად მონტეს ქუჩაზე ხელყუმბარები ავაფეთქე. მათთან ერთად ვიყავი სერჟანტზე თავდასხმის დროსაც. ბევრ პოლიციელს ავყარეთ იარაღი. ავტობუსები დავწვით. და რაც მთავარია, უზარმაზარი ელექტროქსელი ავაფეთქეთ; ესეც წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი მენოკალსა და მარკოსს.

ედუარდო

ხანგრძლივად კოცნის ირენეს. ქალიშვილი თვალდახუჭული დგას და ვაჟს მოფერების უფლებას აძლევს. ვაჟი თმაზე უსვამს ხელს. თითებს კეფაზე აჩერებს. უცებ უკან იხევს და ისე ათვალიერებს გოგონას. ქუჩაში მდგარ სვეტზე

ჩამოკიდებული ნათურის შუქი ეცემა ირენეს. დროდადრო ალვის ხის მთრთოლავი ფოთლების გამჭვირვალე ჩრდილებიც დასთამაშებს სახეზე. შუქზე ნათლად ჩანს მისი პაწია ცხვირი, ვნებიანი ტუჩები და საოცრად რბილი, მორჩილი თმა. ირენეს ხელში სათვალე უჭირავს, ეტყობა, კოცნის წინ მოიხსნა. ღიმილით შეჰყურებს ედუარდოს.

„მიყვარს, მიყვარს!“ — ფიქრობს ვაჟი და ისევ თავისკენ ეზიდება გოგოს. ჰკოცნის ჯერ ცხვირზე, მერე თვალებში, შუბლზე და ბოლოს ხელებზე.

— მიყვარხარ! — ეუბნება ედუარდო.

ირენე იცინის და ეფერება მას.

— პატარაობისას ჩემი ძმაც ასე მკოცნიდა ხოლმე ცხვირზე.

ედუარდო გაოცებული უყურებს.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, შენსავით არა, როგორც ძმა ისე მკოცნიდა, — ამბობს ირენე და ეშმაკურად უღიმის, მერე ტუჩებში ჰკოცნის ვაჟს. ქარი ალვის ხეს არხევს და ნათურის შუქი წამით ანათებს იმ სკამს, სადაც ისინი სხედან. მიწაზე ორი ჩახუტებული ჩრდილი ჩანს.

— მიყვარხარ! — იმეორებს ვაჟი და თვალებში ჩასცქერის გოგონას.

— მეც მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ! — ჩურჩულებს ირენე და მისი ხმა ფოთლების შრიალში იკარგება.

— მთელი სიცოცხლე გეყვარები? — ეკითხება ვაჟი და ისევ გულში იკრავს გოგოს.

— მთელი სიცოცხლე! — ეუბნება გოგო და მაგრად ეხუტება ვაჟს.

* * *

მე კარიდად რეისი მქვია. მეტსახელად კუკოს[1] მეძახიან. მე პოლკოვნიკისათვის საჭმლის მირთმევა მევალებოდა, კიდევ ოთახის დასუფთავება, სამრეცხაოდან თეთრეულის მოტანა, წერილების მიღება და სხვა ამგვარი წვრილმანები.

არა, მე პოლიციელი არ ვიყავი, თუმცა მპირდებოდნენ, რომ იანვრიდან მეც ამიყვანდნენ სამსახურში.

როცა ბიჭი მოიყვანეს, იქ ვიყავი. ასე თორმეტის ნახევარი იქნებოდა. გუაჰიროს მოჰყავდა იგი, თან წიხლებს ურტყამდა. გზად ძვლებილეწიამაც ჩასცხო ერთი-ორი.

ბიჭი პოლკოვნიკის კაბინეტში შეიყვანეს. პოლკოვნიკი ჯერ არ იყო მოსული. სულ მალე ყვირილი მომესმა. ასეთი ხმა ჯერ არ გამეგონა. თითქმის ნახევარი საათი ბღაოდა. მერე გაჩუმდა. ვიფიქრე, ალბათ მოკლეს-მეთქი. დავინახე, ბეჰუკომ და ბოქსეადორმა როგორ გამოათრიეს ბიჭი და მეზობელ ოთახში შეაგდეს. გუჰაიროს სიგარეტი ვთხოვე, თან ვკითხე, მორგში ხომ არ დავრეკო-მეთქი. მითხრა: არა, უგონოდ არის და რაწამს გონს მოვა, ისევ მივბეგვავთ. ჯერ-ჯერობით კი პოლკოვნიკს ველოდებითო.

სიგარეტი მოვწიე და ის იყო ქუჩაში გასვლას ვაპირებდი, რომ სერჟანტმა

---

[1] კუკო — ცბიერს, ეშმაკს ნიშნავს.

დამიძახა: მოდი, ოთახი გაწმინდე, საცაა პოლკოვნიკი მოვაო. პოლკოვნიკს ძალიან უყვარდა სისუფთავე და წესრიგი. თეთრ პერანგზე ერთი ციცქნა ლაქაც რომ ჰქონოდა, არ ჩაიცვამდა. სერჟანტმა კასრით წყლის მოტანაც დამავალა — ბიჭის მოსასულიერებლად.

იატაკი სისხლით იყო მოსვრილი. საწერ მაგიდასთან უზარმაზარი გუბე იდგა. სისხლი კედლებსაც შეშხეფებოდა. დიდხანს ვხეხე, სულ ოფლად გავიღვარე, მაგრამ სისხლის ლაქებს რა ამოშლის, კვალი მაინც რჩება. სიგარეტის ნამწვავებიც ავკრიფე. სერჟანტი მუშაობის დროს ბევრს ეწეოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაღლილობა მოერეოდა. მისი სიგარეტის ნამწვავები თავისებურ, ძნელად ამოსაყვან ლაქებს ტოვებდა იატაკზე. დიახ, მარიხუანას ეწეოდა. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ დაკითხვის დროს აბოლებდა, თორემ რა გაუძლებდა იატაკის ხეხვას. მეჭეჭებიანი და ბეჰუკო ცოტას ეწეოდნენ; ბოქსეადორი კი საერთოდ არ ეწეოდა — ამბობდნენ, მორფს იშხაპუნებსო, თუმცა მე არ ძჯერა. მარტო გუაჰირო არ ეტანებოდა ნარკოტიკებს. ერთხელ მარიხუანა მეც გამასინჯეს, მაგრამ არ მომეწონა; კინალამ გული ამერია.

ირენე

კინოთეატრ „ამერიკას“ წინ გაიარა და მაჯის საათს დახედა. კინოთეატრიდან ხალხმა იწყო გამოსვლა. კინოს წინ არე ზღვა ხალხით გაივსო. ნეონის შუქზე მათ უცნაური ჩრდილები ეფინებოდა. ხალხის მატებასთან ერთად ჩრდილები თანდათან შეუმჩნეველი ხდებოდა. ავტობუსმა წინ მიმავალ მანქანას საყვირით ნიშანი მისცა, გზა მიტიეო. მოპირდაპირე ტროტუარზე წყვილი შეჩერდა და ვიტრინას დაუწყო თვალიერება. ირენემ კვლავ საათს დახედა — ცხრა იყო. ხალხი ისევე სწრაფად დაიშალა, როგორც შეგროვდა. ქუჩა თითქმის დაცარიელდა. მოპირდაპირე ტროტუარზე წყვილი ისევ ვიტრინას ათვალიერებდა; მერე გალიანოს ქუჩას აუყვნენ ზემოთ. „ედუარდო მეტისმეტად იგვიანებს“, — გაიფიქრა ირენემ. ბოლო დროს ირენე სულ შფოთავდა. შეიძლება ეს მოახლოებული გამოცდებით იყო გამოწვეული, ან შეიძლება მასზეც მოქმედებდა ის საერთო მღელვარება, მთელ ქვეყანაში რომ გამეფებულიყო. ეგებ იმის გამოც შფოთავდა, რომ ძმა სულ უფრო და უფრო ხშირად მოდიოდა შინ გვიან. ხანდახან ორი-სამი დღითაც კი იკარგებოდა, თქმით კი არ ამბობდა, სად დადიოდა. ირენემ არ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ რაღაც გაურკვეველ შიშს გრძნობდა. ამას ედუარდოს ამბავიც დაემატა. უკვე მეოთხე თვე იყო, რაც დანიშნულები იყვნენ, ედუარდო კი ამ ბოლო ხანს სულ შეიცვალა, ადვილად ბრაზდებოდა ხოლმე. დღითი დღე უფრო უხეში და აღგზნებული ეჩვენებოდა. ზოგჯერ მასთანაც კი ველარ იკავებდა თავს.

მოპირდაპირე ტროტუარზე მიმავალი წყვილი „ნეპტუნთან“ შეჩერდა. რაღაცაზე ცხარედ ლაპარაკობდნენ — ეტყობოდა დაობდნენ. მერე მოტრიალდნენ, ქვემოთ დაუყვნენ გალიანოს ქუჩას. ქალი ვაჟს მკლავში ისე ჩაფრენოდა, იფიქრებდი, ეშინია, არ გაექცესო. ვაჟი კი ისე მიდიოდა, თითქოს მართლა გაქცევა სურსო, თან ხელების ქნევით რაღაცას გაავებით უმტკიცებდა ქალს. ირენემ დაინახა, როგორ ჩაუარეს მათ იმ ვიტრინას, რომლის წინაც წელან იდგნენ. კი-

ნოს წინ ქუჩა გადმოსჭრეს და კონკორდიას შესახვევში თვალს მიეფარნენ. ქალი ტანდაბალი იყო, კოხტა, კურდღელივით ცქვიტი, ვაჟი კი მაღალი, გორილასავით ვეება მკლავები ჰქონდა. ქალი ხმას არ იღებდა, მკლავში ჩაფრენილი უსმენდა ვაჟს, ისევ რაღაცას რომ უმტკიცებდა და თან თავისუფალ ხელს იქნევდა. ირენეს მათი ხმა არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ უსიამოვნო საუბარი ჰქონდათ. კაფე „ამერიკადან“ ორი ახალგაზრდა გამოვიდა. ირენეს რომ გაუსწორდნენ, შეჩერდნენ და ქათინაურები უთხრეს. ირენემ გაბრაზებით შეხედა მათ. ზურგი შეაქცია და ნელი ნაბიჯით წავიდა. საათს დახედა. ათის თხუთმეტი წუთი იყო. კაფეტერიას რომ გაუსწორდა, ვიღაცამ დაუძახა და შეტრიალდა. ედუარდო იყო. იგი ქუჩაზე გადმოდიოდა. ახალგაზრდებმა რაკი ირენესკენ მიმავალი ედუარდო შეამჩნიეს, შეტრიალდნენ და გზა განაგრძეს. ირენე შეჩერდა, ედუარდოს დაელოდა. ედუარდო ღიმილით მივიდა მასთან. ხელზე ხელი მოჰკიდა, დაგვიანებისათვის ბოდიში არ მოუხდია. ხელიხელჩაკიდებულნი სანაპიროსკენ გაუყვნენ გალიანოს ქუჩას.

ცოტა ხანს ასე უხმოდ იარეს. ირენე წინ იყურებოდა, ედუარდოს სახეს ვერ ხედავდა, მხოლოდ მის გაოფლილ ხელს გრძნობდა. ქუჩაში მანქანამ ჩაიარა და კვამლის სუნი დასტოვა. კუთხემდე რომ მივიდნენ, ირენემ ხელზე ხელი მოუჭირა ვაჟს.

— ასე რატომ დაიგვიანე? — ჰკითხა და სახეში შეაჩერდა.

— ინსტიტუტში საქმეები მქონდა, მერე კი გუსტავო და როხელიო შემხვდნენ.

— მალე უნდა დავბრუნდე შინ.

— რატომ?

— დედამ მთხოვა, ადრე მოდიო. რიკარდოზე ნერვიულობს ძალიან. მეორე დღეა, შინ არ მოსულა.

— პოლიციას რატომ არ შეატყობინეთ?

ირენეს გაელიმა.

— რას ამბობ, პოლიციას მეტი კი არ უნდა... — თქვა მან და ხელი გაითავისუფლა.

ედუარდომ შუბლი შეიჭმუხნა. ტუჩები მაგრად მოკუმა. ლამპიონის ქვეშ შეჩერდნენ. ზურგს უკან ვიღაცეებმა ჩაუარეს. შუქზე ირენეს ქერა თმა თეთრად გაბრწყინდა.

— იცი რა? — თქვა ედუარდომ, — შეიძლება ჩრდილოეთში წავიდე სასწავლებლად.

— ახლა?

— მამინაცვალმა შემომთავაზა და არ ვიცი, რა ვქნა. სანტ-იაგოში გაფიცვების გამო სწავლა უკვე შეწყდა, ალბათ ჩვენთანაც მალე შეწყდება.

— მე ვერასოდეს ვერ მივატოვებდი აქაურობას, — უთხრა ირენემ.

— ვერც მე, მე მხოლოდ ის ვთქვი, რაც მამინაცვალმა შემომთავაზა. მივდივარ-მეთქი არ მითქვამს. გაფიცვები კი დაიწყოს, თუ დაიწყება.

ირენე მკერდზე მიეკრა მას.

— ძალიან ვნერვიულობ, — თქვა და მხარზე მოხვია ხელი ვაჟს, — არ ვიცი, რა მოუვიდა ჩემს ძმას.

— რა უნდა მოუვიდეს? — თქვა ედუარდომ და შეჩერდა.

18 მარტი

თუმცა მენოკალის უსაზღვროდ გვჯეროდა, რეინას ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში ღამის გასათევად აღარ მიგვესვლებოდა (შესაძლო იყო მენოკალს ჯიბეში რაიმე ქაღალდი დარჩენოდა, სადაც ჩვენი მისამართი ექნებოდა ჩაწერილი). სულ ცოტა ხნით ავედით ბინაში. პირადი ნივთები და საიდუმლო საბუთები უნდა წამოგვეღო. მთელი იარაღი მენოკალის მითითებით სხვაგან გვქონდა გადამალული. ისე ავედით ბინაში, რომ სახლის პატრონს არ დავუნახივართ. დიდ, მტვრიან ჩემოდანში ჩავალაგეთ ყველაფერი: რამდენიმე შარვალი, პერანგები, მენოკალის ძველი, ღიაყავისფერი კოსტუმი, ჯერ კიდევ იმ დროს რომ იცვამდა, როცა „ორთოდოქსალური ახალგაზრდობის“ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. ტანსაცმელს სწრაფად ვაწყობდით ჩემოდანში. დროდადრო სარკმელისაკენ ვიხედებოდით. ხმას არ ვიღებდით. ვცდილობდით, რაც შეიძლება ნაკლებად გვეხმაურა. მარკოსმა ჩემოდანი დახურა, მერე ოთახის ყოველი კუთხე-კუნჭული შეათვალიერა — რაიმე ხომ არ გვრჩებაო. უჯრებიც შეამოწმა, სარკმელში გაიხედა და ჩემკენ მოტრიალდა. მე ხელები მიკანკალებდა — თვალწინ ისევ მენოკალი მედგა.

— წავედით, — თქვა მარკოსმა და ჩემოდანი აიღო.

კიბეზე ისე ჩავედით, რომ სახლის პატრონს ამჯერადაც არ დავუნახივართ.

* * *

კასრით წყალი დაასხეს. გრძნობა დაუბრუნდა.

— აი, პოლკოვნიკიც მოვიდა.

— მაშ, ეს ნეხვიჭამია არა და არ ლაპარაკობს, — თქვა პოლკოვნიკმა.

— მე მგონი, მაინცდამაინც თქვენთან პირისპირ უნდა საუბარი, — უთხრა მეჭეჭებიანმა და გაიცინა.

— ყოჩაღი ყოფილა. ვნახოთ, რამდენ რაუნდს გამიძლებს.

ყოველი მხრიდან წამოადგნენ თავზე.

ჯერ მკერდში ჩასცხეს წიხლი. სუნთქვა შეეკრა. მერე ზანგმა აუჩქარებლად უთავაზა მუშტი მუცელში. როცა კი მისკენ გადმოაგდებდნენ, ყველაზე მტკივნეულ ადგილებში ურტყამდა — ქვემოდან ზემოთ. ამ ზანგისგან მძიმე წონის კარგი მოკრივე დადგებოდა. მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ წამს და მერე შავ მუშტს ქვასავით ურტყამდა.

— გეყოთ ამდენი ცემა, მოვკვდი... ღმერთო ჩემო!.. თუ ღმერთი გწამთ!.. ვაი დედა!..

— შენს ღმერთსაც და შენ დედასაც... შე თავხედო შენა, პოლიციელების მკვლელო!

— ურტყით, მაგრად ურტყით ამ ნაძირალას!

პოლკოვნიკმა ხელკეტი აიღო და იმით დაუწყო ცემა. კეტს თუ აიღებდა ხელში, მტრისას, აღარ გაჩერდებოდა. ერთხელ ვუყურე, როგორ ურტყა ერთ პატიმარს მთელი ნახევარი საათი, სანამ არ შემოაკვდა.

— მაშ კარგი, არ გინდა, არა, ლაპარაკი? შენზე უფრო ჯიბიდან გავარდნი-

ლები ამილაპარაკებია! ჩემს ხელში ყველანი ჭიკჭიკს იწყებენ, ყველანი, ყველაზე გაიძვერებიც კი. შენც აჭიკჭიკდები, შე ცვედანო, შე კახპის გაგდებულო! აბა, მოდით, მომეხმარეთ. ეგ ჯერ კარგად არ მიცნობს! იმდენი ვურტყათ, რომ ყუმბარების სროლის ხალისი წაუხდეს.

— გეყოთ, თქვე კაციჭამიებო!..

— სად არის შენი უფროსი?

— რევოლვერები სად გაქვთ დამალული? ვინ ესროლა მანკოს? [1]

— სად არის რევოლვერები?

კეტს ისე სწრაფად ატრიალებდნენ, რომ თვით კეტი აღარც კი ჩანდა.

— უყურეთ ერთი ამ მკვლელს, საწყალი, უდანაშაულო პოლიციელის მკვლელს! მის ოჯახს რა პასუხს აძლევ? ხომ ხარ ღირსი, ძვლები დაგილეწოთ!

— არაფერი არ ვიცი... მიშველე, დედი!..

— ურტყით, მაგრად ურტყით, ბიჭებო! — შეჰყვირა პოლკოვნიკმა და თვითონაც ცემა განაგრძო.

პოლკოვნიკს შუბლზე ოფლმა დაასხა. თუმცა ჰაერი კონდიცირებული იყო, ძლივს სუნთქავდა.

„უნდა ვივარჯიშო, ვბერდები, — გაიფიქრა მან, — ადრე მთელი დღე შემეძლო მერტყა“.

გუაჰირომ და იმან, ოთხმოცდათ კილოს რომ იწონიდა, ბიჭს ქამარში სტაცეს ხელი, გააქანეს და კედელს შეანარცხეს. ზურგი სისხლით შეეღება. ისევ გული წაუვიდა.

პოლკოვნიკმა ოფლი მოიწმინდა.

— არ ლაპარაკობს, მაგრამ არაფერია, ავალაპარაკებ ან არადა მოვკლავ!

18 მარტი

რა არ გადამხდენია თავს, მაგრამ 18 მარტი მაინც არასოდეს დამავიწყდება. რეინის ქუჩაზე ნაქირავები ბინიდან მე და მარკოსი გარეთ გამოვედით. უმიზნოდ დავიწყეთ ხეტიალი, არც კი ვიცოდით, სად წავსულიყავით. არც ის ვიცოდით, რა გვექნა. მენოკალზე ვლაპარაკობდით. ვინ იცის, როგორ აწამებდნენ იმ საწყალს. მე უკვე მეათასედ ვიმეორებდი (და დღესაც ამას ვამბობ), რომ მენოკალის დაჭერაში ბრალი მე მიმიძღვოდა; ეს აზრი ამეკვიატა, აღარ მასვენებდა. მასთან ერთად უნდა გავქცეულიყავი, ჯაშუშის ყურადღება უნდა მიმექცია, ან არადა, სულაც თავს დავსხმოდი მას. ამასობაში მენოკალი გაიქცეოდა. მე თუ დამიჭერდნენ, ჯანდაბას ჩემი თავი!

ჩაფიქრებული მივდიოდი. წარამარა ვეჯახებოდი გამვლელებს. თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: „მხდალი ვარ და ისღა დამრჩენია, ტყვია ვიკრა შუბლში“.

აგილას ქუჩა გადავკვეთეთ. ფრატერნიდადის პარკს მივუახლოვდით. მანქანები ნელა მოდიოდნენ მონტეს მხრიდან. მარკოსი სკამთან მივიდა. ზედ ჩემოდანი ჩამოსდო. ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა. შორიახლო არავინ ჩანდა.

---

[1] მანკო — ცალხელა. მეტსახელია.

— ვინც არ იცის მენოკალის დაჭერის ამბავი, უნდა გავაფრთხილოთ, — მითხრა მარკოსმა. მისი ხმა საოცრად ცივი მეჩვენა, სიტყვები კი აზრს მოკლებული.

— მენოკალის დაჭერა ჩემი ბრალია, — ვთქვი მე.

მარკოსმა თვალებში შემომხედა. მაშინვე არ მიპასუხა. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული. მე უკვე მონაყოლი მქონდა, როგორც მოხდა ყველაფერი. ავტობუსში ასვლის დროს მენოკალი ჯაშუშმა იცნო. ჩვენ სხვადასხვა მხარეს გავიქეცით. ჯაშუში მენოკალს გამოუდგა. ჯიბრზე იქვე პოლიციის მანქანაც გაჩნდა.

— იმ ძაღლმა რაკი მენოკალი იცნო, შენ რაც არ უნდა გექნა, მაინც არ გამოგედევნებოდა.

— ჩემი ბრალია! — ვთქვი მე.

— მე უკვე გავაგზავნე Habeas corpus[1] და იძულებული იქნებიან ოცდაოთხ საათში სასამართლოს წინაშე წარადგინონ მენოკალი.

— შეიარაღებული უნდა ვყოფილიყავი.

— ნუ დარდობ. ხომ გითხარი, უკვე გავაგზავნე-მეთქი Habeas corpus. მენოკალმა იცის, რომ უეჭველად გავაგზავნიდით. როგორმე ოცდაოთხი საათი უნდა გასძლოს. გესმის, მხოლოდ ოცდაოთხი საათი! ტყუილად დარდობ, — თქვა მარკოსმა და ჩემოდნის სახელურს ხელი მოუჭირა.

გავჩუმდი. სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე. ხელები მიკანკალებდა.

— ხელმძღვანელებთან წავალ, მოვილაპარაკებთ, რა ვქნათ.

— ხვალ უკვე მკვდარი იქნება, — ვთქვი და გამაჟრიალა.

— დღეს უფრო მეტი პოლიციელები უნდა დავხოცოთ.

ვიღაც გოგო და ბიჭი ჩვენს შორიახლოს სკამზე ჩამოსხდნენ. მარკოსმა ხმას დაუწია.

— ვედადოში მივალთ ჩვენი ხალხის სანახავად. ხვალ კი მენოკალი სასამართლოს წინაშე წარსდგება, — თქვა მან.

გუსტავო

მესამე სართულის დერეფანში მიდის. კიბესთან რობერტოს ხვდება. რობერტოს გახუნებული პერანგი და ძველი, გაქუცული ფეხსაცმელები აცვია. გუსტავო რობერტოს ჩაცმულობას უყურებს, საკუთარი გაკრიალებული ფეხსაცმელებისა და მოდაზე შეკერილი პერანგისა რცხვენია. რობერტო ღიმილით უწვდის ხელს. უსიტყვოდ ეშვებიან კიბეზე. დირექტორის მიერ მიჩენილი ჯაშუში შორიახლო დგას და გულდასმით უთვალთვალებს რობერტოს. რობერტო საშიშ სტუდენტად მიაჩნიათ, ამიტომ მის ყოველ ნაბიჯს ამოწმებენ. იგი უტეხად უსწორებს მზერას ჯაშუშს. გუსტავომ იცის, რომ რობერტოსთანა ხალხთან სიარულით სახელს იტეხს და შეიძლება ეჭვმიტანილთა სიაშიც კი მოხვდეს. დირექტორი ასეთ სტუდენტებს რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის

---

[1] Habeas corpus (ლათ.). — პიროვნების ხელშეუხებლობის კანონის საწყისი სიტყვებია.

სასწავლებლიდან რიცხავს. იგი გუსტავოს წყნარ ახალგაზრდად, კურსის საუკეთესო სტუდენტად სთვლის. რჩევაც მისცა, შფოთისთავებს მოერიდეო. გუსტავო კი, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უმეგობრდება ამ საშუალო ტანის, გამხდარ სტუდენტს. იგი გუსტავოზე უფროსია, თუმცა სწავლაში ბევრად ჩამორჩება მას (გუსტავო მეხუთე კურსზეა, რობერტო კი უკვე მესამედ დარჩა საღამოს სწავლების მესამე კურსზე). თან ისეთი ღარიბია, რომ გუსტავოს ეჭვიც კი ეპარება, აქვს თუ არა რობერტოს ყოველდღე ჭამისათვის სამყოფი ფული. სამაგიეროდ რობერტო გატაცებით ლაპარაკობს რევოლუციურ იდეებზე. ეს იდეები ადრე ძალიან ეუცხოებოდა გუსტავოს, ამ ბოლო დროს კი სულ უფრო და უფრო იზიდავს. გუსტავომ ნელ-ნელა მიატოვა ძველი ამხანაგები: მანოლიტო, როხელიო და სხვები. შეეშვა ლოთობას, თავაშვებულ ღრეობასა და გართობას. აღარც კახპებთან მიუწევს გული „პახარიტოში“ და „კოლუმბში“. უკვე სამი თვეა, რაც მათ აღარ გაჰკარებია. მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ მოსცილებია რობერტოს.

ადრე ისინი შემთხვევით ხვდებოდნენ ერთმანეთს შესახვლელში: გუსტავო ექვს საათზე გამოდიოდა სასწავლებლიდან, რობერტო კი ამ დროს მოდიოდა ლექციებზე. გუსტავოს ხშირად დაუნახავს რობერტო სასწავლებლის მოპირდაპირე მხარეს, კაფეში, სადაც იგი საღამოს სწავლების სხვა სტუდენტებთან ერთად ყავასა და გუარაპოს[1] სვამდა ხოლმე. ხანდახან შესვენების დროს მეორე სართულზეც ხვდებოდა დერეფანში. მოგვიანებით, როცა მათი მეგობრობა განმტკიცდა, უკვე წინასწარ დათქმულ დროს ხვდებოდნენ ერთმანეთს და თითქმის შვიდ-რვა საათამდე საუბრობდნენ ხოლმე.

ახლაც ერთად მიდიან ქუჩაში. გუსტავოს რატომღაც ჰგონია, რომ რობერტოს გოიკურიას ამბები პრესაში გამოქვეყნებულზე უფრო დაწვრილებით ეცოდინება. ქუჩის მეორე მხარეს რომ გადავლენ, გუსტავო სთხოვს რობერტოს, უფრო დაწვრილებით უამბოს ყველაფერი.

შორიახლოს პოლიციის მანქანა დგას (გოიკურიას ამბით დაშინებულები ახლა უფრო ადრე გამოდიან სამორიგეოდ).

რობერტო ზიზღით უყურებს პოლიციელებს. მერე გადაწყვეტს შორიდან შემოუაროს მათ.

— ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ, — ამბობს რობერტო გუსტავოს თხოვნის პასუხად, თან ყურადღებით აკვირდება პოლიციელებს.

გუსტავოს არ აკმაყოფილებს ასეთი მოკლე პასუხი და თხოვნას უმეორებს.

— კი, მაგრამ ასე იოლად როგორ შეიპყრეს?

შეკითხვა მცირე ხანს უპასუხოდ რჩება: რობერტო იცდის, სანამ ავტობუსი ჩაივლის, მერე კი ეუბნება:

— ალბათ დააბეზღეს.

გუსტავო სდუმს. წიგნები მეორე ხელში გადააქვს.

— ერთი ჩემი მეგობარი მოჰკლეს შეტაკების დროს.

— ეს ხომ უაზრობაა, — ამბობს გუსტავო.

რობერტო გუსტავოს სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს:

---

1 გუარაპო — შაქრის ჭარხლის წვენი.

— მეც უნდა წავეყვანე თან. დამპირდა, თუ რამეს დავაპირებთ, შეგატყობინებთო, მაგრამ, როგორც ხედავ, შენთან ერთად მოვდივარ ახლა საღ-სალამათი.

— ერთი ეს მითხარი, მერე რას იზამდნენ, მაგით რას მიაღწევდნენ?

რობერტო ჩერდება. ეტყობა, ასეთ შეკითხვას არ ელოდა. ვიღაც გამვლელი ეჯახება მას, ბოდიშს იხდის და გზას განაგრძობს.

— რა უნდა ექნათ?

— ეს ყაზარმა რომ აეღოთ, მერე რას იზამდნენ?

— არ ვიცი... მერე ალბათ სხვა ყაზარმებსაც შეუტევდნენ.

— ეგ უაზრობაა. ეგრე სულყველას ამოხოცავენ.

— მშობლები რომ მყოლოდა, ალბათ ისინიც ამას ოტყოდნენ.

— მშობლები რა შუაშია, მე ლოგიკურად ვმსჯელობ, ასეთი გზით ვერაფერს ვერ მიაღწევენ.

რობერტო აღარაფერს ამბობს. მხოლოდ მხრებს იჩეჩავს. დრაგონის ქუჩამდე უხმოდ მიდიან. პოლიციის განყოფილებასთან მარჯვნივ უხვევენ ხოსე მარტის თეატრისკენ. იქიდან ზარის ხმა ისმის. პრადოს კუთხეში, გაზეთების გადამყიდველთან კერძო მოვაჭრეები გაზეთებს ყიდულობენ და ცენტრალური პარკისკენ თუ მონტესკენ მიიჩქარიან. გაზეთების გადამყიდველი დროდადრო გაჰყვირის: „დაჭერები გრძელდება. გოიკურიაზე მოწყობილი თავდასხმის ხელმძღვანელობას პრიოს სდებენ ბრალად“.

გუსტავო გაზეთს ყიდულობს, სახელდახელოდ ათვალიერებს და რობერტოს უწვდის. პრადოს ქუჩაზე, პატარა ბაღში, ნათურები ძლივს ბჟუტავს. ბაღის სიღრმეში დროდადრო ციცინათელებივით ანათებენ სიგარეტები. გუსტავო ისევ თავისას ამბობს. ნელი ნაბიჯით მიემართებიან მონტესკენ.

— უკეთ შეეძლოთ ყველაფრის მოწყობა, — გუსტავო ცდილობს დამაჯერებლობა შემატოს საკუთარ სიტყვებს და ამიტომ ხელს ენერგიულად იქნევს.

— მთავარია, რომ გაბედეს, — ეუბნება რობერტო და ქვას ფეხს ურტყამს.

— მე სხვა რამეს ვამბობ. საქმე ის არის, რომ ჩანაფიქრი ცუდად შეასრულეს.

— ასეა თუ ისე, დაჭერა მაინც არ ასცდებოდათ. პოლიცია უკვე ეძებდა მათ. არც ფული ჰქონდათ და არც დასამალი ადგილი. ჩემს მეგობარს ორი ღამე ბაღში ეძინა. ყველა თუ ერთად აღვსდგებით, იცოცხლე, ვეღარაფერი დაგვიდგება წინ, — ამბობს რობერტო. მისი ნათქვამი უპასუხოდ რჩება.

მონტეს ქუჩამდე მიდიან და ჩერდებიან. გუსტავო ქვემოთ იცქირება. ორი კვარტალის იქით, ეხიდოზე ავტობუსი გამოჩნდა. იგი ნელა, სპილოსავით მოიზლაზნება.

— ავტობუსი მოდის, — ამბობს გუსტავო, — ხვალ გნახავ.

— კარგი, — ეუბნება რობერტო და მიდის.

გუსტავო ავტობუსიდან იხედება, მაგრამ რობერტო აღარ ჩანს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პრქოლი ალპოვი

ორმაგი მარყუჟი

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ

— მაშ თქვენ ივან ხარიტონოვიჩს არსად გაჰყოლიხართ?

ვარვარამ დაირცხვინა, გაწითლდა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— არსადაც არ წავყოლივარ.

— გულზე ხელს დაიდებ და ნამდვილად იტყვი, ვარია?

— ჰო, რესტორანში ვიყავით. მერე რა მოხდა, რა არის აქ დასაძრახისი?

— რაიმეს თუ მოგიყვათ თავის თავზე?

— არაფერი არ უთქვამს, — გაჯავრებული მპასუხობს ვარვარა. — წამდაუწუმ ღვინოს მისხამდა და თავის გრძნობებზე მელაპარაკებოდა, ბებერი ქოფაკი, ფული ჩეჩქივით აქვს. ვერც კი დაითვლი. ჩემი თვალით დავინახე. ბოლოს კი რაღაც კოლოფი ამოიღო. იცით, რა იყო შიგ? სამაჯური! მერე როგორი! — ვარვარა აღფრთოვანებისაგან ხელისგულებს სახეზე იფარებს და თვალებს ხუჭავს. — პირდაპირ გადარევა შეიძლება. ხუთას სამოცდათექვსმეტი მანეთი ღირებულა, წარმოგიდგენიათ!

ვარვარამ ისე ცოცხლად და დაწვრილებით აღწერა ის სამაჯური, რომ საიუველირო ხელოვნების ეს საოცარი, ბრწყინვალე ქმნილება თვალწინ წარმომესახა.

— მერედა გაჩუქათ ის სამაჯური?

— მაჩეჩებდა, — მოულოდნელი ზიზღით წამოიძახა ვარვარამ. — მხოლოდ მე ჩემს თავს ფულზე არ ვახურდავებ. ადამიანი უნდა გიყვარდეს. მაშინ იმ ძვირფასი ქვების გარეშეც შეიძლება კაცს დანებდე.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გვარიანი საუბარი გამოგვივიდა, დელიკატური. ვემშვიდობები და ჩაისთვის მადლობას ვუხდი.

ვარვარა უკვე დაწყნარდა, მზერა დახარა, დინჯად, მორცხვად იღიმება. მე განყოფილებაში ვბრუნდები.

კარებში ვალია დენისოვს შევეჩეხე.

ოჰო! ვალია აღელვებული ჩანს. საერთოდ ეს დინჯი, ძალზე მშვიდი კაცი, ეტყობა, საკუთარ ტყავში ვერ ეტევა. პალტოს გადანაკეცზე ხელი მომკიდა და მეუბნება:

— ვიტალი, ყური დამიგდე! ამ წუთს პენზიდან დაშიფრული დეპეშა მივიღეთ. ნიკოლოვი სახლში დაბრუნებულა. არხეინად შინ დაბრუნებულა, წარმოგიდგენია?

მე გაოცებული და თავგზააბნეული შევცქერი.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“, № 3.

თავი IV

ორეული

დილიდანვე დამბლადაცემულივით ვარ. გულისყური ვერაფერს დავუდეგონებაში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს: ნიკოლოვი აღმოჩნდა და შინ ისე დაბრუნდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. რას უნდა ნიშნავდეს ეს? უპირველეს ყოვლისა, მის მოსაძებნად ჩვენ აღარ ვიხეტიალებთ ქალაქიდან ქალაქში. აღარ მოგვიხდება უამრავი ხალხის დაკითხვა და თავის ტეხვა. ნიკოლოვი, დიახ, მისი საკუთარი პერსონა აქა ბრძანდება. რაღა თქმა უნდა, ახლაც ბევრი მუშაობა დაგვჭირდება. პირველ ყოვლისა, სწორი კითხვების მოფიქრება. ცხადია, იგი ბევრს იეშმაკებს, მიედ-მოედება, ყველაფერს მიხლართ-მოხლართავს, უკვე წინასწარ ექნება ყველაფერი აწონილ-დაწონილი და ეშმაკურად გამიზნული, მაგრამ ყოველივე ეს რა შედარებაა იმ სამუშაოსთან, რისი ჩატარებაც ჩვენ მოგვიწევდა, ნიკოლოვი რომ არ გამოჩენილიყო. მეორეც, მისი შინ დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო შეხვედრა უკვე დამთავრებულია და სჩანს, იმ „არამზადასთან“ ანგარიში გაასწორეს. ეს კი უკვე სერიოზული ამბავია. შესაძლოა, გამოუსწორებელიც. და ბოლოს, მესამე კი ის გახლავთ, რომ ეს საქმე დასასრულს უახლოვდება. ახლა მთავარია, ნიკოლოვი მოინახოს, უნდა ველაპარაკოთ. ნეტავი რას წარმოადგენს, რა კაცია. მე პენზაში უნდა გავემგზავრო და რაც შეიძლება სწრაფად!

ჩემი ეს მოსაზრებები კუზმიჩთან თათბირზე გავუზიარე თანამშრომლებს, როცა კუზმიჩი, როგორც იქნა, თავის კაბინეტში ვიხილეთ. იგი დილიდან სამმართველოში გამოიძახეს და ჩვენი თათბირი მხოლოდ ნაშუადღევს შედგა.

მე მხურვალე და აჩქარებული სიტყვა წარმოვთქვი. რაც შეიძლება ჩქარა მინდოდა გადმომეფრქვია ყველა ჩემი მოსაზრება. სიტყვა რომ დავამთავრე, კუზმიჩმა ჩაიცინა და ვალია დენისოვს მიმართა:

— ახლა კი დაწვრილებით, საზრიანად და დალაგებულად მომახსენე, რა ცნობა მიიღე პენზიდან.

ვალია მშვიდად ახსენებს.

— ნიკოლოვი ორი დღის წინ დაბრუნდა. წუხელ კი თავისი ფეხით მივიდა მილიციის განყოფილებაში და პასპორტი დავკარგეო, განაცხადა. მოსკოვიდან სახლში დაბრუნებისას დავკარგეო, უთქვამს. მას ძალზე ფრთხილად და შემპარავად გამოჰკითხეს ყოველივე, რომ არ დაეფრთხოთ. რაღა თქმა უნდა, სასტუმროში მომხდარი ქურდობის თაობაზეც ესაუბრნენ. ეს მართლაც საუბარი იყო და არა დაკითხვა.

— რა ჩვენება მიუცია ამ საუბრის დროს? — იკითხა კუზმიჩმა.

— პასპორტის შესახებ — არაფერი მნიშვნელოვანი. დავკარგეო, — ეს არის და ეს. შესაძლოა, მატარებელში მომპარესო, უთქვამს.

— მაშასადამე მატარებლით უმგზავრია.

— დიახ, ასე ამბობს, მატარებლით ვიმგზავრეო.

— საინტერესოა. შემდეგ, განაგრძე.

— სასტუმროზე რომ მიდგა საქმე, უკვე რაღაცას მიედ-მოედება, — განაგრძობს დენისოვი თავის მოხსენებას. — მართალია, სასტუმრო სწორად დაასა-

ხელა, მაგრამ ერთთავად იმას გაიძახის, არავითარი ქურდობა არ მომხდარა და მე არაფერი დამიკარგავსო.

— ეს როგორ, კოფთებზე რა სთქვა? — ჩავერიე მე.

— ამბობს, არავითარი კოფთები არა მქონიაო.

— კინოსავით ამბავი კია, — ჩაურთო პეტია შუხმინმა.

— ამაზე მეტი აღარაფერი უკითხავთ, — დაამთავრა ვალიამ თავისი მოხსენება. — პასპორტის დაკარგვის თაობაზე მისი განცხადება მიიღეს და მორჩა.

— სწორად მოქცეულან, — ამბობს კუზმიჩი და მშვიდად უმატებს: — ეხლა კი იმ მეორე საქმეზე მომახსენე, იმ მოგზაურ მოქალაქეებზე, ოთხი ქალაქიდან რომ აიყარნენ და გზას გაუდგნენ.

— გასაგებია!

ვალია საქაღალდეს ხსნის, რომელიც ამ საუბრის დროს მუხლებზე ედო, და იქიდან ჩვენთვის ნაცნობი ცხრილი ამოაქვს.

უცებ შევნიშნე, რომ ვალიას ცხრილში კიდევ ახალი სვეტი თითქმის უკვე შევსებული ჰქონდა.

— მაშ ასე, — ამბობს ვალია და ცხრილში იცქირება. — დავადგინეთ, ვინ სად გაემგზავრა, არც ისე ძნელი საქმე აღმოჩნდა.

— ასე განცხადება არა სჯობს! — ადგილიდან ბოხი ხმით წამოიძახა პეტია შუხმინმა,—თორემ ის რომ სთქვით: „გაქრნენო“, ჯუნგლებში ვცხოვრობთ თუ რა?

ვალია პეტია შუხმინის ამ რეპლიკას ყურადღებას არ აქცევს და მშვიდად განაგრძობს:

— ჩვენ მიღებული გვაქვს შემდეგი ცნობები: ლეონიდ ვასილევიჩ პალატოვი როსტოვიდან მივლინებით სვერდლოვსკში გაემგზავრა.

— მათი მუშაობის ადგილიც დაასახელე და შეგვახსენე ხოლმე, — ეუბნება კუზმიჩი.

— გასაგებია. პალატოვი — როსტოვის ერთ-ერთი ქარხნის კომუნალური მშენებლობის განყოფილების უფროსია. შემდეგ — გალინა ოსტაპოვნა კოჩერგა, ოდესაში მუშაობს საკომისიო მაღაზიის გამყიდველად. მას ერთი კვირით უხელფასო შვებულება აუღია და კრასნოდარში წასულა ავადმყოფი დედის სანახავად. სხვათა შორის, იმ ქალმა გამოძახების ტელეგრამა წარადგინა. ორესტ ანტონოვიჩ სოკოლსკი — ლენინგრადში ვაჭრობის სამმართველოს დირექტორის მოადგილეა. იგი მივლინებით ხარკოვში გაემგზავრა. დასასრულს — ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკო, სარატოველი ექიმი — ძალზე სამწუხარო მიზეზის გამო — მამის დასაკრძალავად გაემგზავრა ასტრახანში.

ამ დროს გამკრა გონებაში, რომ მოქალაქე კლიაჩკოს პასპორტით სატრანზიტო მგზავრობის სადგურის ერთ-ერთ ოთახში მუშანსკი ცხოვრობდა. ახლა ამას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მე მაინც რაღაც შვება ვიგრძენი.

— პუნეჟის შესახებ კი, ფეოდორ კუზმიჩ, ვერაფერს ვერ ვიტყვი, — ამთავრებს ვალია, — იქ ნიკოლოვის აბონენტი ჯერ არ არის დადგენილი.

— რაკი ნიკოლოვი გამოჩნდა, ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, — ვეუბნები მე. — ნიკოლოვს უნდა ჩავავლოთ ქეჩოში ხელი და საქმე დამთავრდება კიდეც.

— ჰმ, — გაურკვევლად წარმოთქვა კუზმიჩმა და მზერა იგორზე გადაიტანა.

— აბა შენ, ოტკოლენკო, შენ რაღას იტყვი!

— ლოსევს ვეთანხმები, — სთქვა იგორმა და დაუმატა: — პენზაში თვითონვე უნდა გაემგზავროს.

— ფეოდორ კუზმიჩ, — გაბედულად წამოვიმართე ადგილიდან, — კიდევ ერთი ცნობა უნდა მოგაწოდოთ.

ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, თვალები უნებურად პეტია შუხმინისკენ გამექცა. მან მზერა მომარიდა. მშვენივრად იცის, რაზედაც უნდა ვილაპარაკო და მეც პიროჟკოვზე ვყვები, ყველაფერს ვყვები, იმასაც, პეტია როგორ მოექცა და პიროჟკოვს ჩივილი რომ უნდოდა მასზე კუზმიჩთან. გაცხარებითა და ძალზე მკაცრად ვყვები. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ის სქელ-სქელი პიროჟკოვი მეცოდება, იმ კაცის მიმართ რაღაც სიმპათიით განვიმსჭვალე, თუმცა ისიც ვიაზრე, რომ არც ის უნდა იყოს მამა აბრამის ბატკანი.

როდესაც დავამთავრე, კუზმიჩმა ცივად წარმოსთქვა:

— საქმე ის როდია, პიროჟკოვი კარგი ადამიანია თუ უვარგისი, იქნებ გარეწარი და ძალიან ცუდი კაციც იყოს. მთავარი ისაა, რომ იმ ადამიანმა ჩვენ გვთხოვა, დახმარება აღმომიჩინეთო. გასაგებია? პირველად ჩვენ მოგვმართა. მფარველობა და შემწეობა გვთხოვა. და რას შეეჩეხა? უხეშობას, გულგრილობას და კიდევ ეშმაკმა იცის, რას გადაეყარა.

კუზმიჩი თანდათანობით უფრო და უფრო განრისხდა. ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. მე მგონი, სხვებსაც ასე დაემართათ. კუზმიჩი ძალზე იშვიათად მიდის უკიდურეს მრისხანებამდე და მაშინ ერთმა ღმერთმა უწყის, რით დამთავრდება ხოლმე ყოველივე.

— თქვენი აზრით რისთვის ვართ აქ? — მკაცრად და შეუვალად განაგრძობს კუზმიჩი. — რისთვის გვაჭმევს სახელმწიფო პურს? გაიძვერები რომ ავლაგმოთ და დავიჭიროთ? მერედა რისთვის? პირადად იმათთვის თუ ხელოვნებისათვის? არა, ჩემო ძვირფასებო! საქმე ასე წინ ვერ წავა. რაკი ჩვენი მუშაობის არსსა და მიზანს ვერ ჩასწვდა, შუხმინი გასაგდებია! ჩვენ არამზადებს, მკვლელებსა და გაიძვერებს ვიჭერთ არა აღრიცხვისათვის, თავის გამოსაჩენად და პრემიების მისაღებად, არამედ ხალხისათვის, ვინც შველას და დახმარებას მოელის ჩვენგან! ყველა ადამიანს, ვინც ჩვენ მოგვმართავს, დახმარება უნდა გავუწიოთ, გასაგებია თქვენთვის? და თუ ჩვენ თვითონ შეურაცხყოფას მივაყენებთ მათ და ვაწყენინებთ, პოლიციელ დერჟიმორდებად და საფრთხობელებად მოგვნათლავენ და მართალნიც იქნებიან. ჩვენ შიშსა და სიძულვილს დავიმსახურებთ და არა პატივისცემას. მაშინ მე თვითონ პირველი წავალ აქედან, სირცხვილად მივიჩნევ ჩემს სამსახურს მილიციაში. კუზმიჩი მრისხანედ უცქერს გაჭარხლებულ პეტიას და ასე ამთავრებს: — შენთვის, შუხმინ, ჩვენი შერცხვენის უფლება არავის მოუცია, შენ არა გაქვს უფლება ზიზღი და სიძულვილი დასთესო ჩვენს მიმართ ადამიანების გულებში. პირველად და უკანასკნელად გაფრთხილებ. ამას ყველას საყურადღებოდ ვამბობ. შეუწყნარებლად გაგაძევებთ და გაგაგდებთ, ეს იქონიე მხედველობაში, შუხმინ! უკანაც არ მოვიხედავთ, ეს კარგად დაიმახსოვრე!

კუზმიჩი გაჩუმდა და გაჯავრებულმა მაგიდის უჯრიდან სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი ამოიღო.

სუყველას გუნება დაგვიმძიმდა. ვდუმვართ.

კუზმიჩმა სიგარეტს მოუკიდა, ბოლი ხელით გაჰფანტა და უკვე წყნარად განაგრძო:

— ეხლა კი მუშაობა განვაგრძოთ. აბა, რა მოგვცა იმ პიროჟკოვის მოსვლამ.

— ჯერჯერობით ისე გამოდის, რომ არაფერი მნიშვნელოვანი. — ხმადაბლა ვპასუხობ მე. კიდევ არა ვარ გონს მოსული და ისევ კუზმიჩის მრისხანე სიტყვის გავლენის ქვეშა ვარ მოქცეული. — იმიტომ, რომ ნიკოლოვი... ჩემის აზრით, მოსკოვში მხოლოდ ბადრაგის თანხლებით თუ გამოჩნდება. მაშინ კი პიროჟკოვი რაღაში დაგვჭირდება.

— მეც ასე ვფიქრობ, — ცივად დამეთანხმა კუზმიჩი. — მაგრამ პიროჟკოვმა პირველმა მოგვცა ხელთ პირდაპირი სამხილი ნიკოლოვის წინააღმდეგ. აი ესაა მნიშვნელოვანი. სწორედ ეს გვაძლევს შესაძლებლობას, ბრალი დავდოთ ნიკოლოვს შანტაჟის, გარიგების, არაკანონიერი გარიგებისათვის. — კუზმიჩი შეჩერდა. სჩანს, რაღაცას ფიქრობს. — აი, რას გეტყვით: ლოსევი და ოტკოლენკო დაუყოვნებლივ გაემგზავრებიან პენზაში, — საათს შეხედა, — ეხლა ცხრამეტი საათია. როდის მიფრინავს პენზისაკენ უკანასკნელი თვითმფრინავი?

იმ კედელთან მივედი, სადაც საჰაერო მიმოსვლის განრიგი ეკიდა. გამოირკვა, რომ თვითმფრინავი ოთხი საათის შემდეგ გადიოდა.

— ფეოდორ კუზმიჩ, შესაძლოა ბილეთები აღარ იყოს სალაროში.

— აბა, აბა, — ჩაიცინა კუზმიჩმა. — როგორმე მოვახერხებთ. მოემზადეთ. ერთი საათით ადრე აეროპორტში იქნებით. იქ დაგიხვდებიან.

კუზმიჩი დრო და დრო ისეთი მოძრავი, მოქმედი და შინაგანი ენერგიით აღსავსეა ხოლმე, რომ გაგიკვირდებათ.

მაშასადამე, ჩემს განკარგულებაშია სამი საათი და ამ დროში ყველაფერი უნდა მოვასწრო. გონებაში ვანგარიშობ. ახლა მანქანას მოვითხოვ და ოც წუთში შინ ვიქნები. ნახევარ საათს მომზადებას და დამშვიდობებას მოვუნდები. თხუთმეტ წუთში სვეტკასთან გავჩნდები. იქ შემიძლია ერთი საათი დავრჩე და ამის შემდეგ ორმოცდათხუთმეტი წუთი აეროპორტში მისასვლელად დამრჩება. მხოლოდ აუცილებელია გრაფიკი ზუსტად დავიცვა.

დავიცავი კიდეც.

სამი საათის შემდეგ მანქანა უკვე კიევის გამზირისაკენ მიმაქროლებს. ჩვენი მანქანა ძალიან მსუბუქად და სწრაფად უქცევდა გზას სხვა მანქანებს, ჩვენი მძღოლი ვალოდია ოპერატიული მუშაკია. ეს კი უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, გარწმუნებთ. მისი მანქანის მოტორი ხომ რამდენადმე განსხვავდება ჩვეულებრივისაგან.

აეროპორტის ახალ შენობას დროზე მივუახლოვდით.

შესასვლელთან აურაცხელი ხალხი ირეოდა. მიმსვლელ-მომსვლელთა შორის უცებ მოვკარი იგორს თვალი. ის ვიღაც ჩვენთვის უცნობ ოფიცერს ელაპარაკებოდა. მივუახლოვდი. ოფიცერი აეროპორტის თანამშრომელი აღმოჩნდა. მან ბილეთები გადმოგვცა, კეთილი მგზავრობა გვისურვა და დაგვემშვიდობა.

ჩვენი თვითმფრინავის გასაფრენად მზადყოფნაც გამოაცხადეს და ჩასხდომაც დაიწყო. მსუბუქი ბიძგი. თვითმფრინავი ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან, უცებ მოწყდა მიწას და ჰაერში აიჭრა.

ძილისაგან შეუმჩნევლად მეხუჭება თვალები.

— მე ის მიყვარს, — უცებ ყრუდ სთქვა იგორმა. — ნამდვილად მიყვარს. ?ის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

— ვხვდები, — ვეუბნები მე.

უცებ გამოვფხიზლდი.

— ვერაფერსაც ვერ ხვდები. შენ ვერ გაიგებ ამას...

— რატომ? არც ისე ძნელად გასაგები რამაა, — ვეუბნები და თან ჟურნალს ვათვალიერებ.

— ძნელია, საშინლად ძნელია.

იგორიც არ მიყურებს თვალებში, თითქოს სივრცეში ლაპარაკობს. ორივეს ასე უფრო გვიადვილდება საუბარი.

— ლენასთვისაც ძნელია? — ვეკითხები მე.

იგორი უკვე ალმაცერად მიყურებს.

— შენ როგორ ფიქრობ?

იგი ჩემი გულთამხილაობით განცვიფრებულია და შეშფოთებას ვერ ფარავს.

— ვფიქრობ, მისთვისაც ძნელი იქნება, — დათმობაზე მივდივარ მე. დიახ, მე უკვე რაღაც-რაღაცეებისათვის ყური მაქვს მოკრული, ლენა ხომ ჩვენს სამმართველოში მუშაობს.

— ასეა! დიმკას რაღა ვუყო, — განაგრძობს ჩაფიქრებული იგორი. — დიმკა— მთავარია. შესაძლოა, რომ წამოიზრდება, გამიგოს, მაგრამ ეს ამბავი ოცი წლის შემდეგ იქნება. ეხლა კი რას იფიქრებს?

— მართალი ხარ, დიმკაა მთავარი, — ვეთანხმები მე.

მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი ორივეს ძალზე გაგვიჭირდა, ისეთი შვება ვიგრძენი, თითქოს მეგობარი ახლად შემეძინოს.

იგორი ჩემს განცდებს ვერ ამჩნევს. ეს არც სოლიდურობას მატებს და არც მრავლისმეტყველ შესახედაობას ანიჭებს.

რაგოზინი ყოფილი მეზღვაურია. თითებიც კი სვირინგებით აქვს სავსე. ეტყობა, ამ ამბავს განიცდის, ერიდება და სულ იმას ცდილობს, ხელები დამალოს.

რაგოზინი ქალაქის სამძებრო განყოფილების უფროსია, სამაგალითო მუშაკი და თანაც ისეთი ეშმაკი, ვისი ბადალიც ცოტა თუ მოიძებნება.

ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ. იგი მეცა და იგორსაც პირდაპირ სახელით მოგვმართავს, ჩვენ კი სახელითა და მამის სახელით მივმართავთ ხოლმე. ის ერთი თხუთმეტი წლით მაინც არის ჩვენზე უფროსი, თანაც წოდებითაც მეტია ჩვენზე.

მის კაბინეტში ვართ. საკმაოდ ძველ, ტყავის დივანზე მოვკალათდით და სიგარეტები გავაბოლეთ.

— აბა, ბიჭებო, დაისვენეთ და მოიკეთეთ? — გვეკითხება რაგოზინი.

— აბა როგორ, — ვუპასუხე ორივეს მაგივრად მე.

— ერთად ვისადილებთ, — მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს რაგოზინი. — ახლა კი მომისმინეთ და გეტყვით, რაც ვიცი ნიკოლოვის შესახებ.

როგორც ჩანს, ამ ორ დღეში აქ რაღაც-რაღაცა ცნობები შეუკრებიათ ნიკოლოვზე. ეს ცნობები ჩვენთვის დიდს არაფერს წარმოადგენს. მათ შორის სამუშაო ადგილებიდან დახასიათებებიცაა. შესაძლოა, თავის პროფესიაში ვერაფერი შვილია და საქმეში დიდ თავგამოდებასა და გულმოდგინებასაც ვერ იჩენს,

მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, ნიკოლოვს რა მისწრაფებებიც ასულდგმულებს და როგორი სიბეჯითით, მუყაითობითა და ინტერესით იღწვის დასახული მიზნების განსახორციელებლად. მხოლოდ ერთი დეტალი იქცევს ჩვენს ყურადღებას. ხშირი მიმოსვლა მოსკოვში და არა მარტო მოსკოვში. ძალიან ხშირად, რამდენიმე დღით, დათხოვნია უფროსობას და საკუთარი სახსრებით უმოგზაურია აქეთ-იქით. სხვა ყველაფერი ნიკოლოვის ცხოვრებაში ჩვეულებრივია. ცოლიანია, თერთმეტი წლის ვაჟიშვილი ჰყავს, თითქოს ხელმოკლედაც ცხოვრობენ. არცთუ ისე საეჭვო ნაცნობობა ჰყავს: რა საოცარი განსხვავებაა ამ ცნობებსა და ნიკოლოვის მოსკოვში ხელგაშლილ ცხოვრებას შუა. მის მეუღლეს შეიძლება არც კი დასიზმრებია, რა არის უზრუნველი ცხოვრება! ჰო, მართლა, ნიკოლოვს ცოლთან თურმე ხშირად აქვს უსიამოვნება, რის გამოც მისი ცოლი ვაჟიშვილთან ერთად თავის მშობლებთან გარბის ხოლმე.

აი, ეს არის და ეს, რაც ჩვენს აქაურ კოლეგებს ნიკოლოვზე შეუტყვიათ. არცთუ ისე ბევრი რამაა. ჩვენ უფრო მეტი ვიცით.

— როგორ იქცეოდა ეს ორი დღე? — შეეკითხა იგორი.

— ჩვეულებრივად. შინიდან სამსახურში, სამსახურიდან შინ. გუშინ მეუღლესთან ერთად კინოშიც კი ყოფილა. მეუღლე ნაყინზე დაუპატიჟია, — ჩაიცინა რაგოზინმა. — ჯერჯერობით მშვიდობიანად არიან.

მერე ჩვენ ერთხელ კიდევ გადავათვალიერეთ რაგოზინთან ერთად ყოველგვარი ცნობები, საკუთარი ჩანაწერები და ცალკეული დეტალები დავაზუსტეთ.

მოულოდნელად შევნიშნეთ, რომ უკვე ათი საათი გამხდარა. ტელეფონის ზარი გაისმა და მორიგემ ნიკოლოვის მოსვლა გვამცნო.

ახლა კი ყველაზე მთავარი რამ იწყება. კეთილი იყოს თქვენი მობძრანება, მოქალაქე ნიკოლოვ. თქვენი გაცნობა ძალზე საინტერესო იქნება. ნეტავი როგორ ახსნას მოუძებნით თქვენს ზოგიერთ ქცევასა და მოქმედებას. არა მგონია, ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავცილდეთ.

შევთანხმდით, რომ ნიკოლოვთან მე უნდა მესაუბრა, რადგან ამ საქმეს ყველაზე უკეთ მე ვიცნობდი.

სწორედ აქეთ გამომგზავრების წინ ძალზე საინტერესო ექსპერტიზა ჩავატარეთ. უფრო სწორედ, ექსპერტიზა ჩვენი თხოვნით იქნა ჩატარებული. ბარათის ის ხელწერა, რომლის ანაბეჭდიც მე აღმოვაჩინე, შეუდარეს იმ ხელწერას, სასტუმროში დაბინავების წინ სარეგისტრაციო ფურცლის შევსებისას რომ დაუტოვებია. და ყველაფერი დაემთხვა. ის უცნაური, საეჭვო ბარათი ნიკოლოვს დაუწერია.

ერთი სიტყვით, სალაპარაკო საკმარისად არის.

რაგოზინმა სთხოვა მორიგეს ნიკოლოვი მასთან გამოეშვათ.

ერთი წუთის შემდეგ ზღურბლზე მაღალ-მაღალი, გამხდარი მამაკაცი გამოჩნდა. თმაში ჭაღარა ერია. თავი წინ მოტვლეპილი ჰქონდა, რის გამო ისედაც ფართო შუბლი კიდევ უფრო დიდი მოუჩანდა. ყურები რაღაც უცნაურად განზე ჰქონდა გაშვერილი, თითქოს გაჰფშეკოდა. სახე უღიმოდა და, უნდა გულახდილად ვთქვა, საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობა ჰქონდა. სადა, უბრალო კოსტუმი ეცვა. ნეილონის საზღვარგარეთული მოკლე პალტოს ღილები შეეხსნა, კისერზე ჭრელი მოხერის კაშნე შემოეხვია, ხელში კი ბრტყელი, საკმაოდ მოდური მუქი ფერის ჩემოდანი-ხელჩანთა ეჭირა. გარეგნულად ნიკოლოვი ძალზე

მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს ოპტიმისტურადაც კი. თუმცა მზერაში გაფაციცება შევნიშნე.

ნიკოლოვის შესახვედრად წამოვდექი. იგორი და რაგოზინი დივანზე სხედან და რაღაც საუბარში არიან გართულნი. საჭიროება არ მოითხოვს, რომ ნიკოლოვს ისეთი აზრი შეექმნას, თითქოს მისი გულისთვის ვიყავით შეკრებილნი.

ნიკოლოვი გულგახსნილი კაცივით ძალდაუტანებლად გვესალმება და მომხიბლავად მიცინის.

იწყება საუბარი.

— ივან ხარიტონოვიჩ, მე მინდოდა თქვენს მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დეტალი დამეზუსტებინა.

— ბრძანეთ, ბატონო, — მომმართა ნიკოლოვმა.

მე ვგრძნობ, რომ ის შინაგანად მთლიანად დაიძაბა და ღიმილი ნაძალადევი გაუხდა.

— რომელ სასტუმროში ცხოვრობდით მოსკოვში ყოფნისას?

ნიკოლოვმა უკვე ჩემთვის ცნობილი სასტუმრო დაასახელა.

— როდის გამოემგზავრეთ, თუ გაემგზავრეთ იქიდან?

ნიკოლოვი სულ სხვა დღეს ასახელებს. მისი სიტყვებით იგი ოთხი დღის წინ წამოსულა მოსკოვიდან. საკვირველია, რომ ნიკოლოვი ასეთმა ელემენტარულმა კითხვამ დააბნია. მე ის მანცვიფრებს, როგორ არ მოამზადა წინასწარ პასუხი.

— არა, ივან ხარიტონოვიჩ, — თავაზიანად შევეპასუხე მე. — თქვენ ორი კვირის წინათ გაემგზავრეთ იქიდან. აი ცნობაც სასტუმროდან.

ნიკოლოვი დიდი გულმოდგინებით დაჰყურებს ცნობას. მეჩვენება, რომ იგი გაკვირვებულია და ცნობისმოყვარეობით აღსავსე ჩაჰკირკიტებს ამ ცნობას, შემდეგ თავისთვის რაღაცას ფიქრობს და ბოლოს ძალზე დაწყნარებით მეკითხება:

— კი მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, როდის გამოვემგზავრე მე მოსკოვიდან? დავუშვათ, რომ ორი კვირით ადრე გამოვემგზავრე, მერე რა მოხდა?

— სად იმყოფებოდით ამ დროის მანძილზე?

ნიკოლოვი აღარ იღიმება და მრისხანედ ამბობს:

— არავის საქმე არაა, მე სად ვიყავი.

გამოზომილი და ზუსტი პასუხი გამცა. მართლაც, ვიდრე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღგვიძრავს და ოფიციალურად არ დაწყებულა გამოძიება, მას უფლება აქვს ჩვენს ამდაგვარად დასმულ კითხვებს არ უპასუხოს.

— დიახ, რა თქმა უნდა, — ვეთანხმები მე. — ჯერჯერობით თქვენ შეგიძლიათ არ უპასუხოთ კითხვაზე. დავუბრუნდეთ სასტუმროს. სწორედ იმ დღეს, როდესაც სინამდვილეში წამოხვედით მოსკოვიდან, სასტუმროში თქვენი საცხოვრებელი ლუქსი გაქურდეს.

— მაგ ქურდობაზე მე არა შემიტყვია რა, — ნერვიულად მპასუხობს ნიკოლოვი. — მე უკვე გითხარით: არაფერი არ დამიკარგავს. პასპორტი კი უფრო გვიან მომპარეს გზაში.

— დიახ, პასპორტი სჩანს მერე ამოუცლიათ, — ვეთანხმები მე. — ხოლო

ქურდი, თქვენს ნომერში რომ შეიპარა, დაკავებული გახლავთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღიარა კიდეც თავისი დანაშაული.

— წარმოდგენა არა მაქვს მაგ ქურდობაზე. მე არავის გავუქურდივარ, მორჩა და გათავდა.

— ჩვენ კი მაინც აღმოვუჩინეთ იმ ქურდს თქვენი ნივთები. აი, ნახეთ. სცნობთ თუ არა?

ლუქსიდან მუშანსკის ნაპარავი ნივთები ამოვიღე და ნიკოლოვს ვუჩვენე.

იგი მშვიდად და ერთგვარი ზიზღით დასცქერის კოფთებს, უარყოფის ნიშნად თავს აქნევს და მეუბნება:

— ეს ჩემი ნივთები არაა.

უნდა ვაღიარო, რომ ნიკოლოვის მიერ არჩეული მოქმედებისა და საქციელის გეგმაში რაღაცა ლოღიკა არსებობს, თუმცა ეს საქციელი ნიკოლოვს კარგს ვერაფერს მოუტანს.

— ეს ნივთები თქვენი ნომრიდანაა,—ვეუბნები.—მოწმეებიცაა გვყავს: სართულის მორიგე და დამლაგებელი ქალი.

— სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მე მოწმედ არ გამოგადგებით.

— რასაკვირველია, თქვენ დაზარალებული ბრძანდებით, ასე ვთქვათ, მსხვერპლი.

ღიმილს ძლივს ვიკავებ.

— მე არავითარი მსხვერპლი არა ვარ! — იფეთქა ნიკოლოვმა. — პირველად თქვენგან გავიგონე ქურდობაც და ეს ყველაფერიც! არც ის მესმის, ბოლოს და ბოლოს ჩემგან რა გინდათ. რაღაც კოფთები!..

— ივან ხარიტონოვიჩ, — მივმართე მე, — საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე თქვენ გგონიათ. ერთი წუთით დამიგდეთ ყური. ქურდობის შემდეგ თქვენ უეცრად და სწრაფად გაუჩინარდით. მორიგეს კი უთხარით, რომ სასწრაფოდ პენზაში უნდა დაბრუნებულიყავით. ეს სიცრუე იყო. თქვენ პენზაში არ გამგზავრებულხართ. მოსკოვშიც საკმაოდ საეჭვოდ იქცეოდით. ამის მოწმე გახლავთ გვერდით ნომერში მაცხოვრებელი ვინმე ვიქტორი. თქვენ უთუოდ გახსოვთ იგი, ხომ გაიცანით?

— ამისთანას არავის ვიცნობ! — გამომწვევად მპასუხობს ნიკოლოვი.

— ვარიასაც არ იცნობთ? ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მუშაობს, ძალზე ლამაზი ქალია.

— არც მაგას ვიცნობ!

— მას კი მშვენივრად ახსოვხართ. საუცხოო სამაჯურის ჩუქებას შეპირებიხართ. ეს როგორ, ივან ხარიტონოვიჩ?

— გიმეორებთ, იმ ვიღაც ვარიას არ ვიცნობ და ტრიკოტაჟის ფაბრიკაშიც არასოდეს ვყოფილვარ.

— მაშ კარგით, — შემრიგებლურად ვეუბნები. — მივანებოთ თავი ჯერჯეროობით ამ ქურდობას. თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მეორე ფაქტზე მოვისაუბროთ.

— დიახაც მაქვს, — შემეპასუხა ნიკოლოვი.

— მაინც მოგვიხდება ამაზე საუბარი. ეს თქვენ გეხებათ, რადგან იმ ნომერში თქვენ ცხოვრობდით. თქვენი გაუჩინარების შემდეგ კი ჩვენ იქ პატარა

ქაღალდი აღმოვაჩინეთ, რომელზედაც რაღაც გამოანგარიშებები იყო. ხომ ვერ აგვიხსნიდით, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ქაღალდი გავუწოდე. ნიკოლოვმა უცებ შეათვალიერა ქაღალდი და ჩემი ხელი გვერდზე გასწია.

— არაფერი მაგდაგვარი ქაღალდი მე არ დამიწერია.

— როგორ არ დაგიწერიათ, აი, ნახეთ. გადმოაბრუნეთ და უკანა მხრიდან ნახეთ. ეს იმ წერილის ანაბეჭდია, წინა ფურცელზე რომ იყო დაწერილი, — ვუხსნი მე. — აი მისი გადიდებული ფოტოგრაფიაც, ირიბი სხივები მოვიშველიეთ და ძლივს აღვადგინეთ. ჩვენმა ექსპერტებმა არა მარტო ამოიკითხეს, არამედ მისი ავტორიც დაადგინეს. ეს ხომ თქვენი დაწერილია, ივან ხარიტონოვიჩ.

— ჩემი?!

— დიახ, თქვენი. აი ბარათის ტექსტიც. წაიკითხეთ.

ნიკოლოვს აწითლებულ სახეზე მღელვარება დაეტყო. ბარათის კითხვის დროს კი, როდესაც ნიკოლოვი ჩასწვდა მის აზრს, მღელვარება შიშმა შესცვალა.

— ეს ჩემი დაწერილი არაა, — თქვა მან და მის წინ დაწყობილი ქაღალდები გვერდზე გასწია.

— თქვენი დაწერილია, ივან ხარიტონოვიჩ. აი ექსპერტიზის დასკვნაც. აი, წაიკითხეთ.

— არ მსურს, — თითქმის იყვირა ნიკოლოვმა. — და თუ მართლა დასკვნა გაქვთ, თქვენი ექსპერტიზის ფასი კაპიკიც არ ყოფილა.

— ეს თქვენი ხელწერაა, — მოთმინებით აღჭურვილი ვაგრძელებ მე. — ამავე ხელწერითაა შესრულებული სასტუმროს სარეგისტრაციო ფურცელი, გასაგებია?

— შეცდომაა! აი, ჩემი ხელწერა! აი, შეხედეთ!

ნიკოლოვი აკანკალებული ხელებით ხსნის თავის ჩანთას და გამალებით იქექება ქაღალდებში.

მე ირონიულად ვეკითხები:

— მაშ მოსკოვში გქონდათ სხვაგვარი ხელწერა. ნება მომეცით, გკითხოთ, რისთვის, რა მიზნით?

— არა და არა!

ისე სჩანს, ნიკოლოვმა რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. პორთფელში ხელების ფათურს შეეშვა, იგორისა და რაგოზინისკენ მიიხედა, ხმას დაუწია და მეუბნება:

— კარგით. შეიძლება თქვენთან პირისპირ ვილაპარაკოთ?

მე უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე.

— არა, ეს ამხანაგი ჩემთან ერთად არის ჩამოსული მოსკოვიდან, — იგორზე ვუჩვენე. — ეს კი პენზის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსია. მათ ყველაფერი უნდა იცოდნენ. ასე რომ პირისპირ საუბარი არ გამოგვივა.

— კარგით, კარგით, — აღელვებით წამოიძახა ნიკოლოვმა. — საიდუმლოს შენახვა თუ მაინც იცით?

მე გაოცებით ვუცქერი მას და ანგარიშმიუცემლად ვპასუხობ.

— რასაკვირველია, — და ღიმილით ვუმატებ, — გააჩნია, ვისი საიდუმლოს შენახვა და ვისგან.

— მაგალითად ჩემს მეუღლეს რომ არაფერი უთხრათ.

— სრულ გარანტიას გაძლევთ. შეგიძლიათ დაწყნარდეთ.

რაღაც გაურკვეველი შეშფოთება დამეუფლა. ვფიქრობ, რომ ნიკოლოვი რაღაც ახალ ხრიკს ამზადებს. რატომღაც მგონია, რომ ჩვენ არცთუ ისე სწრაფად შეგვეძლება ამოვხსნათ იგი. მგონია, ეს ვაჟბატონი არც ისეთი მიამიტი ჯელი უნდა ბრძანდებოდეს, როგორც პირველ ნახვაზე მომეჩვენა.

— მაშ ასე... — სწრაფად დაიწყო მან და მკერდით მაგიდას დააწვა. — თუ გნებავთ იცოდეთ, მე არასოდეს არ მიცხოვრია იმ სასტუმროში, არც ერთი დღე! და პასპორტიც მაშინვე მომპარეს, როგორც კი მოსკოვში ჩავედი, სადგურის რესტორანში. მე კი ეს ხანი ვცხოვრობდი... როგორ გითხრათ, მოკლედ ერთ ნაცნობ ქალთან ვცხოვრობდი. შეგიძლიათ შეამოწმოთ, მისამართს მოგცემთ. მეზობლებიც დაგიმოწმებენ. თქვენ შეგიძლიათ ჩემი ხელწერის დასადგენად ახალი ექსპერტიზაც ჩაატაროთ. შეგიძლიათ ჩემი პიროვნებაც წარუდგინოთ იქ სასტუმროს თანამშრომლებს! მე ხომ იქ არ ვყოფილვარ!

მე გაოცებული შევყურებ ხან ნიკოლოვს, ხან იგორსა და რაგოზინზე გადამაქვს მზერა. ისინიც არანაკლებ გაოცებით შემომცქერიან.

მაშასადამე, სასტუმროში მისი (ნიკოლოვის) პასპორტით სულ სხვა ადამიანი ცხოვრობდა, ნიკოლოვის ორეული!

თავი V

მკვლელობა

ყველაფერი ისევ თავიდან დასაწყები შეიქნა, მთელი ძიება-რთული, დახლართული გორგლიდან ძაფის გამოხსნა არც იოლი საქმე ჩანდა. იმ უცნობისაგან კი საშიშროების მოლოდინი თანდათან იზრდებოდა. სხვისი პასპორტით რომ იცხოვრო, რაღაც სერიოზული მიზეზი უნდა გქონდეს. ჯერჯერობით კი ნიკოლოვისაგან უნდა შეგვეტყო, რაღა თქმა უნდა, ნამდვილი ნიკოლოვისაგან— როგორ მოხვდა მისი პასპორტი სხვა კაცის ხელში. იქნებ ეს ამბავი რაიმე კვალზე დაგვაყენებდა.

ნიკოლოვი კი თანდათანობით წყნარდებოდა; მან იგრძნო, რომ მისი გვჯეროდა, დაინტერესებულნი არ ვიყავით ავ საქმეში გვემხილებინა და დანაშაული მისთვის მიგვეკერებინა. ასე რომ, გარდუვალი ხიფათი თითქოს ასცდა. პატარა შეცოდება კი, რაც აღიარა, ჩვენ არ გვაინტერესებდა.

— ივან ხარიტონოვიჩ, ერთი ეს მითხარით, — მივმართე წუთიერი შესვენების შემდეგ, — როგორ მოგპარეს პასპორტი? იქნებ ისიც გაიხსენოთ, სად დაკარგეთ იგი?

— ძალიან კარგად მახსოვს, სადაც დავკარგე. მშვენივრად მახსოვს, — ხალისიანად წამოიწყო ლაპარაკის იშტაზე მოსულმა ნიკოლოვმა. — ეგ ამბავი ვაგზლის რესტორანში მოხდა, მაგრამ რანაირად და როგორ, გონს ვერ მოვსულვარ. რა არ ვიფიქრე... თუმცა...—რაღაც გაუბედავად წამოიწყო და იმწამსვე გაყუჩდა. — შესაძლოა... ის, რაც თქვენგან შევიტყე, მას მერე...

— რა, მას მერე?

— აი, რა მინდა გითხრათ. მოსკოვისაკენ მომავალმა ერთი კაცი გავიცანი. პირად ვარგი, დარბაისელი, ინტელიგენტი.

— ისიც პენზიდან მოდიოდა?

— არა, სარატოვიდან. ეს ძალიან თავშესაქცევი ამბავია. ვაგონთან რომ მივედი, ვიღაც უცნობთან მოსაუბრე ჩემი ძმა-კაცი შემომეყარა. იგი სარატოვიდან ბრუნდებოდა. გადავეხვიეთ ერთმანეთს და ჩემი მეგობარი მეუბნება:

„ვანია, გაბარებ ჩემს თანამგზავრს. გაიცანით ერთმანეთი, პირობას გაძლევთ, არც ერთი არ მოიწყენთ“.—ასე კი მოხდა ყოველივე.

— ის თქვენი მეგობარი ვინღაა?

— სევა სტრახოვიჩ. ჩვენ ერთ დაწესებულებაში ვმუშაობთ.

მე რაგოზინს გადავხედე, მან თავი დამიქნია, ესე იგი, რაგოზინი სევა სტრახოვიჩით დაინტერესდა. ცოტა ხანმა განვლო და იგი კაბინეტიდან გავიდა.

— მატარებელი დაიძრა და ჩვენც ავლაპარაკდით, — აგრძელებს საუბარს ნიკოლოვი. — რა არ მიამბო, რა არა სცოდნია. ბანქოც ვითამაშეთ. ჩემს ახალ ნაცნობს კონიაკიც აღმოაჩნდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძალზე სასიამოვნო გახლდათ. მოსკოვში შუადღისას ჩავედით. გამოსამშვიდობებლად იქვე ვაგზლის რესტორანში შევედით. დიდი ვერაფერი ბედენა რესტორანია, მაგრამ ერთი-ორი საათი მაინც ვისხედით. და, აი, ჩემი პასპორტი სადღაც გაქრა... ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემი დანაკარგი მიხაილ ალექსანდროვიჩს დავაბრალო...

— ასე გაგეცნოთ?

— დიახ. სწორედ აგრე მითხრა — მიხაილ ალექსანდროვიჩს მეძახიანო. კიდევ ვიმეორებ, აზრადაც არ მომსვლია მასზე მეფიქრა რამე ავი... აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ! ჯიბეში ხომ არ ჩამიძვრებოდა? არც ისე ბევრი დაგვილევია.

— რატომ გგონიათ, რომ პასპორტი მოგპარეს? — ჩავეკითხე მე, — და სწორედ რესტორანში ამოგაცალეს? იქნებ მატარებელში დაჰკარგეთ?

— არა, არა, — შემაწყვეტინა ნიკოლოვმა. — მატარებელი რომ მოსკოვის სანახებში შევიდა, გამცილებელმა ბილეთი დამიბრუნა, ბილეთი საფულეში ჩავიდე და ძალიან კარგად მახსოვს, პასპორტი იმჯერად საფულეში მედო.

— აბა ერთი ესა სთქვით, — ჩაერია საუბარში იგორი, — მიხაილ ალექსანდროვიჩთან არ დაგითქვამთ, რომ თქვენი ნაცნობობა გაგეგრძელებინათ? ერთმანეთისათვის ტელეფონის ნომრები და მისამართები არ ჩაგიწერინებიათ?

— რაღა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— მოსკოველია?

— არა, ისიც ჩამოსულია. ტელეფონის ნომერი მომცა, სადაც ბინად უნდა გაჩერებულიყო. წარმოიდგინეთ, რომ სასტუმრო არ ინდომა, იმანაც მეგობარ ქალთან არჩია გაჩერება, — თქვა ესა და ნიკოლოვმა, ასე გასინჯეთ, ჩაიცინა კიდეც. — ის ხომ ოდესელია. იქაური მისამართიც მომცა. რაღა თქმა უნდა, მოსკოვში საცხოვრებელი ბინის მისამართი მეც მივეცი.

— თქვენ უთხარით, რომ საცხოვრებლად მეგობარ ქალთან უნდა გაჩერებულიყავით?

— არა, პირველად სასტუმროში უნდა ჩამოვხდე-მეთქი, აგრე ვუთხარი და მის სახეზე გაკვირვება შევნიშნე. მერე დავლიეთ და ყველაფერი ჩამოვუყაჭე.

— თქვენ მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი დაკარგეთ თუ ისევა გაქვთ? — ჩავეკითხე მე.

— როგორ არა, მაქვს. ერთი წუთი მოითმინეთ.

ნიკოლოვმა ჯიბიდან ძველი, გაქექილი, რუხი ფერის, ალფაბეტიანი უბის წიგნაკი ამოიღო და მსხვილად ნაჩხაპნი გვერდების ფურცვლას მოჰყვა.

— მისი გვარი გადამავიწყდა კიდეც... ახლავე, ახლავე... რომელიღაც ასოზე კი ჩავიწერე, ის ოხერი, — თავისთვის ბურტყუნებს ნიკოლოვი და გაქექილ წიგნაკს ფურცლავს და ფურცლავს. — აი, მივაგენი — ზურიხ მიხაილ ალექსანდროვიჩ...

ნიკოლოვი შემთხვევითი ნაცნობის ოდესის მისამართსა და მოსკოვის ტელეფონის ნომერს მკარნახობს.

— ხომ არ გახსოვთ, — ვეკითხები მე, — მისამართები და ტელეფონის ნომრები მატარებელში ჩააწერინეთ ერთმანეთს თუ რესტორანში?

— ეგ ფაქტი მშვენივრად დამამახსოვრდა. სწორედ რესტორანში იყო, სადილის შემდეგ, ყავას რომ ვსვამდით.

— აბა, ერთი მიჩვენეთ, თქვენი ჩანაწერის ნახვა მაინტერესებს? — ვუთხარი მე.

— აი, ინებეთ.

ნიკოლოვმა გახსნილი უბის წიგნაკი გადმომცა და ბოლო სტრიქონზე მიმითითა.

ასეც ვფიქრობდი. სიდიდით, გაკრული, თავისუფალი ხელითა და დაუდევრად ნაჩხაპნი ასოებით, ეს ჩანაწერი სხვებისაგან დიდად განსხვავდებოდა. ეტყობა, სადილს ბევრი დააყოლეს და ახალმა ნაცნობმა როგორღაც შეუმჩნევლად შესძლო ნიკოლოვისათვის პასპორტი ამოეცალა. მაგრამ პასპორტი ხომ საფულეში ედო, საფულე პიჯაკის შიგა ჯიბეში და პიჯაკი კი... ისინი რესტორანში მთელი ორი საათი ისხდნენ, კარგად დანაყრდნენ, ბევრიც დალიეს...

— ერთი ეს მითხარით, — შევეკითხე მე, — სადილობისას პიჯაკი ხომ არ გაგიხდიათ?

— დიახ, პიჯაკები გავიძრეთ, რადგან ძალზე ცხელოდა.

— დარბაზიდან გარეთ ხომ არ გასულხართ?

— სად უნდა გავსულიყავი? — ჩაიცინა ნიკოლოვმა, — თუმცა... გამახსენდა, ორივენი რიგრიგობით გავედით საპირფარეშოში. მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ.

ახლა კი ყოველივე გასაგები შეიქნა.

— კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, — მიმართა ნიკოლოვს იგორმა, — დაურეკეთ თუ არა ზურიხს იმ ტელეფონის ნომრით, რომელიც ჩაგაწერინათ?

— მე მგონი არ დამირეკავს... არა, ნამდვილად არ დამირეკავს, ეხლა კარგად გამახსენდა. მან თვითონ დამირეკა. რესტორანში დამპატიჟა, მაგრამ ბევრი საქმე მქონდა და ერთმანეთს ვერ შევხვდით.

— მერე აღარ დაურეკავს?

— არა, წერილს მოგწერო, მითხრა.

ჩვენი შემდგომი ლაპარაკი და ჩაძიება დამატებით მასალას აღარ იძლევა ზურიხზე. ისე კი ეს გვარი, ოდესის მისამართი და მოსკოვური ტელეფონის ნომერიც საეჭვო და გამოგონილი უნდა იყოს.

ნიკოლოვს დავემშვიდობეთ.

— იცოდეთ, — დამშვიდობებისას მივაძახე მე, — ჩვენი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენს საუბარზე ლაყბობას ნუ მოჰყვებით.

ნიკოლოვმა მლოცველივით დაიკრიფა ხელები გულზე. მის მავედრებელ თვალებში ამოვიკითხე, ნეტავ, თქვენც ჩემსავით მუნჯებივით გამყოფათო, თქმით კი ასე მითხრა:

— ღრმად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კრინტს არ დავძრავ!

— თუ ზურიხისაგან წერილი მოგივიდეთ, — დაუმატა იგორმა, — ვიდრე უპასუხებდეთ, გაისარჯეთ და ჩვენც გვიჩვენეთ.

— ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ სწორედ აგრე ვიქმ.

ნიკოლოვი გავიდა. წყნარად მოხურა კარი და ახალი პასპორტის მისალებად გაემართა.

რამდენიმე ხნის მერე რაგოზინიც გამოჩნდა. მას უკვე მოესწრო სტრახოვიჩთან დაკავშირება. სტრახოვიჩს დაედასტურებინა ნიკოლოვის ნაამბობი. კერძოდ, რაგოზინთან საუბარში სტრახოვიჩს ეთქვა: მიხეილ ალექსანდროვიჩი სარატოვში ჩემთან ერთად ჩაჯდაო მატარებელში. ვიღაც ახალგაზრდა გამხდარი მამაკაცი აცილებდა, თუ დაისაჭიროებთ, მისი ამოცნობაც შემიძლიაო. გზაში ზურიხს სტრახოვიჩისათვის ისეთი არაფერი უთქვამს, რომ ჩვენ გამოგვდგომოდა.

ასე რომ, ჩვენი მივლინება დამთავრდა.

მოსკოვში დღის რეისით გამოვფრინდით.

ჩვენ თან ყოვლად უსიამოვნო ახალი ამბები მოგვაქვს და სხვა არაფერზე ფიქრი აღარ გვინდა.

— სანაძლეოს ჩამოვალ, — ვთქვი მე, — თუ ეგ ზურიხი მავანთა და მავანთა გასაცუცურაკებლად შეთხზული გვარი არ იყოს. რის ზურიხი, რა ზურიხი! თან როგორი თავხედია! ჯერ კაცს პასპორტი მოჰპარა, იმის გვარითა და სახელით ცხოვრობს და თავის მსხვერპლს კადნიერად რესტორანშიც კი ეპატიჟება.

— ტყუილად არ ირჯება, — ჩაურთო თავის ქნევით იგორმა, — იგი ნიკოლოვისაგან რაღაცას გამოელის, თორემ ისე თავს არ გაიცხელებდა.

— ახლა ვინ უნდა ვეძებოთ და სად უნდა ვეძებოთ, — საკითხავი, აი, ეს გახლავთ.

— სხვათაშორის, ზურიხიც უნდა ვეძებოთ. ეგ ვიღაცა შეჩვენებულია, ნამდვილად იმასაც პასპორტს ასწაპნიდა.

— ზურიხის ძებნა სავალდებულო არაა, შეეძლო ეგ გვარი შეეთხზა.

— მაინც უნდა შევამოწმოთ, — ჯიუტად გაიმეორა იგორმა.

— ოჰ, რამდენი რამის შემოწმებაა კიდევ საჭირო, — ოხვრით ჩავურთე მე.

— მართლაც ბევრი რამის შემოწმება გვმართებს: ოდესაში უნდა მისამართი დავადგინოთ ყალბია თუ არა, მოსკოვში ტელეფონი და ჯერ კიდევ სად ვართ? ვინ იცის, რამდენი რამის გადამოწმება მოგვიხდება.

ამ საქმეში ეტყობა ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება წინ. მაგრამ, რა ვუყოთ? ყოველ შემთხვევაში, რაც იმ ვიგინდარამ ნიკოლოვს უთხრა, იმას კაპიკის ფასი არა აქვს. ეგეც სწორ მისამართს მისცემდა რაღა ნიკოლოვს. ჩვენ დავადგინეთ ოთხი ქალაქი, სადაც იმ ტიპს მიხაილ ალექსანდროვიჩ ზურიხად იცნობენ. უცნაური კია, იმ ვიგინდარას ამდენხანს ნიკოლოვად ვიცნობდით, ახლა უცებ ზურიხად გამოგვეცხადა და ეშმაკმა არ იცის, რამდენ ხანს იქნება ამ გვარით.

* * *

კუზმიჩის კაბინეტში ვალია დენისოვთან ერთად შევდივარ.

რაც მთავარი იყო, უფროსს პენზიდან უკვე შევატყობინეთ. ახლა მარტო წვრილმან ამბებსა და დეტალებს ვყვებით. როცა მე ზურიხის მიერ ნიკოლოვისათვის მიცემული ოდესის მისამართი ვახსენე, ვალიამ უცებ ჩაურთო:

— ეს ხომ საკომისიო მაღაზიის გამყიდველის გალინა კოჩერგას მისამართია.

ჩვენ იმწამსვე გავიხსენეთ ვალიას მიერ შედგენილი ცხრილი. თვითონ მასზე კარგად ვიღას ეცოდინება თავისი პირმშოს ამბავი. ვალიას იმ ცხრილში კი გალინა კოჩერგაცაა აღნიშნული. მაგრამ ზურიხმა რაღა გალინა კოჩერგას მისამართი მისცა ნიკოლოვს? იქნებ, იმწამს გონებაში მხოლოდ ის მისამართი გაახსენდა და მეტი არაფერი. მნიშვნელობა არა აქვს გალინას მისამართს. არა მგონია კი, რომ ეს შემთხვევითი ამბავი იყოს. თუ გალინას მისამართი სწორია, იქნება მოსკოვის ტელეფონის ნომერიც მართალი აღმოჩნდეს. აქედან კი მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ზურიხს სწადია ორმხრივი კავშირი დაამყაროს ნიკოლოვთან. ესე იგი ზურიხს ნიკოლოვი სჭირდება. მხოლოდ რაში უნდა სჭირდებოდეს, აი, რა არის დასადგენი?

— ეგ ტელეფონი უნდა შევამოწმოთ, — მითხრა ჩემსკენ შემობრუნებულმა კუზმიჩმა. — ხვალ დილით თვითონ, პირადად შეამოწმე და მერე სულ სხვა ტონით განაგრძო: კიდევ რა დასკვნების გაკეთების უფლებას იძლევა ეგ ეპიზოდი?

შუბლშეჭმუხვნილმა კუზმიჩმა სათვალეებს ზევიდან გადმოგვხედა. მას ყოველთვის ერთი სურვილი ამოძრავებდა: ჩვენ თვითონ გვეფიქრა, გვეკირკიტა, გვედავა. მზამზარეულზე მავანთა და მავანთა მიწვევა კუზმიჩს წესად არ ჰქონდა.

— ზურიხი მოსკოვში სარატოვიდან ჩამოვიდა, — წამოიწყო ფიქრებში წასულმა იგორმა, — ცხრილში უნდა ვნახოთ, ვინ ცხოვრობს სარატოვში.

— ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკო, — იმწამსვე, წაუბორძიკებლად წარმოსთქვა ვალიამ, — ქალაქის პოლიკლინიკის ექიმი.

— დიახ, დიახ, — თავის ქნევით, მრავალმნიშვნელოვნად ამბობს კუზმიჩი, — ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ. კიდევ რა მოიფიქრეთ? — და მერე პირდაპირ ვალიას მიმართა, — აბა, ერთი შენი ცხრილი ამოიღე!

ვალია საქაღალდეს ხსნის და კუზმიჩის მაგიდაზე ვალიას მიერ შედგენილი ჩემთვის კარგად ნაცნობი ცხრილი იშლება. კუზმიჩი ცხრილს თვალს გადაჰკრავს და ვალიას გამომცდელად აცქერდება. ვალიაც არ აყოვნებს და უხსნის:

— დადგენილია, რომ ჩვენთვის საინტერესო ოთხი ადამიანიდან სამი უკვე ადგილზე ჩავიდა. ამავე დროს ვიცით ისიც, რომ სამივე მათგანმა დააგვიანა სამ-სამი დღით დათქმულ ადგილზე ჩასვლა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ გზას და იმ გარემოებასაც, რა დროში ჩააღწევდნენ ისინი ადგილზე, თუ მატარებლით იმგზავრებდნენ აი, ასეთი გახლავთ ჯერჯერობით სურათი, ფეოდორ კუზმიჩ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ძალზე საინტერესო სურათი კია, — წარმოთქვა ფიქრებში წასულმა კუზმიჩმა და მე და იგორს სათვალეს ზევიდან გადმოგვხედა. რას იტყვით, ჩემო ძვირფასებო?

— ესე იგი კონფერენცია სამ დღეს გაგრძელებულა, ფეოდორ კუზმიჩ, — ჩავურთე ძე, — ხოლო თუ ჩასვლისა და წასვლის დღეებს, როგორც მიღებულია,

ერთ დღედ იანგარიშებთ, მაშინ ორ დღეში მოუმთავრებიათ სხდომა. დღის წესრიგში ალბათ ბევრი საკითხი იყო და მომხსენებლებიც საკმაოზე მეტი ჰყავდათ...

— შენ სუყველაფერს ნუ გაამასხრებ; არც ამდენი მხიარულება გმართებს,— სერიოზულად მომმართა უცებ კუზმიჩმა და ვალიას მიუბრუნდა, — ვინ არ ჩავიდა დათქმულ ადგილზე?

— გალინა კოჩერგა, — ვალიას მაგიერ მივუგე მე და დავუმატე, — თავს დავდებ, თუ გავმტყუნდები.

— თავს ცუდუბრალოდ იმეტებ, ვერ გამოიცანი, — მითხრა ვალიამ, — ასტრახანში ადგილზე არ ჩასულა სარატოვიდან ქალაქის პოლიკლინიკის ექიმი ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკო.

— მისი მამა ხომ სინამდვილეში იქ გარდაიცვალა? — ცხოველი ინტერესით იკითხა იგორმა.

ეტყობა, პენზაში ჩვენმა მოსწრაფებულმა ნახტომმა დადებითად იმოქმედა იგორზე, შეჯანჯღარება მოუხდა, ყველაფრისადმი დიდი ინტერესი აღეძრა და ეს ჩვენს საქმეზეც გავრცელდა:

— ხვალ ყოველივეს წვრილად მოგახსენებთ, — დაჰპირდა კუზმიჩს ვალია და ცხრილში რაღაც გულმოდგინედ აღნიშნა.

— მაშინ სხვებიც უნდა შევამოწმოთ, — ვთქვი მე, ცხრილი ჩემსკენ მოვწიე და ჩამოვყევი: სოკოლსკი ორესტ ანტონოვიჩი, რომელიც ლენინგრადში სამრეწველო საქონლით ვაჭრობის დირექტორის მოადგილედ მუშაობს. იგი გამოვიდა... საიდან გამოვიდა?.. აჰა! იმ დღეებში ხარკოვში გაემგზავრა მივლინებით. შემდეგ ლეონიდ ვასილიევიჩ პლატოვი, როსტოვის ერთ-ერთი ქარხნის კაპიტალური მშენებლობის უფროსი. ისიც მივლინებით წავიდა სვერდლოვსკში. საინტერესოა, ამ ხალხს რა რიცხვით შეუმოწმებენ მივლინებებს და ჩასვლის თარიღად რა რიცხვს ჩაუწერენ. გალინა კოჩერგა კი ავადმყოფი დედის სანახავად კრასნოდარისაკენ გაეშურა. ახლა ისიც უნდა გავარკვიოთ, დედამისი მართლა ავად იყო თუ არა.

ვალია არ დავობს. იგი მხოლოდ აღნიშვნებს აკეთებს ცხრილში. უფრო სწორად თუ ვიტყვი, ცხრილს ერთი გრაფა კიდევ დაუმატა. წინა გრაფაში ეწერა: საით გაემგზავრა 28 ოქტომბერს? ახალი კი ასე ჩამოაყალიბა: დადგინდეს გამგზავრების მიზეზი. ეს უკვე მეთერთმეტე გრაფაა. ვალიას ცხრილი უნიკალური იყო და ახლა ფასდაუდებელი ხდება. უიმცხრილოდ ძალიან გაგვიჭირდებოდა და დავიბნეოდით. ვერტიკალური გრაფებიდან ჯერ კიდევ ცარიელია: „ადგილობრივი მილიციის ორგანოების მონაცემები“ ხუთივეზე, ცარიელია აგრეთვე უკანასკნელი გრაფა „გამგზავრების მიზეზის დადგენა“, ჰორიზონტალური გრაფებიდან კი მხოლოდ ერთია ნახევრად შევსებული. იქ, სადაც გრაფაში სწერია: „საცხოვრებელი ადგილი“ და მითითებულია „პუნეჟი“. პირდაღებული და შეუვსებელი შემოგვცქერის ყველაზე უმთავრესი: გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა და სად გაემგზავრა 28 ოქტომბერს სრულიად ცარიელია. პუნეჟი კი ალბათ ჩვენთვის მაგარი კაკალი და თავსატეხი იქნება. თითქოს ჩემი აზრი ამოიკითხა, უცებ კუზმიჩმა მახვილის დარტყმით წარმოთქვა:

— პუნეჟი არ დაივიწყოთ. ვის ელაპარაკა ზურიხი წუთნახევარს პუნეჟში, უნდა დააზუსტოთ.

— სასწრაფო შეუკვეთავს და შუადღისას გამოუძახნია ის, ვისაც ელაპარაკა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საღამოთი კერძო ტელეფონებით ულაპარაკნია, — განმარტა ვალიამ.

— შეიძლება პუნეჟში უცებ ჩავიდეს კაცი, ბოლოს და ბოლოს არც ისე შორი მანძილია, — შევთავაზე მე.

— შენ ჯერ ის ტელეფონი შეამოწმე, — მითხრა კუზმიჩმა, — ხვალ დილითვე შეამოწმე, შენ კი, — მიუბრუნდა ივი იგორს, — პუნეჟში წასვლაზე იფიქრე. ასე და ამრიგად, დღეისათვის კმარა.

* * *

დილით იმ სატელეფონო სადგურს დავუკავშირდი, რომელსაც ნიკოლოვისაგან ჩვენთვის გადმოცემული ნომერი ეკუთვნოდა. მალე ცნობაც მივიღე. ნომერი ვიღაც სვეტოზარ ერემეევიჩ ბურლაკოვისა აღმოჩნდა. სატელეფონო სადგურის კარტოთეკაში ბურლაკოვის მისამართიც მონახეს.

ეს სახელი და გვარი ჩემთვის ტერა ინკოგნიტაა. ახლა საქმეს უნდა ბოლომდე მივდიო. მაგრამ, ისიც შესაძლოა, დრო ცუდ-უბრალოდ დავკარგო და ზურიხმა ტელეფონის ეს ნომერი ნიკოლოვის საცთურად მოიგონა. მე მგონია, ზურიხს ნიკოლოვი რატომღაც ძალიან სჭირდება. აბა, მაშ, რატომ უნდა მიეცა მისთვის ოდესის მისამართი, რისთვის დაურეკა, აღუთქვა შეხვედრა და წერილებს მოგწერო უთხრა.

ვიდრე მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში მივიდოდი, ეს აზრები მანამდე მომივიდა თავში. იქ უბნის ინსპექტორსა და სხვა თანამშრომლებსაც ვესაუბრე, ზოგიერთი მასალაც გავსინჯე. მერე იმ კოოპერატიული სახლის სახლმმართველობას მივაკითხე, სადაც ბურლაკოვი ცხოვრობს. იქ ორი ძალიან სიმპათიური და ენის ქავილით დაავადებული ქალი გავიცანი. ერთი მათგანი ბუხჰალტერი აღმოჩნდა, მეორე კი საქმის მწარმოებელი. მე მგონი იმათაც მოვეწონე.

ისე გამოტეხილად უნდა გითხრათ, ვიღაც-ვიღაცეებზე ცნობების შეგროვება და სხვის ბინძურ თეთრეულში ხელის ფათური დიდი ვერაფერი სახარბიელო საქმეა. მაგრამ ასეთ ამბავში მთავარ როლს მაინც ზნეობრივი პრინციპები თამაშობს, არსებობს ბრძოლის ლოგიკა, რომლის უარყოფა და მიყურისძირება არასგზით არ შეიძლება. რაში გამოიხატება ეს პრინციპები? პირველ ყოვლისა, შენ უნდა გაინტერესებდეს ადამიანის პირადი ცხოვრება, რამდენადაც ეს იმ საქმეს ეხება, რომელსაც იძიებ. მეორე, შენი დაინტერესება არავინ არ უნდა შეიტყოს, რადგან ასეთ დროს ეჭვმიტანილი რაღაცით მაინც ზარალდება. მესამე, შენ ვერ გაბედავ ბოროტად გამოიყენო მიღებული ცნობები, ანდა ვინმესთან დაგცდეს მათ შესახებ სიტყვაც კი. ვინმეზე მიღებული ყველა ცნობა ავტომატურად უნდა იქცეს სამსახურებრივ საიდუმლოდ და ისევე უნდა იქნას დაცული, როგორც საექიმო საიდუმლო, ვინაიდან ყველა ეჭვმიტანილი არ შეიძლება დამნაშავე აღმოჩნდეს.

ამ თემაზე ერთხელ მამაჩემთანაც მომიხდა საუბარი. დედ-მამა ორივე მედიკოსები მყვანან და ორივენი თავიანთი პაციენტების ბევრ საიდუმლოს ინახავენ.

„ჩვენსა და თქვენს საქმეში არის ერთი არსებითი განსხვავება, — მითხრა მამაჩემმა,—მე ყოველი ადამიანი თვითონ მანდობს თავის საიდუმლოს, თქვენ კი ასეთ საიდუმლოს თქვენით ეძიებთ და მოიპოვებთ ხოლმე. — მერე მაგითი რა გინდა სთქვა, — ჩავეკითხე მე. — ასეთ დროს ძალიან განსაკუთრებული ტაქტია საჭირო, — დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მითხრა მამაჩემმა. — რაღაც განსაკუთრებული სიფაქიზე, მორიდებულობა და კეთილსინდისიერება. არ ვიცი, გასწავლიან კი ამას“. უმჯობესია ასეთ რამეს კაცმა თავი აარიდოს. ვიცი, რომ მამაჩემი ნაღდად ასე ფიქრობს. რაღა თქმა უნდა, უმჯობესია... ის ბრძოლის ლოგიკა რომ არ იყოს, რომელსაც ჩვენ იძულებით ვეწევით.

მე ახლა საერთოდ დანაშაულის მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე არ მოგახსენებთ. მაგრამ ჩემი და ჩემი ამხანაგების ბრძოლას ახასიათებს, თუ მეტი არა, ორი ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან კონკრეტული ამოცანა. პირველი — თავიდან ავიცილოთ დანაშაული, რომელიც მზადდება, მეორე — ჩადენილი დანაშაულის დაუყოვნებლივ გახსნა და დამნაშავეთა შეპყრობა. ეს ბრძოლა სამართლიანია და ზნეობრივი ნორმების ძალიან მაღალ კატეგორიას განეკუთვნება. აბა დაუფიქრდით, ნამდვილად ასე არაა? თქვენ იტყვით, ასეთი ბრძოლა უზნეო მეთოდებით არც შეიძლება, ხოლო ადამიანის სულში მისგან დაფარული ხელის ფათური — უზნეობაა. საერთოდ? ყოველთვის? რა მდგომარეობაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, მაინც ასეა? მაგრამ ცნობილი გახლავთ, რომ აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. რა არის სიკეთე? რა არის ბოროტება? კონკრეტული სიტუაციის პირობებში ბოროტება და სიკეთე სცვლიან თუ არა ადგილს? ბანდიტისაგან დანით მიყენებული ჭრილობა — ეს ბოროტებაა, ხოლო ქირურგის დანა სიკეთის მომტანია. თავისუფალი ნება — ეს სიკეთეა, მაგრამ ძალიან ხშირად იგი ბოროტებად იქცევა ხოლმე! უზნეო ცნობისმოყვარეობა განსაზღვრულ პირობებში ზნეობრივ აუცილებელ ცოდნად შეიცვლება ხოლმე. ცხოვრების პირობებისა და ბრძოლიდან გამომდინარე ყველაფერი კონკრეტულად უნდა შეფასდეს. და თუ რაზეც მე ვილაპარაკე, ამ პრინციპებსა და ამოცანებს ადამიანთა ცხოვრებას მივუყენებთ, მაშინ დამნაშავეთა პირად ცხოვრებაში შეჭრა და იქ ხელის ფათური მათი უვნებელყოფის მიზნით, ეს სიკეთე გახლავთ და არა ბოროტება, და სწორედ რომ ზნეობრივი საქციელია. ამის საწინააღმდეგო რამეს ვერც ვერავინ დამიმტკიცებს.

დღეს შემთხვევით არ ვიგონებ იმ საღამოს მამაჩემთან გამართულ ბაასსა და დავას. ვიგონებ განზრახ, რადგან ახლა მოქალაქე ბურლაკოვის ცხოვრებასა და ხასიათს ვეცნობით.

მის ცხოვრებაში გარეგნულად ყოველივე მართებულადა და ჯეროვნად გამოიყურება. აი, უკვე ერთი წელი სრულდება, რაც ბურლაკოვმა დამსახურებული დასვენების უფლება მოიპოვა. ცოლი კვლავ მუშაობს. ცხოვრობენ ცოლქმარი წყნარად და შეხმატკბილებულად თავიანთ ვრცელ კოოპერატიულ ბინაში. სვეტოზარ ერემეევიჩს უსაზღვროდ უყვარს ბავშვები. მათთვის ჯიბეში მუდამ აქვს გადანახული შაქარყინული. უყვარს თავისი საცხოვრებელი სახლის მოხუცებულ პენსიონერებთან ჭადრაკის თამაში და ჩემპიონიცაა მათ შორის, რითაც ძალზე ამაყობს. ყველას ახსოვს, როგორ ეხმარებოდათ სახლის შენებაში სვეტოზარ ერემეევიჩი. ის რომ არა — ვინ იცის, ამ სახლის დამთავრებას როდის

დაადგებოდა საშველი. ყოველდღიურად ჩნდებოდა რაღაც დაბრკოლება, ხან მასალა აკლდებოდათ, ხან ტექნიკა მოიკოჭლებდა, ყოვლისშემძლე სვეტოზარ ერემეევიჩი იყო ასეთ დროს უებარი მკურნალი. იგი საამშენებლო საქმეებში მუშაობდა რაღაც უფროსად. მეპაიეთა კრებაზე კოოპერატივის თავმჯდომარე ერემეევიჩის მიმართ მუდამ ხოტბას აღავლენდა და ყოველთვის აღნიშნავდა ხოლმე მის დამსახურებას. სვეტოზარ ერემეევიჩი კი მუდამ პირველ რიგში იჯდა, ვეება, მოდურად ჩაცმულ-დახურული, მხცით დამშვენებული, მოწყალებასავით ღიმილს აფრქვევდა და მისი მისამართით დაკრულ ტაშზე კეთილად იცინოდა. კოოპერატივის ახალი თავმჯდომარეც არ ასვენებს სვეტოზარ ერემეევიჩს. სთხოვს რაიაღმასკომის წინაშე უშუამდგომლოს, ხან რემონტის ამბები გამოტყვრება და ხან რა. სვეტოზარ ერემეევიჩიც არ აყოვნებს. მას ჯერ კიდევ პატივს სცემენ, ყველგან იცნობენ და აფასებენ. ამიტომაა, რომ გამგეობის მუდმივი წევრია და ყველა პატივს სცემს. სვეტოზარ ერემეევიჩს სამი მოსწრებული შვილი ჰყავს. ორი დაქორწინებული ვაჟიკაცი, ინჟინერი შვილები. ქალიშვილიც გათხოვილია და პატრონსა ჰყავს ჩაბარებული. ვაჟიშვილები იშვიათად მოდიან დედ-მამასთან. სამაგიეროდ ქალიშვილი და სიძე სვეტოზარ ერემეევიჩის ხშირი სტუმრები არიან. მათი რუხი ფერის „ჟიგული“ ძალიან ხშირად დგას სვეტოზარ ერემეევიჩის სადარბაზო კართან. ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ადამიანებს შეჰფერით. აი, როგორ ცხოვრობს და რას წარმოადგენს ცხოვრებაში სვეტოზარ ერემეევიჩ ბურლაკოვი, რომლის ტელეფონის ნომერიც ძალიან უცნაური გარემოების გამო პენზელ ივან ხარიტონოვიჩ ნიკოლოვის ხელში მოხვდა.

რაც მოქალაქე ბურლაკოვზე ამბები შევიტყვეთ, კაცს ერთი სული აქვს მის წინაშე ბოდიშის ნიშნად ქუდი მოიხადოს მის პირად ცხოვრებაში უადგილო შეჭრის გამო, მაგრამ თუ ეს მაშინვე არ ჩავიდინე, რაღაც პატარ-პატარა წვრილმანებმა და ხორკლმა, იოლად ვერ შესამჩნევმა შეუსაბამობამ და ძნელად აღმოსაჩენმა შეუთანხმებლობამ არ მომცა ამისი ნება.

მაგალითად, რა ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ სხვა მეპაიეებთან შედარებით კოოპერატიული სახლის მშენებლობისათვის ბურლაკოვს ორმოცი პროცენტით ნაკლები თანხა გადაუხდია. ანდა, რა ანგარიშგასაწევია ის, რომ მისი ბინა სახლის ბოლო სართულზეა და პროექტის დარღვევითაა აშენებული, თუ გადაკეთებული? მშენებლებს კედლები იმ სიმაღლეზე აუყვანიათ, რომ ერთი ძალიან დიდი ოთახი ბურლაკოვს დამატებით მიეღო. ამ ოთახს მის ბინასთან შიგა კიბე აკავშირებს. ბურლაკოვისათვის ოთახის და კიბის მშენებლობის უფლება კოოპერატივის მშენებლობის საქმეში მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო მეპაიეთა საერთო კრებას დაურთავს.

შეიძლებოდა არც ვაჟიშვილებსა და სვეტოზარ ერემეევიჩს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობისათვის მიგვექცია ყურადღება, მით უმეტეს, რომ, რის გამო მოიძულეს ერთმანეთი, კაციშვილმა არ იცოდა. ფაქტი კი ის გახლდათ, რომ უკვე რამდენიმე წელია ვაჟიშვილები მასთან თურმე დაბადების დღესაც კი აღარ დაიარებოდნენ. ავმა ენებმა ისიცა თქვეს, თითქოს ერთ-ერთისათვის უფროს ბურლაკოვს მანქანის ჩუქება სდომებოდეს, ხოლო შვილს კატეგორიული უარი განეცხადებინოს შეთავაზებულ საჩუქარზე. მაგრამ ასეთი რამ საეჭვოცაა და დაუჯერებელიც.

ყურადღება არც იმისთვის მიუქცევია ვინმეს, როცა ბურლაკოვს მშენებლობის საქმეში დიდი თანამდებობა ეჭირა და მასთან თანამშრომლად ვიღაც პიროჟკოვი მუშაობდა.

სწორედ ამ წვრილმანმა ამბებმა შემიშალეს ხელი ჩემი სურვილის განხორციელებაში, ქუდი მომეხადა სვეტოზარ ერემეევიჩის წინაშე და მის პირად ცხოვრებაში ნება-უნებლიე შეჭრის გამო ბოდიში მომეხადა. პირიქით, რაღაც გაურკვეველი შეშფოთება თუ მოუსვენრობა მაიძულებდა გამეგრძელებინა ჩვენი ნაცნობობა და კიდევ უფრო გამეფართოებინა გამოსაკვლევი ფაქტების წრე. მე მგონია, ჩემთვის უცნობმა, იმ ვიღაც ზურიხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა პენზელ ნიკოლოვს სვეტოზარ ერემეევიჩ ბურლაკოვის ტელეფონის ნომერი მისცა. ანდა, რა გასაკვირია! ჩემი ვარაუდის მიხედვით, ის ვიღაც ზურიხი ერთთავად მოუსვენარ, საშიშ ცხოვრებას ეწევა. იგი ნიადაგ ცეცხლს ეთამაშება, ასეთ ადამიანს კი ყოველივეს წინასწარ გათვალისწინება აღარ შეუძლია.

შუადღისას იმ ტრესტისაკენ გავეშურე, სადაც სვეტოზარ ერემეევიჩი მუშაობდა და სადაც დღემდე მოღვაწეობს გრიგორი სერგეევიჩ პიროჟკოვი.

ჩემი ამოცანა არც ისეთი იოლი გახლდათ. მე ხომ პირდაპირ ბურლაკოვზე ვერაფერს გამოვიკითხავდი. ისიც კი არავის უნდა ეაზრა, რომ მე მისი პიროვნებით ვიყავი დაინტერესებული. ამავე დროს კი მისი ამბავი დაწვრილებით უნდა შემეტყო. ნიღაბი და კონსპირაცია იყო საჭირო, რომ გარშემო მყოფ ადამიანებს ყურები არ დაეცქვიტათ და თავიანთი ცნობისმოყვარეობით საქმე არ გაეფუჭებინათ. დაიწყებოდა ზედმეტი მითქმა-მოთქმა, ათასგვარი ვარაუდების გამოხატვა, ჭორები. საქმე ისე უნდა მომეწყო, რომ, რასაც სვეტოზარ ერემეევიჩზე მიამბობდნენ, თითქოს სასხვათაშორისოდ, ყოველგვარი წინასწარი განზრახულობის გარეშე ყოფილიყო და მისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიეცათ.

განსაკუთრებული იმედი სწორედ პიროჟკოვზე დავამყარე. ჩვენ შორის იმთავითვე იქნა მიღწეული ნდობა და მალე თითქმის მოკავშირეებივით ვმოქმედებდით.

ტრესტი ქალაქის ცენტრში ძველთაძველ სავაჭრო რიგის ახლოს მდებარეობდა. გრძელ, დაბალ ორსართულიან შენობებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ ფასადის მხარეს ნაძერწი ჩუქურთმები. ოდესღაც ფართო ფანჯრების ჩარჩოები მრავალნაირი ბანდებითა და რიკულებით გაეყოთ და იმის შიგნით აურაცხელი ორგანიზაცია და დაწესებულება მოეთავსებინათ. ყოველი სადარბაზოს წინ ათეული სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული აბრა გამოეკრათ. მათი ზომა, მასალა, რომლისგანაც აბრები იყო დამზადებული, და შესრულების ხარისხი, აშკარად მეტყველებდნენ მათი პატრონების ფინანსურ შესაძლებლობებსა და მნიშვნელობაზე. სახელისა და პრესტიჟისათვის ამ ფარულ ბრძოლაში გარკვევა ძალზე ძნელი გახლდათ და მე თვითეულ სადარბაზოსთან დაახლოებით ათ-ათ წუთს მაინც მომიხდა დგომა და კარგა ხანსაც დავყოვნდი.

დაბოლოს, როგორც იქნა, ჩემთვის საჭირო აბრაც მოვნახე. შევედი ნახევრად ბნელ ტალანში, ფართო ხის კიბით მეორე სართულზე ავედი და ძებნა განვაგრძე.

— მეჩვიდმეტე ტრესტი გინდათ? — მეკითხება შევერცხლილი, მზისაგან გარუჯული, ყავისფერ ქურქში გამოხვეული, ბეწვის ქუდიანი მამაკაცი, ხელთ

კარგად გატენილი პორტფელი რომ უჭირავს. — მომყევით, მომყევით. მეც იქ მივდივარ.

გამოლაპარაკება ბუნებრივი და თავისუფალი გამოგვივიდა. მით უფრო, რომ წინ თურმე მოკლე გზა არ გვედო. როგორც მერე გამოირკვა, ჯერ თურმე მეორე კიბით მაღლა ასულები ისევ პირველ სართულზე უნდა ჩავსულიყავით და მერე ისევ მაღლა — მეორე სართულზე.

ჩემი თანამგზავრი მეჩვიდმეტე ტრესტის ხშირი სტუმარი ყოფილიყო და ამიტომ ტრესტის საქმეებზე დიდი ხალისითა და კომპეტენტურად ლაპარაკობდა. მით უმეტეს, ისტორიული ასპექტით მსჯელობისას პირდაპირ ენამოსწრებული გახლდათ. რაღა თქმა უნდა, ლაპარაკი ტრესტის ძველ ხელმძღვანელებზე მოგვიხდა და ჩვენს საუბარში სვეტოზარ ერემეევიჩ ბურლაკოვის სახელი თავისთავად ამოტივტივდა.

— უფლისწული სვეტოზარი, — იცინის ჩემი თანამგზავრი, — ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ, ძქონდა ბედნიერება. დიდ საქმეებს ატრიალებდა, ყველა ფრონტზე იბრძოდა.

— ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. ჰა-ჰა-ჰა! როგორც გველთევზა. ყველგან კავშირი ჰქონდა. მაგრადაც იჯდა. მაგრამ პენსიაზეც დროზე გაასწრო. გააცილეს და საკმაო პატივიც მიაგეს. მერე... ახლა ახალია, ახალგაზრდა, ენერგიული, საქმე იცის. გუშინ მითხრა: „ათი წელი ტრესტს ანგრევდნენ და ახლა უნდათ, რომ მე ერთ წელიწადში ყველაფერი გამოვასწოროო“. თქვენ საიდანა ხართ?

— კოოპერატივ „მშენებელის“ წარმომადგენელი ვარ, — მყისვე მივუგე მე.

— აჰა. სვეტოზარს უყვარდა კოოპერატივები.

— კოოპერატივი რა სასიყვარულოა?

— თქვენ თვითონაც კარგად იცით, — ამბობს ჩემი თანამგზავრი და თვალებს სასაცილოდ ჭუტავს. — თუ კაცი მოინდომებს, თქვენზე დაწოლას და წვენის გამოდენას რა უნდა. მერე წადი და ეძებე ასავალ-დასავალი. უბრალოდ გეტყვიან, პროექტი არ ვარგა და გადაკეთებას თხოულობსო, მერე დეფიციტური საქონელი არა გვყოფნის, მშენებლებს დროულად არ გვამარაგებენო, ტექნიკით უზრუნველყოფა გვიჭირსო. ერთი სიტყვით, ვიცი თქვენი საქმეები. აი, სვეტოზარსაც სწორედ მაგ დროს უყვარდა კოოპერატივების წარმომადგენელთა ლაყუჩებში ხელის ჩავლება. მე მას არა ერთი და ორი კოოპერატიული ობიექტის გამო შევბმივარ, როცა მის დაქვემდებარებულ ტრესტში ვმუშაობდი. კარგა ხანს ვუძხირე.

ერთი სიტყვით, საინტერესო ამბები ნელ-ნელა ტივტივებდა. ერთგან კიბეზე ჩემს თანამგზავრს ისიც შევთავაზე, ცოტა ამოვიქაქანოთ და პაპიროსი მოვწიოთ-მეთქი.

— ჰა-ჰა, იყო კიდევ ასეთი შემთხვევა, მახსოვს, — ამბობს ჩემი თანამგზავრი, თან პაპიროსს ექაჩება და უხარია, რომ ასეთი გულუბრყვილო მსმენელი იშოვა, — სვეტოზარმა მილები გააგზავნა სხვა ქალაქში. თან სამი შემდუღებელი მიაყოლა. ვიღაც მეგობარმა დახმარება სთხოვა, გეგმა მივარდებაო, მოსწერა. აბა, ოინბაზი ეგ იყო, აი! ხოლო თქვენს კოოპერატივებს რას უშვრებოდა! მთელი რომანი გამოვა!

— და ერთხელაც არ ჩავარდნილა? — გულუბრყვილო ინტერესით ვეკითხები მე.

— ჩემს მახსოვრობაში მილიცია ერთი სამჯერ მაინც ექაჩებოდა, მაგრამ თავს დაიხსნიდა ხოლმე. ამბობენ, ვიღაც ხელს აფარებსო. სხვებს გასკვანჩავდნენ ხოლმე, ეგ კი მუდამ მშრალზე რჩებოდა. რამდენჯერმე მოწმედ დაუძახეს, ერთხელ სასამართლომ მაგის საკითხზე კერძო განჩინება გამოიტანა. ეს პირობების შექმნის საკითხზე იყო. და სწორედ იმ სამმართველოს გადაწყვეტილებით მოიხოცა სინდისი. საფრთხე სერიოზულად იყნოსა თუ არა, მაშინვე პენსიაზე გავიდა.

ასეთ საუბარში გართულნი ჩვენ ბოლოს იმ ოთახებს მივადექით, სადაც ტრესტი იყო მოთავსებული. იქ გულითადად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, თუმცა, მე კარგად დავიმახსოვრე ერთ-ერთი საამშენებლო ინსტიტუტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ლაყბობის მოყვარული ინჟინერი.

მე პიროჟკოვის ძებნას შევუდექი.

მალე გამოვარკვიე, რომ პიროჟკოვი ავადაა და მესამე დღეა სამუშაოზე არ გამოცხადებულა. ეს ცნობა რომ მომაწოდეს, იმწამსვე ვიგრძენი, რომ პიროჟკოვი ტრესტში ნამდვილად ყვარებიათ არა იმიტომ, რომ ის ამჟამად ერთ-ერთი განყოფილების უფროსია, არა, აშკარად ვგრძნობ, რომ ეს სიყვარული პიროჟკოვის პირადული თვისებების გამო უნდა იყოს, რომლითაც ტრესტში ყველა მოხიბლული ჩანს და რატომღაც მე მხედველობიდან გამომრჩა.

მით უფრო დასანანია, რომ პიროჟკოვი შეუძლოდ შეიქნა. მე ხომ სწორედ მისი იმედით ვაპირებდი უფლისწულ სვეტოზარ ერემეევიჩის მოღვაწეობისა და საქმიანობის გაცნობას. ასე რომ მე სწორედ პიროჟკოვი მჭირდებოდა და სხვა არავინ.

გრძელ ტალანში ტელეფონ-ავტომატი მოვძებნე და პიროჟკოვს შინ დავურეკე. ეტყობა, ყურმილი მისმა შვილმა აიღო, ახალგაზრდა გოგონას ხმამ გაიწკრიალა ყურმილში, მერმე კი თვითონ პიროჟკოვი მოვიდა. ძალიან გაუხარდა ჩემი დარეკვა: ასეთ რეაქციას მისი მხრიდან არასგზით არ მოველოდი.

— რა არის ახალი, გრიგორი სერგეევიჩ, — ვეკითხები მე.

— საქმეც ისაა, რომ! აი, აგერ... — მისი ხმა როგორღაც ტანჯულად მეჩვენა და უცებ შეწყდა, თითქოს სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— მაშინ მე მოვალ თქვენთან.

პიროჟკოვი მოთმინებით მკარნახობს თავის მისამართს.

* * *

ჩემი ფიქრები ისევ პიროჟკოვს დასტრიალებენ თავს. ნუთუ ზურიხი მაინც გამოჩნდა მოსკოვში? და პიროჟკოვი ისე მოიქცა, როგორც წინასწარ დავთქვით. რაღაც არა მჯერა. გაჟეჟილს გატეხილი სჯობია და პირდაპირ ვიტყვი, სრულიადაც არა მჯერა. პიროჟკოვი ძალიან მხდალი უნდა იყოს. თუ ზურიხი დაიწვა, როგორც იტყვიან ხოლმე, ალბათ ყველაფერს დააყაჭვინებს. თვალწინ დამიდგა ფართო, წყალჩამდგარი, შეშინებული, სათვალიდან მომზირალი თვალები, გაუპარსავ, წითელ ღაწვისთავებს შუა ჩამჯდარი. მღელვარებისაგან გა-

თეთრებული ცხვირი, და თითქოს ყურში კვლავ ჩამესმოდა პიროჟკოვის არეულ-დარეული, აბნეული ლაპარაკი.

მოუთმენლობა დამეუფლა, ისერიგად მწადია მისი ნახვა, და ტროლეიბუსის ფანჯრიდან შეწუხებული გავცქერი რუხი ფერის ჩამოწოლილ ბინდბუნდს. მადლობა ღმერთს, იმ გაჩერებამდე მივაღწიე, სადაც უნდა ჩამოვიდე ტროლეიბუსიდან.

აი, ის სახლი, რომლის სადარბაზოშიც უნდა შევიდე. ვეება სახლი კია, ნათელი, სრულიად ახალი. სახლის მთელ სიგრძეზე გაჩირაღდნებული ვიტრინები, აბრები მოჩანს: „ფეხსაცმელი“, „ავეჯი“, „ბოსტნეული“, „ხილი“...

ნახევრად ბნელ ეზოში სადარბაზო მაინც მოვძებნე, ლიფტით მეცხრე სართულზე ავედი და ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

კარს იქიდან მსუბუქი ნაბიჯებისა თუ ქუსლების პაკი-პუკის ხმა შემომესმა. კარში გასაღებმა გაიჩხაკუნა. კარის ზღურბლზე გოგონა დგას. ღინღლიანი ყავისფერი კოფთა და ძალიან მოკლე ქვედაკაბა აცვია. სწორი, ნათელი ფერის თმა მხრებამდე აყრია. გოგო მიმზიდველი და მომხიბლავი ჩანს და ეტყობა, ეს ძალიან კარგად იცის. სახეზე რაღაც დამცინავი ღიმილი დასთამაშებს და ისე მეუბნება:

— გამარჯობათ. სწორედ ასეთად მყავდით წარმოდგენილი. შემობრძანდით.

— ვის უნდა ვუმადლოდე ჩემი სიტყვიერი პორტრეტის დახატვას? — ვთქვი ესა და პატარა შესასვლელში პალტო გავიხადე.

— რაღა თქმა უნდა, მამაჩემს. ის თქვენზე შეყვარებული გახლავთ.

— ეგ არაა საშიში, — ვიხუმრე მე.

— ნუ ღელავთ, თქვენ ჩემს გემოვნებას სრულიად არ აკმაყოფილებთ, მე არ შემივარდება თქვენზე გული. ძალიან მაღალი ბრძანებულხართ.

ძალიან ყოჩაღი, მკვირცხლი გოგო ჩანს. მამამისმა კი მახსოვს, სრულიად სხვაგვარად დამიხატა. რას იზამ, ჩვეულებრივი ამბავია.

— მე ნადიას მეძახიან, თქვენ კი ამხანაგი ლოსევი ხართ, არა?

— ვიტალი.

— თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ ხელყოფისაგან ჩემი სიცოცხლის დაცვა, არა? — ირონიულად მეკითხება ნადია.

— გჭირდებათ კი თქვენ დაცვა?

გოგონა დაუდევრად იჩეჩავს მხრებს და ისე მპასუხობს.

— მამაჩემს რატომღაც აგრე ჰგონია.

— თქვენ როგორ გგონიათ?

— მე? — ნადიამ კეკლუცად გაიღიმა, — თქვენნაირი ქეშიკის ყოლაზე უარს ვინ იტყვის.

სწორედ ამ დროს წინკარში პიროჟკოვი შემოვიდა. მას საშინაო ხალათი და ფოსტლები ჩაეცვა, აქა-იქ შერჩენილი შევერცხლილი თმა ყალყზე ედგა, თხელ ცხვირზე სათვალე მოღრეცოდა და ფაფუკ ხელში გაზეთი ეჭირა.

— ნადენკა, რატომ სტუმარს შინ არ შემოიპატიჟებ, რამდენხანს უნდა გყავდეს წინკარში? — გაჯავრებული ტონით წარმოთქვა მან და ახლა მე მომიბრუნდა: — მაპატიეთ, მობრძანდით, გეთაყვა.

პიროჟკოვმა ოთახის კარი გამოაღო.

ნადიამ მამას პასუხი არ გასცა, მხრები აიჩეჩა და ოთახში მიიმალა.

მე და პიროჟკოვი კარგად მოწყობილ ოთახში შევდივართ. ჭერზე ბროლის მოდური ჭაღი ჰკიდია. ჩვენ საჟურნალო მაგიდის ირგვლივ დადგმულ სავარძლებში ჩავსხედით.

— აბა, მიამბეთ, გეთაყვა, გრიგორი სერგეევიჩ, რა მოხდა? — ვეკითხები მე.

— მოხდა ის, რასაც მოველოდი, — ნერვულად წარმოთქვა პიროჟკოვმა და ცხვირი მღელვარებისაგან კიდევ უფრო გაუთეთრდა. — იმ კაცმა ისევ დარეკა.

სათვალე მოიხსნა, თვალებს ახლომხედველივით დაუწყო ჭუტვა, წითელ არშიამოვლებული ცხვირსახოცი ამოიღო, საგულდაგულოდ გაწმინდა სათვალე და ისევ გაიკეთა.

— თქვენ, თქვენ რა უპასუხეთ?..

— მე ის ვუთხარი, რაზეც შევთანხმდი თქვენთან.

— ძალიან კარგი.

— ჰოო? თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს მშვენიერი ამბავია? და რომ... აბა, ერთის წუთით წარმოიდგინეთ... — პიროჟკოვს ეტყობა ყელი გაუშრა და ნერვულობისაგან ხველას მოჰყვა. მერე ფაფუკი თითები თავისდაუნებურად სავარძლის საყრდენზე ააკაკუნა, — აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნება...

— არაფრის წარმოდგენა და ფანტაზიისათვის ფრთების შესხმა არაა საჭირო, — რბილად ვეუბნები მე, — ყველაფერი ისე იქნება, როგორც გითხარით. ჰო, მართლა, ვინ დაგირეკათ?

— ისევ იმ ხულიგანმა დარეკა.

— გითხრათ, როდის მოვალო?

— მითხრა, მალე გინახულებო. ეგ იყო და ეგ. ელოდე და ინერვიულე... იცით, მისი ლაპარაკის კილოდან რა დასკვნა გავაკეთე: ის არამზადა კმაყოფილია, რომ შემაშინა და ფარხმალი დამაყრევინა. ეტყობა მაგისი ამოცანა ეგ იყო და შეასრულა კიდეც. მე ჩემს თავს უფლება მივეცი იმ არამზადისათვის ერთი შეკითხვა მიმეცა.

— რა კითხვა, — წარმოვთქვი მე და ყურები დავცქვიტე.

— თქვენ აღარ დამირეკავთ? — ძალიან გაუბედავად ვკითხე, — იმან კი აგდებულად მითხრა: — „მე მოვრჩი, დედაქალაქში მივემგზავრები, ჭიასავით ჭუპრში შევდივარ. მივლინების ვადა დამიმთავრდა. ნახვამდის, პაპაშა ახლა თვითონ დაგირეკავს, როგორც კი ჩამოვა. ჩვენ კი ერთმანეთს მაშინ შევხვდებით, როცა შენთვის დანის გარჭობა იქნება საჭირო, ან შენი გოგოს ანდერძის აგების დრო დადგება“. — წარმოგიდგენიათ? ყველაფერი სიტყვასიტყვით დავიმახსოვრე. ეს საშინელებაა! ვის შეუძლია ასეთი არამზადის მივლინებაში გაგზავნა?

ვხედავ, პიროჟკოვი ერთიანად გაოგნებულია, აღელვებული შემომცქერის და პასუხს ელის.

— თავის დროზე ყველაფერს შევიტყობთ, — მშვიდად ვეუბნები მე, თუმცა საგონებელში ვარ ჩავარდნილი. მართლაც, ვინ უნდა გააგზავნოს ასეთი არამზადა მივლინებაში? ზურიხმა? ჭუპრში, დედაქალაქში მივემგზავრებიო, ალბათ, ოდესას გულისხმობდა. ისევ ოდესას.

— ისევ ივან ხარიტონოვიჩის ზარს უნდა ველოდოთ, მეტი გზა არა გვაქვს, — ზურიხი ხომ მას ნიკოლოვად გაეცნო. — აღელვება კი სიკეთეს არ მოიტანს. ჰო, მართლა, თქვენთვის რა უნდა მეკითხა. ერთი მიამბეთ, გეთაყვა, გრიგორი სერგეევიჩ, რას გაკეთებინებდათ ხოლმე იძულებით თქვენი ყოფილი უფროსი სვე-

ტოზარ ერემეევიჩ ბურლაკოვი და რა გახსოვთ მისი ავადსახსენებელი საქმეებიდან?

პიროჟკოვი მოულოდნელობისაგან წამით გახევდა. მერე ჩახრინწული ხმით იკითხა:

— რაო? — მერე თავს ძალა დაატანა, ჩაახველა. — რაო, რა მითხარით?

კითხვა გავუმეორე.

— ღმერთო ჩემო, რად გვინდა ახლა იმ ნაგვის გაქექვა? — საწყალობლად კითხულობს პიროჟკოვი, — იმ ამბებს ხანდაზმულობის ვადა ხომ ჰქონდათ. ჰოდა, ის ვადა გავიდა და მორჩა.

— მთავარი ეგ არაა, — რბილად ვეუბნები მე, — აი, გახსოვთ, გრიგორი სერგეევიჩ, თქვენ მაშინ მითხარით, როცა ივან ხარიტონოვიჩს შევხვდი, რაღაც სხვაგვარი მომეჩვენაო. ეს პირველი შემთხვევა იყო?

— რაღა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო!

— სხვა არაფერი არ იცით მასზე?

— არა, დიახ, კი, ხომ გითხარით.

— ჰო, მაგრამ ბურლაკოვმა ივან ხარიტონოვიჩზე ბევრი რამ უნდა იცოდეს. ის დიდი ხანია იცნობს ხარიტონოვიჩს.

— რას ლაპარაკობთ? ბურლაკოვი იცნობს იმ ბანდიტს?

— მე აგრე მგონია, მაგრამ ბურლაკოვმა რომ რაიმე გვიამბოს თვითონ, მის წარსულ საქმიანობაზე უნდა ვიცოდეთ ბევრი რამ.

— დიახ, დიახ, მესმის, მესმის, — დაბნეული და სრულიად არეული ბურტყუნებს პიროჟკოვი.

თანდათანობით პიროჟკოვი გონს მოეგო, დაწყნარდა და თხრობაც დაიწყო. ვამჩნევ, რომ გულწრფელად უნდა დამეხმაროს, რათა ვამხილო ის ადამიანი, ვინც ამდენი შიში აჭამა და მღელვარება შეჰყარა. ამავე დროს პიროჟკოვი თავის ძველ ბოღმას და ჯავრს ანთხევს. თან ვატყობ, სცხვენია და ნანობს კიდეც, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ბურლაკოვის მოღვაწეობას ხელს უწყობდა. და როცა მის სულში ჯავრი და ბოღმა იჩათინებს სირცხვილს, პიროჟკოვი მიყვება ყველაფერს, რაც იცის და ახსოვს.

სწორედ ამ გარემოებამ შემიწყო ხელი, ბევრი რამ შემეტყო ბურლაკოვის „უფლისწულობის“ დროინდელ არაოფიციალურ საქმიანობაზე.

ისეთი „წვრილმანები“, როგორიცაა უფასო საგზურები, სრულიად მოულოდნელი პრემიალური თანხები, თეატრალური პრემიერების ბილეთები, საზღვარგარეთული კალმისტრები, სიგარეტები, სანთებლები, თბილი ქურქები და სხვა ხარახურა, რაც მშენებარე ობიექტების უფროსობას იმ იმედით მოჰქონდა, რომ მათ სამუშაოს პირველ რიგში დაასრულებდნენ, პიროჟკოვს ალარ ახსოვს, რადგან ყველაფერი უზომოდ ბევრი ყოფილა. მაგრამ ამაზე მსხვილმანი საქმეები ახსოვს და მომიყვა კიდეც. მაგალითად, საამშენებლო მასალებისა და მექანიზმების არადანიშნულებისამებრ გამოყენება მოხერხებული მაქინაციების წყალობით, დამატებითი სამუშაოები და მასზე დარიცხული პროცენტები, რაც ანგარიშებში არ შესულა. თვითონ ანგარიშებით მოწყობილი მანიპულაციები. დიახ, მანიპულაციები, რადგან ანგარიშები რეზინასავით ხან იბერებოდა და ხან კლებულობდა იმის მიხედვით, თუ როგორ „ირჯებოდა“, რა „მარიფათს“ იჩენდა შემკვეთი. ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში „კანონიე-

რების“ სრული დაცვით ხერხდებოდა. იმ ბედნიერი ცნობარების, დამატებითი დადგენილებების, ინსტრუქციებისა და დროებითი მითითებების წყალობით, რომელთა ნაკლოვანება არასდროს არ იგრძნობა.

დამახასიათებელი იყო ბურლაკოვის ირგვლივ მყოფ მუშაკთა ჩათრევა თუ ჩაყოლა ამდაგვარ საქმეებში. თავდაპირველად თითქოს ყველანი პატიოსანი და წესიერი ადამიანები იყვნენ. მაგრამ ეს ჩათრევა იწყებოდა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე გეგმის შესრულების, პრესტიჟის და კიდევ მეტიც, სხვა ტრესტებთან გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად და მოსაპოვებლად. მერმე კი იწყებოდა რაღაც ყოველდღიური, ძალიან მოხერხებული და ყველასაგან მიღებული და აღიარებული „პრაქტიკა“, ურომლისოდაც უკვე ეტყობა, ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეიძლებოდა. საუფლისწულო მაგიდიდან იცემოდა მოსაკითხები, რასაც თან სდევდა შეშფოთებულ შემკვეთთა აფუსფუსება, ხოლო მათ მიერ მორთმეული საცთურების შემოჩეჩება და შემოტენა გვირგვინად ედგმოდა ამ დამღუპველ პროცესს.

მაგრამ ახლა ჩემს ყურადღებას იქცევს სვეტოზარ ერემეევიჩის იდუმალი მოღვაწეობის, ერთ დროს პიროჟკოვის მიერ შემჩნეული, დამახასიათებელი ნიშანი. მაქინაციები, რაც თავდაპირველად ერთი ქალაქის ფარგლებში და ტრესტის ქვემდებარე ობიექტებზე ხდებოდა, რომელიღაც მომენტიდან გაფართოვდა და სხვა ქალაქებსაც მოედო, განშტოვდა.

პიროჟკოვი დროდადრო იმ ქალაქებს ასახელებს, ვალიას რომ ეწერა თავის ცხრილში. ესენია: როსტოვი, ლენინგრადი, ოდესა. პიროჟკოვი იხსენებს, რომ მიღები და შემდუღებლები სწორედ როსტოვში გააგზავნეს. ხოლო ოცტონა დეფიციტურ კერამზიტს ოდესაში უკრეს თავი.

ლენიგრადში კი არანაკლებ დეფიციტური რუბეროიდი და იმპორტული კედლის პლასტიკატები იქნა გაგზავნილი.

— გამოდის, რომ პირდაპირ დატაცებაზე გადასულა? — ვეკითხები პიროჟკოვს.

— ეჰ, — უიმედოდ პარჭყავს ხელებს პიროჟკოვი,—ვინ რას გაიგებდა, საიდან რას და სად აგზავნიდნენ? მე მაგ საქმეებში არ ვერეოდი, რადგან ცეცხლზე უფრო მაგისა მეშინოდა. აღარ ვიცოდი, რომელი ღმერთისათვის მეცა თაყვანა, როცა სვეტოზარი ჩვენგან წავიდა.

დარწმუნებული ვარ, რომ მართალს ამბობს. პიროჟკოვის ამდაგვარ საქმეებში გარევას მარტო მისი სილაჩრე როდი ელობებოდა წინ. მას სინდისიც აწუხებდა და ჰქენჯნიდა. სწორედ სიმხდალე და თავისი დამამცირებელი დამოკიდებულება უშლიდა ხელს ემხილებინა მაქინაციები, ხოლო ამდაგვარი საქმიანობისადმი თანდაყოლილი ზიზღი და სინდისი ხელს უშლიდა, რომ ავისმქნელთა თანამზრახველი და თანამონაწილე გამხდარიყო.

სხვათა შორის სწორედ ბურლაკოვის საქალაქთაშორისო მაქინაციებმა დამაყენა იმ აზრზე, რომ ბურლაკოვს ნიკოლოვი-ზურიხი ეცნობებოდა. მაგრამ ამის თაობაზე ჯერ უნდა მილიციის ბიჭებს მოვეთათბირო.

სწორედ ამ დროს გაისმა ზარი წინკარში.

მე მესმის, როგორ გარბის ნადია კარის გასაღებად, წუთიც და მისი მშვენიერი პირისახე შემოღებულ კარში გაიელვებს.

— მამა, შენთან ანა იგნატიევნა მოვიდა.

— ოჰ, ეს ჩვენი რაიონის ექიმია, — თითქოს უცებ ახსენდება პიროჟკოვს და შეწუხებული შემომცქერის.

— მიბრძანდით, მიბრძანდით, გეთაყვა, — ვეუბნები მე, — მანამდე ნადია და მე ვილაპარაკებთ, თუ, რაღა თქმა უნდა, ნადია არაა ჩვენი საუბრის წინააღმდეგი, — ვამბობ ამას და ნადიასაკენ ვტრიალებდი.

— პირიქით, თქვენთან საუბარი ძალზე საინტერესოა, — მპასუხობს ნადია და ოთახში შემოდის.

პიროჟკოვი ოთახიდან გადის და მისი ხმა უკვე წინკარიდან მოისმის.

ნადია წინასწარ გაანგარიშებული მომხიბლავი მიმოხვრით ჩაეშვა იმ სავარძელში, სადაც ერთი წუთის წინ მამამისი იჯდა. ორივენი სიგარეტს ვეწევით.

— რაზე ვისაუბროთ? — დამცინავად მეკითხება იგი.

— საფრთხეზე, თქვენ რომ გელით, — ავყევი მე, — ნუთუ ეს ამბავი სრულიად არ გაწუხებთ?

— მე? — იცინის ნადია, — თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართ?

— კი მაგრამ ხომ დაგირეკეს, დაგემუქრნენ კიდეც.

— მერე რა, ვიღაც სულელი იქაჩება, ჩვენი დაშინება უნდა, მეც ხომ არ უნდა გავსულელდე და ავყვე.

— ხომ არ იცით, ვინაა ის სულელი?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე.

— იქნებ მოაგზავნეს?

მის თვალებში რაღაც ახალი ციალი დავიჭირე, მაგრამ ვერ მოვასწარი გამერკვია, რას უნდა ნიშნავდეს. ნადიამ მალე უცნაურად გაიღიმა და ფიქრიანად წარმოთქვა:

— შეიძლება ვინმემ მართლაც მოაგზავნა. აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე.

მაგრამ, მე რატომღაც მგონია, რომ ნადიამ რაღაც ამბავი იცის, ანდა რაიმეს გეშსა და კვალს მიაგნო.

სწორედ ამ დროს ჩემს ტვინში თითქოს რაღაც ჩაირთო. თითქოს გაწყვეტილი მავთულის ბოლოები შეაერთეს და სინათლე აინთოო.

— ნადია, — ვეუბნები მე, — თქვენთვის ნაცნობია ეს ფრაზა: „ტრეტიაკოვკა, კუინჯის დარბაზში?“

იგი დამცინავად ჩამცქერის თვალებში, მაგრამ, ვატყობ, ნატიფ თითებში მოქცეული სიგარეტი ოდნავ უკანკალებს.

— იცით რა, — მეუბნება პასუხად, — ჩემს შეშინებას კი ნუ მოინდომებთ.

— თქვენ ჩემს კითხვას არ უპასუხეთ?

— მე ვალდებული არა ვარ სულელურ კითხვებზე გავცე პასუხი, ეგლა მაკლდა.

ნადიამ ფეხი ფეხზე გადაიდო და სავარძელში გადაწვა, რის გამო, რაღა დაგიმალოთ და, კაბა კიდევ უფრო მაღლა გაექცა, მაგრამ ქალიშვილს არც უცდია კაბის დაბლა ჩამოქაჩვა. ფეხები ძალიან ლამაზი ჰქონდა. მე თვალი ავარიდე, ნაფაზი დავარტყი და რაც შეიძლება მშვიდად ვუთხარი:

— იგივე კითხვა შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას: რად მიხვედით სასტუმროში იმ კაცთან?

ნადია დემონსტრატიულად დუმს. ამნაირი ჯიუტი გოგოები ბევრი შემხვედრია. მაჯაგანით ვერ ამოართმევ სიტყვას. ბიჭებზე უარესები არიან.

ესე იგი „საბოლოო ანგარიშსწორება“ მაინც მოხდა.

ახლა ზურიხი ახალი, ძალიან საშიში დამნაშავის სახით წარმოგვიდგა. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ.

თავი VI

ყველაფრისათვის მზად უნდა იყო

ასე რომ, სარატოველი ექიმი ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკო მოკლეს. ცნობა ამის თაობაზე ჯერ კიდევ დილით მოსულა და ჩემს მისვლამდე იგორსა და ვალია დენისოვს ბევრი რამ გამოურკვევიათ.

გვამი რკინიგზის ვაკისის სიახლოვეს შეეთხეევით უნახავთ. ის ადგილი მოსკოვის ჩრდილოეთითაა, საოლქო ცენტრიდან ას კილომეტრზე. იგი თოვლში ყოფილა ჩაფლული და, რომ ვიღაც ადგილობრივი მცხოვრების ძაღლი არა, გამოზაფხულამდე ვერავინ ნახავდა. კლიაჩკო კეფაში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოუკლავთ. სამედიცინო ექსპერტის დასკვნით სიკვდილი, როგორც დანაშაულებრივი შედეგი, სამი დღის წინ მომხდარიყო, ესე იგი კლიაჩკო 29 ოქტომბერს სარატოვიდან გამგზავრების შემდეგ გაუსაღებიათ. ჯიბეებში არც დოკუმენტები აღმოაჩნდა და არც ფული. ერთადერთი რამ, რაც ჯიბეში შერჩენოდა, სარატოვის ქალაქის პოლიკლინიკის ბლანკზე გამოწერილი ძველი რეცეპტი იყო. მილიციის ადგილობრივი განყოფილება იმწამსვე დაუკავშირდა სარატოვს. ვალია დენისოვმა სხვა მონაცემებიც გამოითხოვა კლიაჩკოზე. ვალიას ის ცნობაც მაშინვე გადმოსცეს, კლიაჩკო ცოცხალთა სიაში აღარაა.

საოლქო ცენტრს უკვე იგორი დაუკავშირდა და მიღებული მონაცემების საფუძველზე მანვე გააკეთა პირველი საყურადღებო დასკვნა: კლიაჩკო რკინიგზის საოლქო ცენტრსა და პუნეჟს შორის გადასარბენზე მოეკლათ.

ჩვენ პაპიროსის ბოლით ავსებულ კუზმიჩის ოთახში ვსხედვართ და იგორი ამ შემთხვევის გამო გვიკეთებს მოხსენებას.

როგორც ყოველთვის, აუჩქარებლად, დაფიქრებით და, გარეგნული ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან მშვიდად ამბობს სათქმელს. ფართო სახე, ოთხკუთხა ნიკაპი და მოკრივის მიჭყლეტილ-გაბრტყელებული ცხვირი გაძგიფულივით მოუჩანს. ხანდახან ბუძგივით დაყენებულ შავ თმაზე ხელს ისვამს და ვიწრო, ახლახან გაშვებულ ქილვაშებიდან ნათლად მოუჩანს აბურცული კოპები. იქ მყოფთაგან ჩემს მეტმა ძეხორციელმა არ იცის, რომ იგორი ღელავს.

— მე პუნეჟის საკითხზეც ბევრი ვიფიქრე, — მიმართავს იგი კუზმიჩს, — თითქოს სისულელეა, რადგან პატარა ქალაქში ყველა ჩამოსული, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ისინი სწორედ პუნეჟში შეხვდნენ ერთმანეთს.

— მათ საოლქო ცენტრშიც შეეძლოთ შეყრილიყვნენ, — ხმადაბლა და მშვიდად შენიშნავს ვალია დენისოვი, — და ჩემი ვარაუდით სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს.

— არა, — შეედავა იგორი, — მაშინ გაუგებარია, რატომ გაეშურა მაშინვე პუნეჟისაკენ კლიაჩკო? სავარაუდებელია, რომ ვიღაც სწორედ იმ ქალაქში შეხვდა მას და მერმე ორივენი ერთად გაემგზავრნენ დანიშნული ადგილისაკენ. ის კაცი, შემხვედრი...

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — ვაწყვეტინებ მე, — სასტუმროში ნიკოლოვის სახელზე წერილი ხომ სწორედ იმ ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. ძია პეტია იტყობინებოდა ცოლის ავადმყოფობას და სასწრაფოდ ჩასვლას ითხოვდა. გახსოვთ? სად არის ის წერილი?

წერილი იქვე, ვალიას საქაღალდეში აღმოჩნდა და ხელიდან ხელში გადადის.

— სულ ერთია, — ჯიუტად ამბობს იგორი, — მაგ წერილის დაწერა პუნეჟელს შეეძლო და მერე საოლქო ცენტრიდან გააგზავნიდა.

— მაშინ იმ კაცის სახელი ძია პეტია ყოფილა, — მხრებს იჩეჩს ვალია დენისოვი და ცხრილს იმარჯვებს.

ნუთუ ვალიას ამ ამბავში მხოლოდ თავის ცხრილში გრაფის შევსების მეტი არაფერი აინტერესებს? — ვფიქრობ მე და ხმამაღლა კი არაფერს ვამბობ.

კუზმიჩმა რაღაც ცერად გადახედა მას, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ეტყობა, ვალიას უშფოთველობა მის ნერვებზეც მოქმედებს.

— არც მეორე ვერსიის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, — იქნებ და სწორედ საოლქო ცენტრში შეიყარნენ.

— ვინ ამბობს მეორე ვერსია გამორიცხულიაო, — შემთანხმებლურად აცხადებს იგორი.

— აბა, დენისოვ, მოგვახსენე, რას იტყობინებიან სარატოვიდან კლიაჩკოზე, — ჩაიბუბუნა კუზმიჩმა.

ვალია ისევ ისე უშფოთველად იღებს საქაღალდედან საბუთს, წამით შიგ იხედება და ახსენებს:

— კლიაჩკო ოლეგ ივანეს ძე, ოცდაჩვიდმეტი წლისა, საქალაქო პოლიკლინიკის ექიმი, სტომატოლოგი, მუშაობს ამ ადგილზე ბოლო ათი წელი. უცოლშვილო. ცოლს სამი წლის წინათ გაეყარა. ყოფილი ცოლი იქვე მუშაობს, უფროს მედდად, პოლიკლინიკაში. ბავშვები არა ჰყავს, ცხოვრობს ხელგაშლილად... ესე იგი ცხოვრობდა, — თვითონვე ძალიან მშვიდად შეასწორა ნათქვამი ვალიამ და მერე კლიაჩკოზე უკვე წარსულ დროში ჰყვება ყველაფერს, — ეჭვმიტანილი იყო ოქროს შესყიდვასა და პროტეზებისა და კბილის გვირგვინების უკანონო დამზადებაში. წინათ კბილის ტექნიკად უმუშავნია. კონკრეტული მონაცემები მის წინააღმდეგ ცნობილი არ ყოფილა. სარატოვში საეჭვო რაიმე კავშირი მის მიმართ დადგენილი არაა. ხშირად იღებდა თავისუფალ დღეებს თავის ხარჯზე. პოლიკლინიკაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა და ათავისუფლებდნენ ხოლმე.

— ალბათ ზურიხი სწორედ მასთან ჩადიოდა ხოლმე, — ვურთავ მე, — ალბათ სტრახოვიჩმა ბაქანზე სწორედ ზურიხი ნახა.

— შეიძლება, — მეთანხმება ვალია და აგრძელებს, — სულ ესაა, რაც კლიაჩკოზე ვიცით.

იქვე მაგონდება კიდევ ერთი გარემოება და ვამბობ:

— სხვათა შორის, თუ გახსოვთ, კლიაჩკოს პასპორტით მოსკოვში სამ დღეს ცხოვრობდა მუშანსკი.

— მოსკოვში ჩამოსული ზურიხი კი კლიაჩკოს სარატოვში ურეკავდა, — ამბობს ვალია და თავის ცხრილში იხედება, — ესე იგი ხუთი დღის შემდეგ, შვიდ ოქტომბერს.

— მაშ ასე... — აკაკუნებს სათვალეს მაგიდაზე კუზმიჩი, — ის, რაც კლიაჩკოს ეხება, ამიერიდან ძალიან საყურადღებო ხდება, განსაკუთრებით საყურადღებო.

კუზმიჩი შიდა ტელეფონის ყურმილს იღებს და მოკლე ნომერს კრეფს. მე თვალს ვადევნებდი მისი საჩვენებელი თითის მოძრაობას და მივხვდი, რომ ჩვენი გამომძიებლის, საშა გრაჩოვის ნომერი აკრიფა.

— გამარჯობა, მშვიდობის დღეს გისურვებ, საშა, — გუგუნებს ყურმილში კუზმიჩი, — ცვეტკოვი ვარ.. მართალია, საღამოა, აი, რა მინდა გითხრა. თხოვნა მაქვს. როგორ მიდის საქმე, მუშანსკისთან ფსიქოლოგიური კონტაქტი თუ დაამყარე?.. ასეა საქმე? მაშინ ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკოს პასპორტის ქურდობის თაობაზე დაჰკითხე ერთი, თუ კაცი ხარ. მუშანსკი, მისი აზრით, მოსკოვში ცხოვრობდა.—კუზმიჩმა ყურმილი დადო და იგორს მიუბრუნდა,—აი, რა არის კიდევ გასაკეთებელი. დაუკავშირდი სარატოვს. ძალიან სასწრაფოდ, ფოტოტელეგრაფის საშუალებით გააგზავნონ პენზაში კლიაჩკოს ფოტოსურათი. მერე რაგოზინს დაურეკე, რათა მან ის ფოტოსურათი სტრახოვიჩს უჩვენოს, რაღა თქმა უნდა, როგორც წესია, სხვა სურათებთან ერთად. საჭიროა დადგინდეს, ეს ის კაცია თუ არა, ვინც ზურიხი გამოაცილა. გასაგებია?

იგორმა დიდი ტაქტით დაუქნია თავი.

შეკრებილნი ის იყო გარეთ გამოვდიოდით, როცა იგორი შედგა და უხმოდ შიგნითვე შებრუნდა.

კუზმიჩმა ფიქრიანი თვალები მიაპყრო იგორს და დაუმატა:

— როგორც კი პენზიდანა და მუშჩანსკიდან საჭირო ცნობებს მივიღებთ, მაშინვე პუნეჟში გაემგზავრები. ეს ალბათ ხვალ იქნება. მატარებლით წახვალ. თვითმფრინავით იქნებ გზაში დაყოვნდე, ვერაფერი შვილი ამინდია. ჯერ საოლქო სამმართველოში შეიხედე. ნახე ერთი, რა მოიძიეს და მერე პუნეჟისაკენ გაჰკარი.

იგორმა ხმაამოუღებლივ მოისმინა განკარგულება, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გავიდა.

თვალს ვაყოლებთ მიმავალს და გუნება-განწყობა გვიფუჭდება მე და კუზმიჩს, ვალია კი ქვა და რკინაა და მასზე არაფერი მოქმედებს.

კუზმიჩი წარბებს იკრავს, შუბლს იჭმუხნის, კინკრიხოზე შერჩენილ შეევერცხლილ თმას ისწორებს და გაჯავრებული მეუბნება:

— ახლა შენ მოგვახსენე.

მე წვრილად ვყვები ყველაფერს ბურლაკოვზე, ვყვები იმასაც, რაც პიროჟკოვმა მითხრა, მის ძვირფას ქალიშვილზეც ვთქვი ორიოდე სიტყვა და იმ მუქარის თაობაზეც, პიროჟკოვს რომ ტელეფონში აღუთქვეს.

როცა წასვლა-წამოსვლა დავაპირეთ, კუზმიჩმა რაღაც გადაუწყვეტად მითხრა:

— აი, კიდევ რა: არ მომწონს რაღაც ეგ ოტკალენკო, მოდი, ერთი ხვალ გააცილე.

* * *

დილით ფაბრიკაში მივდივარ. არც ისეთი მოკლე მანძილია: ჯერ მეტროში უნდა ჩავჯდე, მერე გადაჯდომაც უნდა, მერე ტროლეიბუსი, პიკის საათებია და ხალხი ბუზივით ირევა.

რაც ჩემ გარშემო ხდება, ყველაფერს ვაკვირდები, რას იზამ, ეს ხომ პროფესიული ჩვევაა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კუზმიჩმა ჩემს ჯიბეში გაზეთი შენიშნა და გამაფრთხილა, გზაში არასოდეს არ იკითხოო. „მაძებარი ყოველთვის შემართული უნდა იყოს, რაც ირგვლივ ხდება, ყველაფერი უნდა შეამჩნიოს“. ამ დროიდან მეც მივეჩვიე ჩემს საქმეს. არაერთხელ დავხმარებივარ ვიღაც-ვიღაცეებს დროულად. თან, რაც მთავარია, იმას მივეჩვიე, რომ გზაზე ჩემს საქმეებზე ვიფიქრო. ამ წუთს ფაბრიკაზე ვფიქრობ: საიდან დავიწყო, ვინ ვნახო პირველად, როგორ აჯობებს კვლევა-ძიების დაწყება, ვისთან და რაზე მივიდა იქ ზურიხი.

ფაბრიკის ალაყაფის კარს მაშინ მივადექი, როცა დღის ცვლა თავის საქმიანობას შეუდგა. შესასვლელში ხალვათობაა, თითქმის არავინა ჩანს, მეკარე ქალს ჩემი საბუთი წარვუდგინე და ვგრძნობ, მისი ცნობისმოყვარე მზერა თვალსაწიერამდე მომყვება. მარტო ერთ საამქროს, ოთხსართულიანი, მთელი ეზოს სიგრძეზე გაჭიმული შენობა უკავია. აქედანაა, რომ მოისმის მანქანების შეუწყვეტელი გუგუნი და ღრჭიალი. მე პირდაპირ იმ მომცრო, ორსართულიანი შენობისაკენ მაქვს გეზი აღებული, სადაც ფაბრიკის სამმართველოა მოთავსებული.

პირველ სართულზე სრულიად ადვილად ვიპოვე კადრების განყოფილება. ის-ის იყო დერმატინგადაკრული კარის სახელურს წავატანე ხელი და უნდა შემეხსნა, რომ კარი შიგნიდან ყურთამდე გამოიღო და იქიდან ჩემი ძველი ნაცნობი ზორზოხი ტოლიკა გამოვარდა. ეს ის ტოლიკა გახლავთ, რომელთან პირველი გაცნობაც მარცხიანად და გზაუკულმართად დაიწყო. აი, შეხვედრაც ამასა ჰქვია!

ტოლიკას მრგვალი სახე მრისხანებისაგან ალეწვია და გაჯავრებული ჩანს. ეტყობა, რაღაცით ძალზე აღშფოთებულია და პირველად ვერც კი მიცნო. თვითონ მივესალმე ხმამაღლა:

— გამარჯობა, ტოლიკ!

სულაც არ მინდა მასთან მტრობა, არა იმიტომ, რომ იმ უაზრო ჩხუბის გამო კუზმიჩმა მაგარ-მაგარი შემახვედრა და ისიც კი მითხრა: „შენ ეგ შემთხვევა კიდევ შეგახსენებსო თავს“. არც ტოლიკა გადაქცეულა ჩემთვის დიდად საამურ პიროვნებად. არა, ეს ყმაწვილი სულმდაბალი და საძაგელი ვინმეა. მაგრამ მასთან მე თვითონ არ ვიყავი მართალი. კიდევ მეტსაც ვიტყვი, ჩემი პროფესიის თვალსაზრისით თუ გავსინჯავთ, მით უარესი ჩემთვის, მასთან ურთიერთობისას ისე მოვიქეცი, როგორც უცოდინარ ხეპრეს შეეფერებოდა. ამ ყმაწვილთან რამენაირად უნდა გამომენახა საერთო ენა და ვარვარას სახლიდან როგორმე მშვიდობიანად გამეყვანა. იქნებ ახლა მაინც გამოვასწორო საქმე...

ტოლიკა პირველად როგორღაც გაოგნებული მიცქერდა, მაგრამ მერე მაინც შემიცნო. ისედაც პატარა თვალებს ბოროტად ჭუტავს და ყრუ, მუქარანარევი ხმით მპასუხობს:

— ჰო, გამარჯობა!

— რა იყო, რამ გაგაგულისა და გაგაცოფა, — ისე ვკითხე, თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს. — რაო, უსიამოვნება შეგხვდა რამე? — და თვალით იმ კარზე ვანიშნე, საიდანაც გამოვარდა.

— მერე, შენ რა?

— რა ვიცი, იქნებ დაგეხმარო რამეში?

— თქვენ დამეხმაროთ...

ტოლიკა შეუვალ ციხესავითაა და, ეტყობა, შერიგებას არ აპირებს.

— აბა, აბა! რატომ იქცევით ასე? — რაც შეიძლება გულკეთილად ვეუბნები მე, — რა გვაქვს გასაყოფი?

— ჩვენ კარგად ვიცით, რაცა გვაქვს...

იგი აშკარად ცდილობს თავი გამარიდოს, მაგრამ მე კიდევ ვცადე შერიგების ერთი ხერხი და ვეკითხები:

— ასე გამოდის, შენ აქ მუშაობ, არა?

— ჰო, ვმუშაობდი, მაგრამ მაგ ამბავმა ჩაილურის წყალი დალია, — დამცინავად მპასუხობს იგი, თითქოს ის თუ სამუშაოდან დაითხოვეს, მე საჭმელს პირს აღარ დავაკარებ.

— დაეთხოვე, ესე იგი?

— ძალით ვერ დამიჭერენ და მამუშავებენ, — ბრდღვინავს იგი, — მაგათი სურვილი ფეხებზე მკიდია! მიმიფურთხებია მაგათთვის, მაგათი დედაც...

კარგა ლაზათიანად შეიკურთხა და ზურგი მაქცია. მე მხოლოდ თვალი გავადევნე.

— გამომივიდა რაღა მეკანონე! — გაისმა ჩემ უკან ვიღაცის ხმა. მოვიხედე და კარებში ლურჯხალათიანი და თეთრ თავსაფრიანი ქალი დგას.

— რა აყვირებდა? — ვეკითხები ქალს.

— სამსახურიდან წასვლა მოინდომა, რაღა, — მიხსნის ის უცნობი ქალი, — ვეუბნებით: „ორი კვირა დარჩი და იმუშავე", ეგ კი ყვირილისაგან უსაშველოდ იჭაჭება. დღეიდან მოინდომა ყმაწვილმა ყველაფერი. წავა, თორემ მაგდაგვარ მადანს ყველგან დიდი ხელგაშლით მიელიან.

— იქნებ მართლაც ხელგაშლით ელოდებიან?

— როგორ არა, ალაყაფის კარს იქით ჰყავს ამფსონები, სმის დიდი მოყვარულები. დილით უკვე მოუსწრია ჩახეთქვა, მაგ პარაზიტს.

ქალმა ხელი ჩაიქნია და წავიდა.

მე კადრების განყოფილებაში შევედი.

კადრების უფროსის ოთახში ისეთი ახალგაზრდა, მომღიმარი, ალერსიანი, მოდურად და ლამაზად ჩაცმული ქალი მხვდება, რომ პირველად დავიბენი კიდეც.

ახალგაზრდა ქალი არა მარტო ალერსიანი და ლამაზი ჩანს, არამედ საზრიანი და გულისხმიერიც. იგი იმწამსვე მიხვდა, რა მინდოდა და ძალიან გონივრული რჩევაც მომცა. მერე თვითონვე დარეკა და დაუკავშირდა იმ ადამიანს, ვინც მესაჭიროებოდა. ისე რომ მე მალე გამოვბრუნდი უკან, ეზო გადმოვჭერი და გასასვლელთან მივედი.

დაცვის უფროსი ალაყაფის მეკარის პატარა ოთახში უკვე მელოდებოდა. ეს გახლდათ მაღალ-მაღალი, ულვაშებით დამშვენებული, წითელი არმიელის სამხედრო შინელში გამოწყობილი ძიაკაცი. მართალია, მკაცრი, შთამბეჭდავი გარეგნობა აქვს, მაგრამ ძალზე ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, არათუ გავანდო, რისთვისაც ვარ მოსული, არამედ გზა-კვალი ავუბნიო. იმწამსვე შევთხზე გონებაში ჩემი მოსვლის სულ სხვა საბაბი. ძიაკაცი მისთვის მომზადებულ ანკესს წამოეგო და დიდი გულმოდგინებით შეუდგა

ჩემთვის დახმარების აღმოჩენას. მან იმწამსვე ამოყარა მაგიდის უჯრიდან ერთდროული საშვის მონახევი ქაღალდები და სარეგისტრაციო წიგნი. მათი მეშვეობით ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გაგვესინჯა, ვინ იყო ფაბრიკაში წინა თვის შუა რიცხვებში ერთდროული საშვით შესული და ფაბრიკის რომელი თანამშრომელი მოინახულა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან მალე ვპოულობთ ჩემთვის ნაცნობ ზურიხის გვარს. იგი ფაბრიკაში 7 ოქტომბერს ყოფილა. საშვი კი თვითონ დირექტორის ბრძანებით იყო გამოწერილი.

— იქნებ ისეც ხდება, — ვეკითხები მე დაცვის უფროსს, — რომ საშვს ერთა ადამიანი უკვეთავს, ხოლო მომსვლელი, ვისთანაც უნდა, იმასთან მიდის.

დაცვის უფროსი იღუშება, დაკოჟრებული ხელით ულვაშებს ისწორებს, დაძაბული ფიქრობს და ბოლოს კბილებიდან ძლივს გამოსცრის:

— ნება დართული არ არის.

— ვიცი, რომ ნება დართული არ არის, მაგრამ თქვენთან ხდება თუ არა ასე? მინდა დავაზუსტო.

— **არ ვიცი.**

— ვის ეცოდინება?

— ჰო... ერთი სიტყვით... ვინც საშვს უკვეთავს.

— თქვენთვის ასეთი ფაქტები უცნობია?

— ჩემთვის?

დაცვის უფროსი უფრო და უფრო შეწუხდა. ალბათ იმას ფიქრობს, ან პირადად თვითონ არ ჩავარდეს ხათაბალაში, ან მისი ენით უფროსთაგან არავინ გაებას.

— დიახ, თქვენთვის, — ვეუბნები მე და თვითონვე ვგრძნობ, რომ ამ კითხვებით წარმატებას ვერ მივაღწევ.

— საიდან... საიდან უნდა ვიცოდე...

— ჰო, კარგით, კარგით, — ამოქშენით ვეთანხმები მე, — აი, მაგალითად, დირექტორის მითითებით აქ რამდენიმე კაცზეა გამოწერილი საშვი. აი ამაზე... ამაზე... ამაზე... — ვუთითებ სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერებზე და საშვმიცემულთა შორის ზურიხის გვარსაც ვურთავ, — ყველა ესენი დირექტორთან იყვნენ?

შინელიანი ძიაკაცი ულვაშებს იწიწკნის, უაზროდ დაჰყურებს ჩემს საჩვენებელ თითს და მერე კოპებშეკრული წარმოთქვამს:

— ვერ გეტყვით, არ ვიცი.

ჩვენს ლაპარაკს მთელი გულისყურით უსმენს მსუქან-მსუქანი, წითელ ლაწვისთავებიანი მეკარე ქალი, რომელსაც ოდნავ გვერდზე ახურავს ჯარისკაცური ყურებიანი ქუდი და შავი ფერის შინელზე ფართო ქამარი მაგრადა აქვს შემოჭერილი.

— რა არის მანდ საცოდინარი და სავაგლახო, — დაუდევრად ამბობს იგი და თვალებს ეშმაკურად აციალებს, — ერთმა ღმერთმა უწყის, დილით რომ ზოია ფედოროვნა სიას მოგვცემს, ეგეც ხელს დაუკვირვებლად და უყოყმანოდ მოაწერს და მერე მიდი!

— შენ ენა დაიდუმე, საზონოვა, — გაჯავრებული აჩუმებს მეკარე ქალს დაცვის უფროსი, — შენ არავინ გეკითხება.

— როგორ გავჩუმდე, როცა თქვენ ადამიანს წესიერად დასმულ კითხვაზე ვერ პასუხობთ, — წყენით ამბობს გოგონა.

მან ტუჩი აიბზუა, — ისეთი გამომეტყველება აქვს, როგორც დამოუკიდებელ ადამიანებს სჩვევიათ,—და ფანჯრის გვერდზე მიდგმულ მაგიდისაკენ შებრუნდა. ეტყობა, ფაბრიკაში შესასვლელი საშვი ამ მაგიდაზე იწერება. სარკმლის იქით მოჩანს ფაბრიკაში შესასვლელი და მეორე მეკარე. ისიც ქალია.

— დღეისათვის ასეთი სია გაქვთ თუ არა? — ვეკითხები მე გოგონას.

— რაღა თქმა უნდა, გვაქვს, — მპასუხობს იგი.

— აბა, მიჩვენეთ, — ვთხოვ მე.

გადავიწერე გვარები ჩემს ბლოკნოტში და მეკარეებს დავემშვიდობე. გრძელი ეზო გადავჭერი და გეზი ისევ ადმინისტრაციული კორპუსისაკენ ავიღე.

მეორე სართულზე ავდივარ და დაბალი ტანის, შავთმიან მდივან ქალს ზოია ფეოდოროვნას ვესალმები.

ძალიან ენერგიული და საქმიანი ადამიანი ჩანს. ყველა რაღაცას ეკითხება, ზოგი საქმიან ქაღალდებს სჩრის ხელში. რამდენიმე ტელეფონი უდგას, ხან ერთი რეკავს, ხან მეორე და შიგადაშიგ ყველა ერთადაც ირეკება.

მიუხედავად ამისა, ზოია ფეოდოროვნა ჩემთვისაც იცლის. თვალი ჩაჰკრა თუ არა სიას, რომელიც მე გადავეცი, იმწამსვე მითხრა:

— ეს ამხანაგი საფაბრიკო კომიტეტში მიდის, ეს მთავარ მექანიკოსთან, ეს ორნი ბუხჰალტერიაში. დანარჩენები კი ჩვენთან.

ყველაზე უფრო, რაც მომეწონა ამ ქალისა, ეს მისი მეხსიერებაა. ყველა მიმსვლელ-მომსვლელი ახსოვს, ვისაც კი ბოლო ერთი თვის მანძილზე მათ ფაბრიკაში ფეხი შემოუდგამს. მე ამოწერილი გვარებიდან სულ სხვადასხვა ხალხს ვუსახელებ და მათ შორის ზურიხსაც.

— აი, ეგ ამხანაგი, — მეუბნება ზოია ფეოდოროვნა, — ლენინგრადიდან იყო. მაგათ მრეწვავჭრობას ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა ჩვენთან.

— გააფორმეს? — განცვიფრება ვერ დავმალე მე.

ასეთი კითხვა არ უნდა მიმეცა. მავანთა და მავანთა გამო ასეთი დამატებითი კითხვა არ მიმიცია. მაგრამ ზურიხის ახალმა ამპლუამ გამაოცა.

— ეს საკითხი საგეგმო ან გასაღების განყოფილებათა კომპენტენციაში შედის, — საქმიანად მპასუხობს ზოია ფეოდოროვნა და იმწამსვე რეკავს ერთ-ერთ განყოფილებაში.

წუთიც და ირკვევა, რომ ლენინგრადის მრეწვავჭრობასთან ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ.

— ვის აინტერესებს ეს საკითხი? — გაისმის მამაკაცის ხმა ტელეფონის ყურმილში.

— სამმართველოდან არიან, — პასუხობს ზოია და არც ეღიმება. ალბათ თანამშრომლებს ნერვები არ უნდა მოუშალოს.

— ეგ რა, ლენინგრადიდან ჩამოსული ამხანაგის თაობაზე კითხულობენ? — არ ეშვება ზოიას მოსაუბრე.

— ალბათ.

— ავუხსნი! — ვეუბნები მე.

— არავითარი ახსნა-განმარტება არაა საჭირო, — მკაცრად მომიჭრა ზოია ფეოდოროვნამ.

მე კარგად მოვისმინე საუბარი და ჩემთვის იმწამსვე ნათელი შეიქნა, როგორ დაძაბულად მიმდინარეობდა იგი. ყოველ შემთხვევაში, ინტერესი და ცნობისმოყვარეობა აშკარა იყო იმ კაცის მხრიდან, ვისაც ვერ ვხედავდი.

ჩემი შეცდომა რომ გამომესწორებინა, ფაბრიკაში სხვა მომსვლელებზეც ვიკითხე. ზოია ფეოდოროვნამ ისევ გასაღების სამმართველოში დარეკა.

— იქ ვის ელაპარაკებით? — ახლა მე დავუსვი კითხვა.

— ჩვენი გასაღების განყოფილების უფროსს ამხანაგ სივოკინს.

ამ გვარს ვიმახსოვრებ.

იმდენი რამ გავარკვიე, რომ დასაწყისისათვის კმარა. საქმეს კიდევ რომ ჩავუკირკიმალდე, საშიშია, რადგან ობხს-იდან სათანადო კონსულტაცია არ მიმიღია.

* * *

სწორედ რომ დროზე მოვედი სადგურში. მატარებელი იმწამსვე მოადგა ბაქანს. მგზავრები ძალზე ცოტა ჩანან და იგორის დანახვა არ გამჭირვებია. იგორს მუქი ფერის პალტო აცვია, ხელში პორტფელი უჭირავს, პაპიროსს ეწაჩება და ვაგონთან ახლოს დგას. შუბლშეჭმუხვნილი და კოპებშეკრულია. ძალიან რთული ამოცანა აკისრია. ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად კლიაჩკოს სიკვდილის გარემოებანი უნდა დაადგინოს. ისეთი წვრილმანები აქვს გამოსაკვლევად, რომელთა შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ მცირეოდენი ვარაუდები თუ გაგვაჩნია. მაგრამ იგორი იმაზე ფიქრობს, რა უნდა აკეთოს, თუ რას სტოვებს, აქ, მოსკოვში, ეს კიდევ საკითხავი და გასარკვევია.

დამინახა და იმწამსვე ჩემსკენ გამოეშურა. ერთმანეთს მივესალმეთ თუ არა, იგორი მეუბნება:

— რაგოზინმა დარეკა. სტრახოვიჩმა შეიცნო კლიაჩკო. სწორედ ამ კაცმა გამოაცილაო ოქტომბრის თვეში ზურიხი სარატოვიდან. ეს ერთი. ახლა მეორე. რაგოზინმა დაადგინა, რომ ორ ოქტომბრამდე კლიაჩკოს სამუშაოდან ფეხი არ მოუცვლია. სამ ოქტომბერს, ოთხი დღე უხელფასო გაუფორმებია და სადღაც წასულა. შვიდ რიცხვში უკვე ადგილზე ყოფილა.

— შვიდ ოქტომბერს საღამოს, — ჩავურთე მე, — მოსკოვიდან ზურიხმა დაურეკა.

— დიახ. ახლა ყველაზე საინტერესო ისაა, — გამოცოცხლდა იგორი, — რომ მუშანსკიმ ქურდობის კიდევ ერთი შემთხვევა აღიარა.

— კლიაჩკოს პასპორტის? — სულმოუთქმელად ვიკითხე მე.

— ჰო. მაგრამ იცი, სად მოუპარავს პასპორტი? ოდესაში.

— აი, ეს კი თავსატეხი მოუმატებია და ეგაა. ესე იგი, კლიაჩკო იმ ოთხი დღით ოდესაში გამგზავრებულა? მერედა სად უთევია და უღამებია?

— სასტუმროში.

— დანაკარგზე თუ უთქვამს რამე?

— შეამოწმეს. პასპორტის დაკარგვაზე კრინტიც არ დაუძრავს, არაფერი არ განუცხადებია. იმავე დღეს დაბრუნებულა უკან, სარატოვში.

ისევ ოდესა. რაღაც მაგარი კვანძი ოდესაში იხლართება. მოსკოვი, პუნეჟი, ოდესა... იგორი პუნეჟში მიემგზავრება. ნეტავ რა მოელის იქ?

მხოლოდ ახლა ვამჩნევ, რომ იგორს ხელთ ჩემთვის უცნობი პორტფელი უჭირავს.

— ეს ვისი პორტფელი დაგითრევია? — ვეკითხები მე.

— მამაჩემისაა, — უხალისოდ მპასუხობს იგი.

რაღაც-რაღაცას ვვარაუდობ და ვხვდები კიდეც.

— შენ რა, სახლიდან არ მოდიხარ?

— მე ახლა მშობლებთან ვცხოვრობ.

იგორი კიდევ უფრო იღუშება და კოპებს იკრავს.

ორივენი ვდუმვართ. როგორი ახლო მეგობარია და იმ ამბის მერე ამასთანაც მიძნელდება ურთიერთობა. ოდესმე მიფიქრია განა, რა უნდა მეთქვა და რა რა? ახლა? ახლა კი სულ იმაზე ვფიქრობ, რა ვუთხრა, რით დავიწყო.

— შენ რა, უკვე გადაწყვიტე... — თავს ძალას ვატან და მაინც ვეკითხები.

— თავისით გადაწყდა ყველაფერი... დიდი ხანია გადაწყდა... — გამოსცრა იგორმა. იგი დაბლა იხედება და რაღაცას დიდი ყურადღებით აკვირდება.

თითქოს თვალებში შემოხედვა არ უნდა. ალბათ მიღებული გადაწყვეტილება რომ არ შესცვალოს, მზერას იმიტომ მარიდებს. მე ნამდვილად ასე მგონია და რა ვიცი, კაცნი ვართ...

— თავისით არაფერი წყდება, — ვეპასუხები მე.

— ეჰ... — რაღაც მემწყინარებლური წუხილით ამბობს იგორი, მოწყალებასავით მზერას მაპყრობს და ისე განაგრძობს: — ბევრი რამე კი გესმის...

— ასჯერ უნდა გაზომო, რომ მერე სანანებელი არაფერი გაგიხდეს.

— ათასჯერ ავწონ-დავწონე...

— შენ მარტომ?

— სულელო... — იგორი მწარედ იცინის.

მე კი აშკარად ვბრაზობ და თავს ძლივს ვიკავებ, რომ ბოღმა არ გადმოვანთხიო. გულით მინდა, რომ ვუთხრა: „ამის თაობაზე უნდა მეგობართან ერთად იფიქრო. დიახ, მეგობართან და არა მარტომ მოიკლა ჯავრითა და ბოღმით თავი“. მაგრამ ხმამაღლა ამას არ ვამბობ. თქმით სულ სხვა რამე ვუთხარი.

— შენ ვერ გამიგე, იგორ! ნუთუ ლენაც შენსავით ფიქრობს?

— ლენა აქ არაფერ შუაშია. სულ, ერთია ალასთან მაინც ასე დამთავრდებოდა ყველაფერი. აბა, როგორ აგიხსნა... იგი ჩემგან მონობას ითხოვს, გესმის? სრულ მონა-მორჩილებას. თვითონაც მონური სულისკვეთებისა გახლავს და მზადაა უსიტყვო, უენო, ყურმოჭრილ ყმად იქცეს... მე აგრე არ შემიძლია... იმას არაფრის გაგება არ უნდა... არა, ამისი ახსნა არ შეიძლება...

— მე ვფიქრობ...

— შენ არაფრის ფიქრიც არ შეგიძლია! — უხეშად შემაწყვეტინა იგორმა.— არავის არ შეუძლია ჩემ მაგიერ ფიქრი. ჩვენ ორს შეგვიძლია. ეს მხოლოდ ორ ადამიანს ეხება და ყოველთვის ორი ადამიანის საქმეა, მეტი არავისი, გაიგე? ეშმაკმა დალახვროს! რით ვერ იგებს ეს ხალხი!

იგორი თითქოს გაჰყვირის. ჰო, ყველაფერს ჩურჩულით კი ამბობს, მაგრამ გინდაც ეყვიროს. ნერვები აღარ ემორჩილება.

ჩემი აზრით, მისი გაგზავნა არსად არ შეიძლება, მით უფრო ასეთი საპასუხისმგებლო დავალებით პუნქში... თავში კი სულ სხვაგვარმა აზრმა გამიელვა: იგი უნდა გაემგზავროს სადმე, „რაიმე“ საქმე უნდა გამოუჩნდეს და ის

„რაიმე“ რაც უფრო მძიმე და სახიფათო იქნება, მით უფრო კარგი! აი, რომ შეიძლებოდეს და მეც მასთან ერთად წავსულიყავი! აუცილებლად კუზმიჩს უნდა მოველაპარაკო, და ჩავფრინდები.

ამ დროს რეპროდუქტორიდან ბაქანზე გაისმის: — მატარებლის გასვლამდე დარჩა... გამცილებლებს ვთხოვთ...

— აბა, კარგად მეყოლე, — მეუბნება იგორი და ხელს მიწვდის, — მხოლოდ ნუ გამირისხდები.

— რას ამბობ, აბა, შენ იცი, ფრთხილად იყავი, მალე შევხვედროდეთ ერთმანეთს, — სხაპასხუპით დავაყარე მე.

როგორ მინდა ძმურად გადავეხვიო, მაგრამ ხელს მაგრად ვართმევ და მეტი არაფერი. ალბათ მე ძალიან სენტიმენტალური ადამიანი ვარ.

— ვნახავთ, მალე შევხვდებით თუ არა, — იცინის იგორი.

— მოქალაქე, დაიკავეთ თქვენი ადგილი!—თითქმის უბრძანებს გამცილებელი ქალი.

იგორი მემშვიდობება, ხელს მიქნევს და და კიბეზე ხტება. მერეც დიდხანს მიქნია ხელი.

ვაგონები კი მიჰქრიან და მიჰქრიან.

* * *

,განყოფილებაში ვბრუნდები და ვიგებ, რომ კუზმიჩი ადგილზე არაა. მხოლოდ სალამოს იქნებაო, მითხრეს.

ვალია და პეტია შუხმინთან ერთად სადილობენ.

— გააცილე? — მეკითხება პეტია.

— გავაცილე.

— ასე სჯობია. იქნებ გულიდან ცოტა ჯავრი გადაიყაროს. შორეული მოგზაურობის ქარი, გზაშარაზე ავარდნილი მტვერი... და სხვა ამგვარი. იქნებ მოიწყინოს კიდეც და ლამაზი მეუღლე მოენატროს. ერთი მაგნაირი ცოლი მომცა, სულ ხელში ატატებულს ვატარებდი... ცივ ნიავსაც კი არ მივაკარებდი.

პეტია მხიარულად მიკრავს თვალს.

ჩვენი ბიჭებისათვის რამის დამალვა ზღაპარია. ყველაფერი იციან. ალბათ პროფესიონალური ჩვევაა. ალბათ ცნობები მარტო მე არ მიგროვებია. ლენაზეც იციან ყველაფერი.

სადილის მერე ობხსს-ში მომუშავე ბიჭებთან მივდივარ. ბევრ რამეზე მჭირდება დათათბირება. იქ თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტები სხედან. აი, მაგალითად, ედიკ ალბანიანი.

სპეციალობით იგი ეკონომისტია. უცნაურია, მაგრამ კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. კინოზე აბოდებდა. ორი წელი „მოსფილმში“ იმუშავა სურათის დირექტორის თანაშემწედ. მერე დირექტორს ყალბი ანგარიშები აღმოუჩინა, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა. ყალბისმქნელმა ადვილად დააღწია თავი საგამომძიებლო ორგანოს. ედუარდზე კი ამ ამბავმა წარუშლელი კვალი დასტოვა. შთაბეჭდილებიანი, ენერგიული და დიდი ტემპერამენტის პატრონი კაცია. მერე

როგორი თავმოყვარეა. სტუდიას თავი მიანება და ერთი ახლობელი მეგობრის რჩევით მუშაობა ობხსს-ში დაიწყო. მე მგონია, სამართლიანობის შებღალვამ და შეურაცხყოფილმა გრძნობამ მიიყვანა იგი ამ სამუშაოზე. იგი ძალიან გამოცდილი სპეციალისტი შეიქნა. მას მერე არა ერთი და ორი, თავისი დირექტორივით ყალთაბანდი დაუსვამს დამნაშავის სკამზე.

ამ უკანასკნელ წლებში სწორედ იმ განხრით მუშაობს, მე რომ მაინტერესებს. შეიძლება პირადად ჩემთვის მისი კონსულტაცია ფასდაუდებელი შეიქნეს.

მისი მონახვა არ გამჭირვებია და ჩვენც ერთ თავისუფალ ოთახში განვმარტოვდით.

— მოითმინე, ძვირფასო, მოითმინე, — საჩქაროდ მაწყვეტინებს ედუარდი, — შენი თხოვნა ორ საკითხად უნდა გაიყოს. საამშენებლო სამუშაოები ჩემი განხრითაა, ფაბრიკა კი არა. ერთი წუთით! — მან ტელეფონს დასტაცა ხელი, რაღაც ნომერი აკრიფა და უკვე ჩაჰყვირის.

— ვალოდია ხარ?.. გამარჯობა! სასწრაფოდ შემოდი ას მეშვიდე ოთახში! მე აქა ვარ. რაღაც-რაღაცა ამბები მაქვს შენთვის სათქმელი. აბა, მოდი, მოდი, რომ იტყვიან, ერთი ფეხი იქ, მეორე ფეხი აქ. ვიდრე კაცი არ წასულა, გაისარჯე და მანამდე მოდი.

როცა ყურმილი დადო, მერეღა ვკითხე:—საიდან მოიტანე, რომ მივდივარ?

— ეჰ, შენც მოგცლია რაღა, აბა, როგორ ავაჩქარო. ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ ცოტა მძინარაა. ახლა შენს „უფლისწულზე“ რაღაც მასალები მზამზარეულად მაქვს და გადმოგცემ. ამ ტრესტს ჩვენ ვსწავლობდით. ახლავე ნახავ. წამი და ყველაფერი იქნება!

ისევ ტელეფონს წასწვდა.

— ნინოჩკა? ოხ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ... ერთ ჩემს მეგობარს სასწრაფოდ უნდა დავეხმაროთ. გახსოვს, მეჩვიდმეტე ტრესტის ამბავი? ოჰ, რა ჭკვიანი ხარ! მოამზადე, ჭირიმე, ახლავე მოვრბივარ!

ამ დროს ოთახში დინჯად შემოვიდა მაღალი და სრული, სათვალიანი მამაკაცი. ღია ფერის თმა უკან საგულდაგულოდ ჰქონდა გადავარცხნილი. წყნარი, მსუქანი, თითქოს ნამძინარევი პირისახე ჰქონდა.

— აი, ისიც, — წამოხტა ედუარდი და შემოსულს მიეახლა: — გაიცანი, ვალოდია, ეს ჩემი მეგობარი ლოსევია, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მუშაობს. თვითონ მოგიყვება ყველაფერს. მე კი ეხლავე მოვალ...

ედუარდი უცებ გავარდა ოთახიდან.

— უფროსი ინსპექტორი სურკოვი, — წარმოთქვა ვალოდიამ და მსუქანი ვეება ხელი გამომიწოდა. ძლიერი მარჯვენა კი ჰქონია.

მე თავიდან ვუყვები ვალოდია სურკოვს ფაბრიკის, ზურიხისა და ფაბრიკის მიერ გამოშვებული კოფთების ამბავს.

— ლენინგრადიდან ჩამოვიდაო, ასე თქვით, არა? ჰმ, ჰმ... ალბათ სოკოლსკიმ და იმან ერთად გააკეთეს ჯადო.

— სწორედ აგრეა, — ვუდასტურებ მე, — ზურიხი სწორედ სოკოლსკის ელაპარაკა ტელეფონით მოსკოვიდან.

— მაგ არამზადა სოკოლსკის ჩვენ კარგად ვიცნობთ. ლენინგრადელ ამხანაგებთანა გვაქვს კავშირი. ისინიც მუშაობენ ამ საქმეზე. ის ზურიხი კი, თქვენ

რომ ახსენეთ, არ გამიგონია. ეგ ვიღაც ახალი კაცი უნდა იყოს. სოკოლსკის გარდა კიდევ ვისთან აქვს კავშირი, მაგალითად, მოსკოვში?

— ფაბრიკის გასაღების განყოფილების გამგე სივოკინს უნდა იცნობდეს კარგად.

— მაგ სივოკინსაც ვიცნობთ. მაგრამ სოკოლსკისა და სივოკინს ცალ-ცალკე ვიცნობდით. ახლა კი ირკვევა, რომ ურთიერთკავშირში ყოფილან....

— როგორი უნდა იყოს ამ საქმეში ზურიხის როლი, რას ფიქრობთ?

სურკოვი პასუხს აგვიანებს, ეტყობა, რაღაც-რაღაცას თავისთვის ანგარიშობს და ვარაუდობს.

მე პაპიროსს ვაბოლებ და ვალოდია სურკოვს არ ვაჩქარებ.

— ეტყობა, ძალიან საშიში ვიღაც უნდა იყოს, — ამოთქვა ბოლოს, როგორც იქნა, სურკოვმა, — ეგ კაცი სამრეწველო საქონლის სხვა ქალაქებში გამსაღებელსა ჰგავს და დიდი გაქანების გაიძვერა იქნება.

— ნუთუ მაგდაგვარი მაქინაციით შეიძლება დიდი ფულის შოვნა?

— გიფიქრიათ ოდესმე ამის თაობაზე? — იცინის სურკოვი, — აი, გეტყვით. ელემენტარული გაანგარიშების საქმეა. ფაბრიკამ უნდა გამოუშვას წელიწადში დაახლოებით სამი ათასი ცალი ქალის კერესი. აქედან, დავუშვათ, მხოლოდ ორმოცდაათი ათასს აქვს ნამდვილი ღიღილოსფერი. მეტზე ქარხანას, ვივარაუდოთ, რომ საღებავი არა ჰყოფნის. რას აკეთებს ამ დროს ფაბრიკის გასაღების განყოფილების უფროსი, თუ ის ყალთაბანდი და გაიძვერაა? იგი დამზადებულ კერესს გადასცემს ბაღაზიების ისეთ დირექტორებს, ვინც „თავის ხალხად“ მიაჩნია. თვითეულ კერესს მხოლოდ ერთი მანეთი ექნება წამატებული. ეს, როგორც ხედავთ, უკვე ორმოცდაათი ათასი მანეთი იქნება. მაგრამ ჩვენ ვიანგარიშოთ არა ორმოცდაათი ათასი, არამედ ოცდახუთი ათასი, რადგანაც იგი იძულებული იქნება დამზადებული კერესის ნახევარი მაღაზიების პატრონსან დირექრექტორებსაც გადასცეს. მერე ის უპატრონო დირექტორები ამ საქონელს მაღაზიის ნაცვლად სპეკულანტებს მიჰყიდიან და ცალზე თითო მანეთს იქ მოიგებენ. ასეთი დიდი თანხა კვლავ მათ ჯიბეებში ჩასრიალდება. ისეთი საქმოსანი კი, როგორიც ის თქვენი ზურიხი ჩანს, ასეთ დეფიციტურ საქონელს იმ ქალაქში წაიღებს, სადაც ასეთ რამეს სრულიად არ ამზადებენ და ამიტომ იქაური მაღაზიები ამდაგვარ საქონელს არ ღებულობენ. იქ ის თავისუფლად უმატებს ცალზე ოთხ ან ხუთ მანეთს. ეს უკვე ძალიან დიდი თანხაა. ამდაგვარი თანხით შეიძლება გადაზიდვის ხარჯებიც აინაზღაურო და მომსახურებისათვის ადგილობრივ სპეკულანტებსაც გაუსწორდე. თუ ყველაფერს წინასწარ გავითვალისწინებთ, აი, ასეთი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. ეს გახლავთ არა მარტო ეკონომიური ხასიათის დივერსია, ესაა სახელმიფო ვაჭრობის სისტემისათვის პოლიტიკური და ზნეობითი ხასიათის ლახვარის ჩაცემა და ნდობის შელახვა. ასეთი დანაშაულის ჩამდენნი კანონის მთელი სიასტიკით უნდა დაისაჯონ.

ვალოდია სურკოვმა თავისი ვეება ხელი მომუჭა და მის სახეზე აღშფოთება და ღელვა პირველად შევამჩნიე.

უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ აქამდე წარმოდგენაც არა მქონდა, თუ ობხსს-ის მუშაობა ამდენად მნიშვნელოვანი და რთული იყო. არც საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობასა და როლზე მიფიქრია, ახლა კი მეამა-

ყება კიდეც, რომ საშუალება მომეცა და იქ მომუშავე ბიჭებს თავიანთ ძნელსა და რთულ საქმეში ცოტაოდენი დახმარება მეც გავუწიე.

— ჩვენ დავადგინეთ, რომ ასეთი არტიკულის კერესი იგზავნებოდა არა მარტო ლენინგრადში, არამედ ოდესაშიც. მე მხედველობაში მყვანან სპეკულანტები. აგენტურისაგან გვქონდა ასეთი სახის არაერთი სიგნალი.

— რა არხებით გადიოდა საქონელი, დადგენილი არაა?

— არის, — მახვილით წარმოთქვა სურკოვმა.

— ძალიან მაინტერესებს ლენინგრადისა და ოდესის მასალების ნახვა.

სურკოვი აუჩქარებლად მიქნევს თავს.

— მასალების ნახვა და გაცნობა შეიძლება. ამწუთსავე გამოგიგზავნით.

ამ დროს ოთახში ედუარდი შემოიჭრა. იღლიაში სამი სქელი საქაღალდე აქვს ამოჩრილი.

— აჰა, მოამთავრეთ კიდეც, — წამოიძახა მან, ყური მოჰკრა რა სურკოვის ბოლო სიტყვებს.

— რაღაც წარმატებას მივაღწიეთ, — ვუღიმი მე.

სურკოვი უშფოთველად აქნევს თავს და ოთახიდან გადის.

— ალბათ მე უფრო მეტი მასალა მოვიტანე, — იბღინძება თავისებურად ედუარდი და საკმაოდ სქელ საქაღალდეებს მაგიდაზე ჰყრის,—ვახ, ძმაოჯან, რა ბატი შეგხვდა. ჩვენ ისეთი საბუთები შევქმენით მასზე, რომ თითებს ჩაიკვნეტ, — იგი საქაღალდეებზე მანიშნებს. შორიდან ვათვალიერებ მათ და შიგ ახლად ჩაწყობილ სანიშნებს ვამჩნევ, — იცი, შიგ ზურიხიცაა მოხსენებული.

კინაღამ სკამიდან წამოვხტი.

— სადაა მოხსენებული?

— აი, აქ, — იცინის ედუარდი, — მაგრამ უცნაური საქმე კია... — ვატყობ, ჩემი მეგობარი რაღაც შეფიქრიანდა, — ის კაცი ხან როსტოვის კომუნალური მშენებლობის განყოფილების წარმომადგენლად იწოდება, ხან კი ოდესის საამშენებლო სამმართველოს მუშაკად. აი, ნახე.

ედუარდი საქაღალდეს ხსნის და ჩვენ უკვე საბუთებს ვუკირკიმალებთ.

ზურიხი მართლაცაა საბუთებში ნახსენები, მაგრამ თვითონ არ დაუკითხავთ. სხვათა დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, რომ ვიღაც ნაკლებ მნიშვნელოვანი პიროვნება არსებულა და გაკვრით უხსენებიათ. ამ დაკითხვების მიხედვით თუ იმსჯელებს კაცი, სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან მას საერთო არაფერი ჰქონია.

ბურლაკოვიც მოწმედაა დაკითხული. დიახ, დიახ, მოწმედ. ერთ ადგილას ისიც იხსენიებს ზურიხს. აი, ეს უკვე მნიშვნელოვანი ამბავია. ესე იგი, იგი ზურიხს იცნობს!

ბურლაკოვის დაკითხვის ოქმში ამ ადგილს განსაკუთრებული ყურადღებით ვკითხულობ.

ბურლაკოვი ამტკიცებს, რომ ზურიხი მასთან იყო კაბინეტში, როცა ერთერთი პასუხისგებაში მიცემული პირი მასთან შევიდა. ზურიხის ასეთი ხსენება ბურლაკოვს იმისათვის დასჭირდა, რომ დაემტკიცებინა, ისეთი მითითების მიცემა, რასაც პასუხისგებაში მიცემული აცხადებს, უცხო კაცის თანდასწრებით არ შემეძლოო. იმ საბუთებში როსტოვში მილების უკანონო გადაგზავნაზე იყო ლაპარაკი. „ვინ არის ის პიროვნება?“ — ეკითხება გამომძიებელი ზურიხზე.

ბურლაკოვი აგდებულად პასუხობს: „ერთი ოდესელი ამხანაგია.“ მერე გამომძიებელს ახალი, ძალიან საინტერესო კითხვა დაუსვამს: „იცნობთ თუ არა როსტოვის კომუნალური მშენებლობის განყოფილების უფროსს, პლატოვს?“ ბურლაკოვი იძულებული გამხდარა დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხი გაეცა, თუმცა ერთგვარი გამოპირობება არ დავიწყებია. „ჰო, ვიცნობ. შემთხვევით გადავეყარე და გავიცანი“. „სად?“ უკითხავს გამომძიებელს. ბურლაკოვის პასუხში თურმე სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა მომელოდა. „მოსკოვს, ტრეტიაკოვის გალერეაში“, უპასუხნია ბურლაკოვს. მილების დატაცების ამბავი ძიებას ვერ დაუმტკიცებია. პლატოვს ყველაფერზე უარი უთქვამს. სხვა სამხილი ძიებას არ ჰქონია და ბურლაკოვი, როგორც ყოველთვის, წყლიდან მშრალად გამოსულა. ერთ-ერთი ბრალდებულის საქმესთან ოცი ტონა კერამზიტის ამბავიცაა ნახსენები, რომელიც ოდესაში იქნა უკანონოდ გაგზავნილი. არც კერამზიტის დატაცების მტკიცება გამხდარა ძიებისათვის შესაძლებელი. ამ ამბავთან დაკავშირებით ოდესელი ვიღაც ბოგდან ტელიაშია საქმეში მოხსენიებული.

უკვე ოთხი საათი იქნება, რაც ამ საქალალდეებს ვუკირკიმალებ და ბევრი საინტერესო რამ ამოვიწერე. ედუარდი დიდი ხანია წავიდა. მას ბევრი გადაუდებელი საქმე აღმოაჩნდა. ხანდახან წუთით შემოიხედავს ოთახში, სადაც მე მოვკალათდი, და აქოშინებული მეკითხება:

— ჰა, როგორია ნანადირევი? — ჩემი არაქათგამოცლილი და აშკარად აღგზნებული სახის დანახვით კმაყოფილი რჩება და თვალს მიკრავს: — აი, როგორი ბიჭები ვართ, მეგობარს გაჭირვებაში არასოდეს არ მივატოვებთ.

მერე დამრიგებლურად და მრავალმნიშვნელოვნად მეუბნება: „დააფასე, დააფასე და მუხლი მოიყარე, ხომ ხედავ, რა დაკლაკნილ ლაბირინთებში დავიარებით“.

და უცებ ისევ სადღაც გავარდება. ასე რომ, მის თავხედურ განცხადებაზე პასუხი გაუცემელი მრჩება.

სურკოვის მიერ გამოგზავნილი საბუთებიც მომიტანეს. აქაც ბევრი რამაა საინტერესო. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მეტად საინტერესო გვარი მხვდება. მათ შორის, ჩემთვის უკვე ნაცნობი გალინა კოჩერგა! მისი საშუალებით გაიყიდა „ჩვენი კერესი“. ერთ-ერთი კერესი ოდესის საამშენებლო სამმართველოს თანამშრომელს — ინგა კრივოლაპს უყიდნია მისგან, იმ სამმართველოს თანამშრომელს, სადაც ზემოხსენებული ბოგდან ტელიაში მუშაობს. არც ეს შემთხვევა და ამბავია უყურადღებოდ დასატოვებელი და მეც გულმოდგინედ ვინიშნავ ბლოკნოტში.

აი, რას ნიშნავს საქმისადმი სერიოზული მიდგომა.

ამქვეყნად ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ყველაფერს აქვს თავისი კანონზომიერება, თავისი ლოგიკა. ადამიანები გადაჯაჭვულნი არიან გარემოებითა და თავიანთი ინტერესებით. გაიძვერებიც კი. აუცილებლობასა და სინამდვილეს ვერსად გაექცევი.

* * *

დილით ყოველივე კუზმიჩს მოვახსენე.

ის უხმოდ გადმომყურებს სათვალეს ზემოდან და ხელში სიგარეტს სრესავს. დავამთავრე, მაგრამ კუზმიჩი ხმაამოუღებლივ ზის და შემოგვცქერის. ჩვე-

ულებრივ ასე იცის, ხმას მანამდე არ ამოიღებს, ვიდრე ყველანი თავის აზრს არ გამოთქვამენ. პეტია და ვალია დენისოვიც ხმაგაკმედილები სხედან. ჯერ აღიქვამენ და ინელებენ იმ ამბებს, მე რომ მოვყევი.

კუზმიჩი ვალიას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა მონაცემები გაქვს იმ ოდესელ ქალზე, გალინა კოჩერგაა თუ ვიღაც ჯანდაბა?

ვალია იმ საქალალდეს ხსნის, ურომლისოდაც კუზმიჩის კაბინეტში ალარ შემოდის ხოლმე, და იქიდან რაღაც ჩანაწერებს იმარჯვებს.

— მონაცემებზე მკითხეთ, არა? — ამბობს იგი, — გალინა კოჩერგა ოცდა-ხუთი წლისაა. მამა მექანიკოსი ჰყავს, დედა—მკერავი. ძალიან ფართო და საეჭ-ვო კავშირი აქვს ყოველგვარი წრის ხალხთან. თაყვანისმცემლები მის გარშემო ბუზებივით ირევიან. მის გამო მრავალი დებოში ამტყდარა და ბევრისათვის დაუნაყავთ ცხვირ-პირი. შენიშნულია სპეკულაციასა და კონტრაბანდაშიც კი. ინტერკლუბის ხშირი სტუმარია. ბევრთან აქვს ურთიერთობა. გათხოვილია და უკვე ქმარგაშვებულიც. ყოფილი ქმარი სასტუმროს რესტორნის ორკესტ-რში ბარაბანზე უკრავს. სამართალში მიცემული არ ყოფილა. აქვს მეტსახელე-ბიც: „მადმაზელ გალია“, „დედოფალი გალია“, „გალია მარილი და წიწაკა“, „გალია ორი კოცნა“... და სხვა. აი, ასეთი ცნობები გვაქვს.

— მაგარი გოგო ყოფილა, — ამბობს პეტია შუხმინი, — მაგდაგვარი ქალი თავბედს გაწყევლინებს.

— დიახ, ძნელი ობიექტი ჩანს, — ეთანხმება ვალია და ქალალდებს აკურა-ტულად აწყობს უკან საქალალდეში.

— ის უბედური სარატოვიდან მაგასთან ხომ არ მიფრინავდა, — ხმამაღლა აცხადებს პეტია, — ალბათ რომანი ჰქონდათ. მაგნაირთან უსიყვარულოდ არც შეიძლება.

— ოდესაში გამოსარკვევი საკითხები უამრავი გვაქვს, — ვურთავ მე, — ხომ იცით, რომ იქ ზურიხიც ძოვს.

— ამრიგად, — აჯამებს ჩვენს ნათქვამს კუზმიჩი და მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს: — საღამოთი ალბათ რაღაც გადაწყვეტილებას მივიღებთ, ჯერ-ჯერობით კი, — მომიბრუნდა მე, — ბურლაკოვთან წადი, რას იტყვის ზურიხზე, ძალიან საინტერესოა. ოდესის თაობაზეც გამოჰკითხე. აი, ორი მთავარი პუნ-ქტი და იმოქმედე! გასაგებია?

ჩემი ოთახიდან იმწამსვე ბურლაკოვს ვუკავშირდები, თორემ პენსიონერია და ვინ იცის, იქნებ სასეირნოდ გამასწროს სადმე.

ვიღაც ბუბუნა ხმით მეპასუხება:

— გისმენთ.

— სვეტოზარ ერემეევიჩი ხართ?

— გახლავართ. ვისთან მაქვს ლაპარაკის პატივი?

მე ზრდილობიანად წარვუდგინე ჩემი თავი და ვუხსნი:

— თქვენთან შეხვედრა, რჩევის კითხვა მინდოდა, დრო გექნებათ კი, რომ შემოგიაროთ?

— რა გაეწყობა, მობრძანდით.

— ერთ საათში რომ მოვიდე?

— ერთ საათში იყოს, მობრძანდით! მე მაინცდამაინც სიარული ძველებურად აღარ შემიძლია.

— გასაგებია, გასაგებია. მე თვითონ შემოგივლით, ოღონდაც თქვენი ზუსტი მისამართი ჩამაწერინეთ.

თავს ისე ვაჩვენებ, ვითომ მისამართს ვიწერ და ყურმილს აპარატზე ვდებ. მერე ჩანაწერებს ერთხელ კიდევ ვათვალიერებ და ყველაფერს ვზომავ და ვწონი. ასეთი საუბრისათვის უნდა აუცილებლად მოემზადო.

იგორის თავისუფალი მაგიდა ყურადღებას მიფანტავს და რაღაც მაღელვებს კიდეც. იმიტომ ხომ არა, რომ მაგიდას არავინ უზის?

ერთ საათში ჩემთვის კარგად ნაცნობ სახლთან მივედი. ბურლაკოვმა კარი თვითონ გამიღო.

მართლაც ზორზოხი, ძალზე სქელი კაცი ყოფილა. კარის ჭრილი მთლიანად ამოავსო. ღრმად დანაოჭებული ვარდისფერი, კვადრატული, სახე აქვს, ყალყზე შემდგარი შეთეთრებული თმა ვერცხლის შარავანდივით ადგას თავზე. დაჭმუჭვნილი საშინაო შარვალი აცვია. მოშავო-მოწითალო ფერის ხავერდის მდიდრული ხალათი მუცელთან ოქროს სირმებითა აქვს შეკრული.

— გთხოვთ, გთხოვთ, — ბუბუნებს ბურლაკოვი და თან ისე მხიარულად იცინის, თითქოს ჩემი სახით ძვირფასი სტუმარი მისვლოდეს.

პალტოს ვიხდი და მასპინძლის კვალდაკვალ სასადილოში შევდივარ. შესასვლელ ტალანშივე მივაქციე ყურადღება ხის დახვეულ კიბეს, ზედა სართულისაკენ რომ მიემართება. შევამჩნიე ხითა და შუშით ძალიან ლამაზად გაყოფილი ოთახებიც.

სასადილო, რომ იტყვიან, ავეჯით იყო ჩახერგილი. უცნაური, იკლიკანტურ-სამკაულებიანი, მაღალზურგიანი სკამები, უზარმაზარი განჯინა, ნახევარ კედელს რომ ჰფარავდა, აბრეშუმგადაკრული პუფები, ორი უზარმაზარი მწვანე ფერის მაუდით დაფარული სავარძელი, ხელის საყრდენები, რომ მოვარაყებული ჰქონდათ. მრგვალი მაგიდა, ფეხები რომ ლომის თათების გამოსახულებით უმთავრდება და ძვირფასი ბროლის ჭაღი. ეს ჭაღი საიუბილეო უზარმაზარ სანთლებჩაკვეტებულ ნამცხვარს მიაგავდა. კედლები მოფენილი იყო ოქროსჩარჩოებიანი საეჭვო გემოვნების ზეთის საღებავებით ნახატი სურათებით. იყო ვეება სურათებიცა და პატარ-პატარაც, ზოგი იტალიელი და ზოგიც ფრანგი მხატვრების უნიკალურ ნაწარმოებთა მიბაძვით შესრულებული.

ბურლაკოვმა ერთ სავარძელში მე ჩამსვა და მეორეში თვითონ მოკალათდა. ჩემ გვერდით, ეს ახლაღა შევნიშნე, მშვენიერი გაკრიალებული საჟურნალო მაგიდა დგას. მაგიდაზე დიდი ჭადრაკი ძევს და ორ ყუთში სიგარეტები აწყვია. ერთ-ერთი „კენტი“ უნდა იყოს. იქვე მშვენიერი გაზის სანთებელა აგდია და ჩეხური ფერადი შუშის ვეება საფერფლე დგას.

ბურლაკოვი სავარძელში გადაწვა და გულკეთილად მომმართა:

— გისმენთ, ჭაბუკო!

წამოსიებულ ქუთუთოებს შიგნით მოელვარე პატარა ღია ფერის თვალებით კი თითქოს მჭამს, ისე მათვალიერებს. მის გამოხედვაში თითქოს დაცინვაც იგრძნობა. მე მგონია, რაღაც სერიოზულად არც მიყურებს. მისთვის ალბათ ყმაწვილი კაცი ვარ და მეტი არაფერი. „მით უკეთესი“, იტყოდა ამის თაობაზე კუზმიჩი. მე კი ბრაზი მერევა.

— სვეტოზარ ერემეევიჩ, — წამოვიწყე მე, — ჩვენ გვაინტერესებს ერთი ადამიანი, ვისაც თქვენ იცნობთ. იქნებ გაიხსენოთ, — და თითქოს სასხვათაშორისოდ ვუმატებ: — თვითონ მას ახსოვხართ.

— ვინაა ასეთი? — მშვიდად კითხულობს ბურლაკოვი.

— ვინმე ზურიხი მიხეილ ალექსანდროვიჩი.

— ზურიხი... ზურიხი... — ბურტყუნებს ბურლაკოვი და ჩაფიქრებული სადღაც სივრცეში გაიყურება.

მაშინვე რომ მიპასუხოს, არ ვიცნობო, უკვე აღარ შეუძლია, რადგან წინასწარ ვუთხარი, მას ახსოვხართ-მეთქი.

ბოლოს, როგორც იყო, გამოსცრა:

— რაღაც არ მახსოვს ეგეთი ვინმე.

— ამ ცოტა ხნის წინათ კვლავ ესტუმრა მოსკოვს, — ვკარნახობ მე, — თუმცა ამჟამად უკვე ნიკოლოვის გვარით გამოგვეცხადა.

— შენ იმას უყურე, — იცინის ბურლაკოვი, — არტისტი ყოფილა...

— ვერ გაიხსენეთ?

— ნიკოლოვი? საიდან?

— მაშინ თავიდან მოგაგონებთ ზურიხის გვარს, — ვეუბნები მე, — და არა იმ ფაქტების მიხედვით, რომელიც მას შეუძლია გვაცნობოს, არამედ იმ ფაქტებისა, რომლებიც თქვენ თვითონ აცნობეთ საგამომძიებლო ორგანოს. ასე უფრო გაგიადვილდებათ გახსენება.

ბურლაკოვის თვალებში მონადირის გადარაჯება-გაყურსვა შევამჩნიე. შეიძლება ეს თადარიგიანი წინდახედულება, სიფრთხილე, ან შიშთან წილნაყარი სიფრთხილეც იყო. ბურლაკოვმა ხომ არ იცის, სადაა ამჟამად ზურიხი, მაგრამ ეჭვობს, რომ უკვე ჩვენთანაა მოყუჩებული. თან ალბათ იმასაც ფიქრობს, რომ გალიაში მოხვედრილი ჩიტი იქ ერთ ხანს დაჰყოფს და ამღერდება.

ბურლაკოვს რომ ასეთი საფიქრალი გავუჩინე, ეს კარგიცაა და ცუდიც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რის მიხედვით მიპასუხებს იგი. თუ ჩათვლის, რომ ზურიხი ჩვენთანაა, მაშინ თავის დასაცავად იმაზე იტყვის რაიმეს. ხოლო თუ მიიჩნევს, რომ გი გარეთაა, მაშინ შეშინდება, რომ მის შეპყრობაში ხელი არ შეგვიწყოს და კრინტსაც არ დასძრავს.

ო, როგორ მინდა ამწამს მისი დაშინება, აყვანა და თქმა იმისა, რომ ზურიხი უკვე მოყუჩებული გვყავს! მაგრამ ვიცი, ამისი თქმა არასგზით არ შეიძლება. არა იმიტომ, რომ, თუ ბურლაკოვმა ნამდვილად იცის ზურიხის ადგილსამყოფელი, ჩვენს დიალოგს მაშინ არავითარი აზრი აღარ ექნება, მოლაპარაკება იმწამსვე ჩაიშლება და მე ვეღარაფერს შევიტყობ. არა! მთავარი მაინც ისაა, რომ მე უფლება არა მაქვს ბურლაკოვი მოვატყუო. ეს უპატიოსნო საქციელია. იმის უფლება კი მაქვს, რომ ბურლაკოვს სულში ურწმუნოება, შეშფოთება და შიში ჩავუნერგო და ამ გზით იგი დავაბნიო, დაუფიქრებელი, გაუფრთხილებელი ნაბიჯი გადავადგმევინო და ყველაფერი დავაყაჭინო. ერთი სიტყვით, ეშმაკობაში რომ დავჯაბნო, შეიძლება, მოტყუება კი — არა. ჩემი ამოცანის სირთულეც ესაა და მისი მიმზიდველობაც.

— საინტერესოც კია, რა მაქვს ნათქვამი იმ ვიღაც ზურიხზე? იქნებ გავიხსენო კიდეც. ამქვეყნად მილეთის ხალხს გადავყრივარ.

— ამისათვის, სვეტოზარ ერემეევიჩ, საჭირო იქნება ერთი საქმე გაგახსენოთ. არ მინდოდა კი ძველი ამბების გამოქექვა...

— რაა ისეთი, — ხაზგასმული დაუდევრობითა და ხელის ჩაქნევით წარმოთქვამს ბურლაკოვი, — მიდით, მოჰყევით, დაიწყეთ და გისმენთ!

და მე ვუყვები იმ საქმეს. ამასთან ერთად ვცდილობ დავარწმუნო, რომ მისი მჯერა, მჯერა, რომ იგი იმ საქმეში არაფერ შუაშია და მისი, როგორც მოწმის ჩვენება, ჭეშმარიტებად მიმაჩნია. განსაკუთრებით ვჩერდები იმ ეპიზოდზე, სადაც ბურლაკოვმა ზურიხი ახსენა.

— ზურიხი, ზურიხი... ჰო, იყო ეგეთი კაცი, — მოჩვენებითი, კიდევ მეტიც, ვითომდა მეხსიერებაზე ხაზგასმული ძალდატანებით იხსენებს ბურლაკოვი.

— ვინაა და რას წარმოადგენს? — ვეკითხები მე, — ძალიან გთხოვთ, გაგვიზიარეთ, სვეტოზარ ერემეევიჩ, თქვენი დიდი იმედი გვაქვს.

— ძალიან დიდი იმედიც ნუ გექნებათ, ხომ იცით, დავბერდი, დავჩაჩანაკდი და მეხსიერებაც ისეთი აღარა მაქვს, როგორც ერთ დროს მქონდა, — ბუბუნებს ბურლაკოვი.

— მე მოგეხმარებით, — ვამხნევებ მე.

ვატყობ, ბურლაკოვს ჩემი ბოლო სიტყვები არც თუ ძალიან მოსწონს. აბა, სულ თავზე ხელს ხომ ვერ ვუსვამ. დაე, ნუ იფიქრებს, რომ ყოველი მისი სიტყვა სარწმუნოდ მიმაჩნია.

— აბა, რა მახსოვს მასზე... — გონებას იკრებს ბურლაკოვი და ალბათ იმაზე უფრო მეტს ფიქრობს, რა თქვას ზურიხზე ისეთი, რომ ხათაბალაში არ გაებას და ზედმეტი არაფერი წამოროშოს.

მე არ ვაჩქარებ. იფიქროს, რამდენიც უნდა.

— ჰო, მგონი, ოდესიდან ჩამოვიდა... — იწყებს თხრობას ბურლაკოვი, — დიახ, დიახ, ოდესიდან. მივლინება ჰქონდა, როგორც მახსოვს. მგონი, გამოცდილების გაზიარების მიზნით იყო ჩამოსული. ჩვენ კი მაშინ სხვა საქმეებით ვიყავით დაკავებული და მისი ჯავრი არა გვქონდა. რაღაც მაქინაციები აღმოჩნდა, დეფიციტური საქონელი თურმე არადანიშნულებისამებრ იგზავნებოდა. აი, ის ოცი ტონა კერამზიტი... — ბურლაკოვის ხმაში კეთილშობილური გულისწყრომა და აღშფოთება მოისმის, იგი მძაფრი მამხილებლის როლში შედის,— ჰოდა, გაიძვერებს, რაღა თქმა უნდა, ქეჩოში ვტაცეთ ხელი. ყველანი პასუხისგებაში მივეცით. ის ზურიხიც... როგორც მახსოვს, იმ საქმეში, მგონი, გარეული თუ ჩათრეული იყო. მაგრამ პირველ ხანებში ყველაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან კარგი, შესაშური საუბარი ჰქონდა...

— თქვენთან სახლშიც ნამყოფია, არა? — ვკარნახობ თუ ვეკითხები ბურლაკოვს, კარგად თვითონაც არ ვიცი.

— დამპალს რამეს განა ერთი შეხედვით გამოიცნობ? — აგრძელებს ბურლაკოვი, — მაგდაგვარ არამზადასთან ჯერ პური უნდა გატეხო. — მერე რაღაც გაახსენდა, თავი შეიკავა და სასწრაფოდ დაუმატა: — კაცურად, ნამუსიანად რომ ვთქვა, მახსოვს, ერთხელ სახლშიც მოვიყვანე, ისე მთხოვა.

— ოდესაში ოჯახი ჰყავს? — ისე ვეკითხები, თითქოს ვერ ვამჩნევდე, რამდენად ფრთხილობს ზურიხის ნაცნობობისაგან თავი შორს დაიჭიროს.

— რის ოჯახი, რა ოჯახი! — აჭიანურებს სათქმელს ბურლაკოვი, — ის ქალი

მარტო სიყვარულისათვისაა გაჩენილი. ერთხელ მოსკოვშიც ჩამოუვიდა. ოჰ, რა ქალია! ეგეთი ლამაზი ცოლი კაცს მოინელებს და არ შეიძლება.

ბურლაკოვის სქელი ფიზიონომია უცებ ოცნებაში აიჭრა ზეცად და, გახსენებით ვნებამორეული, პირს ტკბილად ამწლაკუნებს.

— რა ერქვა? — თითქოს სამსახურებრივი კი არა, მხოლოდ ჭეშმარიტად მაპაკაცური ცნობისმოყვარეობით აღგზნებული ვეკითხები და ბურლაკოვის გახელებულ წადილსა და ნდომას ცეცხლზე ნავთს ვასხამ.

— გალინა ოსტაპოვნა, — ისევ ისე ოცნების სამყაროდან მპასუხობს იგი.

აი, ეს კი აღმოჩენაა! მარტო ამიტომ ღირდა ბურლაკოვის მონახულება.

— იქნებ ცოლი იყო, ჰა? — ისევ იმავე კილოთი ვუბრუნდები ამ საჭირბოროტო საკითხს.

— როგორ გეკადრებათ! რის ცოლი, რა ცოლი... — ამ უსიამოვნო აზრს თავიდან იცილებს ბურლაკოვი. ვატყობ, ჯერ კიდევ მოგონებების ნეტარების ბურანშია ჩაფლული, — განა ცოლებს ასეთ ძვირფას საჩუქრებს უძღვნიან.

— როგორ საჩუქრებს? — ცნობისმოყვარედ ვეკითხები მე.

— რამდენიმე თვლიან ოქროს ბეჭედს, თანაც ბეჭდის თვითეული თვალი თითო კარატზე ნაკლები არ იყო. ძველისძველი ნამუშაკევი. კენკრასავით ღეროზე აცმული და ამ ძვირფასი ქვებით დამშვენებული ნაკეთობა. ეს იყო არნახული სილამაზის ბეჭედი.

— უჰ, შენი!.. — ვითომ აღტაცებით ამოვიყვირე მე.

— შიგნით კი წარწერა გააკეთებინა, — გატაცებით განაგრძობს ბურლაკოვი, — როგორც მახსოვს ამდაგვარი: „გალოჩკას მ. ზ.-გან მთელ სიცოცხლეში სამახსოვროდ“.

ეს მეორე ფაქტი მნიშვნელობით პირველზე ნაკლები არაა!

— აი, ხომ ხედავთ: „მთელ სიცოცხლეში სამახსოვროდო“, თქვით, არა? ესე იგი ცოლი ყოფილა და ისაა.

— ეჰ, ყმაწვილო, ეტყობა, ბევრი რამ არ გაგეგებათ! — ხვნეშით განაგრძობს სვეტოზარ ერემეევიჩი. — თუ გინდათ სიმართლე იცოდეთ, ზურიხმა იმ გალოჩკას უკვე თავი მიანება... კი, აგრე ამბობენ, აი, ესეც თქვენი „მთელ სიცოცხლეში სამახსოვროდ“.

(დასასრული იქნება)

ჟაკ პრევერი

ლექსები

ფრანგულიდან თარგმნა ნანა თარგამაძემ

მონადირის სიმღერა

ჩიტი ჩუმი და ისეთი ფრთხილი,
ჩიტი სისხლივით მუქი და თბილი,
ჩიტი ნაზი და ისეთი მფრთხალი,
ჩიტი ამაყი და დამცინავი,
ჩიტი, კედელს რომ ეხლება მუდამ,
ჩიტი, რომელსაც გაფრენა უნდა,
ჩიტი დარდისგან გადარეული,
ჩიტი საბრალო, ჩიტი ეული,
ჩიტი, რომელსაც ცაში ავარდნილს
უნდა სიმღერა, ლაღად ნავარდი,
ჩიტი სისხლივით მუქი და თბილი,
ჩიტი ჩუმი და ისეთი ფრთხილი, —
ეგ ხომ გულია, პატარავ, შენი,
გული მღელვარე, ნორჩი და წრფელი,
გული, რომელსაც გაფრენა უნდა
და ეხეთქება გალიას მუდამ.

სევდის ჩიტები

ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები,
ველარასდროს ვერ შეხვდებით,
ვინც გიყვარდათ ასე წინათ.
წვიმის ფრთები, ფრთების წვიმა.
რაც წახვედი, აღარ ვიცი,
რატომ ვცოცხლობ, რატომ ვიწვი,
რატომ ვარ და რა ვიქნები.
ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები.
რა ვაკეთო, ან რა მინდა?!
წვიმის ძაძა, ჭვარტლის **წვიმა.**
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).

ჭვარტლის ფრთები, ჭვარტლის ფრთები...
ჩიტუნებო, გასწით ჩქარა,
მიატოვეთ ბუდე თქვენი...
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).
რაო, რაო, რატომ „არა“?
არ დაგიდგათ დრო გაფრენის?
დამიცალეთ ჩქარა ბინა,
ჩიტუნებო დილის, ღამის,
საით წახვალთ? სადაც გინდათ!
გული დარდით გასკდეს ლამის.
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).
კარგი, დარჩით, მე კი წავალ...
ფრთების ჭვარტლი, ჭვარტლის ფრთები...
წავალ არსად... ყველგან წავალ,
ეგებ შეხვდეს ჩვენი გზები...
ჩიტუნებო, ჩემი სევდის,
თქვენ აქ დარჩით, თუკი გინდათ.
ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები...
თქვენი იყოს ჩემი ბინა.

□

რობერტ როჟდესტვენსკი

ლექსები

რუსულიდან თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

* * *

ყველაფერი სიყვარულით იწყება...
ამტკიცებენ
„ჯერ
იყოო
სიტყვა...“
მე კი მინდა
დარწმუნებით გითხრათ:
ყველაფერი სიყვარულით იწყება.

ყველაფერი სიყვარულით იწყება...
სიყვარულით!
სიცოცხლეც და
სითბოც!
ყველაფერი —
სიძულვილიც თვითონ —
სიძულვილიც სიყვარულით იწყება.

ყველაფერი სიყვარულით იწყება.
ჭირიც,
ლხინიც —
ყველაფერი ერთად,
ტრაგედია,
გმირობაც თუ
სევდა —
ყველაფერი სიყვარულით იწყება.

გაზაფხული ქალწულივით ირწევა,
„იცოცხლეო“ —
ლოცვასავით გესმის.
იბადები.
იმართები წელში.
ყველაფერი სიყვარულით იწყება.

შუალამე

იყავ გაკრული
სიცოცხლეში
მაცხოვრის ჯვარზე!
დაეცი,
ადექ,
კვლავ დაეცი
ჩუმად მკვნესავი,
თავდავიწყებას მიცემული
ეწამე ასე —
და
შეფასებას დაელოდე
მოსწავლესავით.

დატრიალდება
დედამიწა
მეათასეჯერ,
მარად ჭაბუკი
ეს პლანეტა
კვლავ იგუგუნებს.
გადააფარებს
შუალამე
თავის ხელისგულს
გასხივოსნებულ,
გახურებულ
საუკუნეებს...

მერე — დუმილი.
მერე —
წყნარად და უმიზეზოდ
ჩაკვდება ღამე —
ჩინარებით გაბრუებული.
ჩვენამდე — არვინ!
მერეც — არვინ!
სამყარო ესე
შეიქმნა წამით,
რათა ჩვენი
ფეთქავდეს გული.

□

ჭეშრიტ მენსფილდი

ბედნიერება

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნეს ელენე გეგელაშვილმა და ლია აბულაძემ

თუმცა ბერტა იანგი უკვე ოცდაათი წლისა გახდა, იყო წუთები, როდესაც ნაბიჯით კი არა, ცეკვა-ცეკვით უნდოდა ევლო ქვაფენილზე, ეგორებინა სალტე, ჰაერში აესროლა, რაც ხელში მოხვდებოდა, და კვლავ დაეჭირა, ან მდგარიყო უძრავად და ეცინა, ეცინა უმიზეზოდ.

რა უნდა მოუხერხო თავს, როცა საკუთარ ქუჩაზე შემოუხვევ თუ არა, ბედნიერება დაგეუფლება, სრული ბედნიერება. შენ კი ოცდაათი წლისა ხარ, — თითქოს შუადღის კაშკაშა მზის პატარა ნაჭერი გადაყლაპე, გულში რომ გიზგიზებს ახლა და სხივების კონას უგზავნის შენი სხეულის ყოველ ნაწილაკს, ფეხის თითებსაც კი.

ნუთუ ეს გრძნობა რომ გამოხატოს ადამიანმა, უზომოდ უნდა იყოს მთვრალი? რა სისულელეა ეს ცივილიზაცია. რად გვინდა სხეული, თუკი მას ისე გავუფრთხილდებით, როგორც ძვირფას ვიოლინოს?

— არა, როგორც ვიოლინოს კი არა, — ფიქრობდა ბერტა, როდესაც კიბეებზე არბოდა და თან გასაღებს ეძებდა ჩანთაში (რასაკვირველია, გასაღები, როგორც ყოველთვის შინ დარჩენოდა), მაშინაც, როცა წერილებს იღებდა ყუთიდან, — ვიოლინო ვერ გამოხატავს იმას, რასაც ვგრძნობ, რადგან...

— მადლობთ, მერი, — ბერტა ჰოლში შევიდა, — ძიძა დაბრუნდა?

— დიახ, ქალბატონო.

— ხილი მოიტანეს?

— დიახ, ქალბატონო, ყველაფერი მოტანილია.

— სასადილო ოთახში ამომიტანე ხილი. სანამ ბავშვების ოთახში ავიდოდე, ლარნაკებზე დავაწყობ.

სასადილო ოთახში ბინდი ჩამოწოლილიყო და საკმაოდ ცივოდა, მაგრამ ბერტამ მაინც გაიხადა პალტო, — ვეღარ აიტანა მისი სიმძიმე, — და შიშველ მკლავებზე ცივი ჰაერი შემოეხვია. გულში კვლავ რაღაც ენთო, კვლავ რაღაც ულვიოდა, რაც ლამის აუტანელი იყო. ბერტა სუნთქვასაც ვერ ბედავდა, რომ უფრო არ გაელვივებინა ცეცხლი, მაგრამ მაინც ღრმად, ღრმად სუნთქავდა. ბერტას ცივ სარკეში ჩახედვისა ეშინოდა — მაინც ჩაიხედა და დაინახა სახეგაბრწყინებული ქალი, ღიმილი რომ უთრთოლებდა ტუჩებს. ქალს დიდრონი შავი თვალები ჰქონდა და ისე იყურებოდა, თითქოს

რაღაცას უგდებსო ყურს, რაღაცას ელოდებაო... შესანიშნავს... რაც უნდა მოხდეს... რაც აუცილებლად მოხდება.

მერიმ ხილი შემოიტანა ლანგარით, შემოიტანა ბროლის ვაზა და ლამაზი ცისფერი ლარნაკიც, უცნაური ელფერი რომ დაჰკრავდა, თითქოს რძეში არისო ამოვლებული.

— ქალბატონო, სინათლე ავანთო?

— არა, საჭიროო არ არის, სრულებით არ ბნელა.

ლანგარზე ეწყო მანდარინები, ლოყაწითელი ვაშლები, კანგადატკეცილი ქარვისფერი მსხლები და თითქოს შეთრთვილული თეთრი ყურძენი. ლანგარზე იდო წითელი ყურძნის დიდი მტევანიც, ბერტას მხოლოდ იმისთვის რომ ეყიდა, ახალ ხალიჩას მოუხდებაო. იქნებ ეს მეტად უცნაურად და სულელურად ჟღერდეს, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. მაღაზიაში ბერტამ გაიფიქრა: „აუცილებლად უნდა ვიყიდო წითელი ყურძენი. ძალიან მოუხდება სასადილო ოთახის ხალიჩას". იმ წუთში ეს სრულიადაც არ მოეჩვენა უცნაურად.

როცა ბერტამ ხილი დააწყო და ორ პირამიდად აღმართა ყურძნის მტევნები, უკან დაიხია და მაგიდას შეავლო თვალი. მომხიბლავი სანახაობა იყო — მაგიდა თითქოს დნებოდა ბინდში, ხოლო ბროლის ვაზა და ცისფერი ლარნაკი ჰაერში ლივლივებდა. ისეთ აღტაცებას გრძნობდა ბერტა, რომ ეს ყოველივე საოცრად ლამაზი მოეჩვენა. ხმამაღლა გაიცინა.

— არა, არა! ნამდვილად ვგიჟდები! — ბერტამ ხელი წამოავლო ჩანთასა და პალტოს და მაღლა, საბავშვო ოთახში აირბინა.

ძიძას ის-ის იყო დაებანა პატარა ბი, დაბალ მაგიდას მისჯდომოდა და ავახშმებდა ბავშვს. გოგონას თეთრი ფლანელის კაბა და ცისფერი შალის კოფთა ეცვა. მაღლა ავარცხნილი შავი, რბილი თმა სასაცილოდ ჰქონდა აშვერილი. ბავშვმა დაინახა თუ არა დედა, ხტუნაობა დაიწყო.

— ჭამე, გენაცვალე, შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ, — უთხრა ბავშვს ძიძამ და ტუჩები მოკუმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბერტა ისევ უდროო დროს მოვიდა.

— როგორ იქცეოდა ბავშვი დღეს?

— ძალიან ჭკვიანად, — წაიჩურჩულა ძიძამ, — დღეს პარკში ვიყავით. მე სკამზე დავჯექი, ბავშვი ეტლიდან ამოვიყვანე და ხელში დავიჭირე. ამ დროს დიდი ძაღლი მოგვიახლოვდა. მან თავი დამადო მუხლებზე. ბიმ ხელი წაავლო ყურებში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისკენ მოსწია. ოჰ, რომ იცოდეთ, რა სანახავი იყო!

ბერტას უნდოდა ეკითხა ძიძასთვის: განა საშიში არ არის, პავშვს ნება მისცე, უცხო ძაღლს ყურში წაავლოსო ხელი? მაგრამ ვერ გაბედა. ბერტა იდგა ხელებჩამოშვებული და ისე უყურებდა ძიძას, როგორც პატარა ღარიბი გოგონა უყურებს მის წინ მდგომ პატარა მდიდარ გოგონას, ხელში თოჯინა რომ უკავია. ბავშვმა კვლავ ასწია თავი, დიდხანს უყურა დედას, მერე კი ისე საყვარლად გაუღიმა, რომ ბერტამ თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა:

— ოჰ, ძალიან გთხოვთ, მე ვაჭმევ, თქვენ კი მანამ სველი პირსაწმენდი და გამონაცვალი ტანსაცმელი გაიტანეთ.

— ქალბატონო, ჭამის დროს ნუ შეაწუხებთ ბავშვს, — კვლავ ჩურჩულით უთხრა გადიამ, — მადა გაუფუჭდება, ალბად უკვე გაუფუჭდა კიდეც.

„რა სისულელეა! რად გინდა ბავშვი, თუ იმის ნაცვლად, რომ ძვირფასი ნივთივით ელოლიავებოდე, სხვა ქალის ხელში გყავს!“

— მე ასე მსურს, — თქვა ბერტამ.

ნაწყენმა ძიძამ ბავშვი გაუწოდა.

— არ ათამაშოთ ვახშმის შემდეგ, ქალბატონო. თქვენ ყოველთვის ასე იცით, მე კი მერე ვეღარ ვაძინებ ხოლმე.

— მადლობა ღმერთს! — თქვა ბერტამ, როცა ძიძა ოთახიდან გავიდა და თან გაიტანა სველი პირსახოცი.

— აი ახლა ჩემი ხარ, ჩემო სიცოცხლევ! — თქვა ბერტამ და ბავშვი მაგრად ჩაიკრა გულში.

ბავშვი საყვარლად ჭამდა: დედა რომ კოვზს მიუტანდა ტუჩებთან, პირს დააღებდა ხოლმე, მერე ხელების ქნევას მოჰყვებოდა. ხან მაგრად მოკუმავდა ტუჩებს და კოვზს პირიდან აღარ უშვებდა, ხან კი, აავსებდა თუ არა ბერტა კოვზს, ხელს აჰკრავდა და წვენი აქეთ-იქით იღვრებოდა. როდესაც ბავშვს აჭამა, ბერტა ბუხარს მიუჯდა.

— ოჰ, რა საყვარელი ხარ, რა საყვარელი! — ეუბნებოდა ბავშვს და მის თბილ სხეულს ჰკოცნიდა, — ჩემი სიცოცხლე ხარ. უზომოდ მიყვარხარ! — და მართლაც ისე ძალიან უყვარდა პატარა ბი, ისეთ სინაზეს გრძნობდა მისი პატარა, სასაცილოდ დახრილი თავისა და სათუთი ფეხების შემხედვარე, ფეხებისა, რომლებშიაც ცეცხლის შუქი ატანდა, რომ ნეტარებამ შეიპყრო კვლავ. მან არ იცოდა, როგორ გამოეხატა ეს გრძნობა ან რა მოეხერხებინა მისთვის.

— ტელეფონთან გთხოვენ, — უთხრა ძიძამ, გამარჯვებული იერით რომ შევიდა ოთახში და კვლავ დაისაკუთრა თავისი პატარა ბი.

ბერტამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები. ჰარი ურეკავდა.

— შენა ხარ, ბერ? მისმინე. მე შეიძლება ცოტა შემაგვიანდეს. ტაქსს დავიჭერ, რომ, რაც შეიძლება მალე მოვიდე, მაგრამ სადილი მაინც ათი წუთით გვიან იყოს, კარგი?

— კარგი. ოჰ, ჰარი!

— რა იყო?

რა უნდა ეთქვა? არაფერი. უბრალოდ სურდა ცოტა ხანს კიდევ ელაპარაკა მასთან. მას ხომ არ შეეძლო სულელურად წამოეძახა: „რა მშვენიერი დღეა, არა?“

— არაფერი. Entendu *, — უპასუხა ბერტამ და ყურმილი დადო, თან გაიფიქრა: „არა, მაინც რა სისულელეა ეს ცივილიზაცია!“

სადილად ელოდებოდნენ ნაიტებს — საზოგადოებაში მიღებულ წყვილს — ქმარი საკუთარი თეატრის გახსნას აპირებდა, ცოლი კი ბინების მოწყობის ნამდვილი ოსტატი იყო; ედი უორენს — ახალგაზრდა პოეტს,

* Entendu — ყველაფერი გასაგებია (ფრანგ.).

ახლახან რომ გამოეცა ლექსების პატარა კრებული, — დღე არ გავიდოდა, რომ სადმე არ დაეპატიჟათ იგი; ბერტას „აღმოჩენას“ — პერლ ფულტონსაც ელოდებოდნენ. მის ფულტონის საქმიანობა ბერტამ არ იცოდა. მათ ერთმანეთი კლუბში გაიცნეს. ბერტა აღტაცებული დარჩა. მას ყოველთვის მოსწონდა ლამაზი, ოდნავ იდუმალებით მოცული ქალები.

თუმცა ბერტა და მის ფულტონი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ბევრსაც საუბრობდნენ, ბერტამ მაინც ვერ გაიცნო იგი რიგიანად. მის ფულტონი საოცრად გულახდილი იყო გარკვეულ საზღვრამდე, მაგრამ ამ საზღვარს არასოდეს გადააბიჯებდა.

იმალებოდა რამე ამ საზღვარს იქით? ჰარი ამბობდა — არაფერიო. ის ამტკიცებდა, რომ მის ფულტონი ჩლუნგი და ცივი არსებაა, როგორც ყველა ქერა ქალი, და უსათუოდ ტვინი გამოფიტული ექნებაო. მაგრამ ბერტა არ ეთანხმებოდა ქმარს, ჯერჯეროობით მაინც.

— არა, ჰარი. აბა, დააკვირდი, როგორ ზის ხოლმე ოდნავ გვერდზე თავდახრილი, ან როგორ იღიმება — ამაში აუცილებლად რაღაც იმალება და მე უნდა გავიგო, რა არის ეს „რაღაც“.

— უთუოდ კუჭის კარგი მოქმედება, — უპასუხებდა ჰარი. ბერტას მუდამ საგონებელში აგდებდა იგი, ისეთ გამოთქმებს ხმაროობდა ხოლმე: „გაყინული ღვიძლიო, შვილო ჩემო“, „თირკმელები არა აქვსო წესრიგში“, „გაზებისაგან გაიბერაო“ და ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდა. ბერტას რატომღაც მოსწონდა ეს, აღტაცებულიც კი იყო.

ბერტა სასტუმრო ოთახში გავიდა და ბუხარი გააჩაღა. მერე კი ბალიშები, მერის ასე საგულდაგულოდ რომ დაელაგებინა დივანზე, უწესრიგოდ მიყარ-მოყარა ტახტსა და სავარძლებზე. უცბად ყველაფერი შეიცვალა: სასტუმრო ოთახი გამოცოცხლდა. ის იყო უკანასკნელი ბალიშიც უნდა გადაეგდო, რომ, თავისდა გასაკვირვად, გულში ჩაიკრა მაგრად. მაგრამ ამან ვერ ჩააქრო ცეცხლი, მის გულში რომ გიზგიზებდა, პირიქით უფრო გააღვივა.

სასტუმრო ოთახის ფანჯრები აივანზე გადიოდა და ბაღს გადაჰყურებდა. ბაღის შორეულ კუთხეში, კედელთან, მაღალი, ტანწერწეტა მსხლის ხე იდგა — სულ ერთიანად აყვავებული, მშვენიერი. ისე იდგა მოლურჯო-მომწვანო ცის ფონზე, თითქოს მოჯადოებული არისო. ბერტა აქ, ფანჯარასთანაც კი გრძნობდა, რომ მსხლის ხეს არც ერთი კვირტი არ ჰქონდა გაუშლელი, სულ ერთიანად მწვანედ ხასხასებდა. ყვავილებით დამძიმებული წითელი და ყვითელი ტიტას კვლები თითქოს ბინდში ჩაძირულიყვნენ. ნაცრისფერი კატა მიცოცავდა მდელოზე. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა შავი კატა — მისი ჩრდილი. ბერტა თვალს ადევნებდა მათ სწრაფ, მოქნილ მოძრაობას და უნებურად შეკრთა: — ეს როგორი ცოცვა სცოდნიათ კატებს! — წაიჩურჩულა მან, ფანჯარას მოსცილდა და ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში.

როგორი მძაფრი სუნი აქვთ ნარცისებს თბილ ოთახში! ძალიან მძაფრი? არა, არც ისე. მაგრამ ბერტა, თითქოს დაიბნიდაო, ტახტზე დაეცა და ხელები თვალებზე აიფარა.

— ძალიან ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი, — ჩურჩულებდა ის.

ბერტას უცებ თვალწინ დაუდგა მშვენიერი აყვავებული მსხლის ხე, როგორც სიმბოლო საკუთარი ცხოვრებისა.

მართლაც მას არაფერი აკლია: ახალგაზრდაა, მას და ჰარის წინანდებურად უყვართ ერთმანეთი და კარგი მეგობრები არიან, არასოდეს მოიწყენენ ერთად, ჰყავთ მშვენიერი ბავშვი, ფულზე ფიქრი არ აწუხებთ, აქვთ საუცხოო სახლი და ბაღი, ჰყავთ საინტერესო ნაცნობები — ცნობილი მხატვრები და მწერლები, პოეტები, ადამიანები, საზოგადოებრივ საქმეებს რომ გადააგეს თავი, — სწორედ ისეთი ხალხი, როგორიც მათ მოსწონთ. არც წიგნებსა და მუსიკას იკლებენ. ახლახან კი იაფი მკერავი აღმოაჩინა. ყოველ ზაფხულს საზღვარგარეთ დადიან. მათი ახალი მზარეული საუცხოოდ ამზადებს ომლეტს...

— რა სულელი ვარ, რა სულელი! — ბერტა წამოჯდა, მას თავბრუ დაესხა, თითქოს დათვრაო. ეს ალბათ გაზაფხულის ბრალია, ჰო, გაზაფხულის. ბერტა ისე იყო დაღლილი, ძლივს ავიდა საწოლ ოთახში, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა.

თეთრი კაბა, ნეფრიტის მძივი, მწვანე წინდები და ფეხსაცმელები. წინასწარ არ იცოდა, რას ჩაიცვამდა დღევანდელ სადილზე. ეს მორთულობა მან მხოლოდ რამდენიმე საათის წინ მოიფიქრა, სანამ სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მივიდოდა და ბაღში გადაიხედავდა.

ბერტა კაბის ნაზი შარიშურით ჩამოვიდა ჰოლში და გადაკოცნა მისის ნორმან ნაიტი, სწორედ ამ დროს უცნაურ ნარინჯისფერ პალტოს რომ იხდიდა. პალტოს კალთებზე სასაცილოდ ხტოდნენ შავი მაიმუნები.

— რატომ? რატომ? რატომ არის ხალხი ასე პირქუში, ყოველგვარ იუმორს მოკლებული? ჩემო კარგო, მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა უმადლოდეთ, რომ თქვენამდე მოვაღწიე. ეს ბედნიერი შემთხვევა-მფარველი ნორმანი გახლავთ. ჩემმა თავხედმა მაიმუნებმა ისე ააწრიალა მთელი ვაგონი, რომ მგზავრები ადგილებიდან წამოცვივდნენ და კინაღამ თვალებით შემჭამეს. არც იცინოდნენ, არც განცვიფრებას გამოხატავდნენ. განცვიფრება რომ გამოეხატათ, ეგ კიდევ მესიამოვნებოდა, მაგრამ ისინი უბრალოდ მომჩერებოდნენ, თვალს არ მაშორებდნენ. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

— ყველაზე გადასარევი, იცით, რა იყო? — თქვა ნორმანმა და კუს ბაკნის ჩარჩოიანი მონოკლი გაისწორა, — დრუნჩა, ხომ არ გეწყინება, რომ მოვყვე (შინაურ წრეში ისინი ერთმანეთს დრუნჩასა და დინგას ეძახდნენ)? ყველაზე გადასარევი ის იყო, რომ, როდესაც დრუნჩას მოთმინების ფიალა აევსო, გვერდით მჯდომ ქალს მიმართა: „თქვენ რა, მაიმუნი არასოდეს არ გინახავთ?“

— დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო, — მისის ნორმანმა სხვებთან ერთად გადაიხარხარა, — განა ეს მართლა გადასარევი არ არის?

საოცარი იყო, რომ უპალტოოდ მისის ნორმანი თავად ჰგავდა საზრიან მაიმუნს, მაიმუნს, რომელსაც ისიც კი მოეხერხებინა, რომ ეს ყვითე-

ლი აბრეშუმის კაბა ბანანის ქერქისაგან შეეკერა. მისი ქარვის საყურეები პატარა თხილებივით ირხეოდნენ.

— როგორც კი ჰოლში აკვანი გაჩნდება, — გამოთქმით წამოიწყო დინგამ და პატარა ბის ეტლთან შეჩერდა, — მხიარულებას ბოლო მოეღება... — აღარ დაამთავრა ლექსი.

ვილაცამ ზარი დარეკა. გამხდარი, ფერმკრთალი ედი უორენი შემოვიდა. როგორც ყოველთვის, ახლაც დარდიანად იყო იგი.

— სახლი ხომ არ შემეშალა შემთხვევით? — იკითხა მან.

— ვფიქრობ, რომ ასეა, — სიცილით უპასუხა ბერტამ.

— საშინელი მძღოლი შემხვდა... საშინელი! ვერაფრით ვერ გავაჩერებინე მანქანა. რაც უფრო მეტს ვუბრახუნებდი და ვეხვეწებოდი, გააჩერე-მეთქი, მით უფრო სწრაფად მიაქანებდა. წარმოიდგინეთ, მთვარის შუქზე რაღაც უცნაური, ბრტყელთავიანი არსება საჭეს ჩაფრენია... — ედის შეაჟრჟოლა. მან აბრეშუმის უშველებელი თეთრი შარფი მოიხსნა. ბერტამ შეამჩნია, რომ ედის წინდებიც თეთრი ეცვა — საუცხოო წინდები.

— რა შემზარავია! — წამოიძახა ბერტამ.

— ძალიან, — დაუმოწმა ედიმ და სასტუმრო ოთახში შეჰყვა მას, — მე ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მარადისობაში მიმაქროლებდა მარადიული ტაქსი.

ედი იცნობდა ნაიტებს. პიესის დაწერასაც კი დაჰპირდა ნორმანს, როდესაც იგი საკუთარ თეატრს გახსნიდა.

— რას იტყვით, უორენ, როგორ მიდის პიესის საქმე, — ჰკითხა ნორმან ნაიტმა. მან ერთი წუთით მოიხსნა მონოკლი და კვლავ გაიკეთა.

— ო, მისტერ უორენ, რა საუცხოო წინდები გაცვიათ, — წამოიძახა მისის ნორმან ნაიტმა.

— ძალიან მიხარია, რომ მოგეწონათ, — თქვა ედიმ და თავის წინდებს დახედა, — მას შემდეგ, რაც მთვარე ამოვიდა, ისინი თითქოს უფრო გათეთრდნენ, — მან ბერტას მიაპყრო თავისი გამხდარი, სევდიანი, ახალგაზრდული პირისახე. — მთვარე მართლა ანათებს, იცით?

ბერტას უნდოდა ეყვირა: „დიახ, ვიცი, რომ ანათებს და საკმაოდ ხშირადაც."

ედი ნამდვილად მიმზიდველი კაცი იყო, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველნი იყვნენ სხვებიც — „ბანანის" კაბაში გამოწყობილი დროუნჩა, ბუხრის წინ რომ იყო ჩაცუცქული, დინგაც, სიგარეტს რომ ქაჩავდა. მან ფერფლი ჩამობერტყა და იკითხა: — სიძე რატომ იგვიანებს?

— აი ისიც.

შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ისევ დაიხურა. ჰარიმ ჰოლიდან შემოსძახათ:

— გამარჯობათ, მეგობრებო, ხუთ წუთში თქვენთან ვიქნები.

ბერტას ესმოდა, როგორ არბოდა ის კიბეებზე და უნებურად გაეღიმა: ასეთი ფეთიანი არისო. ხუთი წუთი გინდა აქეთ ყოფილა, გინდა იქით, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა? მაგრამ ჰარის უნდა დაარწმუნოს თავისი თავი, რომ ამ ხუთ წუთს რაღაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სასტუმრო ოთახში კი საოცრად დინჯად, აუღელვებლად შემოვა.

ჰარის უსაზღვროდ უყვარს სიცოცხლე! ოჰ, როგორ აფასებს ბერტა ამ სიყვარულს! ჰარის დაუოკებელი სურვილი ბრძოლისა, სურვილი იმისა, რომ ყოველ წუთს გამოსცადოს თავისი ძალა და ვაჟკაცობა — ბერტას ძალიან კარგად ესმის. და თუ იმ ადამიანებს, ვინც ჰარის კარგად არ იცნობს, ის ზოგჯერ სასაცილოდ ეჩვენებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხშირად ებმება არარსებულ ბრძოლაში...

ბერტა სტუმრებთან საუბრობდა და იცინოდა. პერლ ფულტონი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა ჰარი შემოვიდა ოთახში (სწორედ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ბერტა ფიქრობდა).

— საინტერესოა, მის ფულტონი არ მოვა?

— შესაძლებელია, — უპასუხა ჰარიმ, — ტელეფონი არა აქვს?

— აი, ტაქსიც, — ბერტამ მესაკუთრის ღიმილით გაიღიმა. ის ყოველთვის ასე იღიმებოდა, სანამ მის „აღმოჩენილ" ქალებს კარგად არ იცნობდნენ, სანამ ისინი საიდუმლოებით იყვნენ სხვებისთვის მოცულნი, — ეს ქალი, მგონი, მთელ თავის სიცოცხლეს ტაქსში ატარებს.

— ესე იგი მალე ქონი მოერევა, — ცივად თქვა ჰარიმ და ზარი დარეკა, რომ სადილი შემოეტანათ, — ეს ძალიან საშიშია ქერა ქალებისათვის.

— კარგი, ჰარი, გეყოფა! — გაიცინა ბერტამ. კიდევ ერთ-ორ წუთს იცდიდნენ, თან იცინოდნენ და ცოტა გადაჭარბებული ძალდაუტანებლობითა და დაუდევრობით მუსაიფობდნენ. მერე კი ღიმილით შემოვიდა მის ფულტონი: თავი ოდნავ გვერდზე დაეხარა, ვერცხლისფერი კაბა ეცვა და ვერცხლისფერივე სალტე ჰქონდა ქერა თმაზე გადაჭერილი.

— დავიგვიანე?

— არა, სულაც არა, — უპასუხა ბერტამ, — მობრძანდით.

ბერტამ ხელი გამოსდო მის ფულტონს და ისინი სასადილო ოთახში შევიდნენ.

მაგრამ ბერტას რატომ გაუღვივა გულში ამ გრილი ხელის შეხებამ ნეტარების ცეცხლი, ვერაფერს რომ ვერ უხერხებდა იგი?

მის ფულტონი ბერტას არ უყურებდა, ის საერთოდ ძალიან იშვიათად უყურებდა ადამიანს თვალებში. მძიმე ქუთუთოები ოდნავ დაეხარა და ხანდახან რაღაც უცნაური, ძლივს შესამჩნევი ღიმილი თუ გამოუკრთებოდა ბაგეზე, თითქოს გარემოს სმენით უფრო აღიქვამსო, ვიდრე თვალით. მაგრამ ბერტას უცებ მოეჩვენა, რომ ერთმანეთს ხანგრძლივი, გულითადი ღიმილით შეხედეს და ჰკითხეს: „შენც"? თითქოს პერლ ფულტონი, ნაცრისფერ მათლაფაზე დასხმულ მშვენიერ წითელ წვნიანს რომ ურევდა, შეპყრობილი იყო იმავე გრძნობით, რაც თვითონ ბერტას დაუფლებოდა.

სხვები? დრუნჩა და დინგა, ედი და ჰარი წვნიანს მიირთმევდნენ, ხელსახოცით იწმენდნენ პირს, პურს ანამცეცებდნენ, ატრიალებდნენ ხელში ჩანგლებსა თუ ჭიქებს და საუბრობდნენ.

— მე ის გავიცანი თეატრ „ალფაში". მეტისმეტად უცნაური არსებაა! ეტყობა, მან მარტო თმა კი არა, ხელები, ფეხები, კისერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბრალო ცხვირიც კი კარგა რიგიანად დაიმოკლა.

— მართალია, რომ ის ძალიან დაახლოებულია მაიკ ოუტომთან?

— ეს ის ოუტომია, „სიყვარული და ხელოვნური კბილები“ რომ დაწერა?

— ის ჩემთვისაც აპირებს ერთმოქმედებიანი პიესის დაწერას. პიესაში ერთი მოქმედი პირი იქნება. გმირი გადაწყვეტს თავის მოკვლას. მას მოჰყავს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები თვითმკვლელობის გასამართლებლად და დასაგმობად. და სწორედ მაშინ, როდესაც რაღაც გადაწყვეტილებას მიიღებს — ფარდა ეშვება. შესანიშნავია, არა?

— რა უნდა დაარქვას ამ პიესას — „კუჭის აშლილობა“?

— მე მგონი, რაღაც ამდაგვარი ერთ პატარა ფრანგულ ჟურნალში წამიკითხავს. ეს ჟურნალი მთლად უცნობია ინგლისში.

არა, ისინი სრულებით არ იზიარებენ ბერტას აღტაცებას. ყველანი ძალიან, ძალიან საყვარლები არიან. ბერტას სიამოვნებს, რომ ხედავს მათ თავის სახლში, სუფრასთან მსხდომთ, და უხარია, რომ ათასნაირი გემრიელი საჭმელ-სასმელით უმასპინძლდება. ბერტას სურს უთხრას მათ, როგორი კარგები არიან, როგორ უხდებიან, როგორ ავსებენ ერთმანეთს და თან ჩეხოვის რომელიღაც პიესის პერსონაჟებს ჰგვანან.

ჰარი განცხრომით შეექცეოდა სადილს. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხოლმე ჭამა-სმაზე ლაპარაკი. უყვარდა ტრაბახი, რომ უსირცხვილო ლტოლვას განიცდიდა ასთაკვის თეთრი სხეულის მიმართ, რომ გიჟდებოდად ფსტის ნაყინზე, ეგვიპტელი მოცეკვავე ქალის ქუთუთოებივით მწვანე და გრილი რომ არის.

როდესაც ჰარიმ შეხედა ბერტას და უთხრა: „სუფლე შესანიშნავიაო“, ბერტას ცოტა დააკლდა, რომ სიხარულისაგან პატარა გოგოსავით არ ატირებულიყო.

რატომა გრძნობს ბერტა დღეს ყველას მიმართ ასეთ სინაზეს? ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ დღეს ყოველი წვრილმანი თითქოს თითო წვეთს უმატებს მის ისედაც პირთამდე სავსე ნეტარების ფიალას.

მის გონებაში კვლავ ცოცხლობდა აყვავებული მსხლის ხე. ახლა ალბათ ვერცხლისფერი იქნება იგი, საბრალო, სულელი ედის მთვარით განათებული; ვერცხლისფერი, როგორც მის ფულტონი, თავისი ფერმკრთალი, გამჭვირვალე, თხელი თითებით რომ ათამაშებს ახლა მანდარინს.

მაინც რა საოცარია, რომ ბერტამ ასე სწრაფად და ზუსტად გამოიცნო მის ფულტონის განწყობილება! ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ შეიძლება შემცდარიყო. მაგრამ რა საფუძველი აქვს მის ასეთ ვარაუდს? არავითარი.

„ვფიქრობ, რომ ქალებს ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ემართებათ, მამაკაცებს კი არასოდეს, — ფიქრობდა ბერტა, — მაგრამ როცა ყავას მოვამზადებ სასტუმრო ოთახში, იქნებ მაშინ „მომცეს ნიშანი“.

ბერტას თვითონაც არ ესმოდა, რა „ნიშანი“ უნდა მიეცა მის ფულტონს. მან საერთოდ არ იცოდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, და ვერ წარმოედგინა, რით დამთავრდებოდა იგი.

ამას რომ ფიქრობდა, თან გაუთავებლად იცინოდა და ლაპარაკობდა. სიცილის დასაოკებლად მას ძალაუნებურად უნდა ელაპარაკა.

„გულიანად თუ არ გავიცინე, მოვკვდები“.

მაგრამ ამ დროს ბერტამ შეამჩნია, რომ დრუნჩამ მკერდზე მიიდო ხელი და კაბა ჩაბღუჯა, თითქოს უბეში მუჭა თხილი დამალაო, — ასეთი სულელური ჩვევა ჰქონდა დრუნჩას. ბერტამ ისე მაგრად დამუშტა ხელები, არ გამეცინოსო, რომ ფრჩხილები ხორცში ჩაერჭო.

როგორც იქნა, ყველანი წამოიშალნენ სუფრიდან.

— წამოდით, ჩემს ახალ ყავადანს გაჩვენებთ, — თქვა ბერტამ.

— ჩვენ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ვყიდულობთ ყავადანს, — შენიშნა ჰარიმ.

ამჯერად ბერტას დრუნჩამ გამოსდო მკლავი, მის ფულტონი კი უკან მიჰყვებოდა მათ თავდახრილი.

სასტუმრო ოთახის ბუხარში ცეცხლი ჩაქრა.

— წითელი ნაკვერცხლები ღვივიან. ფენიქსის* ბარტყებს ჰგვანან.— თქვა დრუნჩამ.

— ცოტა ხანს სინათლეს ნუ აანთებთ, ასე სჯობია, — დაუმატა მან და კვლავ ბუხართან ჩაცუცქდა. „დრუნჩას ყოველთვის სცივა, როდესაც წითელი ფლანელის ჟილეტი არ აცვია“, — გაიფიქრა ბერტამ.

სწორედ ამ დროს მის ფულტონმა „ნიშანი მისცა“.

— ბაღი გაქვთ? — მოისმა მშვიდი, მოთენთილი ხმა. ეს ისე მომხიბვლელად ითქვა, რომ ბერტა უნებურად დაემორჩილა. ოთახის მეორე ბოლოსაკენ გაემართა, ფარდები გადასწია და ყურთამდე გამოაღო დიდი ფანჯრები:

— აი, — ჩურჩულით თქვა მან.

ორივენი ერთმანეთის გვერდით იდგნენ და ტანწერწეტა, აყვავებულ მსხლის ხეს უყურებდნენ. თუმცა ხე უძრავად იყო, კაცს ეგონებოდა, ის სანთლის ალივით ირხევა ნიავზე, იწელება და თანდათან გრძელდებაო. ხე თვალსა და ხელს შუა იზრდება და სადაცაა კენწეროთი შეეხება მრგვალ, ვერცხლისფერ მთვარეს.

დიდხანს იდგნენ ისინი აქ, ამ ზეციური შუქით მოცულნი? მათ კარგად ესმოდათ ერთმანეთის, სხვა სამყაროს არსებებად წარმოედგინათ თავი, უკვირდათ, რატომ ვდგავართო აქ, და არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ ამ სანუკვარი ბედნიერებისათვის, გულში რომ ენთოთ და ვერცხლის ფიფქებივით ეცემოდა მათ თმასა და ხელებზე.

რამდენ ხანს იდგნენ ასე — მთელი საუკუნე თუ ერთი წუთი? ან მის ფულტონმა ნამდვილად წაიჩურჩულა: „დიახ, სწორედ ეს არის“, თუ ბერტას მოეჩვენა?

მერე უცებ ვიღაცამ სინათლე აანთო და დრუნჩა ყავის მომზადებას შეუდგა. ამ დროს მოისმა ჰარის ხმა:

— ძვირფასო მისის ნაიტ, ტყუილად მეკითხებით ჩემი გოგონას ამბავს.

---

* ფენიქსი — ფანტასტიკური ფრინველი, საუკუნეობით რომ ცხოვრობს უდაბნოში და კოცონზე დაწვის შემდეგ თავის ფერფლიდან აღსდგება.

დღეები გავა ხოლმე ისე, რომ არ ვნახულობ. მხოლოდ მაშინ მივაქცევ ყურადღებას, როცა გაიზრდება და ვინმე შეუყვარდება. — დინგამ ერთი წუთით მოიხსნა მონოკლი და კვლავ გაიკეთა. ედი უორენმა ყავის სმა დაამთავრა და ისე შეშინებულმა გადადგა ჭიქა, თითქოს მის ფსკერზე ობობა დაინახაო.

— მე იმაზე ვზრუნავ, რომ ახალგაზრდებს სამუშაო გავუჩინო. დარწმუნებული ვარ, ლონდონში ბევრი შესანიშნავი დაუწერელი პიესა არის. მინდა წავაქეზო მათი ავტორები: „აი, თქვენი თეატრი! ახლა თქვენ იცით, წერეთ პიესები!“

— იცით, ძვირფასო, მე ჯეკობ ნათანსის ოთახი უნდა გავაფორმო. ოჰ, როგორ მინდა ჩემი გეგმა განვახორციელო და ოთახი „შემწვარი თევზის“ ყაიდაზე მოვაწყო: სკამების საზურგეებს ტაფის ფორმა ექნება, ხოლო ფარდებზე თხლად დაჭრილი კარტოფილის ნაჭრები იქნება ამოქარგული.

— ახალგაზრდა მწერლების უბედურება იმაშია, რომ ისინი ჯერ კიდევ ძალიან რომანტიკულნი არიან. როდესაც თქვენ გემში სხდებით, ზღვის ავადმყოფობა გეწყებათ და გჭირდებათ ტაშტი. რატომ არ ყოფნით მათ გამბედაობა ტაშტებზე ილაპარაკონ?

— საშინელი ლექსი გოგონაზე, უცხვირო მათხოვარი რომ გააუპატიურებს ბაღში...

მის ფულტონი ღრმა სავარძელში ჩაჯდა. ჰარი ყველას სიგარეტებს სთავაზობდა.

როცა მის ფულტონის წინ მდგომი ჰარი დაინახა ვერცხლის კოლოფით ხელში, სიგარეტებს რომ უწვდიდა მას და ეუბნებოდა: „ეგვიპტური? თურქული? ვირჯინიული? ყველა ერთმანეთში არის არეული“,—ბერტა მიხვდა, რომ ჰარის არა მარტო არ აინტერესებს მის ფულტონი, არამედ ძალიან არ მოსწონს იგი. ხოლო როცა მის ფულტონმა უპასუხა: „გმადლობთ, არ მინდა,“ — ბერტამ დაიჯერა, რომ მის ფულტონმაც იგრძნო ეს და განაწყენდა.

„ოჰ, ჰარი, რატომ გეჯავრება ასე მის ფულტონი! არა ხარ მართალი. მის ფულტონი საოცარი, საოცარი ქალია, და გარდა ამისა, როგორ შეგიძლია ცუდად ექცეოდე იმას, ვინც ასე მიყვარს. როცა მარტონი დავრჩებით, ვეცდები აგიხსნა, როგორ გაიბა უხილავი ძაფები ჩემსა და მის ფულტონს შორის ამ საღამოს და რა განვიცადეთ ერთად“.

ვერც კი მოასწრო ბერტამ ამის გაფიქრება, რომ უცნაური, თითქმის საშინელი რამ შეიჭრა მის გონებაში, ბრმა და მომღიმარი. იგი მაცდურად ჩასჩურჩულებდა: „ისინი მალე წავლენ, სახლში სიჩუმე დაისადგურებს, სინათლეები ჩაქრება და შენ დარჩები მასთან მარტო ბნელ ოთახში... თბილ ლოგინში!..“

ბერტა წამოვარდა სავარძლიდან და როიალთან მივიდა.

— რა ცუდია, რომ არავინ არ იცის დაკვრა! — წამოიძახა მან, — რა ცუდია!

რაც გათხოვდა, ბერტამ პირველად იგრძნო ქმრის მიმართ ლტოლვა. მას, რა თქმა უნდა, უყვარდა ჰარი, შეყვარებული იყო მასზე, მაგრამ ასე კი არა. რასაკვირველია, ბერტა მშვენივრად ხედავდა, რომ ჰარის სულ სხვა

გრძნობები ჰქონდა მის მიმართ. რამდენჯერ უმსჯელიათ მათ ამ საკითხზე! პირველად ბერტა საშინლად განიცდიდა, ცივი ვარო, მაგრამ მერე ამას უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა. ისინი ხომ გულახდილი მეგობრები იყვნენ! აი, ეს არის თანამედროვე შეხედულებების უპირატესობა.

მაგრამ ახლა — როგორი მხურვალეა, როგორი მხურვალე! ეს სიტყვა თითქოს ცეცხლივით შემოენთო მის ისედაც აღგზნებულ სხეულს. ნუთუ ბედნიერების გრძნობას აქამდე უნდა მოეყვანა? მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ... მაშინ...

— ჩემო საყვარელო, თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენდა სასირცხვილოდ, — მიმართა მისის ნორმან ნაიტმა ბერტას, — დროის და მატარებლის მსხვერპლნი ვართ, ჩვენ ხომ ჰემფსთედში ვცხოვრობთ. რა საამურად გავატარეთ საღამო!

— ჰოლში გამოგყვებით, — უთხრა ბერტამ, — რა კარგია, რომ გვინახულეთ! მაგრამ არ უნდა დაიგვიანოთ ბოლო მატარებელზე. ეს საშინელება იქნება.

— ვისკის ხომ არ დალევ წასვლის წინ, ნაიტ! — დაუძახა ჰარიმ.

— გმადლობთ, არ მინდა, ბერიკაცო.

ბერტამ გამომშვიდობებისას მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვა ხელი მისტერ ნაიტს.

— ნახვამდის! ღამე მშვიდობისა! — გადმოსძახა მათ ბერტამ ზედა საფეხურიდან. ის გრძნობდა, რომ ვეღარასოდეს აუვსებდა გულს ის სინაზე და სიყვარული, რასაც დღეს განიცდიდა მათდამი.

როდესაც ბერტა სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მის ფულტონი და ედიც ემზადებოდნენ წასასვლელად.

— ...შეგიძლიათ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ტაქსით.

— მადლობელი ვარ თქვენი, რომ მარტო არ მომიწევს მგზავრობა იმ საშინელი ამბის შემდეგ, რაც მე შემემთხვა გზაში აქეთობისას.

— გაჩერება ძალიან ახლოა, ქუჩის ბოლოს, სულ რამდენიმე ნაბიჯია იქამდე.

— ძალიან კარგი! მაშ წავალ, პალტოს ჩავიცვამ.

მის ფულტონი ჰოლისკენ გაემართა. ბერტაც უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ჰარიმ დაასწრო, ლამის სირბილით მიჰყვა მის ფულტონს.

— ნება მომეცით მოგეხმაროთ!

ბერტა მიხვდა, რომ ჰარის სურს დანაშაული გამოისყიდოს იმის გამო, რომ ასე უხეშად მოექცა მის ფულტონს, და ისინი მარტო დატოვა. როგორი ბავშვია ჰარი, როგორი გულწრფელი და უშუალო!

ედი ბუხართან იდგა. ბერტაც გვერდით ამოუდგა.

— თქვენ არ წაგიკითხავთ ბილქსის ახალი ლექსი? — რბილად შეეკითხა ედი, — მას ჰქვია „საერთო სუფრასთან". შესანიშნავი ლექსია. ანთოლოგიის უკანასკნელ გამოცემაში არის დაბეჭდილი. თქვენ გაქვთ ანთოლოგია? ძალიან მინდა გაჩვენოთ ეს ლექსი. იგი საოცრად ლამაზი სიტყვებით იწყება: „რატომ მოგვართმევენ ყოველთვის პამიდვრის წვნიანს?"

— მაქვს, — თქვა ბერტამ და უხმაუროდ მივიდა მაგიდასთან, ჰოლში გამავალი კარის პირდაპირ რომ იდგა. ედიც უხმაუროდ მიჰყვა მას. ბერტამ

აიღო პატარა კრებული და მას მიაწოდა. სიტყვა არ დაუძრავს არც ერთს.

სანამ ედი წიგნს ფურცლავდა, ბერტას კარისაკენ გაექცა თვალი და დაინახა... ჰარი, მის ფულტონის პალტო რომ ამოეღლიავებინა, და მის ფულტონი, თავდახრილი რომ იდგა ზურგით ჰარისაკენ. ჰარიმ პალტო გვერდზე მოისროლა, ხელები მხრებზე დაადო მის ფულტონს და თავისკენ შემოატრიალა. „გალმერთებ", ჩურჩულით უთხრა მას. მის ფულტონმა ოდნავ შეახო ლოყაზე გამჭვირვალე თითები და ზანტად გაიღიმა. ჰარის ნესტოები უთრთოდა. საზიზღარმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და მის ფულტონს წასჩურჩულა: „ხვალ". მან თანხმობის ნიშნად თვალები დახარა.

— ვიპოვე! — წამოიძახა ედიმ, — „რატომ მოგვართმევენ ყოველთვის პამიდვრის წვნიანს?" რა ღრმა აზრია, რა სწორად არის ნათქვამი, არა? პამიდვრის წვნიანი საუკუნეებია არ ასვენებს კაცობრიობას.

— თუ გნებავთ, ტელეფონით გამოვიძახებ ტაქსის, — ჰოლიდან მოისმა ჰარის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები.

— არა, არა! საჭირო არ არის,—უპასუხა მის ფულტონმა. ის სასტუმრო ოთახში შევიდა და ბერტას თავისი ნატიფი ხელი გაუწოდა.

— ნახვამდის, ძალიან დიდი მადლობა!

— ნახვამდის, — უპასუხა ბერტამ.

მის ფულტონმა ბერტას ხელი წუთით შეაყოვნა თავის ხელში.

— თქვენი მშვენიერი, აყვავებული მსხლის ხე! — თქვა მან მიბნედილი ხმით. მერე წავიდა და ედიც თან გაჰყვა, თითქოს ნაცრისფერ კატას შავი კატა მიაცილებსო.

— წავალ, კარს დავკეტავ, — თქვა ჰარიმ რაღაც უჩვეულო, ცივი, თავშეკავებული ხმით.

„თქვენი მშვენიერი მსხლის ხე, მსხლის ხე, მსხლის ხე!" — ბერტა მივარდა მაღალ ფანჯარას.

— რა იქნება ახლა? — წამოიძახა მან.

მაგრამ აყვავებული მსხლის ხე, როგორც ყოველთვის მშვენიერი და უძრავი იყო.

□

ჩვენი ისტორიები

ორი წერილი

შუა საუკუნეების, განსაკუთრებით მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია პირველწყაროებით მეტად ღარიბია. ცოტაა შემორჩენილი ამ დროის მეფეთა და დიდმოხელეთა მიმოწერაც. ქართველ ერისმთავართა ეპისტოლარული მემკვიდრეობა კი ჟამთა ვითარებას ისე ხელუყვია, რომ დღემდე მეცნიერებაში მათგან სამიოდე ნიმუში არის ცნობილი.

რა თქმა უნდა, ამ ხარვეზის გამოსწორების იმედი მეტისმეტი ოპტიმიზმი იქნებოდა, — ისტორიულმა ქარტეხილებმა ჰქნეს თავისი საქმე, მაგრამ მეცნიერებას უფლება არა აქვს შეანელოს ეპისტოლარული მემკვიდრეობის ძიება. სად შეიძლებოდა კაცს ეძებნა, მაგალითად, XII საუკუნის საქართველოს, იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს, მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მათ აღმოსავლელ კოლეგებთან? არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე ასობით არის შემონახული წერილების ერთგვარი კრებულები, რომელთაც „ინშას" უწოდებენ. ბევრი მათგანი გამოცემულია კიდევაც. ესაა ჟანრი, რომელიც მკითხველს ასწავლის, თუ როგორ უნდა მიეწეროს წერილი ნაირ ადრესატს: მეფეს, ვეზირს, მასწავლებელს, შეყვარებულს, მამას, ძმას და ა. შ. ამ „ინშებში" ასახულია შემდგენლის დროინდელი ინსტიტუტები, გამოყენებულია დოკუმენტებიც კი (ისტორიულ პირთა წერილების სახით), მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ერთი თავისებურება ამ ჟანრს საერთოდ ფასს უკარგავს, როგორც ისტორიულ წყაროს, — ისინი კონკრეტული ცნობებისაგან დაცლილია. გადმოცემული კი არის, ვთქვათ, თუ როგორ მიუწერს სელჯუყი სულთანი ქართველ მეფეს, მაგრამ რომელი სულთანია ეს და რომელი ქართველი მეფეა, არ ვიცით, — ისინი დასახელებულნი არ არიან. უკეთეს შემთხვევაში ნათქვამია: „საქართველოს მავანი და მავანი მეფეო" და ა. შ. და მაინც ამ „ინშებში" ათასში ერთხელ გაიელვებს ზოგი კონკრეტული, ისტორიული პირი. მაგრამ ეს გაელვებანი ისე ცოტაა, ხოლო „ინშათა" ხელნაწერები ისე ბევრი, იობის მოთმინება უნდა გქონდეთ, ისინი რომ გამოიყენოთ, — ჯერ აუჩქარებლად და მეთოდურად აღრიცხოთ ეს ხელნაწერები მსოფლიოს სხვადასხვა ფონდებში, შემდეგ დიდი წვალებით მოიპოვოთ ისინი, მერე გულდასმით გაეცნოთ და საბოლოოდ კი მშვიდად დაელოდოთ, თუ როგორ დარჩებით ხელცარიელი. სწორედ მშვიდად, რადგან არაერთგზის მოგიხდებათ ხელახლა ცდა და არაერთგზის დარჩებით ისევ ხელმოცარული...

გასაგებია, ასეთ გამოცდას ბევრი ვერ უძლებს. აი, ამიტომ არის ისტორიოგრაფიაში ეს უბანი ასე გამოუყენებელი.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ირანში მიგვეკვლია მე-14 საუკუნეში გადაწერილი ერთი ნუსხისათვის, სადაც სხვა საბუთთა შორის ბედად შემონახულია XII ს. ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერის თოთხმეტი ნიმუში და წერილები მათ შესახებ. მთლიანად ამ მასალებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აქვეყნებს, აქ კი „საუნჯეს" მკითხველებს ორ წერილს გავაცნობთ.

მაგალი თოდუა

თამარ მეფის წერილი სალაჰ ედ-დინისადმი

1. ქართველთა ფიცი[1], რომელიც სალაჰ ედ-დინს[2] გაეგზავნა (ქათეგ ისპაანელის[3] ინშადან)[4]

სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა! ესაა პირობა რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით: მე, რომელიც თამარი ვარ გიორგის ასული, მეტყველი უფლის ბუნებითა და წმიდა სულით; იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმიდა. ვფიცავ იმ საათს, როცა ღვთაებრივი სიტყვა სოფლის [ნივთს] დაუკავშირდა; ვფიცავ იმ სახეს, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ვფიცავ იმ ტანს (სხეულს), რომელმაც... სახე მიიღო; ვფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანშინ[5]; ვფიცავ მარიამს და მის მარხულობას იმ აღთქმის მიხედვით; ვფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ვფიცავ „სახარებას", „დაბადებასა" დ „ფსალმუნნს", რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე. — მშვიდობა მათ!—გარდამოსული; ვფიცავ ქრისტიანთა მოციქულთ და რჩეულ კრებულს; ვფიცავ ჯვარცმას და ღვთაებრივი და ნივთიერი სამყაროის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან, რომელიც არის [დღით] ხუთშაბათი ამა წლის ჯომადი ალ-ულას თვის თექვსმეტი[6], მავან მავანის ძისთან[7] კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები. მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები. სანამდის ცოცხალი ვარ, არასოლის მავანი ქალაქისა და ვილაიათის და მისი ციხეების [აღებას] არ განვიზრახავ; და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი[8]. და თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი, ქრისტიანობა იუდეველთა სჯულზე გამეცვალოს, ქრისტიანთა სარწმუნოება დამეგმოს, მესიის მიმდევართა თემი დამეგდოს და „სახარებაზე", „დაბადებასა" და „ფსალმუნნზე", რომელნიც უფლის სიტყვანია, მეთქვას: ზღაპარია და მოჭორილია! თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტის ჯვარი ფეხით გამეთელოს. უფალია შემწე![9]



შენიშვნები:

1. ორიგინალშია „სოუგანდ-ნამე“ (ფიცის წიგნი). იგი იყო სახელმწიფოთა პაქტი, რომლის მონაწილე თავის წმინდა საფიცარებზე დაფიცებით იძლეოდა გარკვეულ პირობას. «სოუგანდ-ნამე-იე აბხაზი» — აბხაზური (აბხაზთა) ფიცი ინშას შემდგენელს აქ საგანგებოდ მოაქვს იმის ნიმუშად, თუ როგორ და რა სახის ფიცს დებდნენ საქართველოს მეფეები.

2 თამარის წერილის ადრესატია სალაჰ ედ-დინი (იგივე სალადინი), აიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი, წარმოშობით ქურთი სულთანი. ფლობდა ჯერ ეგვიპტეს, შემდეგ კი შემოიერთა სირიაც. შექმნა უძლიერესი სახელმწიფო იმ დროის მსოფლიოში. 1187 წ. აიღო იერუსალემი. წარმატებით იგერიებდა ჯვაროსანთა ლაშქრობას, რომელსაც რიჩარდ ლომგული მეთაურობდა. გარდაიცვალა 1193 წ.

3 ემად ედ-დინ ქათებ ისპაანელი მუსულმანური აღმოსავლეთის ცნობილი მწიგნობარი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. 1188 წლამდე განაგებდა სწორედ ამ წერილის ადრესატის, სალადინის სამეფო კანცელარიას. შემდეგ იყო ვეზირი. ჩანს, შეუდგენია (ლიტერატურაში ეს დღემდე არ იყო ცნობილი) ინშა, სადაც სხვა წერილთა შორის თამარის ფიციც ყოფილა. თამარის წერილი სალადინისადმი მაშინ სწორედ ქათებ ისპაანელის ხელში გაივლიდა. ამის გამო მის მიერ გადაწერილი თამარის ფიცის ტექსტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

4 სალადინის კარის ოფიციალური ენა არაბული იყო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თამარის წერილი სპარსულ ენაზე არ ყოფილიყო შედგენილი. ცნობილია, რომ იმ ხანებში ყველა მიმოწერა ადრესატის ენაზე არ სწარმოებდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა თუ სპარსულ ენაზე შეადგინა ეს წერილი თამარის სამეფო კანცელარიამ, არამედ მან გამოიყენა ქრისტიანული რეალიების მუსულმანური შესატყვისები. „ყურანი“ სცნობს და პატივს სცემს ქრისტეს, მარიამს. არაერთხელ იხსენიებს მათ და გადმოგვცემს მათ ამბებს. მაგრამ „ყურანში“ შემონახული ეს ამბები ყოველთვის „ოთხთავისას“ როდი ემთხვევა. „თამარის ფიცშიც“, მიღებულია რა მხედველობაში წერილის მუსულმანი ადრესატი, ყურანისეული ვერსიითაა გადმოცემული ერთი დეტალი — ჩვილი ქრისტეს ქადაგება აკვნიდან. „ოთხთავის“ მიხედვით, აკვანშივე ქადაგებს არა ქრისტე, როგორც ეს „თამარის ფიცშია“, არამედ იოანე ნათლისმცემელი (ლუკა, I, 64).

5 ჩვენ ვკითხულობთ: მ ა ჰ დ (აკვანი), როგორც ხელნაწერშია და არა ა ჰ დ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს (რადგანაც ა ჰ დ აღთქმას ნიშნავს და შეიძლება „ახალ აღთქმად“ იქნას გაგებული, როგორც ეს არის ნახმარი მომდევნო ფრაზაში, — ჩვენებითი ნაცვალსახელის მოშველიებით, — „დარან ა ჰ დ“—იმ „აღთქმაში“).

6 როგორც თავში აღვნიშნეთ, „ინშას“ შემდგენელნი იძლეოდნენ წერილების შედგენის მხოლოდ ზოგად ნიმუშებს, წერილის საერთო ქარგა აინტერესებდათ და არა კონკრეტული რეალიები. ქათებ ისპაანელის თავისებურ დამოკიდებულებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან ამ რეალიებისაგან მთლიანად არ „გაწმინდა“ თამარის წერილი. კერძოდ, მას აქ დაუტოვებია თვე, რიცხვი და დღე, ხოლო წელი ამოუღია, — „ამ წელს“ გამოთქმით შეუცვლია (როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთი ოპერაციები სხვაგანაც ეტყობა წერილს). მაგრამ ამ მონაცემებითაც შეიძლება ზუსტი, თუმცა არაერთადერთი თარიღის მიგნება: პირველი ჯუმადის 16 რიცხვს ხუთშაბათი სალადინისა და თამარის მეფობათა თანხვედრის პერიოდში, ე. ი. 1184 წლიდან (როცა გამეფდა თამარი) 1193 წლამდე (როცა გარდაიცვალა სალადინი) ორჯერ დაემთხვა: 1185 წლის 15 აგვისტოსა და 1190 წლის 21 ივნისს. თამარის წერილს ეტყობა, რომ ის სალადინის მომართვის პასუხია. ჩანს, ამ წერილს წინ უძღოდა მოლაპარაკება ეგვიპტისა და საქართველოს სამეფო კარებს შორის. აქ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით ირკვევა, რომ სალადინს აინტერესებდა გაეგო: ხომ არ გამოვიდოდა საქართველო მის წინააღმდეგ, ხომ არ დაესხმოდა თავს მის ტერიტორიას. როდის შეიძლებოდა სალადინს ასე დაესვა საკითხი საქართველოსთვის, მის მეზობელ უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოსათვის? ვფიქრობთ, მაშინ, როცა მის ტახტზე ახალი ხელმწიფე ადიოდა. თამარი 1184 წ. გამეფდა. ახალი მეფის ტახტზე ასვლის შემდეგ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, აუცილებელი ხდებოდა გაერკვიათ, დაიცავდა თუ არა ტახტის მპყრობელი თავისი წინამორბედის ამა თუ იმ ხელშეკრულებასა თუ გარანტიებს. ბევრ ასეთ საბუთს განახლება დასჭირდებოდა, ზოგსაც შეცვლა მოუხდებოდა. ჩანს, ეს წერილიც ტახტზე ახალ ასული თამარის ერთი ასეთი საბუთთაგანია; იგი სალადინს მეგობრობას სთავაზობს. ამდენად, ვფიქრობთ, ეს წერილი 1185 წ. 15 აგვისტოს არის შედგენილი.

7 ცხადია, აქ სალადინის სახელი და ტიტული იქნებოდა დედანში. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინშას შემდგენელს იგი ასე აქვს შეცვლილი.

8 აუცილებელი არ იყო, თამარის ეს პაქტი უვადო ყოფილიყო. მაგრამ საქართველოს სამეფო კარი, ჩანს, საერთოდ აპირებდა კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ეგვიპტის სამეფოსთან. ყოველ შემთხვევაში ქართველი დიპლომატების ეს ფრაზა ყურადღებას იქცევს. შემდეგში, როგორც ცნობილია, რუსუდანი მზად იყო, ჯვაროსნებს მიშველებოდა (მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902 წ. გვ. 7).

9 თამარის სამეფო კარის კონტაქტი სალადინთან ცნობილია. ისტორიკოსი ბეჰა უდ-დინი გვაუწყებს, რომ 1192 წ. „საქართველოს მოციქული ეახლა სულთანს, რათა გამოეცხადებინა ვრცელი საჩივარი იერუსალემსა და მის სანახებში ქართველების კუთვნილი მიწებისა და მონასტრების თაობაზე. იგი ჩიოდა, რომ ქართველებს წაართვეს მონასტრები და მიწები და ითხოვდა მათ დაბრუნებას". სალადინთან სხვა დროსაც გაუგზავნია თამარს ელჩი (ამჯერად მაცხოვრის ჯვრის გამოსასყიდად). რაიმე კონფლიქტი სალადინთან თამარს არასოდეს ჰქონია. დადო რა ამ წერილით თავდაუსხმელობის პაქტი ეგვიპტე-სირიის ძლიერ სახელმწიფოსთან და აწარმოებდა რა მოქნილ პოლიტიკას, ჩვენმა სამეფო კარმა გადადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი ამ შემთხვევაში. საქართველომ უკვე კარგად იცოდა ჯვაროსანთა ნამდვილი მიზნები და მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური ქრისტიანული ქვეყანა იყო, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარემ თავის ერთმორწმუნე, მაგრამ კოლონიების მაძიებელი ჯვაროსნების მხარის აბმას თავის ძლიერ და ლოიალურ მეზობელთან მყარი ურთიერთობის შენარჩუნება არჩია. თავისი სტილით თამარის ეს წერილი ჰგავს მის პასუხს რუქნ ად-დინისადმი. ამდენად „ისტორიანი და აზმანში" მოტანილი წერილი ნამდვილ ტექსტად უნდა მივიჩნიოთ. ორივე წერილში თვალში საცემია თამარის ღვთისმოსაობა, რასაც არაერთხელ აქვს ხაზი გასმული მის ისტორიკოსთა ცნობებში.

2. ხაყანი შირვანელის წერილი ალსართან პირველისადმი

...კეთილისმოსურნე მონა უმაღლესი და ღირსეული ზღურბლის მიწას ეამბორება... და აღზევებული სასახლის მიწისგან დაშორების სინანულისაგან[1] მწუხარებათა ცივ ოხვრას უშვებს და ისე შფოთავს, თითქოს ცეცხლი წყალში ჩაეგდოთ ანდა წყალი ცეცხლზე დაესხათ... მონას სასიხარულო ამბავი მოსდის, რომ ხელმწიფის, — ალლაჰიმც შეეწევა მას! — უმაღლესი კორტეჟის იქ ყოფნამ საქართველო შფოთის საშიშროებისა, აჯანყების შემოტევისა და განხეთქილების მძვინვარებისაგან ერთბაშად ისე გაწმინდა და გაასუფთავა, რომ ისლამის იკლიმები[2] კაშკაშა ხმლითა და სახელმწიფოზე მზრუნავი გონიერებით ბიწიერი ვნებისა, მწვალებლური სიბინძურისა და შეცოდების წყვდიადისაგან გაწმინდა; სამართლიანობის სამკაულით, მართლმსაჯულების დიდსულოვნებითა და გზის ჩვენების შუქით შეამკო; ქრისტეს მიმდევრებსა და ქრისტიანულ სახელმწიფოებზე იმავე ღონისძიებებსა და მართლმსაჯულებას ახორციელებს და ვითარებათა გაუმჯობესებას, მდგომარეობის მოწესრიგებასა და საქმეთა მოგვარებას ბრძანებს[3]... მონა, რასაკვირველია, სასიხარულო ამბის სიამოვნებისაგან არსობის განსაზღვრულ ტანსაცმელში ვერ ეტევა და ის დროა, რომ ქუდის მაგივრად, [ჰაერში] თავი ისროლოს. ღმერთმანი, თუ მონა აქამდე ბრწყინვალე ხოტბის შუაში და ფშვიად (?) ქებათა შინაარსებში ხელმწიფის წმიდა არსებას, — ალლაჰიმც შეეწევა მას! — ქვეყნისმჩუქებელ იოსებს[4] უწოდებდა, ამიერიდან სიცოცხლისმჩუქებელ ქრისტეს უწოდებს, ვინაიდან დავითიანთა სამეფოს[5] სხეულს აზერის[6] მსგავსად სიცოცხლის ნირი წასული ჰქონდა და სულს ღაფავდა, ხოლო ხელმწიფის, — ალლაჰიმც მისცემს მას შვებას და შეეწევა! — ქვეყნისდამამშვენებელმა გონებამ, რომელსაც სულთა ქრისტესებური საფუძველი აქვს, კვლავ გააცოცხლა იგი[7]. შესაძლებელია, რომ ჩინეთის ფალფური[8], ჰინდის ფური[9], ზანგის მაჰარაჯი[10], რუმის კეისარი, იემენის თუბბაი[11], მისრის ჰაქიმი[12], შამის ვალი[13], არაბის რაისი[14], ფარსის მარზბანი[15], ერაყის თაჯდარი[16], ხორასნის საჰებ-ე ხარაჯი[17], სისთანის ამირა[18], ხათლანის[19] ხოსროვი[20] და ღაზნინის[21] ღაზი[22] ამ ამბავს შეიტყობენ. უდიდესი ხაყანის[23], — ალლაჰიმც შეეწევა მას! — უმაღლესი კორტეჟის სახელგანთქმულობაზე იტყვიან ღვიძლი ნათესაობის, სიახლოვის, სიყვარულის დაცვისა და ქვეყანათა ურთიერთსიახლოვის გამო, რაც ისლამის მეფის, — ალლაჰიმც შეეწევა სარწმუნოების თემთ მისი არსებობით! — უმაღლესობას ქართველთა აღზევებული მეფეთა

მეფის, — დღეგრძელი იყოს ზეობა მისი! — მიმართ ჰქონდა, ამდენი დახმარების წესების [საქმით] დამტკიცება და მხარში ამოდგომის საშუალების მოგვარება ბრძანა და უნატიფესი მოხერხებულობა გამოიჩინა, სანამდის მრისხანე ლომმა დემნას ცბიერებისაგან სახელმწიფო არ დაიხსნა, მოტყუებისა და მისი მწარე შედეგებისაგან არ გაანთავისუფლა, ვარსკვლავთმოწყალე და შუქისმომნიჭებელი მზე დანაშაულის ჯაჭვისა და წყვდიადის საბურველიდან არ გამოიყვანა და მას სრული ბრწყინვალება არ მისცა[24]. ვინაიდან უდიდესი მოსამართლე ხალხის ანსაფში ასეთი მოწყალე მეფის მართლმსაჯულებითა და ჭეშმარიტებით თუ შეძლებს არსებობას. [ხალხის] მართლმსაჯულ მწყემსს დიდგვაროვან ჩობნისაგან და ჭეშმარიტების მაძიებელს დამოყვრებულ (ნათესავ) შვილობილისაგან[25], აღიარებულ პატრონს ულირს მსახურისაგან[26] იხსნის. რადგან შავი ლომის შვილისა და თეთრი სპილოს ნაშიერის უსუსური კოღოს ვნებისაგან განთავისუფლება ხელმწიფის წყალობათა დიდებისაგან არის. და ცნობილია, რომ მდაბიოს მეფის გვირგვინი არ შეხვდება, პაიკს მეფის უჯრას არ მისცემენ და ვარსკვლავს მთვარეს არ დაუახლოვებენ. ყოველი გვარის საზღვარი და ყოველი არსის გვარი საჩინოა და ყოველივეს ხარისხი — სხვადასხვა. თქმა რად უნდა, რომ ყოველი ბუტკო ტკბილ ნაყოფს, ყოველი ქვის ნატეხი — რუმანის ლალს[27], ყოველი ბუზი — წმინდა თაფლს, ყოველი ჭია — დიბას ვერ მოგვცემს[28].

...აბსოლუტური მონარქი და ხელმწიფე მაღალი და წმინდა შემოქმედის სახელით თავის ნაცვალობას, — მემკვიდრეობით მონარქობასა და ხელმწიფობას ვისაც უნდა, მას მისცემს[29]. და სანამ შესაფერისს არ ნახავს, არ მისცემს. „ისინი შენი შემოქმედის წყალობას ხომ არ ინაწილებენ“[30]. ყველა თანამდებობის მაძებარის თვალში მიწაა მიყრილი და ყველა ყბედის კბილებში ქვაა ჩარტყმული! „ვისაც გსურს, მეფობას ანიჭებ და ვისაც გსურს, მეფობას წაართმევ“[31].

უფალმა, — იდიდოს მისი სახელი! — მოწყალე მეფის აღზევებული პიროვნება, რომელიც შემოქმედის სიკეთის განსახიერება და უფლის არსობის წინათქმაა, ასევე წარმატების ბედნიერებით წილხვდომილი გახადოს, რათა, როცა საწუთროს მეფეთ ასეთი მძიმე საქმეები შეხვდებათ, თადარიგი უმაღლეს გონებაზე სრულქმნილების სხივებით ინებოს. და ტახტისმპყრობელი გვირგვინოსნებისა და მათი ხელქვეითების უთანხმოების დროს გვირგვინოსანთ შველის და მათ ულირსი ადგილიდან კვლავ სასახლეში დააბრუნებს და ზოგ ურჩს, რომელიც მოინანიებს და პატიებას ითხოვს, შეიწყნარებს, ზოგს, რომელიც არ დაემორჩილება და შარზეა, ჭკუაზე მოიყვანს.

გამიგონია, ერთხელ სოლომონის ბეჭდის მქონე[32] სოლომონ ბოქთეგინი[33], — ალლაჰიმ[ც] შეიწყალებს მას! — დიდებულების ამალითა და ყმაწვილი მსახურების თანხლებით რომ ნადიროობდა, ნება-ნება ერთ ველს მიადგა, სადაც ცა საამოთხის ფრინველებით იყო სავსე და მიწაზე უკვდავების წყარო ჩუხჩუხებდა, სულთანს მკლავზე თეთრი ქორი ეჯდა. ერთხანს ეავადმყოფა და ამის გამო ნადირს ჯერ კიდევ შეთამამებული არ იყო. ხოხობს შეუტია. უცბად რომელიღაც მსახურის ხელიდან ერთი შევარდენი აფრინდა, იმ ხოხობს შეუტია, თეთრ ქორს გაეჯიბრა და ნადირს მიეწთო. თეთრი ქორი ძირს დაეშვა, ხოლო შევარდენმა ხოხობი დაიჭირა. სულთანმა მაშინვე ბრძანა, შევარდენს თავი წაწყვიტეთ და გადააგდეთო! თეთრი ქორი მორჭმული მეფეა, ხოლო შევარდენი — მისი რიგითი ხელქვეითია, არ გათავხედდეს და სამეფო მარაქაში გარევა არ გაბედოსო!

...დროა, ხელმწიფის უმაღლესმა კორტეჟმა, რომელსაც მეხუთე იკლიმი — ბეჭდის თვლის, ცის ვარსკვლავეთი — უნაგირის, სამეფო და ხალხი — დროშის, არარატის მთა და ყოლზომი[34] — სიბრძნის ქვეშა აქვს მოქცეული, ბედნიერი ბედით შარვანში დაბრუნება ინებოს. მზის მსგავსად ბაით აშ-შარაფის (დიდების ბორჯის) ციხის ქონგურებს მიანათოს და მუშთარის მსგავსად ბაით ასსაუდის თავზე[35] გადმოდგეს, თორემ ყველა სიკეთე და კარგი ბედი მარტო საქართველოსა და ქართველთ ხვდა.

შენიშვნები:

1 შარვანშაჰი ამ დროს საქართველოშია, მაგრამ აქ ალბათ საქართველოს მიწისგან დაშორება კი არ იგულისხმება, არამედ შარვანშას ფეხის მტვერისგან. ხაყანი (1121—1199) აღსართან I-ს ეუბნება: შენგან დაშორება (უფრო ზუსტად: შენი ჩვენგან დაშორება) მწყინსო.

2 არაბ გეოგრაფოსებს დედამიწა დაყოფილი ჰქონდათ შვიდ იკლიმად (კლიმატად).

3 იგულისხმება საქართველოში მომხდარი შინააშლილობა, დემნა ბატონიშვილის აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ, რაც 1177 წ. მოხდა. ამდენად, ხაყანის ეს წერილი იმავე

წელსაა დაწერილი და გაგზავნილია შარვანიდან (პოეტი თავის პატრონს ეხვეწება, შარვანში ჩამოდიო). გარკვევით ჩანს, რომ ამ დროისათვის ხაყანი შარვანშაჰის სამსახურშია.

4 იგულისხმება ბიბლიური იოსებ მშვენიერი.

5 ბაგრატიონთა ქართული სამეფო გვარი, რომელიც თავის წარმომავლობას ბიბლიურ დავითს უკავშირებდა და ამის გამო დავითიანად იწოდებოდა.

6 მუსულმანური გადმოცემებით, ქრისტემ, რომელიც იქ სასწაულთმოქმედად ითვლება, სული ჩაუდგა მკვდარ აზერს.

7 ამის შესახებ იხ. შენიშვნა № 24.

8 **ფალფურ** („ბაღ" — ღმერთი + ფურ" — შვილი) — ჩინეთის მეფის ტიტული.

9 ასე უწოდებდნენ ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის მეფეს. ალექსანდრე მაკედონელმა მოკლა (სხვა ცნობით, დაატყვევა) ინდოეთის ფური.

10 **მაჰარაჯი** (სანსკრ.: „მაჰა" — დიდი + „რაჯა" — მეფე) ინდოეთის მეფის ტიტული იყო. აქ ეს ტერმინი ზანგს უკავშირდება. ხაყანის დროს სპარსულად (და ქართულადაც) დღევანდელ ცნებას „ზანგი" (ნეგრი) სიტყვა „ინდოთი" გამოხატავდნენ. ხომ არ ხდებოდა ჰირიქითაც?

11 ძველი იემენის მეფეთა ტიტული.

12 **ჰაქიმი** მმართველს, მპყრობელს ნიშნავს. მაგრამ ხაყანის დროს ეგვიპტის (მისრის) მპყრობელებს ჰაქიმ-ი არ ერქვათ, როგორც წესი, ისინი მალექ-ად იხსენიებიან. ხომ არ იჩენს აქ საერთოდ ხაყანი მეფის სინონიმთა ხმარების ტენდენციას? რასაც გვაფიქრებინებს მომდევნო ინსტიტუტები:

13 **შამის ვალი** — სირიის ოლქის უფროსი.

14 **არაბის რაისი** (არაბთა ქვეყნების თუ ქვეყნის მეთაური).

15 **ფარსის მარზბანი** (მარზბანი იგივე მარზაპანია).

16 **ერაყის თაჯდარი** — ირანის ან არაბეთის ერაყის გვირგვინოსანი.

17 **ხორასნის საჰებ-ე ხარაჯი** — ხორასნის ხარაჯის პატრონი.

18 **სისთანის ამირა** (სისთანი — ძველი სამეფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში).

19 **ხათლანი** ერქვა შუა აზიაში, ბადახშანში, პროვინციას, რომელიც განთქმული იყო ზულადი და მოხდენილი ხალხითა და სიმდიდრით.

20 **ხოსროვი** მეფეს ნიშნავს, მაგრამ ჰქონდათ, და თუ ჰქონდათ, როდის ჰქონდათ ასეთი ტიტული ხათლანის მფლობელთ?

21 **ღაზნინი** (იგივე ღაზნი, ღაზნა) ქალაქია ავღანეთში.

22 **ღაზი** — ისლამის რჯულისთვის მებრძოლი; გულადი, რაინდი. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც სამეფო იერარქიასთან დაკავშირებული ინსტიტუტი.

23 იგულისხმება შარვანშა აღსართან I. ხაყანი თურქული მოდგმის მეფეთა ტიტულია.

24 **როგორც ირკვევა, დემნა უფლისწულის აჯანყების** დროს აღსართან I გიორგი III-ის მხარეზე გამოსულა. ხაყანის წერილის ამ ადგილას, ბუნებრივია, მისთვის დამახასიათებელი ენაწყლიანობით დახატულია შარვანშას როლი ამ საქმეში. თავისთავად ეს ცნობა (რომ აღსართანი ეხმარებოდა გიორგი III-ს) ახალია და მეტად საინტერესო. ქართველ და სომეხ მემატიანეთ ჩამოთვლილი ჰყავთ გიორგის მომხრენი „მესხი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თვით გაზრდილი მისი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი" (ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტ. II, გვ. 19), მაგრამ მათთან შარვანშა არ იხსენიება, რაც ჩვენ გვაფიქრებინებს: გასაგები მიზეზებისა გამო ხომ არ აზვიადებს ხაყანი თავისი პატრონის, აღსართანის, როლს ამ საქმეში? იქნება შარვანშა უკვე გამარჯვებულ გიორგის ეახლა თბილისში? მაგრამ თუ დითირამბებით ისედაც ცნობილი პოეტის ეს მიკერძოება გასაგებია, სრულიად გაუგებარია ამ ფაქტის ის ინტერპრეტაცია, რასაც იძლევა მკვლევარი ქენგლი თავრიზის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ორგანოში: „ამ ამბებამდე (იგულისხმება გიორგი III-ის გალაშქრება დარუბანდში — მ. თ.) ცოტათი ადრე აბხაზში განხეთქილებამ იჩინა თავი და აღსართანის ძალამ ბაგრატიონ-დავითიანთა სახელმწიფო აუცილებელი განადგურებისაგან იხსნაო". ქენგლი ვერ მიმხვდარა, რომ წყდებოდა არა საქართველოს სახელმწიფოს ბედი, არამედ სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ბედი, და შარვანშამ სხვა, მეფის ერთგულ სამთავროებთან ერთად მონაწილეობა მიიღო არა საქართველოს დაცემისაგან ხსნის, არამედ გიორგი III-ის ხსნის საქმეში. ეს ბრძოლა ტახტისთვის ატეხილი შინააშლილობა იყო და მის შედეგზე ეკიდა არა საქართველოს, არამედ ერთ-ერთი ტახტის მაძიებელთაგანის ბედი.

უგულვებელჰყოფს რა ისტორიულ წყაროებსა და ლოგიკას, ქენგლი დარუბანდის ბრძო-

ჩინეთი

თეატრი ჩინეთში

ჩინეთი ძველთაგანვე თეატრის ქვეყნად ითვლებოდა. „ჩინელები უდაოდ ყველაზე თეატრალური ხალხია, — წერდა ცნობილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე აკადემიკოსი ვ. მ. ალექსეევი, — ის, ვინც ყოფილა ჩინეთში, დამიდასტურებს, რომ საოპერო არიები იქ ისევეა გავრცელებული, როგორც ხალხური სიმღერები. ყველაფერი უნახავთ, ყველაფერი იციან, ყველაფერს მღერიან. ჭუჭყიანი, ჩამოძონძილი მათხოვარი ქუჩაში მღერის ჯუგე ლიანას არიას ოპერიდან „ეშმაკობა ვითომ ცხე-სიმაგრით“ და იქვე ასრულებს იმ როლს, — ასეთი რამ სრულიად ჩვეულებრივი ამბავია... უფრო უცნაურ თეატრალებს ალბათ სხვაგან ვერ შეხვდებით!“

ცხადია მაო და მისი ჯგუფი უყურადღებოდ არ დატოვებდნენ იდეოლოგიური ბრძოლის ისეთ იარაღს, როგორიც თეატრია. თავდაპირველად კლასიკურ დრამას ზემოდან თავს მოახვიეს იძულებითი „რეფორმა“ და სპექტაკლებიდან ამოაგდეს „სტუდენტები და ლამაზმანები“, „ეშმაკები და მაქციები“ და „ფეოდალური იდეოლოგიის სხვა ნიშნები“, ამას თან მიაყოლეს ყველაფერი ის, რაც თეატრის არსს წარმოადგენს. „კულტურული რევოლუცია“ თითქოსდა ტრადიციული თეატრის დასასრულად იქცა. ბევრი თეატრალური დასი დაშალეს და ძველი მრავალფეროვანი რეპერტუარის ნაცვლად გაჩნდა შვიდი აპრობირებული „სანიმუშო რევოლუციური პიესა“. 1971 წელს მათ დაუმატეს კიდევ ხუთი. ესენი ცზიან ცინის პირადი მეთვალყურეობით შეიქმნა. „სანიმუშო პიესების“ ავტორებმა მთლიანად გამოიყენეს ტრადიციული თეატრის პიროობითობა, რათა შეექმნათ მათი შეხედულებით „იდეალური“ გმირები. მაგრამ „იდეალურის“ ნაცვლად ხელში შერჩათ უღიმღამო, არაფრის მთქმელი სახეები.

პიესები გადაიღეს ფერად ფირზე და დაუსრულებლად აჩვენებდნენ კინო და ტელეეკრანებზე. სამი წლის განმავლობაში ოფიციალურად მოწონებული რეპერტუარი ფაქტიურად არ შეცვლილა. მაგრამ დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა.

1974 წელს თითქოს რაღაც შეიცვალა ჩინეთის თეატრალურ ცხოვრებაში. „კონფუციისა და ლინ ბიაოს კრიტიკის“ კომპანიამ წააქეზა ჩინეთის ბეჭდვითი ორგანოები. ისევ დაიწყო „სანიმუშო რევოლუციური პიესების“ ქებადიდება; ამ პიესებს არც მეტი არც ნაკლები, მოიხსენიებდნენ როგორც „მსოფლიო თეატრალური ხელოვნების მარგალიტებს“. სანიმუშო პიესები იდგმებოდა პროვინციულ თეატრებშიც, მაგრამ ადგილობრივი ინტერპრეტაციით. ასე შეიქმნა პიესა „შაცზიაბანის“ კანტონური ვარიანტის „წითელი ნათურის ისტორიის“ ხებეური ვარიანტი და ა. შ. „სანიმუშო პიესები“ ითარგმნა ჩინეთის ეროვნულ უმცირესობათა ენებზე იმ მიზნით, რომ ახალი გმირის — „თავმჯდომარე მაოს ერთგული მებრძოლის“ პროპაგანდა გაეწიათ.

მაგრამ უკვე შესამჩნევი გახდა, რომ საზოგადოება დაღალა ამ „სანიმუშო“ დრამატურგიამ. ალბათ ამიტომაც, ჩინეთის ტელევიზია რაღაც „საკონცერტო პროგრამებზე“ გადავიდა, სადაც ჩართულია ცალკეული ეპიზოდები სხვადასხვა პიესებიდან. თეატრის მონოპოლიზაცია აშკარად არ ეთანხმებოდა ლოზუნგს „მასების ხელოვნება“ — ამიტომაც „სანიმუშო“ პიესების შემდგომ პროპაგანდასთან ერთად იდეოლოგიური ფრონტი და მისი ხელმძღვანელი ცზიან ცინი იძულებულნი გახდნენ ერთგვარად გამოეცოცხლებინათ თეატრალური ცხოვრება.

მართალია პეკინის თეატრების უმეტესობა ძველებურად გაუქმებულია, ხოლო შენობები გამოყენებულია საერთო საცხოვრებლებად, სასტუმროებად და კინოთეატრებად, მაგრამ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ქალაქში ჩატარდა თეატრალური ფესტივალი. ბოლოს და ბოლოს, მაყურებელმა ნახა ახალი პიესები.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი პიესები ბევრად განსხვავდებიან „სანიმუშო პიესებისაგან“. ისინი ხომ ეტალონები, მისაბაძი მაგალი-

თები იყო. მაგრამ ერთფეროვნებისაგან გაბეზრებული მაყურებელი სიამოვნებით ხვდება ყველაფერ ახალს, სულ ცოტათი მაინც რომ განსხვავდება შაბლონისაგან და გადაკრულად მაინც ეხება რეალურ, ცხოვრებისეულ საკითხებს. საინტერესოა პიესები „ბრძოლა ფიცარნაგზე“ და „ვასამართლებთ სკამს“. (ეს ბოლო პიესა რაღაცით მოგვაგონებს „თორმეტ სკამს“— ოღონდ აქ სავარძელში დამალულია საბუთები, კლასობრივ მტერს რომ ააშკარავებს. უკვე ნებადართულია, რომ მთავარი გმირები იყვნენ არა „ფოლადის მებრძოლები“, არამედ უბრალო ჩინელები (პიესაში „ვასამართლებთ სკამს“ — მოხუცი ღარიბი გმირი მღერის, რომ ის მთვრალია). ხშირად დადებითი გმირები ქალები არიან. ამას ხელი შეუწყო „კონფუციასა და ლინ ბიაოს კრიტიკის“ გამძაფრებამ, მათ ხომ ბრალს სდებენ, რომ დაიკნინეს ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძნელია თქმა როგორი იქნება ჩინური თეატრის ბედი, რა გავლენას მოახდენს მასზე გამწვავებული შიდაპოლიტიკური ბრძოლა. ჯერჯეროობით კი ერთ პიესას („სამი სტუმრობა სოფელ ტაოფენში)“ კრიტიკის დიდი ტალღა დაატყდა თავს, რადგან მისმა დამდგმელებმა „ზედმეტი“ გაბედულება გამოიჩინეს.

ამერიკა

„ავტობიოგრაფია როგორც პოლიტიკური აქცია“.

ასე ეწოდება „ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუ“-ში გამოქვეყნებულ სტატიას. სტატია ეხება ანჯელა დევისის „ავტობიოგრაფიის“ გამოსვლას. კრიტიკის აზრით ეს ბევრისმთქმელი და საინტერესო წიგნი აცნობს ამერიკელებს ადამიანს, ვისი სახელიც ყველამ იცის და ვინც ალბათ ყველაზე შესამჩნევი მოღვაწეა 60-იანი წლების ამერიკული „მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის“ ისტორიაში.

ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობის პერიოდში, მიიღო რა ციხის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, ანჯელა დევისმა აღმოაჩინა იქ რამდენიმე წიგნი — ფლინისა და ამერიკული კომუნისტური მოძრაობის სხვა მოღვაწეთა ამავე ციხეში ყოფნის კვალი. ეს წიგნები მას დაეხმარნენ გადაეტანა პატიმრობის მძიმე დღეები. „მისი საკუთარი წიგნიც, — წერს რეცენზენტი ე. ლანგერი, — ამას ემსახურება. წიგნი გამიზნულია, რომ რწმენა გაუძლიეროს მომავალ პოლიტიკურ პატიმრებს, ისევე როგორც ჟ. დიუბუას „ავტობიოგრაფია“ და სხვა პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა წიგნები დაეხმარნენ თვითონ ანჯელა დევისს“.

წიგნში მოთხრობილია ანჯელა დევისის არა მარტო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ ისიც, თუ რამ მიიყვანა ანჯელა დევისი აქამდე. ა. დევისი გაიზარდა თავისი რასისტული პოლიტიკით ცნობილ ალაბამას შტატში, მაგრამ ხშირად იყო ნიუ-იორკში და უკვე მაშინ დაინახა, თუ რაოდენ დიდად განსხვავდება ამერიკის ჩრდილო და სამხრეთი შტატები. თუ იგი კარგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი დადგა, წერს რეცენზენტი, ამის რეალური წინაპირობა იყო მის გარშემო მყოფი საზოგადოება.

ა. დევისის მშობლები დაკავშირებული იყვნენ პროგრესულ მოძრაობასთან ჯერ კიდევ 30-იან წლებში. მათ ნაცნობებში ბევრი კომუნისტი იყო. მაღალი კლასების მოსწავლე ანჯელა დევისი ნიუ-იორკში გადავიდა და იქ თეთრკანიანი მღვდლის ოჯახში ცხოვრობდა, სამწყსო რომ დაეკარგა მაკარტიზმის პერიოდში. ,

ნიუ-იორკში იგი ესწრებოდა მემარცხენეთა ერთ-ერთი ლიდერის ელიზაბეტ ირვინის ლექციებს. მისი სიტყვებით, კომუნისტური მანიფესტის გაცნობა მისთვის თვალის იმ ოპერაციას ჰგავდა, ლიბრი რომ მოაცილა. აქ იპოვნა მან პასუხი ბევრ შეკითხვაზე. მის საკუთარ აზრებსა და გრძნობებს სინათლე მოეფინა და ჩამოყალიბდა. მისთვის გასაგები გახდა საზოგადოებრივი კანონზომიერებანი. ამ წლებში იგი ადგილობრივი ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის წევრი იყო.

ბავშვობაში დევისი ოცნებობდა ბავშვთა ექიმი გამხდარიყო. სტუდენტობისას საფრანგეთში გაემგზავრა და მთელი წელი ფრანგულ ლიტერატურას სწავლობდა, მერე ორი წელი ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტში ეცნობოდა კანტის, ჰეგელისა და მარქსის შრომებს. აქ მისი ხელმძღვანელები იყვნენ მარკუზე და ადორნო.

1967 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. მონაწილეობდა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის მებრძოლ მოძრაობაში და ეს დაეხმარა გამოემუშავებინა თავისი საკუთარი შეხედულება მარქსიზმზე და ამდენად ამოეგდო თავიდან თავისი ევროპელი მასწავლებლების მცდარი შეხედულებები. საკუთარი დაკვირვებებით იგი მივიდა იმ აზრამდე, რომ მხოლოდ ამერიკის კომუნისტურ პარტიას შეუძლია ზანგთა მოძრაობა სწორ გზაზე დააყენოს. 1968 წელს იგი აშშ კომუნისტური პარტიის წევრი ხდება.

თავის წიგნში, წერს რეცენზენტი, ანჯელა დევისი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ტიპიური და სამართლიანი მოვლენაა თანამედროვე ამერიკისათვის. „ჩემის აზრით, — ამბობს კრიტიკოსი, — ეს არ არის ასე. ანჯელა დევისი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ შეცდომა იქნებოდა მისი გაიგივება რომელიმე სტერეოტიპთან, თუნდაც გმირთან“.

ITALIA

გარიბალდი — რომანისტი და პოეტი

ბევრმა არ იცის თვით იტალიაშიც კი, რომ იტალიის სახალხო გმირი, იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ჯუზეპე გარიბალდი წერდა არა მარტო სამხედრო ბრძანებებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც. გარიბალდი სამი ისტორიული რომანის ავტორია: „კლელია, ანუ ბერების ხელისუფლება“, „მოხალისე კანტონი“, „ათასი მარსალელი“. მასვე ეკუთვნის ორი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები: მემუარები პროზად და პოემები ცხრამეტ სიმღერად; აგრეთვე მრავალი პატრიოტული ლექსი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე — მათ შორის წერილებზე გერცენის, მაძინის, ჰიუგოსა და სხვა ცნობილი მოღვაწეებისა და მწერლებისადმი.

გარიბალდის ლიტერატურული მოღვაწეობა მიეკუთვნება გასული საუკუნის 60—70-იან წლებს და საინტერესოა უმთავრესად თვითონ გარიბალდის, როგორც პიროვნების წყალობით, მაგრამ ასევე როგორც რისორჯიმენტოს დიდებული ეპოქის დოკუმენტიც. გარიბალდის რომანები ოდესღაც მკითხველთა ინტერესს იწვევდა (რომანი „კლელია“ — დაიწერა 1870 წელს და იმავე წელს ითარგმნა რუსულ ენაზე). და აი, ახლა ასი წლის შემდეგ გარიბალდის სამი რომანიდან ორი, რომლებიც ეხება იტალიის ეროვნული განთავისუფლებისა და ერთიანი იტალიური სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის ბობოქარ პერიოდს, სადაც ავტორის მდიდარი ფანტაზია შეჯერებულია მისსავე გმირული ცხოვრების ეპიზოდებთან, ხელახლა გამოიცა იტალიაში. ტურინის გამომცემლობა „მებ“-მა სერიით „სახალხო რომანი“, 1973 წლიდან რომ გამოდის მწერალ ჯოვანი არპინოს ინიციატივით, გამოაქვეყნა „კლელია“ და „მოხალისე კანტონი“. გაზეთ „უნიტას“ ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ენრიკო გიდეტიმ ამ რომანებს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა.

„ისტორიულ-ბიოგრაფიული დოკუმენტები, პოლიტიკური მანიფესტები — სწორედ ეს უნდა ვეძიოთ რისორჯიმენტოს „მამათა“ გულუბრყვილო ლიტერატურულ ცდებში“ — ასეთია გიდეტის დასკვნა.

ერთხელ...

გასული საუკუნის დამლევს ირანის შაჰი პარიზს ეწვია. მის საპატივცემულოდ სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა. კონცერტის დასასრულს შაჰს შეეკითხნენ, ყველაზე მეტად რომელი ნაწარმოები მოგეწონათო. „პირველი", — უპასუხა მან. ორკესტრს სთხოვეს განმეორებით დაეკრა ის ნაწარმოები. მაგრამ შაჰმა თავი გააქნია. ერთიმეორის მიყოლებით გადაარჩიეს ყველა შესრულებული ნომერი, მაგრამ ვერა და ვერ მიაგნეს იმ ნაწარმოებს, შაჰს რომ მოეწონა. ბოლოს და ბოლოს, ორკესტრანტები იძულებული შეიქნენ, ხელახლა აეწყოთ ინსტრუმენტები. „ეს არის — შეჰყვირა შაჰმა, გაიგონა თუ არა აწყობის ხმები, — ეს მე ყველაზე მეტად მომეწონა".

. . .

ცნობილია, რომ ინგლისში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ძველად ქალის როლებსაც სცენაზე მამაკაცები ასრულებდნენ. ერთხელ მეფე ჩარლზ II ლონდონში სპექტაკლს ესწრებოდა; მეფე აღშფოთებული იყო, რომ სპექტაკლის დაწყებას იგვიანებდნენ. მაშინ თეატრის დირექტორი მივიდა მასთან და უთხრა: „თქვენო ბრწყინვალებავ, საქმე იმაშია, რომ დედოფალმა წვერის გაპარსვა ვერ მოასწრო".

. . .

ჰენდელის ოპერა „რინალდო" ერთმა მოხერხებულმა საქმოსანმა გამოსცა და სულ მოკლე ხანში გაიყიდა. მოგება საოცრად დიდი იყო. აქედან კომპოზიტორს უმნიშვნელო ნაწილი ერგო.

— მისმინეთ, — უთხრა ჰენდელმა კომერსანტს, როცა თავისი წილი ფული მიიღო,— ჩვენს შორის ნაწყენი რომ არცერთი არ დარჩეს, შემდეგში თქვენ ოპერა დაწერეთ, ხოლო მე გამოვცემ.

. . .

ერთხელ ვოლფგანგ იოჰან ფონ გოეთე (1749 — 1832), უკვე ოთხმოც წელს გადაცილებული, ეკერმანთან ერთად სეირნობდა ვაიმარის პარკში. გზად ახალგაზრდა, ლამაზი ასული შენიშნეს. მისმა სილამაზემ და სინორჩემ მოაჯადოვა გოეთე. პოეტმა ამოიოხრა და უთხრა ეკერმანს: „რას არ მივცემდი, ძვირფასო ეკერმან, იმისათვის, რომ ახლა ისევ სამოცდაათის ვიყო".

. . .

ყოველი ლექციის შემდეგ მსმენელები უამრავ შეკითხვას აძლევდნენ ცნობილ ზოოლოგს, ალფრედ ბრემს (1829 — 1884). ერთხელ ერთი ქალი შეეკითხა: „მართალია, ბატონო პროფესორო, რომ ლომი ცხოველთა მეფეა. თუ არსებობს ისეთი ცხოველიც, ვისიც ლომს ეშინია?" ამაზე ბრემმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ქალბატონო, ხომ არსებობენ ძუ ლომებიც".

. . .

— როგორ გავმდიდრდე?— შეეკითხა ერთი ამერიკელი გამოჩენილ ინგლისელ მწერალს, სომერსეტ მოემს.

— დაწერეთ ხუთაქტიანი ტრაგედია და სამი თვით წიგნების კარადაში შეინახეთ. მერე გადააკეთეთ თქვენი ტრაგედია ერთაქტიან კომედიად და... ცოლად შეირთეთ ვინმე მდიდარი ამერიკელის ასული.

. . .

ერთ-ერთ საოპერო წარმოდგენას, ცნობილი იტალიელი ტენორის ჯოვანი ბატისტა რუბინის (1794—1854) მონაწილეობით, ესწრებოდა როსინი. მის გვერდით იჯდა ვიღაც მელომანი და მომღერლებს ხმას აყოლებდა. მოთმინებიდან გამოსულმა კომპოზიტორმა საკმაოდ ხმამაღლა თქვა, იდიოტიო. „ეს მე მეხება?"—მრისხანედ შეეკითხა მეზობელი. „ღმერთმა დამიფაროს,—უპასუხა როსინიმ, — ეს ეხება საოცრად ბრიყვ რუბინის, ვინაც საშუალებას არ გვაძლევს, რომ თქვენ მოგისმინოთ".

. . .

დიდი მიწისძვრა მოხდა 1906 წელს სან-ფრანცისკოში. 18 აპრილს იქ გასტროლებზე იმყოფებოდა ენრიკე კარუზო, გამოჩენილი იტალიელი მომღერალი. მისი კარიერა ის-ის იყო იწყებოდა. დილის ხუთ საათზე, როცა პირველად იძრა მიწა, მეგობრებმა მაშინვე სასტუმროს მიაშურეს. კარუზო ნახევრად ღანგრეულ სასტუმრო ოთახში იდგა, თავზე სველი პირსახოცი მოეხვია

და ხელში ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი ეჭირა. მაშინვე შემოვიდა იმპრესარიო ფორტუნე გალო. მას კარუზომ წინა დღეს სანაძლეო დაუდო, რომ ტენორის მაღალ ნოტებს შეიძლებოდა შუშები ჩაემსხვრია. დაინახა თუ არა ფორტუნე, კარუზომ მიუთითა ნანგრევებზე და უთხრა: — „შეხედე, ხომ გეუბნებოდი, უბედურება მოხდება, ყველაზე მაღალ ნოტებს თუ ავიღებ-მეთქი...“

. . .

ოპერა „აიდას“ ერთ-ერთ გენერალურ რეპეტიციაზე, რა არ იღონა დირიჟორმა ტომას ბიჩემმა, მაგრამ სოლისტებსა და ორკესტრს არაფერი გამოუვიდათ. მოულოდნელად ცხენი, რომელიც სცენაზე იყო, ისე აჭიხვინდა, თითქოს იცინისო. „ეს ცხოველი, — შენიშნა ბიჩემმა, — არც თუ ისე კარგად არის აღზრდილი, სამაგიეროდ მშვენიერი მუსიკალური კრიტიკოსი ყოფილა“.

. . .

ერთხელ ვილჰელმ კონრად რენტგენმა მიიღო უცნაური წერილი. წერილის ავტორი თხოვდა გამოეგზავნათ მისთვის... რამდენიმე რენტგენის სხივი, და თან რჩევა-დარიგებაც მიეცათ, თუ როგორ გამოეყენებინა სხივები. თურმე მკერდის არეში რევოლვერის ტყვია ჩარჩენოდა, ხოლო მგზავრობისათვის არ ჰქონდა დრო.

მეცნიერს იუმორის გრძნობა არ ღალატობდა. მან უპასუხა: „სამწუხაროდ ახლა არ გაგვაჩნია იქს-სხივები. თანაც მათი გადაგზავნა ცოტა არ იყოს რთული საქმეა. ჩემის აზრით, ასე უფრო იოლი იქნება: გამომიგზავნეთ თქვენი მკერდი“.

. . .

ერთხელ ფერენც ლისტთან მივიდა ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც ოცნებობდა თავისი სახელი უკვდავეყო. იგი შეეკითხა, რა აზრის იყო ცნობილი პიანისტი მის ნაწარმოებზე. ლისტმა დაუბრუნა ნოტები და უთხრა:

— თქვენს ნაწარმოებში ბევრია ახალი და ლამაზი.

— თქვენ ასე ფიქრობთ?— სიამოვნებისაგან გაიბადრა ახალგაზრდა.

— დიახ, ძვირფასო, მაგრამ სამწუხაროდ, ის რაც ახალია, სულაც არ არის ლამაზი, ხოლო რაც ლამაზია, ის უკვე აღარ არის ახალი.

. . .

პიანისტი ქალი კლარისა შუმანი (1819—1896) უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე მისი ქმარი რობერტ შუმანი (1810—1856). ერთხელ კლარისა შუმანი ამსტერდამში რობერტ შუმანის ნაწარმოებს უკრავდა. აპლოდისმენტებს დასასრული არ უჩანდა. ნიდერლანდების მეფემ მოისურვა, რომ შემსრულებელი მასთან წარედგინათ. მეფე დიდხანს ესაუბრა პიანისტ ქალს, მერე გვერდით მორცხვად მჯდომ მეუღლეს მიუბრუნდა და შეეკითხა: „თქვენ, თქვენც ერკვევით მუსიკაში?“

ჩვენი ავტორები

ამბროზ ბირსი (1842 – 1913 წ. წ.) იგი ამერიკელი მწერალია.

ბირსის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო ომმა, ომმა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის. იგი ჩრდილოელთა რიგებში იბრძოდა. ოთხი წელი დაჰყო ფრონტზე. ომში წავიდა როგორც რიგითი ჯარისკაცი და იქიდან დაბრუნდა მაიორის ჩინით.

როგორც მწერალი ბირსი თითქმის უცნობი იყო თავის სიცოცხლეში. აღიარება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოიპოვა. როცა ჰემინგუეი დამწყებ მწერლებს ურჩევდა, რა წაეკითხათ, სხვებთან ერთად მან ბირსიც დაასახელა. სამაგიეროდ ბირსი ცნობილი იყო, როგორც ჟურნალისტი და საკმაოდ დიდი ეავლენაც ჰქონდა.

ბირსის მოთხრობებში ხშირად ომის ამბებია ნაჩვენები.

ბირსისათვის ომი მხოლოდ მისი ბიოგრაფიის ნაწილი არ არის. ომი მისთვის მნიშვნელოვანია იმდენადაც, რომ იგი აშიშვლებს ადამიანის ფარულ ბუნებას, აშიშვლებს იმას, რაც მშვიდობიანობის დროს ღრმად არის ჩამარხული ადამიანის სულში და საიდუმლოს წარმოადგენს როგორც სხვებისათვის, ისე თვით მისთვისაც.

ბირსი არის ედგარ პოს ხაზის გამგრძელებელი. იგი ავითარებს „საშინელი“ მოთხრობის ჟანრს.

1913 წელს ბირსი სამხედრო კორესპონდენტად წავიდა მექსიკაში და უკვალოდ დაიკარგა. მისი სიკვდილი საიდუმლოებით არის მოცული. შესაძლებელია, რომ აჯანყებული მექსიკელი გლეხების ბელადმა, პანჩო ვილამ დახვრიტა იგი.

მიგელ დე უნამუნო (1864–1936). ძნელად თუ მოიძებნება XIX-XX საუკუნის ესპანური კულტურის ისტორიაში პიროვნება უფრო თავისებური, ვიდრე მიგელ დე უნამუნო – ფილოსოფოსი, მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ფილოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ლიტერატურაში პარადოქსების მოყვარული, თვითონ წარმოადგენდა ცოცხალ პარადოქსს.

1901 წელს უნამუნოს ნიშნავენ სალამანკის უნივერსიტეტის რექტორად. წლების განმავლობაში იგი უძღვებოდა ამ უძველეს ცოდნის ტაძარს.

1924 წელს ესპანეთის ყოვლისშემძლე დიქტატორის პრიმო დე რივერას ბრძანებით უნამუნო გადაასახლეს კანარის კუნძულებზე. ამ ამბით აღშფოთებულმა მსოფლიოს ბევრმა მეცნიერმა თუ მწერალმა პროტესტის წერილი გაუგზავნა ესპანეთის მთავრობას. წერილს ხელს აწერდნენ ალბერტ აინშტაინი, რომენ როლანი, თომას მანი და სხვ. იმავე წელს უნამუნო გაიქცა გადასახლებიდან და დასახლდა საფრანგეთში. 1931 წელს მონარქია რომ დაემხო, მიგელ დე უნამუნო დაბრუნდა ესპანეთში.

უნამუნოს შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჟანრობრივად მეტად მრავალფეროვანია. იგი მოიცავს პოეზიას, დრამატურგიას, მოგონებებსა და ჩანაწერებს, ფილოსოფიურ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ პამფლეტებს და სხვ. საინტერესოა, რომ უნამუნოს ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „როგორ კეთდება ნოველა“ არ მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ ჟანრს. ეს არის თავისებური ჰიბრიდი რომანის, კრიტიკული გამოკვლევისა და ფილოსოფიური ტრაქტატისა.

„ნამდვილი მამაკაცი“ მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ჟაკ პრევერი (1900 წ.) – თანამედროვე ფრანგი პოეტი. ცნობილია მისი კრებულები: „სიტყვები“, „ზღაპრები გაუგონარი ბავშვებისათვის“, „წვიმა და დარი“, „მხეცები“, „სპექტაკლი“ და სხვა.

შემოქმედების პირველ პერიოდში (1926–1930 წ. წ.) განიცდიდა დადაიზმისა და სურრეალიზმის გავლენას, შემდეგ ჩამოშორდა ამ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და თავისი შემოქმედებით დაუახლოვდა ფრან-

გულ ფოლკლორს, აგრეთვე — ბერანჟეს შანსონს.

მისი ლექსები ასახავენ ყოველდღიურ ამბებს, უბრალო ხალხის ცხოვრებას. პრევერის ბევრ ლექსებზე მუსიკაა შექმნილი.

პრევერმა დაწერა აგრეთვე დიალოგები ჟან კოქტოს ფილმებისათვის: „ღამის კარები“ და „საღამოს სტუმრები“.

ხულიო ტრავიესო — თანამედროვე კუბელი მწერალი. იგი დაიბადა 1940 წელს ჰავანაში. 50-იან წლებში მონაწილეობას იღებდა ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ სტუდენტურ გამოსვლებში. 1965 წელს ხულიო ტრავიესომ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

„ვიდრე მგელს მოჰკლავდნენ“ ხ. ტრავიესოს ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია.

რომანი აღნიშნულია კუბის ნაციონალური ლიტერატურული პრემიით.

ქეთრინ მენსფილდი (1888—1923) ცნობილი ინგლისელი ნოველისტია. იგი დაიბადა ახალ ზელანდიაში, ველინგტონელი ბანკირის ოჯახში. ქეთრინ მენსფილდმა მოთხრობების წერა ახალ ზელანდიაში დაიწყო. 1908 წელს იგი გაემგზავრა ევროპაში. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩეხოვმა. ამას თვითონ მენსფილდი აღნიშნავდა თავის დღიურებში.

უბრალო ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება გახდა მწერლის შემოქმედების ძირითადი თემა. მისი მოთხრობები გამსჭვალულია მშრომელი ხალხისადმი თანაგრძნობით, მსუბუქი იუმორითა და ლირიზმით.

ქეთრინ მენსფილდი იფარგლება თავისი გმირების შინაგანი სულიერი სამყაროს ჩვენებით, იგი არ მიისწრაფვის, გვიჩვენოს მის მიერ დახატული ყოფითი ამბების სოციალური მხარე. მაგრამ მენსფილდის შემოქმედების ჭეშმარიტი რეალიზმი გვაძლევს შესაძლებლობას, მის მოთხრობებში ვიგრძნოთ დიდი ცხოვრების მაჯისცემა.

წლეულს, ოქტომბერში მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის დაბადებიდან 80 წლისთავს.

ამასთან დაკავშირებით ალმანახ „საუნჯის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს სერგეი ესენინის ერთი ლექსის საუკეთესო თარგმანზე (ლექსი იბეჭდება აქვე).

ყველა კარგი თარგმანი დაიბეჭდება ალმანახის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

ყველაზე საუკეთესოს კი მიენიჭება პრემია.

„საუნჯის“
სარედაქციო კოლეგია

Сергей ЕСЕНИН

* * *

Не жалею, не зову, не плачу,
Все пройдет, как с белых яблонь дым.
Увяданья золотом охваченный,
Я не буду больше молодым.

Ты теперь не так уж будешь биться,
Сердце, тронутое холодком,
И страна березового ситца
Не заманит шляться босиком.

Дух бродяжий, ты все реже, реже
Расшевеливаешь пламень уст.
О, моя утраченная свежесть,
Буйство глаз и половодье чувств!

Я теперь скупее стал в желаньях,
Жизнь моя? иль ты приснилась мне?
Словно я весенней гулкой ранью
Проскакал на розовом коне.

Все мы, все мы в этом мире тленны,
Тихо льется с кленов листьев медь...
Будь же ты вовек благословенно,
Что пришло процвесть и умереть.

«С А У Н Д Ж Е»

Двухмесячный литературно-художественный а л ь м а н а х

(на грузинском языке)

№ 4

1 9 7 5

Издательство «М е р а н и»

380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.

მხატვარი **სპარტაკ ციცაძე.** ტექრედაქტორი **რევაზ იმნაიშვილი.**
ტექნიკური ხელმძღვანელი **ვახტანგ მენთეშაშვილი**

□

გადაეცა წარმოებას 24/VI-75.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-75
ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,98
ნაბეჭდი თაბახი 21,0. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 596

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, კამოს ქ. № 18

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18